# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№29 (542) ◆ 18 – 24 ივლისი. 2005 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „ბელაშვილის საქმეში მართლაც არის საეჭვო დეტალები“



### „ამას ქართული კურორტების ანტირეკლამად ნუ ჩამომართმევთ“

ავტომატით თავზე ვერავის დავადგებით, არ იჩხუბოთ და ერთმანეთს არ შეაგინოთ-მეთქი...

...გაოპოზიციონერებას არ ვაპირებ. ვფიქრობ, იმ უამრავ საქმეს, რომელიც წამოვიწყეთ, ბოლომდე უნდა მივყვანა.

...არ მომწონს, რომ პარლამენტი არ არის კრიტიკული ჩვენი მთავრობის მიმართ.

გვ.6,11

თემის გაგრძელება

## „იმ დღეს შევარდნაძემ და გორგოძემ ერთმანეთზე გაიწიეს“





უახლოესი წარსულიდან...

### „მე, გურული გლეხის შვილს, პარტიამ ნდობა გამომიცხადა და ვინც მიღალატებს, ყველა უნდა დაისაჯოსო“

გვ.33

...გაბრაზებულმა გორგოძემ მუშტი დაარტყა მაგიდაზე. შოთასაგან გამიკვირდა ასეთი საქციელი. შევარდნაძეს თვალები წამოუწითლდა ბოლმისაგან.

...ჩვენ ისე ღრმად შევტოპეთ ამ საქმეში, უკან დასახევ გზას ვერ ვხედავდი.

...გორბაჩოვს ვუთხარი, ეს მე გავაკეთებინე-მეთქი და ახლა შენ გაჩუმდი, ვახტანგ, ჩაწყობილია გორბაჩოვთან ეს საქმეო. მივხვდი, რა ვერაგობაც ჰქონდა ჩაფიქრებული...

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი გვ.32

### საშუალება გეძლევათ თქვენი წვლილი შეიტანოთ ახალი 200-ლარიანი ბანკნოტის დიზაინის შექმნაში — ვისი პორტრეტის გამოსახვას ისურვებდით 200-ლარიან კუპიურაზე?



## „საიდუმლოს რამდენიმე დღეში გავამჟღავნებთ“

„თუ დაინტერესდებიან სამართალდამცველები, მივაწვდით ინფორმაციას, თუ არა, მაინც ყველაფერს ვიტყვით, მაგრამ უკვე საჯაროდ, ყველას გასაგონად.“

დავით უსუფაშვილი

გვ.6

„ასეთი რამ ოპოზიციას არც გამსახურდიას და არც შევარდნაძის დროს არ უკადრებია“.

გივი თარგამაძე

## დეპუტატს ინტიმური „საუბრებისთვის“ ტელეფონი გაუთიშეს...

„პარლამენტს და კანცელარიას ინტიმურ ტელეფონზე თავიანთი გადასახადიც ეყოფათ(?!).

გვ.5

...არსებობს ტექნოლოგია, რომელიც ნომრის დაფიქსირებას სადგურში ხელს უშლის და მის ნაცვლად თაღლითის „სასურველი“ ნომერი ფიქსირდება.“

### „პირატული“ საუბრების ბუმი თბილისში

## სისხლის ღვრის საფრთხე რეალურია...

„გაგიმხელთ, რომ რამდენიმე დღის წინ ერთი ჯგუფი ოსი ბიზნესმენის გატაცებას აპირებდა. რათა შემდეგ ხაჭაპურიძეებში გადაცვლა მოეთხოვათ. კიდევ კარგი, ეს ცნობილი გახდა და დროზე გადააფიქრებინეს...

იმ ხალხის მოთმინება, ვინც დღეს გზები გადაკეტა, უკვე ზღვარზეა... არც მალავენ, რომ იარაღის აღებაზეც არ იტყვიან უარს, სისხლის დაღვრამ კი შეიძლება კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანოს.“

გვ.5



## პურში ლამურა გამოგვიცხვეს!

„ადრე ბუზებს და ტარაკნებს დასდევდნენ და დღეს ლამურა არავის უკვირს“

### სანამ შეჭამთ შეამოწმეთ, რა იცით, რა ხდება...

„ამას წინათ ერთი მანქანა პური დაიყარა ქუჩაში, ვითომც არაფერი, აკრიფეს და გასაყიდად გაატანეს...“

გვ.25

ჩვენ, ქართველები...

გვ.12

## ისე აღესრულა მოხუცი მეფე, ვერ აუსრულა წადილი ჭაბუკ მოხევეს

ჭიდაობისა არა ვიცი რა, ხმალში კი სიამოვნებით გამოვალო... მეორე დღეს ავლაბრის ხიდს გაღმა-გამოღმა შეყრილა აუარებელი ხალხი. უკრავდა ზურნა, იყო განგაში და ქართველთა სირცხვილის ჩამორეცხვის წადილი...

გვ.22

## სიახლე! — ვინდოუსი ქართულად

DURA LEX SED LEX

## სასამართლო

ქრონიკა

გვერდი 17-20

## თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს!

## ბაკურიანი, ბათუმი, ამსტერდამი...

16 ივლისს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბაკურიანს ეწვია და მის მიერ „საქართველოს ოქროს რეზერვად“ შეფასებული სამხედრო პატრიოტული ბანაკის, „პატრიოტის“ დახურვას დაესწრო. საზეიმო ცერემონიალზე სააკაშვილმა მოჭიდავეების დაკავებასთან დაკავშირებით რუსთაველის პროსპექტზე მომხდარი ინციდენტი და ამით „პარლამენტში გამოწვეული აყალმაყალი“ გაიხსენა და საქებარი სიტყვები არ დაიშურა სამხედრო რეზერვისტებისთვის, საპატრულო პოლიციისთვის და სპორტსმენებისთვის.

„პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა და არა ჩხუბის ადგილი. იმ პოლიტიკოსებს, ვისაც საჩხუბრად ხელები ექავება, ვურჩევ ხელები ჯიბეებში ჩაიწყონ“, — განუცხადა ჩხუბისთავ თანაგუნდელებსა და ოპოზიციონერებს პრეზიდენტმა და ბათუმში გაფრინდა, სადაც სამდღიანი ვიზიტის შემდეგ ერთი კვირით ჰოლანდიაში გაემგზავრება და მეუღლესთან ერთად გაატარებს საზაფხულო შვებულების ნაწილს.

17 ივლისს, ბათუმში, პრეზიდენტის რეზიდენციაში შეიკრიბნენ მისი რწმუნებულები ქვეყნის რეგიონებიდან, რათა გაწეული სამუშაოების შესახებ პრეზიდენტისათვის ანგარიში ჩაებარებინათ. ამასთან, სახელისუფლებო პარტიამ უკვე დაასახელა სამი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი აჭარაში. ბათუმში კენჭს ფოთის პორტის ყოფილი უფროსი ჯემალ ინაიშვილი იყრის, ქობულეთში კობა ხაბაზი, ხელვაჩაურში კი ნაციონალების სახელით ჯამბულ მაკარიძე იბრძოლებს.

## შამბა თბილისს ესტუმრება

20-21 ივლისისთვის თბილისს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი შამბას ვიზიტია დაგეგმილი. მხარეებს შორის შეხვედრა გაეროს სპეცწარმომადგენლის ოფისში გაიმართება, სადაც აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებზე იმსჯელებენ.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი ირაკლი ალასანია იმედოვნებს, რომ შამბასა და ქართულ მხარეს შორის „უშუალო და პირდაპირი დიალოგი“ გაიმართება. ალასანიას თქმით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოგვარების გარეშე საქართველოს მომავალი არ აქვს. თუმცა დღეისათვის რუსეთის ზეწოლა და გავლენა აფხაზეთზე იმდენად დიდია, რომ აფხაზური მხარე საქართველოსაგან აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით არც ერთ წინადადებას არ მიიღებს, ვინაიდან მხარეთა შორის ნდობა არ არსებობს. „ვიმედოვნებ, შამბას თბილისში ვიზიტისას მხარეთა შორის უშუალო და პირდაპირი დიალოგი გაიმართება, რომელიც ამ ეტაპზე ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენას“, — განაცხადა ალასანიამ, რომელიც ნდობის აღდგენაში ასევე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებასაც.

## ხაინდრავას ემუქრებიან?

16 ივლისს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას შესაშინებლად ცხინვალიდან გატაცებული ხაჭაპურიძეების ძმამ ლევან ხაჭაპურიძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლა. მომხდარზე სამართალდამცველებს რეაგირება არ მოუხდენიათ. „მიკვირს ჩვენი სამართალდამცველების პასიურობა. პირადად ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ლევან ხაჭაპურიძე სახელმწიფოსთვის საშიში ელემენტია და მისმა ქმედებამ შესაძლოა უკიდურესად დაძაბოს ვითარება კონფლიქტის ზონაში“, — განაცხადა ხაინდრავამ, რომელსაც ლევან ხაჭაპურიძე გატაცებულების მოძებნის საქმეში უმოქმედობასა და ქვეყნის ღალატში ადანაშაულებს და ურჩევს ცხინვალის რეგიონში არსებულ ქართულ სოფლებში ჩასვლაზე არც იფიქროს. ამასთან, ხაჭაპურიძე სამართალდამცველებსაც აფრთხილებს, რომ თუ ხაინდრავა გაფრთხილების მიუხედავად დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში გამოჩნდება, იგი კვლავ გამოიყენებს ცეცხლსასროლ იარაღს(?!).

17 ივლისს გატაცებული ხაჭაპურიძეებისა და ლომიძის ნათესავებმა ტრანსკავკასიური საგზაო მაგისტრალის პროტესტის ნიშნად გადაკეტილი მხოლოდ ერთი მონაკვეთი, გორიდან ცხინვალისკენ მიმავალი გზა გაათავისუფლეს, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა აღდგა. ცხინვალიდან ჯავისკენ მიმავალი გზა კი უკვე ორი კვირაა გადაკეტილია.

## კოკოითი საჩუქრებზე უარს ამბობს

ედუარდ კოკოითი ტრადიციას არ ღალატობს და უარს ამბობს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ მატერიალურ დახმარებებზე. თუმცა ოს სეპარატისტთა ლიდერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ფრიდონ თოდუას საჩუქარზე უარის თქმა გაუჭირდა.

14 ივლისს თოდუამ ცხინვალის საავადმყოფოსთვის პირადად ჩაიტანა კომპიუტერული ტომოგრაფი და სხვა სამედიცინო მოწყობილობები. ედუარდ კოკოითის თქმით, ეს კეთილშობილური აქცია პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პროპაგანდის მიზნით გამოიყენა.

„ჩვენს რესპუბლიკაში ყოველთვის პატივისცემით ეკიდებიან ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, თუმცა რადგან ამ კეთილშობილურ აქციაში პოლიტიკოსები ჩაერივნენ და მიხეილ სააკაშვილმა სახალხო დიპლომატიის მექანიზმის პროპაგანდისტული მიზნით გამოყენება გადაწყვიტა, ჩვენ საჩუქარს ვერ მივიღებთ. მე თქვენ მიგიღეთ არა როგორც სააკაშვილის წარმომადგენელი, არამედ როგორც მშვიდობის დესპანი“, — განუცხადა კოკოითმა თოდუას. ცხინვალის ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულებისთვის უახლესი სამედიცინო აპარატურის გადაცემა სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტთან ფრიდონ თოდუას სახელობის კლინიკის წარმომადგენელთა შეხვედრაზე გადაწყდა.

ქართული მხარე მზადაა ცხინვალის რეგიონი სასწრაფო დახმარების მანქანებითა და სარეისო ავტობუსებით მოამარაგოს, თუმცა სეპარატისტები დახმარებაზე უარს ამბობენ.

## „ევროკავშირის ფულით იავნანას ამღერებს“...

„ნოღაიდელს სჭირდება რჩევები და გამოდის, რომ მრჩეველი თვითონ იქნება, ოღონდ ფულს ევროკავშირი გადაიხდის“, — განაცხადა ეკონომიკურმა ექსპერტმა ნიკო ორველაშვილმა მას შემდეგ, როცა აღმოაჩინა, რომ საქართველოს მთავრობის სავარაუდო მრჩეველი საკონსულტაციო კომპანიების სიაში, საიდანაც გამარჯვებული ევროკავშირმა უნდა შეარჩიოს და დააფინანსოს, ერთ-ერთი საქართველოს ხელისუფლების წევრების მიერ დაფუძნებული კომპანია DVNK Consulting-ია. მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებლები: ზურაბ ნოღაიდელი, ლევან ვარშალომიძე, ცესკოს ახალი თავმჯდომარე გია ქავთარაძე და ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია კომპანიის პარტნიორები აღარ არიან და ხელისუფლებაში მათი მისვლის დღიდან კომპანიას მათი ცოლები განკარგავენ. ორველაშვილი დარწმუნებულია, რომ ამ საქმეში „ძაღლის თავი“ მარხია. მისი თქმით, ამ დონეზე კორუფცია შევარდნაძის დროსაც კი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ვიღაც ვიღაცის უკან დამალული მაშინაც ყოფილიყო, მაგრამ ასე აშკარად?!

„ხელისუფლება მრჩევლად თავის ხალხს დაისვამს და ევროკავშირის ფულით იავნანას ამღერებს“, — აცხადებს ეკონომიკური ექსპერტი.

## გამყრელიძე ბუშს შეხვდება?

აშშ-ში საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის ლიდერების ფორუმზე, რომელშიც მემარჯვენე იდეოლოგიის პარტიები არიან გაწევრებული, საქართველოდან მხოლოდ „ახალი მემარჯვენეები“ და კონსერვატიული პარტიის წევრები მიიღებენ მონაწილეობას. ფორუმზე განიხილავენ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარების საკითხებს. ვაშინგტონში ყოფნისას დავით გამყრელიძე შესაძლოა შეხვდეს აშშ-ის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს. ფორუმზე კი „ახლების“ ლიდერი საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრებს.

მას შემდეგ, როცა ცნობილი გახდა აშშ-ში გამგზავრების საკითხი, პარლამენტის კულუარებში ითქვა, რომ გამყრელიძემ ვაშინგტონში წასვლამდე კონსულტაციები დასავლეთიდან ახლახან დაბრუნებულ პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან გაიარა. „ახლები“ ფორუმში საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის წევრის სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას, კონსერვატორები კი მიწვეული სტუმრისა.

## აჭარას საგანგებოდ იცავენ

საკურორტო სეზონის დაწყებისთანავე აჭარაში დანაშაულებრივი სამყარო გააქტიურდება, შიშობდნენ ჯერ კიდევ მაისის თვეში აჭარლები. როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან მათი შეშფოთება საქართველოს შსს-მაც გაიზიარა და ვანო მერაბიშვილმა აჭარაში საკურორტო სეზონზე უსაფრთხოების დაცვის სპეციალური სქემა ბათუმის სახელმწიფო თეატრში განიხილა.

აჭარას საკურორტო სეზონზე დაიცავს საპატრულო პოლიცია და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი. ვანო მერაბიშვილის განმარტებით, წლევანდელი საკურორტო სეზონი უსაფრთხოების თვალსაზრისით კომფორტული იქნება. აჭარის უსაფრთხოების დაცვის სპეციალური სქემის მიხედვით, რეგიონი 37 სექტორად არის დაყოფილი, თითოეული სექტორი 2-3 კილომეტრს მოიცავს და ჰყავს პასუხისმგებელი პირი. პატრულირებას ადგილობრივი და დედაქალაქიდან ჩასული 144 პატრული ერთად მოახდენენ. „სტუმარი“ პოლიციელები შსს-გან საგანგებოდ მათთვის დაქირავებულ ბინებში იცხოვრებენ.

## ნათელაშვილის „შავი წიგნი“

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის განცხადებით, თუ „სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების შესახებ“ კანონი ამოქმედდება, საქართველოს ტერიტორიასა და მიწებს ხელში ნებისმიერი მსურველი ჩაიგდებს. „მაშინ, როცა სასაზღვრო ზოლის დემარკაცია და დელიმიტაცია არ არის განხორციელებული, ასეთი კანონის მიღება საქართველოს გასხვისების ტოლფასი და დანაშაულებრივი ნაბიჯია“, — აცხადებს ნათელაშვილი. მისივე თქმით, პარტიის ოფისში გახსნილია ე. წ. „შავი წიგნი“, სადაც ჩაწერილია პრეზიდენტისა და აღნიშნულ კანონზე ხმის მიმცემ დეპუტატთა გვარები, ამ სიაში შევა ასევე ყველა იმ თანამდებობის პირის გვარი, ვინც ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ქართული მიწების გაყიდვას დაიწყებს. შალვა ნათელაშვილი აფრთხილებს პოტენციურ მყიდველებს, განსაკუთრებით უცხოელებს, უარი თქვან ასეთ შესყიდვებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შემდეგ, როცა საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, ყიდვა-გაყიდვის შესახებ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება ბათილად გამოცხადდება და გაუქმდება. თუ პრეზიდენტი სააკაშვილი აღნიშნულ კანონს ხელს მოაწერს, ლეიბორისტული პარტია გასაყიდი ადგილების ბლოკირებითა და სასაზღვრო ზოლზე საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრება.

## სამაგიერო გადაუხადეს(?!)

კონსერვატორი ზვიად ძიძიგური პარლამენტარ ვალერი გელაშვილზე თავდასხმას ბრალად ხელისუფლებას დებს და აცხადებს, რომ მომხდარი არ უნდა შეფასდეს როგორც ყაჩაღობის ფაქტი. ზვიად ძიძიგური თავდასხმაში კონკრეტულად შინაგან საქმეთა სამინისტროს ადანაშაულებს, რადგან მისი თქმით, დღეისთვის საქართველოში ყველა შეიარაღებულ პირს შსს აკონტროლებს და შეუძლებელი იყო ძალადობა რომელიმე კრიმინალურ დაჯგუფებას განეხორციელებინა. ძიძიგურის თქმით, გელაშვილს სახლის წართმევას უპირებდნენ, მაგრამ როცა დეპუტატმა საჯაროდ გამოხატა პროტესტი და განაცხადა, რომ ხელისუფლება არაკანონიერი და ძალადობრივი გზით ებრძვის, მას სამაგიერო გადაუხადეს.

## სმირბა პროკურატურაში დაიბარეს

14 ივლისს ბათუმის ყოფილი მერი ასლან სმირბა, რომელიც ამავე დროს ბათუმის პორტის ყოფილი უფროსი და საზღვაო-სანაოსნოს დარღვევებსა და კორუფციასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის თავმჯდომარეც იყო, ბათუმის პროკურატურაში დაიბარეს. მოგვიანებით „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას სმირბამ განაცხადა, რომ მას კომისიის მასალები მოსთხოვეს პროკურატურაში: „მასალები თავის დროზე მაშინდელ პრეზიდენტს გადავეცი მთავრობის სხდომაზე და იმ დღიდან მის კანცელარიაში ინახებოდა. მე არაფერი მაქვს, თუმცა, კარგად მახსოვს, რომ სანაოსნოში კოლოსალური ფინანსური გარღვევის მაჩვენებელი, 22,5 მლნ დოლარი დაფიქსირდა“.

ბათუმში ხმა გავრცელდა, სმირბას სანაოსნოსთან დაკავშირებული საქმის გამოძიებაში თანამშრომლობა მოსთხოვესო. ასლან სმირბას თქმით, იგი დღევანდელ ხელისუფლებას ისევე დაუდგება გვერდში, როგორც აჭარის რევოლუციის დროს, მაგრამ ვერ გაუგია, პროკურატურაში მას რატომ იბარებენ სანაოსნოს ამბებთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც „ის ხალხი, ვინც წინათ მუშაობდა ნავსადგურში, დღესაც იქ ზის, პროფესიონალობას იბრალებს და ვიღაცებზე ჭორებს თხზავს“. ასლან სმირბა უარყოფს გავრცელებულ ხმას მისი თითქოსდა მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნებში შესაძლო მონაწილეობის შესახებ. „პოლიტიკურ-პარტიულ თამაშებს აღარ ვაპირებ. მე ერთი პარტიის, „აღორძინების“ წევრი ვიყავი და მას დაქცევისა და უბედურების მეტი ჩემთვის არაფერი მოუტანია“, — აცხადებს სმირბა.

## ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ეჭვს იწვევს

საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებით, ვალუტის გადამცვლელი არალიცენზირებული პუნქტების საქმიანობა ხელს უწყობს ყალბი ვალუტის გავრცელებას და უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას. ამასთან, არალიცენზირებული პუნქტები შემოსავლებს მალავენ და არ იხდიან საბიუჯეტო და სხვა სახის გადასახადებს. მათი მეშვეობით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ოდენობა თვეში ათეულობით მილიონ დოლარს აჭარბებს. ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირების შემოწმებას იწყებს და აღმოჩენილ დარღვევებზე ინფორმაციას ფინანსურ პოლიციას მიაწვდის, რადგან უკანონო სამეწარმეო საქმიანობა სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, სავალუტო ბაზარზე გაურკვევლობა შექმნა კანონმა „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“, რადგან პარლამენტში მისი განხილვის დროს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ყიდვა-გაყიდვების ოპერაციების ლიცენზირების აუცილებლობის საკითხი დაისვა. „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ ორგანული კანონის თანახმად კი ეროვნული ბანკის ერთ-ერთ ფუნქციას სწორედ კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ზედამხედველობა წარმოადგენს, ამიტომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი ვერ შეცვლის „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ ორგანული კანონის დებულებებს.

## „საფრთხის ქვეშაა სიტყვის თავისუფლება“

14 ივლისს, გვიან ღამით, გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში კახეთის რეგიონული გაზეთის „იმედის“ რედაქტორის, გელა მთივლიშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა ასაფეთქებელი მოწყობილობა ისროლა. აფეთქების შედეგად ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები და დაზიანდა ეზო. დაზარალებული მომხდარს თავის საქმიანობას უკავშირებს. მას თავს ერთი თვის წინაც დაესხნენ — დაუდგენელმა პირმა მთივლიშვილი სასტიკად სცემა. მთივლიშვილი ეჭვობს, რომ დამნაშავის ვინაობა ოდესმე ცნობილი გახდეს. მისი ვარაუდით, თავდასხმებისა და გამოძიების გაჭიანურების მიზეზიც ერთი შეიძლება იყოს — მისი კრიტიკული სტატიები, რომელთა უმრავლესობა სწორედ გურჯაანელ სამართალდამცველთა დანაშაულებრივ საქმიანობას ამხელს. აფეთქებიდან მეორე დღეს „იმედის“ რედაქტორთან შესახვედრად სახალხო დამცველი სოზარ სუბარი გურჯაანში ჩავიდა. მან აღმაშფოთებელი უწოდა ჟურნალისტზე განხორციელებულ ძალადობის ფაქტს და აღნიშნა, რომ საფრთხის წინაშე დგას არა მარტო ადამიანის სიცოცხლე, არამედ სიტყვის თავისუფლებაც.

## ჩვენს ტაძრებში არ გვიშვებენ?!

**(ინტერპრესნიუსი)** 16 ივლისს ახალქალაქის რაიონის სომხურ სოფელ სამსარში მდებარე ქართული ეკლესიის გაწმენდა-რესტავრაციის მიზნით ჩასულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 32 სტუდენტს ადგილობრივი მოსახლეობა აგრესიულად შეხვდა — სტუდენტებს ეკლესიაში შესვლა აუკრძალეს(!), რასაც შედეგად მოსახლეობასა და სტუდენტებს შორის ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. ერთ-ერთი სტუდენტი მძიმედ დაშავდა. იგი ტვინის შერყევით თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ასევე დაშავდნენ საქართველოს საპატრიარქოს ახალქალაქის რეზიდენციის მართლმადიდებელი მონაზვნები.

სოფლის მოსახლეობა ითხოვს, რომ სტუდენტებმა შეწყვიტონ ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო გამოსვლებით იმუქრებიან.

მომხდართან დაკავშირებით უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

## ელექტროენერგიის ტარიფი გაიაფდა

2005 წლის 1-ელი ივლისიდან ძალაში შევიდა საგადასახადო კოდექსის ის დებულება, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადის 20-იდან 18%-ამდე შემცირებას ითვალისწინებს. როგორც ს/ს „რაო-თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ვალერი ფანცულაიამ განაცხადა, „თელასმა“ უკვე გაითვალისწინა აღნიშნული ცვლილება და 1-ელი ივლისიდან მომხმარებლებთან დაგზავნილ ქვითრებში ძველი ტარიფის, 12,8 თეთრის ნაცვლად ელექტროენერგიის ღირებულების ახალ მაჩვენებლად 11,97 თეთრი ფიქსირდება.

## ზღვასაც გამოუჩნდნენ დამლაგებლები

„დაიცავით გარემო!“ — ამ სახელწოდებით დაიწყო 13-მა აკვალანგისტმა „ზღვის მეეზოვემ“ ზღვის ფსკერის დასუფთავების აქცია, რომელიც 14 ივლისს აჭარაში, სარფის მონაკვეთიდან დაიწყო. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, ასეთი აქცია მთელი სეზონის განმავლობაში რამდენიმეჯერ გაიმართება. 14 ივლისი კი საქართველოში შავი ზღვის ფსკერის დასუფთავების დღედ გამოცხადდება. აქცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეგიდით გაიმართა. ზღვის დამლაგებლებმა ფსკერზე რეზინის სატაცურები, ჟანგმოკიდებული მილები, ბოთლები, საკვების ნარჩენები და ათასი წვრილმანი შეაგროვეს, სპეციალურ ტომრებში მოათავსეს და სანაპიროზე კატარღებით გაიტანეს.

## ახალი დირექტორის ვინაობა ამ კვირაში გაირკვევა

16 ივლისს 6 საათზე შეწყდა საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალური დირექტორის ვაკანსიაზე კანდიდატურების წარდგენის მსურველთა განცხადებების მიღება. მზრუნველთა საბჭომ 16 განცხადება მიიღო. მათ შორის არიან როგორც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, ასევე ნაკლებად ცნობილი სახეები. გამარჯვებულის ვინაობა 23 ივლისს გაირკვევა. შესაბამისად, ამ კვირის ბოლოს საზოგადოებრივ ტელევიზიას ახალი დირექტორი ეყოლება. როგორც ქვეყნის ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, ახალი დირექტორი თავისუფალი იქნება ყოველგვარი პარტიული და პოლიტიკური ზეწოლისაგან.

# „ამ გზით სეპარატისტი ხელისუფლების თუ არა, ოსი მოსახლეობის გულს მოვიგებთ"



## „პოლიტიკური ელფერი დეპუტატის ცემას თავად ხელისუფლებამ შესძინა"

## ჭიაბერაშვილის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, საბოლოო გაუქმება მოხდა

უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლების კრიტიკა იმდენად გახშირდა, დადებით ტენდენციებზე ლაპარაკი გასიამოვნებს კიდეც — ერთ-ერთი მთავარი ერთიანი ეროვნული გამოცდების მშვიდობიანად და ორგანიზებულად ჩატარება გახლავთ. როგორც ჩანს, საქართველოს უმაღლესი განათლების ისტორიაში ეს პირველი გამოცდები იყო, რომელიც „შპარგალკების" და კორუფციული გარიგებების გარეშე ჩატარდა. ალბათ, საბოლოო დასკვნის გაკეთება უფრო მართებული ტესტირების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ იქნება — როგორც ჩანს, პრეზიდენტი ამ დროს მძაფრად ხილვას ჯერჯერობით კი რამე სერიოზულ დარღვევაზე საზოგადოებაში ლაპარაკიც არ ყოფილა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ განათლების სამინისტრომაც და აბიტურიენტებმაც პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით დაძლიეს. სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით ხელისუფლების სამართალდამცველი ნაწილის წარმატებულ ლეგზე — პარლამენტის წევრის, ვალერი გელაშვილის, რბილად რომ ვთქვათ, ჩაქოლვის ფაქტი ის გამოცდა აღმოჩნდა, რომელშიც ხელისუფლების სამართალდამცველებმა დიდი ორიანი მიიღეს. თავად „გამოცდის საგანზე" იმის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, თუ როგორ დამოკიდებულებას გამოამჟღავნებს გამოძიება მომხდარის მიმართ. ორიანი კი მაინც ორიანად დარჩება — მას ხელისუფლება ან დემოკრატიაში მიიღებს, ან კრიმინალთან ბრძოლაში. ამ ეტაპზე ჩანს, რომ გამოძიება ყველანაირად ეცდება, უარყოფითი ნიშანი კრიმინალთან ბრძოლაში „დაიწეროს". პირველივე სატელევიზიო კომენტარში ერთ-ერთმა ახალგაზრდა პოლიციელმა განაცხადა, — დღისით, მზისით, სრული სამხედრო ამუნიციით აღჭურვილმა და ნიღბიანმა 10-15-მა უცნობმა ვალერი გელაშვილი ავტომატების კონდახებით იმიტომ სცემა, რომ მისი მანქანიდან ტომარა გაეტაცათო. თუ გავითვალისწინებთ, რომ გელაშვილის თქმით, ტომარაში ძაღლებისთვის განკუთვნილი „პედიგრის" საკვები იყო, ეს ნაჩქარევი განცხადება საზოგადოებაში ირონიულ ღიმილთან ერთად, ბევრ კითხვის ნიშანსაც აჩენს... საშინაო ვითარებისგან განსხვავებით, საერთაშორისო პოლიტიკაში მოვლენები საქართველოს სასარგებლოდ ვითარდება — იუშჩენკოს მიერ შექმნილი დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების მოდელმა საბოლოო წარმატებას მიაღწია. წლების მანძილზე სეპარატისტულად განწყობილი მხარის ლიდერმა, სმირნოვმა უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრაზე გასულ კვირაში უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ შეთავაზებული ფართო ავტონომიის პირობებით დნესტრისპირეთი თანახმაა, მოლდავეთის შემადგენლობაში დაბრუნდეს. ჯერჯერობით უცნობი რჩება, რა რეაქცია ექნებათ ოს სეპარატისტებს პრეზიდენტ სააკაშვილის ანალოგიურ შეთავაზებაზე. თუმცა, თუ რუსულ ინტერნეტგამოცემებში გავრცელებულ ინფორმაციას დავეყრდნობით, კოკოითს გადაწყვეტილების მიღება მარტო არ მოუწევს — რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურად გაწერილი ბიუჯეტის თანახმად, ცხინვალის რეგიონში თურმე რუსეთის ფედერალური უშიშროებისა და გენშტაბის სადაზვერვო სამმართველოს სამასამდე თანამშრომელი ყოფილა მივლინებული. ამ და სხვა ობიექტური მიზეზების გამო ალბათ საქართველოს ხელისუფლებას დანარჩენ საქართველოსთან მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებლობაში ცხინვალის ოსური მოსახლეობის დარწმუნება ძალიან გაუჭირდება. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გონივრული პოლიტიკისთვის შეუძლებელი არაფერია — ასეთ შემთხვევაში დრო საქართველოს სასარგებლოდ იმუშავებს.

უფრო დეტალურად განვლილი კვირის ტენდენციებსა და მომავლის პერსპექტივებზე პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილს** ვესაუბრებით:

**— იმის მიუხედავად, კრიმინალური მოტივი ჰქონდა მას თუ პოლიტიკური, დეპუტატ გელაშვილზე თავდასხმა თავისი შინაარსით გამაოგნებელი იყო. ისიც ფაქტია, რომ მომხდარი ხელისუფლებისა და ოპოზიციის მორიგი ცხარე კამათის საფუძვლად იქცა...**

— ხელისუფლება სწორედ ამან გაყიდა. რატომღაც დარწმუნებული ვარ — გელაშვილი ოპოზიციაში რომ არ გადასულიყო და რესპუბლიკელებში არ გაერთიანებულიყო, ეს ამბავი არ მოხდებოდა. ისიც ყველამ კარგად იცის, რა მწვავე განცხადებები გააკეთა ვალერი გელაშვილმა თავდასხმამდე მცირე ხნით ადრე ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მიმართ. ამიტომაც ეს, აშკარად, დაშინების მორიგი მცდელობაა, თუმცა საზოგადოების დაშინების სხვა მეთოდებიც არსებობს, ვთქვათ, მომიტინგეთა სასტიკი დარბევა. გელაშვილის შემთხვევა კი სრულიად განსხვავებული იყო. ამ აქტით ხელისუფლებამ საკუთარი უმრავლესობა უფრო შეაშინა — ასე მოუვა ყველას, ვინც აზრს შეიცვლის და დაგვიპირისპირდებაო... მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვი სწორედ აქეთკენ მიდის, პოლიტიკური მოტივი გამოვრიცხოთ და სხვა რამეც დავუშვათ: თუ ეს მხოლოდ კრიმინალური ფაქტი იყო და სხვა არაფერი, რა გამოდის? — ქვეყნის ერთ-ერთ წარმატებულ მოქალაქესა და ცნობილ ბიზნესმენს დღისით დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე თავს ესხმის არა ქუჩის „შპანა" და ბიჭბუჭობა, არამედ კარგად ორგანიზებული, სრულყოფილად შეიარაღებული ბანდა თუ რაზმი, რომელიც ქალაქში ჩვეულებრივად გადაადგილდება.

ეს ხალხი სასტიკად გაუსწორდა არა მხოლოდ გელაშვილს, არამედ საზოგადოების იმ ნაწილსაც, ვინც ამ შემთხვევას შეესწრო ან მომხდარის შესახებ მოგვიანებით შეიტყო. „რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ და ფეხებსაც ვერავინ მოგვჭამს" — ასეთი იყო გზავნილი, რომელიც გელაშვილის დამტერორებელმა ნიღბიანმა ადამიანებმა მთელ ჩვენს საზოგადოებას გამოუგზავნეს. თუ ისინი კრიმინალები იყვნენ, მაშინ კარგად ყოფილა ხელისუფლების საქმე... ან დროს, როცა საპატრულო პოლიციის რეფორმა წარმატებულად განხორციელდა, როცა ხელისუფლება დამნაშავეობასთან ბრძოლას საკანონმდებლო პოემებს უძღვნიდა, მომხდარი ხომ საყოველთაო მსჯელობის საგნად უნდა ქცეულიყო პირველ რიგში ხელისუფლების მხრიდან? როგორც ეს ლონდონის ტერაქტისას მოხდა, ხომ უნდა გამოსულიყო შინაგან საქმეთა მინისტრი და საზოგადოებისთვის ამ ვანდალური ფაქტის გამოძიებაში დახმარება ეთხოვა? პრეზიდენტსაც ხომ უნდა ეთქვა, რომ ასეთი ბოროტმოქმედება ჩვენს ახალგაზრდა სახელმწიფოებრიობას საფრთხის ქვეშ აყენებს? მაგრამ ამაზე ყურიც არავის შეუ-

> ეს ხალხი სასტიკად გაუსწორდა არა მხოლოდ გელაშვილს, არამედ საზოგადოების იმ ნაწილსაც, ვინც ამ შემთხვევას შეესწრო ან მომხდარის შესახებ მოგვიანებით შეიტყო. „რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ და ფეხებსაც ვერავინ მოგვჭამს" – ასეთი იყო გზავნილი, რომელიც გელაშვილის დამტერორებელმა ნიღბიანმა ადამიანებმა მთელ ჩვენს საზოგადოებას გამოუგზავნეს. თუ ისინი კრიმინალები იყვნენ, მაშინ კარგად ყოფილა ხელისუფლების საქმე...

ბერტყავს. მომხდარიდან მცირე ხნის შემდეგ ხელისუფლების ორმა თვალსაჩინო ფიგურამ ორი პრესკონფერენცია გამართა და ორივე რატომღაც ოპოზიციის ლანძღვას და გმობას მიეძღვნა — თურმე, ამ უკანასკნელს მომხდარზე მძაფრი რეაქცია არ უნდა ჰქონოდა... ამით გამოდის, რომ პოლიტიკური ელფერი გელაშვილის ცემას თავად ხელისუფლებამ შესძინა. როდესაც დეპუტატს, შეიარაღებული დაცვით მოსიარულე საზოგადოებაში ცნობილ პირს ასე უსწორდებიან, რიგითი მოქალაქე როგორი დაცული იქნება, იოლი წარმოსადგენია! ამგვარი ფაქტი რიგით მოქალაქეს ასეთი დასკვნის გაკეთებისკენ უბიძგებს: თუ უნდა ცხვირი მთელი ჰქონდეს, იქ არ უნდა ჩაყოს, სადაც „საჭირო არ არის".

> ჭიაბერაშვილი სტრასბურგში გადაისროლეს, რითაც მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის, საბოლოო გაუქმება მოხდა. ულან-ბატორში რომ გაეგზავნათ ელჩად, ალბათ არ წავიდოდა, ამიტომაც ევროსაბჭოში გაგზავნეს, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება სრულ იგნორირებას უკეთებს. ჭიაბერაშვილს სტრასბურგის მაღაზიების სიის შედგენა მოუწევს, რათა თბილისიდან – პარლამენტიდან და კანცელარიიდან, ჩასულ მატრაკვეცა და პრეტენზიულ გოგონებს „შოპინგები" მოუწყოს. სამწუხაროდ, ყოფილი მერის ერთადერთი მისია ეს იქნება...

**— გასული კვირის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თბილისის მერის შეცვლა იყო. თავის დროზე ზურაბ ჭიაბერაშვილი ამ საპატიო თანამდებობაზე პრეზიდენტმა დიდი ზარ-ზეიმით წარადგინა და მისი სახით ქალაქს ბევრ სიკეთესაც დაჰპირდა. თუმცა დღეს აღმოჩნდა, რომ ჭიაბერაშვილი დაკისრებულ მოვალეობას არცთუ კარგად ართმევდა თავს და მის ადგილას მორიგი პერსპექტიული ახალგაზრდა — გიგი უგულავა გამოჩნდა...**

> – მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ბაზების გაყვანის ხელშეკრულებას, რუსეთთან ურთიერთობა არ გაუმჯობესებულა, მაგრამ იმის თქმა შეიძლება, რომ შედარებით დასტაბილურდა. რაც შეეხება ცხინვალთან დაკავშირებულ შეთავაზებას, ამ მხრივ ხელისუფლება კრიტიკას ნამდვილად არ იმსახურებს, პირიქით, კონფლიქტური რეგიონებისადმი მიდგომაში აშკარა წინსვლა და პროგრესი შეინიშნება.

— ეს შევარდნაძის პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელსაც საკვანძო თანამდებობებზე მისგან დამოუკიდებელი, პოლიტიკური ფიგურების გამოჩენის ეშინოდა. როგორც ჩანს, ხელისუფლება იმდენად მწვავე კრიზისი აქვს, რომ ოპოზიციის გამოჩენისა თუ გაძლიერების თუნდაც უმცირეს შანსზე ფაქტიურად ისტერიკაში ვარდება... ძალოვნებულის განმტკიცების მიზნით თვითონ კი არ ცდილობენ გახდნენ პოპულარულები, არამედ სხვებს უშლიან ხელს პოპულარობაში. ზაფხულში დედაქალაქში გამართული საგზაო სამუშაოები დასრულდება — ეს სიკეთე უგულავას მიეწერება, ე.ი. ხელისუფლების ერთგულ ადამიანს. თუკი მერიაში რამე დაშავდა, ამავე ხელისუფლების გათვლით, ჭიაბერაშვილს შეეწმინდება და „თან წაიღებს"... სხვათა შორის, ისიც საინტერესოა, რომ ხელისუფლებას როქი არ გაუკეთებია — შეეძლო, უბრალოდ, ადგილები გაეცვალათ, მაგრამ ჭიაბერაშვილი არც კანცელარიაში შეუშვეს, რადგან თავის კაცად არ მიაჩნიათ. უგულავას საქმე არველაძეს დაევალა, რომელსაც უამისოდაც ათასი ფუნქცია აქვს დაკისრებული. ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს ჩვენი ხელისუფლება გუნდურობის სენით არის შეპყრობილი — ყველგან და ყველაფერში თავისი კაცი უნდა ჰყავდეს, რადგან სხვაგვარად თავს დაცულად და საიმედოდ ველარ გრძნობს... ჭიაბერაშვილი სტრასბურგში გადაისროლეს, რითაც მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის, საბოლოო გაუქმება მოხდა. ულან-ბატორში რომ გაეგზავნათ ელჩად, ალბათ არ წავიდოდა, ამიტომაც ევროსაბჭოში გაგზავნეს, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება სრულ იგნორირებას უკეთებს. ჭიაბერაშვილს სტრასბურგის მაღაზიების სიის შედგენა მოუწევს, რათა თბილისიდან — პარლამენტიდან და კანცელარიიდან, ჩასულ მატრაკვეცა და პრეტენზიულ გოგონებს „შოპინგები" მოუწყოს. სამწუხაროდ, ყოფილი მერის ერთადერთი მისია ეს იქნება, რადგან სააკაშვილის არაერთი განცხადების თანახმად, ევროსაბჭოს აზრს მისთვის, რბილად რომ ვთქვათ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს... რაც შეეხება უგულავას — დღეს პრეზიდენტი ორ ძირითად ჯგუფს ეყრდნობა, უპრინციპოებს და პრინციპულებს. უმრავლესობის რუხ მასად მიჩნეულ უპრინციპოთა ამქვეყნად არსებობას აზრი სააკაშვილმა შესძინა, — ეს ადამიანები პარლამენტსა თუ კანცელარიაში დაასაქმა, ამიტომაც მათთვის სააკაშვილის ლეგიტიმურობა ღმერთისას უტოლდება და დაუფიქრებლად გააკეთებენ ყველაფერს, რასაც ის ისურვებს. მეორე ჯგუფი პრინციპული ადამიანებისგან, „ინდივიდებისგან" შედგება, რომლებიც საკუთარ თავისი პრინციპებიდან გამომდინარე დგანან ისევე, როგორც თავად საკუთარი იდეა თავის დროზე შევარდნაძესთან. ამაში ცუდი არაფერია. ეს ადამიანები ცდილობენ, თავიანთი პრინციპები სახელმწიფო პოლიტიკის ხედვაში საკუთარი ფაქტორის დამკვიდრებით განახორციელონ. ასეთია კახა ლომაია, გიგა ბოკერია, თარგამაძე და სხვები. მას კანცელარიაში საკმაოდ სერიოზული ადგილი ეკავა, და მიმართავენ პრეზიდენტს კარზე. ის ფაქტი, რომ უგულავა მერად გადმოიყვანეს, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, როგორი გააფთრებით იბრძვიან ხელისუფლებაში თვითმმართველობის მომავალი არჩევნების მოსაგებად, რათა თბილისის საკრებულო ერთიანი ადამიანები შეინარჩუნოს.

**— პრეზიდენტმა ცხინვალს, ფართო ავტონომიის პირობა, შეიძლება შეთავაზა. პარალელურად, დაიძაბა ვითარება რუს სამხედროებთან — თავდაცვის სამინისტრომ საკმაოდ მკაცრი ტონით აღკვეთა რუსული ტანკების გადაადგილება გონიოს პოლიგონზე...**

— მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ბაზების გაყვანის ხელშეკრულებას, რუსეთთან ურთიერთობა არ გაუმჯობესებულა, მაგრამ იმის თქმა შეიძლება, რომ შედარებით დასტაბილურდა. რაც შეეხება ცხინვალთან დაკავშირებულ შეთავაზებას, ამ მხრივ ხელისუფლება კრიტიკას ნამდვილად არ იმსახურებს, პირიქით, კონფლიქტური რეგიონებისადმი მიდგომაში აშკარა წინსვლა და პროგრესი შეინიშნება. ეს აზრი ჯერ კიდევ იანვარში გაჟღერდა, შეიძლება, პრეზიდენტს ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი ინიციატივა მაინც მისასალმებელია. ალბათ, უკეთესი იქნება, თუ სააკაშვილი შარშანდელ მოვლენებსაც გადააფასებს. ამ გზით ჩვენ შევძლებთ, ცხინვალის სეპარატისტი ხელისუფლების თუ არა, ადგილობრივი ოსი მოსახლეობის გული მაინც მოვიგოთ. ფაქტია, რომ ამ მოსახლეობაში დანარჩენი საქართველოს მიმართ გარკვეული ნდობაც არსებობს და თანაცხოვრების სურვილის მცირედი გამოვლინებაც ჩანს. მთავარი, ისევ გავიმეორებ, მოვლენათა გადაფასება და ამ ხალხის რეაბილიტაციის პროცესია. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ რუსეთმა ამ მხრივ პოლიტიკა შეცვალა და ცდილობს თბილისის ჰუმანიტარულ მცდელობებს საკუთარი ჰუმანიტარული აქციები დაუპირისპიროს. ამ მიზნით, რუსეთის ბიუჯეტიდან ცხინვალის რეგიონზე ორი მილიონი ევრო გამოიყო. ქართულ მხარესთან ვითარების ესკალაციის პარალელურად რუსეთი ეცდება, ოსურ მოსახლეობას აჩვენოს, რომ თბილისისგან განსხვავებით, მათ კეთილდღეობასა და „უზრუნველ" ცხოვრებაზე ზრუნავს. საკმაოდ სახიფათო ტენდენციად მეჩვენება ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის გალიზიანება და მათი მხრიდან გზების გადაკეტვა. გამორიცხული არ არის, მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურების წაქეზებით ოსურმა მხარემ გზების გათავისუფლება სცადოს, რაც შეიარაღებული კონფლიქტის განახლებას და შემდგომ ესკალაციას გამოიწვევს, ეს კი ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია. მით უმეტეს დღეს, როდესაც ოსური მხარე ქართული მხარის წინადადებებზე სერიოზულად დაფიქრდა... პრინციპში, სანამ ბათუმის ბაზა ანტიტერორისტულ ცენტრად გადაფორმდება, რუსეთი ალბათ, საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდება.

**— საფრანგეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ამიერიდან საქართველოს მოქალაქეებს პოლიტიკურ თავშესაფარზე უარს ეტყვიან, რადგან საქართველოს ხელისუფლება დემოკრატიას განუხრელად იცავს და ჩვენთან პოლიტიკური დევნილები არ არსებობენ. რამდენად ახლოა რეალობასთან ეს განცხადება?**

— თუ კონკრეტულ პიროვნებათა მიმართ ცალკეულ გამოხდომებს არ გავითვალისწინებთ, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ტოტალურად ირღვევა ან მასები დიქტატურის წნეხში არიან მოქცეული. ალბათ, ევროპის სახელმწიფოებს ეს მოტივაცია აქვთ, თუმცა, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ერთგვარ ინტერესთა დამთხვევასთან გვაქვს საქმე. ევროპა მიგრანტებს ველარ იტევს და ყველანაირი მოტივაციით ცდილობს, თავშესაფარზე უარი უთხრას. რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებასაც ხელს აძლევს იმის დეკლარირება, რომ აქ პოლიტიკური დევნა არ ხორციელდება და შესაბამისად, დემოკრატიაც აყვავების სტადიაშია. ალბათ ეს „გარიგება" უფრო ქართული დიპლომატიის წარმატებულ ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს — ბოლოს და ბოლოს, სალომე ზურაბიშვილს ისეთი კავშირები კი აქვს საფრანგეთთან, რომ ასეთი შეთანხმებისთვის მიეღწია... სინამდვილე სულ სხვაგვარია და ის სოციალურ-ეკონომიკურ მოტივაციაში მდგომარეობს. ამის გამო საქართველოდან გაქცევაზე სულ უფრო და უფრო ბევრი ხალხი ოცნებობს და ეს სულაც არ მეტყველებს ჩვენი ხელისუფლების წარმატებულ მოღვაწეობაზე. პირიქით, როგორც ჩანს, ხალხმა იმედი დაკარგა, რადგან შევარდნაძის დროს ფიქრობდნენ, ეს მოხუცი კაცი ადრე თუ გვიან პრეზიდენტობიდან წავა და ქვეყანასაც რაიმე ეშველებაო. ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ახალგაზრდა პოლიტიკოსების დიდ ნაწილს კი როგორც არაერთგზის დავრწმუნდით, ხელისუფლებაში ყოფნა იდეფიქსად და საკუთარი ცხოვრების აზრად მიაჩნია...

*დაჩი გრძელიშვილი*

# „შპარგალკის“ გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა“

## „აბიტურიენტები საპირფარეშოშიც რომ გადიან, მეთვალყურე მიჰყვება“



*„კვირის პალიტრის“ სურვილს, რომ ეროვნული გამოცდების პროცესს დასწრებოდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კეთილმოსურნედ შეხვდა და ჩვენც გამოვიყენეთ ეს შესაძლებლობა. რაკი ყველაზე მეტი აბიტურიენტი აგრარულ უნივერსიტეტში განთავსებულმა საგამოცდო ცენტრმა მიიღო, ჩვენც იქითკენ ავიღეთ გეზი. პაპანაქება სიცხეში აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია აბიტურიენტთა მშობლებით იყო სავსე. ნაწილს უნივერსიტეტის წინ, სამლოცველოს ჩრდილისთვის შეეფარებინა თავი, ნაწილი კი ახლომდებარე ტყეპარკს შესეოდა. ყველას მოლოდინი ეწერა სახეზე. ჩვენ რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ.*

**მარინა ახალაძე:** — მიუხედავად იმისა, რომ სკოლა 1975 წელს დავამთავრე, ზოგად უნარ-ჩვევებში გამოცდა რომ ჩამაბარებინონ, ალბათ, 80 ქულას დავაგროვებ. ბავშვი, რომელიც 3-სა და 4-ს შორის მაინც სწავლობდა, ამ ტესტებს უთუოდ გაართმევს თავს.

მშობლებთან საუბრის შემდეგ, წესრიგის დამცველებისკენ გავწიე. სანამ კიბის საფეხურებს ავათავებდით, გასაუბრება მოვასწარი.

**მამია რუხაძე,** თბილისის შსს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომელი: „მობილიზებული ვართ, რომ რაიმე ექსცესი არ მოხდეს. ბავშვებზე მეტად მშობლები ღელავენ. ზოგს უნდა კარამდე მიაცილოს თავისი შვილი. ამის უფლებას რომ არ ვაძლევთ, ლიზიანდებიან. გამოცდის ბოლოსაც ნერვიულობენ, ლამის საგამოცდო ცენტრში შემოცვივდნენ — უნდა დავინახოთ, ჩვენი შვილები როგორ გამოდიანო. ერთი-ორჯერ ჩვენც გვისაყვედურეს — საგამოცდო ცენტრებში პოლიცია რატომ ჩააყენესო. ვუხსნით, აქ იმიტომ ვართ, რომ თქვენმა შვილებმა მშვიდ გარემოში ჩააბარონ გამოცდები-თქო.

საგამოცდო ცენტრში სიმყუდროვე და სიმშვიდე დაგვხვდა. მეთვალყურეები ერთი-ორ სიტყვას თუ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს, ისიც ჩურჩულით, რომ ბავშვების ყურადღება არ გაეფანტათ. ერთადგილიან მერხებზე მსხდარი აბიტურიენტებისკენ წავედი. მართალია, ახლოს მისვლის ნება არ მომცეს, მაგრამ კარგად დავინახე, როგორ მშვიდად ეჭიდებოდნენ ზოგადი უნარ-ჩვევების ტესტებს.

ამასობაში საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელმა **რუსუდან ძიძიშვილმაც** მოიცალა ჩვენთან სასაუბროდ:

— სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ ასე ჩატარდებოდა ეროვნული გამოცდები. შედეგმა მოლოდინს ბევრად გადააჭარბა. ყველაზე სკეპტიკოსებიც კი ამბობენ, გამოცდები მშვიდად და ობიექტურად მიმდინარეობსო. „შპარგალკის“ შემოტანის და გადაწერის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. მეთვალყურეების და აბიტურიენტის ყველა მოქმედებას ვიდეოთვალი აკონტროლებს. აბიტურიენტებს გამოცდაზე მობილურების შემოტანა ავუკრძალეთ. საპირფარეშოშიც რომ გადიან, მეთვალყურე მიჰყვება.

**მაია მიმინოშვილი,** ერთიანი ეროვნული გამოცდების შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი: „ვრწმუნდები, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის. ამის საფუძველს თავად აბიტურიენტების მომზადების დონე მაძლევს. ზოგადი უნარების ტესტირებას ყველა დიდი მღელვარებით ელოდა. უნარ-ჩვევების ტესტები განსაზღვრულ ასაკობრივ კატეგორიაზეა გათვლილი, 17 წლის ბავშვი ჩემზე ბევრად უფრო სხარტია და გაცილებით იოლად ხსნის ტესტს. თუ მშობელს უჭირს ტესტის გაკეთება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 17 წლის ბავშვსაც გაუჭირდება.

გამოცდისთვის განკუთვნილი 3 საათი ნელ-ნელა მიიწურა და ეზოში გადავინაცვლე. უკვე გამოჩნდნენ აბიტურიენტები...

**აკაკი გეგეჭკაშვილი:** „პოლიტექნიკურში ვაბარებ — საგარეო და ეკონომიკური კონფლიქტების სპეციალობაზე. ჩემი ნამუშევრით კმაყოფილი ვარ. 60 ქულას მაინც დავაგროვებ. ზოგიერთი კითხვა მართლაც ძნელი იყო და გამიჭირდა. ბოლომდე ველარ დავრჩი გამოცდაზე. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდი გარემო იყო, ნერვებმა მიმტყუნა.“

**ანი ცერცვაძე:** „ტექნიკურ უნივერსიტეტში მთარგმნელი რეფერენტის სპეციალობით ვსწავლობდი, მაგრამ წელს სამსახიობოზე ვაბარებ. ვერ ვიტყვი, რომ იოლი გამოცდებია, თუმც წინა წელთან შედარებით უფრო სამართლიანად ტარდება.“

**ალეკო მუხიაშვილი:** „ტესტების ორივე ნაწილი იოლი იყო. მიუხედავად იმისა, რომ უნარ-ჩვევები სკოლაში არ მისწავლია, მოვემზადე და იმედი მაქვს, მაღალ შეფასებას მივიღებ...“

პირველმა ეროვნულმა გამოცდებმა დაძაბულობის გარეშე ჩაიარა, რაც ნამდვილად მისასალმებელია, თუ არ ჩავთვლით ერთ ინციდენტს — რამდენიმე საგამოცდო ცენტრში მცირე ხნით დენისა და წყლის მიწოდება შეწყდა.

*მარი ზანდუკელი*

# „მაშინ ხალხმა ხელში აგიტაცა“

**ვახტანგ სეხნიაშვილი** 85 წლისაა. ის თელავში ცხოვრობს. რა აღარ უნახავს თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე — ომი გამოუვლია, სიკვდილის პირისპირ მდგარა, დიდება და აღიარებაც მოუპოვებია და სამშობლოს ღალატიც დაუწამებიათ.

ცოტა ხნის წინ ვახტანგ სეხნიაშვილი საფრანგეთის საელჩოში საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოეს ფრანგ პარტიზანებთან ერთად საფრანგეთის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში მონაწილეობისთვის.

ნაპოლეონ I-ის მიერ დაარსებული საპატიო ლეგიონის ორდენი ყველაზე მაღალი ჯილდოა და თითზე ჩამოსათვლელ უცხოელს თუ მიუღია საფრანგეთისთვის გაწეული სამსახურისთვის. ბატონ ვახტანგს ადრეც დაუფასა საფრანგეთმა ღვაწლი. გენერალმა კოეგენმა 1945 წლის 7 ივლისს მას გადასცა ომის ჯვარი, მიღებული აქვს მოხალისე მებრძოლის ჯვარი, პარტიზანებისა და ემის მადლიერების მედლები.

საფრანგეთში გერმანელთა შრომითი ბატალიონიდან მოხვდა. ტყვედ ჩავარდნილი ბედს არ შეეგუა, თვითონაც გაიქცა და სხვებსაც დაეხმარა გაქცევაში. 1944 წლის ივლისიდან საფრანგეთში იბრძოდა ფრანგ პარტიზანებთან ერთად.

ბატონი ვახტანგი თავის ასაკთან შედარებით მხნედ გამოიყურება. თელავიდან მეგობრები და ოჯახის წევრებიც ჩამოიყვანა, რომ მისი სიხარული გაეზიარებინათ. დიდი პატივით შეეგებნენ საფრანგეთის საელჩოში. ჯილდო გადასცა მისმა აღმატებულებამ, საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ბატონმა ფილიპ ლეფორემ: „კორპუსის გენერალი კოეგენი თქვენ გახასიათებდათ, როგორც სიმკვირცხლით სავსე ოფიცერს, რომელმაც ქალაქ კარმოსათვის ბრძოლაში გამოიჩინა თავი და უდიდესი სიმამაცე აჩვენა თანამებრძოლთ ჟუკევიელისა და სენ-სიურ-პრისის შეტაკებებში. თქვენ ხელმძღვანელობდით 161 ქართველი ტყვის გათავისუფლების ოპერაციას. ქართველი ჯარისკაცები პარტიზანული მოძრაობის 4214-ე რაზმს შეუერთდნენ და თქვენი ხელმძღვანელობით მალე საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ქართული ბატალიონის მთავარ ძალად იქცნენ. ქალაქ კარმოს გათავისუფლებისთვის ბრძოლაში თქვენ დიდი გმირობა გამოიჩინეთ. მაშინ ხალხმა ხელში აგიტაცა“...

ბატონი ვახტანგი სიამაყით უსმენდა მასზე გაცილებით ახალგაზრდა ფრანგის სიტყვებს.

**— ომში რამდენი წლის წახვედით?**

— 18 წელი ფრონტზე შემისრულდა. ტანკისტი ვიყავი. ჩემს ტანკს ნაღმი მოხვდა. ალმოდებული იყო, გადმოვხტი, მოვასწარი ცეცხლმოკიდებული კომბინეზონის გახდა და გერმანელებიც დამადგნენ თავს. საბჭოთა კავშირში ამბობდნენ, ჩვენი მეომარი ტყვედ არ ვარდებაო. არც მე მინდოდა ტყვეობა, მაგრამ რას გავხდებოდი. მას შემდეგ რა არ გამოვიარე — ტყვეობა, გაქცევა, ბრძოლები... 24 წლის დავბრუნდი საქართველოში. საფრანგეთში დარჩენას და სამხედრო კარიერის გაგრძელებას მთავაზობდნენ, მაგრამ უარი ვთქვი, ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება სამშობლოში დაბრუნება იყო. ისიც ვიცოდი, რომ საბჭოთა სახელმწიფოში ტყვედყოფილის ჩამოსვლა დიდი რისკი იყო (აკი 20 წელი მომისაჯეს კიდეც 1948 წელს).

საფრანგეთის საელჩოში მიღებაზე სტუმრებს შორის იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილიც.

ნათქვამია, მადლი და სიკეთე არ იკარგებაო, მაგრამ ამ გულგრილობით დაავადებულ კომპიუტერულ ეპოქაში ბატონი ვახტანგი მაინც ვერ ფარავდა გაოცებას: „მას შემდეგ 60 წელი გავიდა. 60 წლის წინანდელი ბრძოლისათვის თუ ახლა დამაჯილდოებდნენ და მადლობას მეტყოდნენ, არ მეგონა“...

რატომაც არა, ბატონო ვახტანგ, ჩვენც გილოცავთ და ჩვენც გვეამაყებით!

*ლელა ჯიყაშვილი*


ახალი წიგნები

სახლში მიტანით

ფასნამატის გარეშე!

ახალი

| გამომცემლობა „კვირის პალიტრა“ | |
| --- | --- |
| ოტია იოსელიანი | |
| „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ | 8 |

| გამომცემლობა „დიოგენე“ | ლარი |
| --- | --- |
| რუბენ გალიეგო — „თეთრით შავზე“ | 6.5 |
| **კრებული** | |
| აღმოსავლურ-დასავლური დივანი (რბ.ყდ.) | 10 |
| ვახუშტი კოტეტიშვილი — „მოუკრეფავნი“ | 6 |
| აღმოსავლურ-დასავლური დივანი (მგ.ყდ.) | 15.6 |
| შეადგინა მ. ხარბედიამ | |
| — „ქართული ლექსის ანთოლოგია“ | 12.9 |
| **სამეცნიერო ლიტერატურა** | |
| მიშელ ფუკო „სიტყვები და საგნები“ | 10.4 |
| ფერდინანდ დე სოსიური | |
| — „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“ | 6.5 |
| რეზო გაჩეჩილაძე „ახლო აღმოსავლეთი“ | 13 |
| პიტერ მალანჩუკი | |
| — „საერთაშორისო სამართალი“ | 15.6 |
| ზაქარია კიკნაძე „თბილისის ჰერალდიკა“ | 7.15 |
| მაია როგავა | |
| „ბიზნეს ინგლისური (კასეტებით)“ | 26 |
| **საბავშვო, საყმაწვილო ლიტერატურა** | |
| ნანა კაციაშვილი, აჩიკო ვეფხვაძე | |
| „ცხვირა ჩემპიონი“ | 9.1 |
| ასტრიდ ლინდგრენი „ბიჭუნა და | |
| სახურავის ბინადარი კარლსონი“ (ნაწ. I) | 6.5 |
| „კარლსონი ისევ მოფრინდა“ (ნაწ. II) | 8.9 |
| „კარლსონი ისევ ოინბაზობს“ (ნაწ. III) | 8.9 |
| „ძმები ლომგულები“ | 10.4 |
| ნ. აბაკელია, კ. აქიმიძე, თ. ალაპიშვილი, | |
| ნ. ზაზანაშვილი, დ. თაქთაქიშვილი, | |
| ბ. ლორთქიფანიძე, კ. ჯანდიერი, დ. ჯაჭვარიძე | |
| „საქართველოს ატლასი | |
| მოზარდთათვის, ბუნება და კულტურა“ | 15.6 |
| ნ. კუპრავა „ჯადოსნური სიტყვები“ | 9.80 |

| გამომცემლობა „ცხოვრება“ | |
| --- | --- |
| სამკურნალო წიგნი | 10 |
| ხალხური მედიცინის ენციკლოპედია | 10 |
| ქართული სამზარეულო | 5 |
| ტიბეტური მედიცინა | 5 |

| გამომცემლობა ელფი | |
| --- | --- |
| საქართველოს საბავშვო ატლასი | 15 |
| ჩემი საქართველო | 20 |
| საქართველოს დიდი მეფეები | 16 |
| ცხოვრების 7 საიდუმლო | 7 |
| კომპიუტერის სახელმძღვანელო | 11 |
| ინტერნეტის სახელმძღვანელო | 12 |
| ელფის პატარა მკითხველი 4 ტომი | |
| (იასონი, კლეოპატრა, კოლუმბი, რაინდები) | 26 |

| ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | |
| --- | --- |
| **საბავშვო** | |
| დინოზავრები | 19 |
| ადამიანის ორგანიზმი | 19 |
| კოსმოსი | 19 |
| მსოფლიოს უდიდესი საოცრებანი | 19 |
| ბიბლიის ატლასი | 23 |
| ფიფქია და სხვა ზღაპრები | 12 |
| წითელქუდა და სხვა ზღაპრები | 12 |
| სამი გოჭი და სხვა ზღაპრები | 12 |
| ხუთკუნჭულა და სხვა ზღაპრები | 12 |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე | 12 |
| ჰარი პოტერი I ნაწილი | 5 |
| ჰარი პოტერი II ნაწილი | 9 |
| ქარის მოტანილი ამბები | 9 |
| მხიარული სიტყვები | |
| გერმანულ-ქართული ლექსიკონი | 14 |
| მხიარული რიცხვები | 14 |
| საბავშვო ენციკლოპედია | 16 |
| სურათებიანი ლექსიკონი (ინგლ.-ქართ.) | 16 |
| ბუნების საოცრებები | 19 |
| **გაცოცხლებული ისტორია** | |
| ძველი ეგვიპტე | 19 |
| ძველი რომი | 19 |
| ძველი საბერძნეთი | 19 |
| **პროზა** | |
| აკა მორჩილაძე | |
| „სანტა ესპერანსა“ | 19 |
| „მოგზაურობა ყარაბაღში“ | 9 |
| პაულო კოელიო — „ალქიმიკოსი“ | 6 |
| იუსტინიან გორდერი „სოფის სამყარო“ | 12 |
| ბესიკ ხარანაული — „ეპიგრაფები | |
| დავიწყებული სიზმრებისათვის“ | 10 |
| ახალი პაულო კოელიო — „ვერონიკამ | |
| სიკვდილი გადაწყვიტა“ | 9 |
| პაულო კოელიო — „თერთმეტი წუთი“ | 11 |
| 2004 წლის 15 საუკეთესო | |
| ქართული მოთხრობა | 6 |

ტ: 42-43-40
33-26-73



არ გამოგრჩეთ!




თქვენ ხომ გამოცნებიანი მკითხველი ბრძანდებით...



სიახლე

ოტია იოსელიანის ახალი ზღაპრების კრებული

„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემა




წიგნის ბინაზე მიტანის სერვისი
წიგნის ბითუმად შეძენის მსურველებმა დარეკეთ: 899-10-66-54

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლის ღვრის საფრთხე რეალურია...

## „წარმოუდგენელია, რომ ოთხი გატაცებულის კვალზე აქამდე ვერავინ გავიდა“



„რომც მოძებნონ, ოსები გატაცებულებს არ გამოაჩენენ“

საპროტესტო გამოსვლები შიდა ქართლში მასშტაბურ ხასიათს იძენს. 6 ივნისს გატაცებული ქართველების ნათესავები და ახლობლები, რომლებმაც ორი კვირის წინ დიდი ლიახვის ხეობის სოფლების ცხინვალთან დამაკავშირებელი გზები გადაკეტეს, ამჯერად ერგნეთიდან ცხინვალში შემავალ გზას ულობავენ სამშვიდობო კორპუსის წარმომადგენლებსა და თბილისიდან სამაჩაბლოში მოსალაპარაკებლად ჩასულ დელეგაციის წევრებს. გატაცებულთა ნათესავები უკან დახევას არ აპირებენ (რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავასთვის აქციის სერიოზულობა რომ დაემტკიცებინათ, ჰაერშიც კი ისროლეს) და აცხადებენ, რომ ვიდრე ხაჭაპურიძეებს და ლომიძეს არ გაათავისუფლებენ, ცხინვალში არც ერთ მანქანას არ შეუშვებენ.

რამდენად გამართლებულია ასეთი აქცია, ძნელი სათქმელია. თუმცა, ფაქტია, რომ თვენახევრიანმა მოლაპარაკებებმა და დაპირებებმა გატაცებულთა გათავისუფლების შესახებ ვერანაირი ნაყოფი ვერ გამოიღო. ბოლო ინფორმაცია, რომ გატაცებულები ცოცხლები არიან და ოსი კრიმინალები მის გაცვლას ცნობილ კრიმინალ მარეკ დუდაევში აპირებენ, ოფიციალურად არ დასტურდება. თუმცა, ჩვენ მიერ მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციით, ქართულმა მხარემ სასტიკი უარი განაცხადა ამ წინადადების განხილვაზეც კი. „კვირის პალიტრა“ უკვე წერდა, რომ ქართული სამართალდამცავი ორგანოების ასეთი პოზიცია მოსალოდნელი იყო. მსგავსი პრეცედენტის დაშვების შემთხვევაში რეგიონში კიდევ უფრო გაუკონტროლებელი პროცესები წარიმართებოდა და ადამიანთა გატაცებები ანალოგიური მოთხოვნით აქ მასობრივ ხასიათს შეიძენდა. ერთი სიტყვით, პროვოკაციული წინადადება განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ გატაცებულთა მოძებნის საქმეში დღეს ფაქტობრივად მხოლოდ მათი ნათესავები აქტიურობენ და სამართალდამცველები მხოლოდ კომენტარებით შემოიფარგლებიან, — ხაჭაპურიძეები და ლომიძე ცოცხლები არიან თუ მკვდრები, მათ ეს ინფორმაციაც არ გააჩნიათ.

რატომ შევიდა ჩიხში გატაცებულთა საქმე? ამ კითხვაზე ქართველ და ოს სამართალდამცველებს თავიანთი პასუხები აქვთ. ქართველები ამბობენ, რომ მათ ცხინვალში სრულყოფილი გამოძიების ჩატარების საშუალება არ აქვთ. ოსების ინფორმაციით კი გატაცებულები მათ ტერიტორიაზე არ იმყოფებიან და მათი ძებნა საქართველოს იურისდიქციაში მყოფ სოფლებში უნდა გაგრძელდეს(?!). რომელი პასუხია სიმართლესთან ახლოს, ჯერჯერობით არავინ იცის. თუმცა, ერთი კია, თავის დროზე ბიზნესის გამო გატაცებული ადამიანების საქმე პოლიტიკაში გადაიზარდა. ქართველი ექსპერტები ფიქრობენ, რომ გატაცებულის ნათესავთა სამართლიან მოთხოვნებს შეიძლება სერიოზული პროვოკაციები მოჰყვეს და მთელ რეგიონში უმართავი პროცესები წარიმართოს. რა სახის გართულებები შეიძლება იყოს ეს და როგორ განვითარდება მოვლენები, ამ კითხვაზე „კვირის პალიტრას“ უშიშროების ექსპერტი **დავით ამირანაშვილი** ესაუბრება:

— ცხინვალში განვითარებული მოვლენები მართლაც დამაფიქრებელია. მაგრამ აქ ერთ გარემოებას მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება — გატაცებულთა საქმე მთლიანად პოლიტიკურ ასპექტში უნდა განვიხილოთ. კონკრეტულად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რაც ბოლო პერიოდში ცხინვალის რეგიონის გარშემო არსებობს. როცა ამ რამდენიმე კვირის წინ რუსეთის სათათბირომ დსთ-ის ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოსთვის გაზის ტარიფის ორმაგად გაზრდა მოითხოვა, მაშინ გამოკვეთილად ითქვა, რომ ეს აქცია არ შეეხებოდა აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს და დნესტრისპირეთს. რა გამოდის, რუსეთი საკუთარ ტერიტორიაზე სეპარატიზმს ებრძვის და იმავე სეპარატიზმს დახმარებას უწევს თავისი საზღვრის გარეთ! ანუ რუსეთის ხელისუფლების მიერ ორმაგი სტანდარტებით მოქმედება სულაც არ ყოფილა უსაფუძვლო ბრალდება. ამ განცხადებას რა რეალური შედეგები მოჰყვება საბოლოოდ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ პირველი ნიშნები უკვე არსებობს. დე ფაქტო ხელისუფალი კოკოითი ბოლო დროს უფრო აქტიურდება და ადრინდელთან შედარებით გაცილებით მკვეთრ განცხადებებს აკეთებს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. ანუ მათი ჭკუით, რუსეთის აშკარა მხარდაჭერა იმას ნიშნავს, რომ ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფლებას დაუკითხავად ბუზსაც ვერავინ აუფრენს. სამწუხაროა, მაგრამ ეს გარემოება გატაცებულთა მოძებნის პროცესზეც მოქმედებს. ვშიშობ, კიდეც რომ მოძებნონ გატაცებულები, შეიძლება არც გამოაჩინონ.

ცხინვალში ამბობენ, რომ გატაცებულები მათ ტერიტორიაზე არ იმყოფებიან, ამტკიცებენ, რომ თავიანთ რეგიონში მთლიანად ფლობენ სიტუაციას. ამიტომ ცოცხლები ან მკვდრები რომ გამოაჩინონ, ეს ნიშნავს, რომ მთლად ისეც ვერ აკონტროლებენ ყველაფერს, როგორც ამბობენ. ამიტომ ყოველნაირად შეეცდებიან კვალის საბოლოოდ წაშლას. შეიძლება არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მათ ეს უკვე გააკეთეს, რადგან წარმოუდგენელია, რომ ოთხი გატაცებული ადამიანის კვალზე ამ ხნის განმავლობაში ვერავინ გავიდა.

— **არადა, ფაქტია, რომ ისინი სწორედ ჩვენ მიერ გაუკონტროლებელ ტერიტორიაზე იმყოფებიან.**

— რა თქმა უნდა! ისინი რომ ქართულ სოფლებში ჰყოლოდათ, აქამდე რაღაც ხელჩასაჭიდი მაინც გამოჩნდებოდა. ასე რომ, ძნელი დასაჯერებელია, კოკოითის ადმინისტრაცია საქმის კურსში არ იყოს. უბრალოდ, რადგან ცოტა ხნით ადრე გატაცებულების კრიმინალში გადაცვლა მოითხოვეს, ეს იმედს გვიტოვებს, რომ ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, თუმცა, ვფიქრობ, მათ სერიოზული საფრთხე ემუქრებათ, თუკი, როგორც ვთქვით, ცხინვალი ბოლომდე წავა ავანტიურაზე და თავისი უდანაშაულობის მტკიცებას ბოლომდე შეეცდება.

— **გატაცებულთა ნათესავები იმუქრებიან, რომ გზების გადაკეტვა მშვიდობიანი აქციაა და თუ უახლოეს მომავალში მათ არ გამოუშვებენ, სხვა გზებს მიმართავენ. არის საშიშროება, რომ ამას შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს.**

— ეს მართლაც ასეა. გაგიმხელთ, რომ რამდენიმე დღის წინ ერთი ჯგუფი ოსი ბიზნესმენის გატაცებას აპირებდა. რათა შემდეგ ხაჭაპურიძეებში გადაცვლა მოეთხოვათ. კიდევ კარგი, ეს ცნობილი გახდა და დროზე გადააფიქრებინეს. ასეთი ნაბიჯის გადადგმა სისულელე იქნებოდა, რადგან ასეთ გადაცვლაზე უკვე ცხინვალის მხარე არ წავიდოდა იმავე მოტივით, თითქოს გატაცებულები მათ ტერიტორიაზე არ იმყოფებიან. თუმცა, აქ კიდევ უფრო სერიოზული საშიშროებაც იკვეთება, — იმ ხალხის მოთმინება, ვინც დღეს გზები გადაკეტა, უკვე ზღვარზე დგას. გასულ კვირას მათ საქართველოს ხელისუფლება ხმამაღლა ლანძღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებათა იმედი ნაკლებად აქვთ. არც მალავენ, რომ იარაღის ალებაზეც არ იტყვიან უარს, სისხლის დაღვრამ კი შეიძლება კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

— **გამოდის, გამოსავალი არ ყოფილა.**

— გამოსავლის მოძებნა ყოველთვის შეიძლება. უბრალოდ, ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ გატაცებულთა ნათესავებს უკიდურესი ნაბიჯის გადადგმაზე თავი შეაკავებინოს. მეორე მხრივ, უნდა გააქტიურდეს გატაცებულთა ძებნის საკითხი. ამით პროვოკაციასაც ავიცილებთ და რეგიონში მდგომარეობაც დაწყნარდება.

P.S. ბოლო ინფორმაციით, გატაცებულთა ნათესავებთან მოსალაპარაკებლად მისული სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გოგა ხაინდრავა მოპიკეტეებმა თავიანთ სიახლოვესაც კი არ მიუშვეს. მათი თქმით, სამაჩაბლოს ქართული სოფლების მკვიდრნი სახელმწიფო მინისტრს აღარ ენდობიან.

*დავით დღვიძე*

---

თუ ტელეფონზე ლაპარაკი არ გიყვართ, ან გიყვართ, მაგრამ თქვენი ჯიბე ამის საშუალებას არ იძლევა და ცდილობთ მაქსიმალურად ეკონომიურად ისარგებლოთ კავშირგაბმულობის სისტემის მომსახურებით, მაინცდამაინც დარწმუნებული ნუ იქნებით, რომ ფოსტაში მისულს კილომეტრიანი სატელეფონო საუბრის გადასახადი არ დაგხვდებათ. ყველა სიკეთესთან ერთად, შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინოთ, რომ თქვენ, თანაც სახლში არყოფნის დროს, ინტიმურ ტელეფონზე, სეიშელის კუნძულებზე ან თუნდაც ზიმბაბვეში „გილაპარაკიათ“. ორნიშნა ციფრიან გადასახადს კიდევ გაუძლებს კაცი, მაგრამ როცა საქმე ასეულებსა და ათასებს ეხება, საპრეტენზიოში მისვლის შემდეგ, გირჩევთ საკუთარ სადარბაზოში შეიაროთ და იქვე დამონტაჟებული სატელეფონო კოლოფი კარგად დაათვალიეროთ.

ეს პრობლემა, ზოგადად დიდი ხანია არსებობს. თუმცა სიმართლის დადგენა არცთუ იოლი საქმე გახლავთ. საპრეტენზიო განყოფილებაში გამართული არცთუ თავაზიანი სიტყვა-პასუხის შემდეგ კვლევა-ძიების რთული და ლოგიკური პროცედურები იწყება. თუმცა ლოგიკას სრულიად მოკლებულია შემთხვევა, როცა 80 წელს გადაშორებულ მარტოხელა აბონენტს ინტიმური ტელეფონის მომსახურების საფასური აქვს გადასახდელი(?).

სახლში შემავალი სატელეფონო ხაზიდან ხდება და... ელემენტარულ „მონტიორულ განათლებას“ მოითხოვს. კოლოფი კი, საიდანაც ასე მარტივია მეზობლის ხაზზე დაჯდომა, კონსტრუქციულ დალუქვას არ ექვემდებარება.

**ბონდო ბუხულეიშვილი:** — თბილისში ასეთი უამრავი კოლოფი დგას, მისი მთლიანად გადაიარაღება და ახალი, შედარებით დაცული კონსტრუქციით შეცვლა შეუძლებელია. მილიონები დაჯდება, რისი საშუალებაც „ელექტროკავშირს“ არ გააჩნია.

— **აბონენტებმა რაღა დააშავეს?**

— ყველა კონკრეტულ შემთხვევას საპრეტენზიო იკვლევს. თუ დადასტურდება, რომ აბონენტს არ უსაუბრია, მას თანხა ეხსნება, მაგრამ აუცილებლად უნდა დადგინდეს, ვინ ისარგებლა ა?ა თუ იმ აბონენტის ხაზით. თუ ასეთი რამ ვერ დადგინდა, თანხის გადახდა აბონენტს მოუწევს. ეს საკმაოდ რთული გამოსაკვლევია. ვიღებთ მთელი წლის ნალაპარაკევს, ვამოწმებთ. თუ აბონენტის ნომერზე ერთი, უკან შემომავალი ზარი მაინც არის (იქიდან, სადაც ურთიერთობას თავად აბონენტი უარყოფს), მაშინ დგინდება, რომ ზარი მისი ოჯახის წევრის გაკეთებულია. სხვათა შორის, პრეტენზიებით უამრავი მოდის. ხშირად კი ირკვევა, რომ მისი ოჯახის წევრის ნალაპარაკევია. არის შემთხვევები, როცა ხაზს მეზობელი იპარავს. ასეთ შემთხვევაში თანხას მომპარავს ვაწერთ.



# დეპუტატს ინტიმური „საუბრებისთვის“ ტელეფონი გაუთიშეს...

## „პირატული“ საუბრების ბუმი თბილისში

## „ეს არის ქურდობა, რომელზეც სასჯელი გათვალისწინებული არ გახლავთ“

მარტოხელა მოხუცმა (რომელსაც შემთხვევით, „ელექტროკავშირის“ ცენტრალურ ოფისში წავაწყდით) ისიც არ იცოდა, რა იყო ინტიმური ტელეფონი. შესაბამისი „ინსტრუქტაჟის“ შემდეგ, საკითხის არსში გარკვეულ მოხუცს, როგორც თავად გვითხრა, ამგვარი რაღაცები ნახევარი საუკუნის უკან დავიწყებია... მართალია, იმავეს პარლამენტარ გოჩა ჯოჯუაზე ვერ ვიტყვით, მაგრამ პოლიტიკოსს საკუთარი პოლიტიკური მოღვაწეობით დამსახურებული ხელფასის ნახევარი კინაღამ „ინტიმურ ტელეფონით“ სარგებლობისათვის დაახარჯვინეს. გოჩა ჯოჯუას, ერთ მშვენიერ დღეს 300-ლარიანი დავალიანების გამო ტელეფონი გაეთიშა... პარლამენტარს „ინტიმური ტელეფონის“ დავალიანება აღმოაჩნდა.

**გოჩა ჯოჯუა:** — ასეთი შემთხვევა მართლაც მქონდა, მაგრამ თქვენ საიდანღა გაიგეთ? წარმოიდგინეთ, რომ დილიდან გავდიოდი სახლიდან და ღამით ვბრუნდებოდი. დღის ამ მონაკვეთში კი შინ არავინ იყო... საუბრის დრო კი სწორედ ჩემი სახლში არყოფნის პერიოდს ემთხვეოდა. ბევრი ვდიე ამ საქმეს. მთელი კვლევა-ძიება ჩავატარე. ჩემი სატელეფონო საუბრების ავტორი კი ჩემივე მეზობელი აღმოჩნდა. თურმე ხაზს „მპარავდა“. ინტიმური საუბრების გარდა, მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჰქონდა დარეკილი და მისი ვინაობა, სწორედ ამ საუბრების შედეგად გაირკვა. ისე კი ეჭვი მაქვს სხვა რაღაცებზეც. ტელეფონი ერთი პერიოდი გაითიშა; მოგვიანებით კი ისე ჩაირთო, რომ თანხა არ გადამიხდია. ასეთ ჩართვას კი ატესის თანამშრომლის ხელშეწყობის გარეშე, თავად ჩემი მეზობელი ვერ შეძლებდა... რაც შეეხება საქმის „ბოლომდე მიყვანას“, რადგან თანხა ჩემი მეზობლის მშობლებმა გადაიხადეს, აღარ გამოვკიდებივარ.

მოქალაქე ლიკა ქათამაძეს, სატელეფონო საუბრების ასტრონომიული გადასახადი იმ პერიოდში მოუვიდა, როცა ის სახლში საერთოდ არ იმყოფებოდა. სეიშელის კუნძულებიდან დაწყებული აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ნალაპარაკევის გადასახადის ანაზღაურებას თავად არ აპირებს. თუმცა რა გამოვა ამ საქმიდან, ჯერჯერობით არავინ იცის. ზემოთ მოყვანილი შემთხვევები ქართული კავშირგაბმულობის სისტემისთვის ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, თუმცა როგორც გავარკვიეთ, სატელეფონო პირატობის პრობლემა მსოფლიოს ყველა ქვეყანას მეტ-ნაკლებად აწუხებს.

როგორც ელექტროკავშირის ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბონდო ბუხულეიშვილმა გაგვიმარტა, ასეთ შემთხვევაში ძირითადად საქმე ხაზის ქურდობასთან გვქონია. ხაზის ქურდობა, როგორც გაირკვა, დიდ სირთულესთან არ ყოფილა დაკავშირებული. მეტიც, სხვისი ხაზის მოპარვა ნებისმიერ ხელმარჯვე მამაკაცს შეუძლია. კონკრეტულად, „ქურდობა“ ძირითადად სადარბაზოში დამონტაჟებული კოლოფიდან ან თუნდაც პირდაპირ

— **ატესის თანამშრომლების ხელი თუ ურევია ამაში... მოსახლეობა ეჭვობს, რომ ასეთი ქმედებები ატესის თანამშრომლების ხელშეწყობითაც ხდება.**

— ასეთი ეჭვი არსებობს, მაგრამ ეს შეიძლება იყოს რაღაც 0,1 პროცენტი. რა ინტერესი უნდა ჰქონდეს მონტიორს იმის გამო, რომ ვინმემ ტელეფონზე „ლევად“ ილაპარაკოს? საბოლოოდ ხომ მაინც გაირკვევა, ვისი ნალაპარაკევია და რა მექანიზმით? იყო ასეთი შემთხვევა ჩვენთან და შემჩნეული პირი სამსახურიდან მაშინვე დავითხოვეთ.

— **სატელეფონო გაუგებრობები ძალზე ხშირად „ინტიმურ ტელეფონთან“ დაკავშირებით იქმნება. ცოტა ძნელი დასაჯერებელია, როცა ინტიმური ტელეფონის სარგებლობისთვის გადასახადი 80 წლის მარტოხელა მოხუცს მისდის. სხვათა შორის, დეპუტატსაც შექმნია ასეთი პრობლემა.**

— პარლამენტს და კანცელარიას ინტიმურ ტელეფონზე თავიანთი გადასახადიც ჰყოფდათ(?!). მაგრამ მართალი გითხრათ, ინტიმურმა ტელეფონმა ამ მხრივ პრობლემები მართლაც შეგვიქმნა. კარგი იქნება, თუ ასეთი ფირმები ინტიმურ ტელეფონზე დამრეკავის ნომერს შეამოწმებენ, მაგრამ ეს მათ ინტერესში არ შედის და ამას არ აკეთებენ.

— **თუ ხაზი მოპარულია, ეს პრინციპში რას შეცვლის?**

— აბონენტის ნომრის შემოწმებისას, ზარი ნამდვილი აბონენტის ტელეფონზე შედის და ირკვევა, რომ ამ ნომრის მფლობელს არასოდეს არ დაურეკავს, ე.ი. ხაზი მოპარულია. დაცვის სხვა მექანიზმიც არსებობს, თუმცა ეს ჯერჯერობით მხოლოდ საბურთალოს და დიღმის მასივის მოსახლეობისთვის არის განკუთვნილი. მათ აქვთ საშუალება ტელეფონზე ინდივიდუალური პაროლი, ე. წ. „პინკოდი“ დააყენონ. ასეთ შემთხვევაში აბონენტის გარდა, მათი ხაზით ვერავინ ისარგებლებს. თუკი მოქალაქე ქალაქიდან გადის, ვურჩევთ დაწეროს განცხადება ამის თაობაზე. ეს თავდაცვის კიდევ ერთი მექანიზმია. სხვა საშუალება ჯერჯერობით არ არსებობს. ეს გახლავთ ჩვეულებრივი ქურდობა, რომელზედაც სამწუხაროდ, სასჯელი გათვალისწინებული არ გახლავთ. შედეგად ზარალდება აბონენტი და ხშირად კომპანიებიც კი. როგორც ირკვევა, სატელეფონო პირატობის რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს. ხაზზე „დაჯდომა“ თანხის მოპარვის ერთადერთი ვარიანტი არ არის. არსებობს ტექნოლოგია (რომელსაც გარკვეული მოსაზრებით არ ვშიფრავთ), რომელიც ნომრის დაფიქსირებას სადგურში ხელს უშლის და მის ნაცვლად თაღლითის „სასურველი“ (შესაძლოა სულაც სპონტანურად აკრეფილი) ნომრის დაფიქსირების საშუალებას იძლევა. ასეთი ტექნოლოგია ფართოდ არის „დანერგილი“ ევროპის ქვეყნებში, რუსეთში კი, „პირატული საუბრების“ ბუმია. ამ საქმეში განსაკუთრებული „წარმატებებით“ ჩინელები გამოირჩევიან.

*ხათუნა პაიჭაძე*

# „ვფიქრობ, ეს მხოლოდ ჩემი სირცხვილი არ არის“



დეპუტატ ვალერი გელაშვილზე განხორციელებულმა თავდასხმამ ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების რეპუტაცია კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ. დეპუტატმა 15 ივლისს, დაახლოებით დღის 2 საათზე, რესტორან „თეთრ სახლთან“ მანქანა შუქნიშანთან შეაჩერა. მოულოდნელად, მის „მერსედესის“ მარკის ავტომობილს ნიღბიანი პირები სროლითა და ყვირილით დაესხნენ თავს. თავდამსხმელებმა ჩალეწეს ავტომანქანის შუშები, სასტიკად სცემეს გელაშვილი და მისი პირადი დაცვის თანამშრომელი მალხაზ ცხაკაია. გელაშვილი საკმაოდ სერიოზულად დაშავდა, — მოტეხილი აქვს ყბე-



## „საიდუმლოს რამდენიმე დღეში გავამჟღავნებთ“

ბი, ცხვირის ძვალი და საჭიროებს ნეიროქირურგიულ დახმარებას. იგი სპეციალური აერორეისით უკვე გადაიყვანეს ვილნიუსში.

დეპუტატის ცემის ფაქტს ოპოზიცია და თავად გელაშვილის ნათესავები პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობას უკავშირებენ. ახალი რეზიდენციის მშენებლობის საკითხმა საზოგადოებაში თავიდანვე გამოიწვია მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, რომ ეს მშენებლობა გაჭირვებულ ქვეყანას ძალზე ძვირი დაუჯდებოდა. მაშინ პრეზიდენტმა საგანგებო განცხადებაც გააკეთა და თქვა, რომ ამ რეზიდენციის მშენებლობაზე ბიუჯეტიდან ფული არ დაიხარჯებოდა. კულუარებში ამბობდნენ, რომ პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობის ხარჯები სხვებთან ერთად მილიონერ ბიზნესმენს ვალერი გელაშვილსაც „დაევალა“.

როგორც გელაშვილის თანაპარტიელები ირწმუნებიან, ბიზნესმენი პრეზიდენტს რეზიდენციას საკუთარი სურვილით უშენებდა. მათივე მტკიცებით, გელაშვილმა პრეზიდენტს რეზიდენციის გვერდით მდებარე საკუთარი საცხოვრებელი სახლიც დაუთმო, თუმცა მას ფული არც ამაში გადაუხადეს. ამიტომაც პარლამენტარმა იმ თანხის მოთხოვნაც დაიწყო, რომელიც მისმა კომპანიამ რეზიდენციის მშენებლობაში დახარჯა. გელაშვილის მოთხოვნა რომ ლიტონი სიტყვები არ იყო, მალე გამოჩნდა. დეპუტატმა ჯერ პრეზიდენტის და მისი ხელისუფლების საჯაროდ გაკრიტიკება დაიწყო, შემდეგ ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ „რესპუბლიკელებსაც“ შეუერთდა და ინტერნეტსაიტზე პრეზიდენტის მიერ „დაბევებული“ სახლის გაყიდვის შესახებ განცხადებაც გამოაქვეყნა. როგორც გელაშვილის მეგობრები ირწმუნებიან, მთავრობას გელაშვილის სახლის საფასურიც გადახდა ჯერ კიდევ 2004 წელს უნდა დაეწყო. მართალია მას ხელშეკრულებები გაუფორმეს, დაპირებები მისცეს, მაგრამ საბოლოოდ არც ფული გადაუხადეს და მასთან ურთიერთობაც გაწყვიტეს.

თავად გელაშვილი მისი ცემის ფაქტს ხელისუფლებასთან დაპირისპირებას უკავშირებს და დარწმუნებულია, რომ იგი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა. ვიდრე გამოძიება გაარკვევს, რა მოხდა სინამდვილეში, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ახალი დაპირისპირების საკმარისზე მეტი საბაბი უკვე გაჩნდა.

როგორც მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი დავით გამყრელიძე ირწმუნება, მას აქვს ინფორმაცია, რომ გელაშვილს ბოლო დროს ინტენსიურად ურეკავდნენ და პრეზიდენტის ოჯახის მისამართით გაკეთებული განცხადებების გამო ბოდიშის მოხდას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უცნობი პირები ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ.

16 ივლისს, ანუ კონკრეტული შემთხვევიდან ორ დღეში ამ საკითხს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნეს დაზარალებული გელაშვილის თანაპარტიელებმა.

რესპუბლიკელმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პარტია ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა სამართალდამცველებს საქმის გახსნაში საკმაოდ დიდი სამსახური გაუწიოს. თუ რა ინფორმაციას ფლობს უსუფაშვილის პარტია, ჯერჯერობით ჟურნალისტებისთვის უცნობია.

**დავით უსუფაშვილი:** — ეს ინფორმაცია ჯერჯერობით სამართალდამცველებისთვის არის განკუთვნილი, მხოლოდ იმიტომ, რომ მერე არ დაიწყოს ისევ ჩვენი დადანაშაულება. აი, საიდუმლოდ რომ შეგვნახათ, საქმეს გავხსნიდით, დამნაშავეებს დავიჭერდითო და ა. შ. ჩვენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში შემხვედრ ბრალდებებს ვერიდებით, თორემ ამ ინფორმაციის დამალვას არ ვაპირებთ. თუ დაინტერესდებიან სამართალდამცველები, მივაწვდით ინფორმაციას, თუ არა, მაინც ყველაფერს ვიტყვით, მაგრამ უკვე საჯაროდ, ყველას გასაგონად. აქ ლაპარაკი არ არის თვეებზე... არაადეკვატური რეაქციის შემთხვევაში საიდუმლოს რამდენიმე დღეში გავამჟღავნებთ.

არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ინციდენტში მონაწილეობა შს სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიიღეს. ჩვენ ასეთ ინფორმაციას არ ვფლობთ. უბრალოდ, თავად ვალერი გელაშვილმა თავდამსხმელთა შორის ამ ორგანოს ავტომობილი ამოიცნო. როცა გამოჯანმრთელდება, ამას თავად იტყვის, მანამდე კი ვაცხადებთ, რომ გელაშვილი საქართველოში არც პოლიტიკურ და არც ბიზნესმოღვაწეობაზე უარის თქმას არ აპირებს.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ელენე თევდორაძე:** — ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვის მიაყენებენ ასეთ საშინელ ტრავმას, ჩვეულებრივ ადამიანს, დეპუტატს თუ ჟურნალისტს. ჩემთვის მიუღებელია ისიც, რომ შემთხვევიდან სულ რაღაც ნახევარ საათში გამოჩნდა ვიღაც ორი თვითმხილველის ჩვენება, რასაც მოჰყვა მოვლენისადმი კვალიფიკაციის მინიჭება. ეს სიტუაცია ძალზე წააგავს ზურაბ ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებულ ისტორიას. იქაც ფაქტისადმი კვალიფიკაციის მინიჭება გაუმართლებლად ადრე მოხდა. მე მგონია, რომ ეს თავდასხმა ნაკლებად არის დაკავშირებული ფულთან. მრცხვენია, რომ ჩვენი მეგობარი ლიტვა თვითმხილველი გახდა იმისა, თუ როგორ უსწორდებიან ბიზნესმენებსა და დეპუტატებს საქართველოში. ვფიქრობ, ეს მხოლოდ ჩემი სირცხვილი არ არის.

სხვაგვარად ფიქრობს პარლამენტარი გივი თარგამაძე. იგი აღიარებს, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში დღისით-მზისით, პარლამენტარის ცემის ფაქტი დასაგმობია და ამის გამო წუხს კიდეც, მაგრამ გელაშვილთან და ოპოზიციასთან ბევრი საკითხი აქვს გასარკვევი.

**გივი თარგამაძე:** — საერთოდ, ოპოზიციის მხრიდან იმ ბრალდებათა კასკადი, რაც ბოლო დროს წამოვიდა, უსინდისობაა და მეტი არაფერი. პაერიდან მოტანილ ბრალდებებზე კი პასუხის გაცემა ძნელია. ეს სიტუაცია ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი, როცა ოპოზიციის წარმომადგენლები ხან კორუფციონერობას და ხან ქრთამის სანაცვლოდ ალავიძის ხალხის დანიშვნას მაბრალებდნენ. ასე, როგორც ჩანს, თვითონ ოპოზიციის წარმომადგენლები იქცეოდნენ. გელაშვილიც ზუსტად ასეთი გახლდათ და ასეთივე საქმეებით იყო დაკავებული. მართალია, ჩვენს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებაა, მაგრამ ჰქონდა კი გელაშვილს ისეთი განცხადებების მორალური უფლება, რასაც ის ბოლო პერიოდში აკეთებდა (პრეზიდენტის ოჯახზე გაკეთებულ განცხადებებს ვგულისხმობ)? ტრადიციულად, ასეთი რამ დამახასიათებელია ჭორიკანა ქალებისთვის, მაგრამ არამც და არამც არ შედის მამაკაცის ქცევის ნორმებში. ასეთი რამე ოპოზიციას არც გამსახურდიას და არც შევარდნაძის დროს უკადრებია!



## „ასეთი რამ ოპოზიციას არც გამსახურდიას და არც შევარდნაძის დროს არ უკადრებია“

**— ბევრი მიიჩნევს, რომ გამოძიების მიერ ასე საჩქაროდ საქმეზე კვალიფიკაციის მინიჭება ხელისუფლების მიმართ ბევრ საეჭვო კითხვას ბადებს.**

— ვერ გეტყვით, კვალიფიკაცია სწორად არის მინიჭებული თუ არა. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს საქმეს თავის სახელს 3 წუთში დაარქმევენ თუ 3 თვეში. მთავარია, ამას მოჰყვეს შედეგი. მე, როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, მოვითხოვ დანაშაულის ჩამდენთა დასჯას. ეს საქმე სასწრაფოდ გამოსაძიებელია. მართალი გითხრათ, ძალიან მაწუხებს, რომ ასეთი ფაქტი საქართველოში მოხდა.

P.S. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ერთი თვის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში არცთუ ისე სასიამოვნო ამბები მოხდა, ხელისუფლება მიიჩნევს, რომ განგაშის საფუძველი არ არსებობს. უმრავლესობის წევრების აზრით, ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება გამოსწორებულია და ცალკეული შემთხვევები დიდ აჟიოტაჟს არ იმსახურებს. თუ დეპუტატის უმოწყალოდ ცემის ფაქტი აჟიოტაჟის საფუძველი არ არის, უბრალო მოქალაქეების შევიწროების ფაქტები სათვალავში მისაღებიც აღარ ყოფილა. მაშინ საკითხავია, რა შეიძლება იყოს განგაშისა და განსაკუთრებული ყურადღების საფუძველი?

*ხათუნა პაიჭაძე*

# „გელაშვილის საქმეში მართლაც არის საეჭვო დეტალები“

## „ამას ქართული კურორტების ანტირეკლამად ნუ ჩამომართმევთ“



რუს კოლეგებთან კონფლიქტი, ჩანს, ნინო ბურჯანაძეს დაბედებული აქვს. ეუთოს ასამბლეაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერ სლისკას სიტყვიერ პაექრობას მეტად საინტერესო გაგრძელება მოჰყვა — რუსეთის დელეგაციის ერთი „ძლიერი სქესის“ წარმომადგენელი **ნინო ბურჯანაძეს** დარბაზშივე „მიეჭრა“ და საქმის გარჩევა დაუწყო. ცხადია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ამ ინციდენტზეც ვესაუბრეთ, აშშ-ში ვიზიტის შედეგებზეც და ის მოვლენებიც შევაფასებინეთ, რაც მის აქ არყოფნაში მოხდა რუსთაველის პროსპექტსა და პარლამენტში.

— არ ვიცი, სახელდობრ რამ გაალიზიანა რუსეთის დელეგაცია. თუმცა რუსები ყველაფერ იმაზე ლიზიანდებიან, რაც საქართველოს ეხება — აღიზიანებთ ვარდების რევოლუცია, ბუშის ვიზიტი საქართველოში, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და, კერძოდ, ჩემი შეხვედრები აშშ-ში მაღალ დონეზე. ეტყობა, მათთვის ძნელად ასატანია ისიც, რომ ბაზების გაყვანაზე ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. კონფლიქტის ინიციატორი რუსული მხარე იყო. სლისკას შეურაცხმყოფელი განცხადება — საქართველოს პრეტენზიებს რუსეთმა არც უნდა მიაქციოს ყურადღება, ეს ხომ 2,5-მილიონიანი გუბერნიაა, ამ ქვეყანას არ დაველაპარაკებით როგორც სერიოზულ სახელმწიფოსო, ჟურნალისტებმა რომ გადმომცეს, თავდაპირველად არ დავიჯერე — არ შეიძლება გონიერმა პოლიტიკოსმა ასეთი განცხადება გააკეთოს-მეთქი. მაგრამ შემდგომ სლისკამ არათუ უარყო თავისი ნათქვამი, უარესიც დაამატა. ველოდი, რომ ვიღაც იტყოდა რუსების მხრიდან — ეს მთელი დელეგაციის აზრი არ არისო და მოუბოდიშებდა არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა იმ სახელმწიფოს, რომელთა მოსახლეობა 300 ათასიდან 50 მილიონამდე კაცს ითვლის, მაგრამ ასეთი პირი რუსეთის დელეგაციაში არ აღმოჩნდა. მხოლოდ სესიის ბოლო დღეს ანატოლი სობჩაკის ქვრივმა, ლუდმილა ნარუსოვამ გამოხატა მომხდარით შეშფოთება. რაკი ოფიციალურად არავინ გამოხატა პოზიცია, იძულებული გავხდი, რომ მეპასუხა დუმის ვიცე-სპიკერისთვის. ეუთოში მყოფ ჩვენს მეგობრებს განვუმარტე, ძნელია ურთიერთობა ისეთ ქვეყანასთან, რომლის მმართველი პარტიის წევრები მე-19 საუკუნის ტერმინოლოგიით ლაპარაკობენ და წარმოდგენა არ აქვთ ეუთოს ფუნდამენტურ პრინციპებზე, რომელიც ქვეყნებს შორის თანასწორობას, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობას გულისხმობს მათი სიდიდისა და მოსახლეობის რიცხოვნობის მიუხედავად. რუსებს შევახსენე თავიანთი ნამოქმედარი აფხაზეთშიც, გავახსენე მათი ეროვნული გმირი შამილ ბასაევი და ის, რასაც ისინი დღეს სჩადიან აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ამან სლისკა აღაშფოთა და მიპასუხა, სხვებისგან განსხვავებით რუსეთი მეგობრებს არ ყიდულობსო. ეტყობა, ფიქრობს, რომ ამერიკელები ქართველებს ყიდულობენ. სამწუხაროდ, ამხელა ქვეყანაში არ სცოდნიათ, რომ მეგობრის ყიდვა შეუძლებელია.

ის მამაკაცი, რომელიც ჩემთან მოიჭრა, ჟირინოვსკის პარტიის წევრია. დაგვემუქრა, დენს და გაზს გამოგირთავთ, ყველა ქართველს გამოვყრით რუსეთიდანო. თუ ფიქრობთ, რომ ცივილიზებული ქვეყანა ასე უნდა იქცეოდეს, ასევე გააკეთეთ-მეთქი. ვხედავდი, რომ ჩემი პროვოცირება სურდა და თავი შევიკავე. კარგად ჩანდა, მისი ერთადერთი მიზანი ჩვენი დელეგაციის წევრი მამაკაცების ან ჩემი მდგომარეობიდან გამოყვანა იყო. რუსეთის საქციელმა ეუთო ძალზე აღაშფოთა და ჩვენ დაგვიჭირეს მხარი.

ქალბატონი სლისკას სკანდალური განცხადებების გამო ჩრდილში მოექცა რეზოლუცია აფხაზეთის საკითხზე, რომელიც ეუთომ მიიღო. რეზოლუციაში მივუთითეთ, რომ ჩვენ უკმაყოფილო ვართ ეუთოს აქტიურობით აფხაზეთის ზონაში, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება მართებს, რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს უხეში ჩარევა კონფლიქტში და მოლაპარაკებების პროცესში კონსტრუქციულ როლს დასჯერდეს. შესაძლოა, რუსები ამ რეზოლუციამაც გააღიზიანა. რეზოლუციაში მითითებულია კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს, რა ვადებში უნდა წარმოადგინოს სამუშაო ჯგუფმა (რომელშიც ნეიტრალური ქვეყნებია წარმოდგენილი) ანგარიში გაწეულ სამუშაოზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ეუთოს უკვე ექნება ზუსტი ინფორმაცია, რამდენად ნორმალურად მიმდინარეობს აფხაზეთში მოლაპარაკებები და სამშვიდობო პროცესს ვინ უშლის ხელს.

**— ამერიკაში თქვენი სხვა შეხვედრების დეტალებზეც ვისაუბროთ.**

— აშშ-ის ვიცე-სპიკერმა დიკ ჩეინმა მითხრა, პრეზიდენტი ბუში 10 დღის შემდეგაც კი სიამოვნებით იხსენებდა საქართველოში თავის ვიზიტს, ასეთი კარგი განწყობა არც ერთი ვიზიტის შემდეგ არ ჰქონიაო. შტატებში დარწმუნებული არიან, რომ საქართველო წარმატებული ქვეყანა იქნება, რომ აქ ჩატარდება დემოკრატიული რეფორმები და მზად არიან ყველაფერი გააკეთონ ჩვენი კონფლიქტების მოსაგვარებლად. ამაზე კონდოლიზა რაისმაც და ეროვნული უშიშროების საბჭოში ბატონმა ჰედლიმაც ისაუბრეს. ამასვე გაუსვა ხაზი ბატონმა რამსფელდმაც. საერთაშორისო თანამეგობრობა მზად არის რუსეთის ბაზების გაყვანაზე მონიტორინგი განახორციელოს. მათთან საუბრისას აღვნიშნე, რომ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით პრეზიდენტს აქვს სამშვიდობო პროგრამა და ინიციატივა, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენს მეგობრებს ისიც ავუხსენი, რომ უფრო და უფრო გვიჭირს მოსახლეობას განვუმარტოთ, თუ რატომ არ მივმართავთ გადამჭრელ ზომებს ოსი სეპარატისტების თვითნებობის აღსაკვეთად, რატომ ვუფრთხილდებით ასე სამშვიდობო პროცესს. ამის ახსნა სამომავლოდ უფრო გაჭირდება, თუ აშშ-ის და საერთაშორისო დიპლომატია არ გააქტიურდება ამ საკითხის მოსაგვარებლად-მეთქი. აშშ-მა მხარდაჭერა აღგვითქვა, ისინი ამ პროცესში აქტიურად ჩაერევიან.

**— რამდენადაც ვიცი, ვაშინგტონში ერაყში დაჭრილი მიხეილ ქუთათელაძეც მოინახულეთ.**

— მიშა პრეზიდენტმა ბუშმაც და კონდოლიზა რაისმაც ინახულეს, დიდხანს დარჩნენ მასთან. მეც მოვასწარი მისი ნახვა. მიშა შესანიშნავი ახალგაზრდაა. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა ვუთხრა დედამისს (რომელიც სულ 42 წლისა ყოფილა) ასეთი ვაჟკაცის გაზრდისთვის. ამხელა მორალური და ფიზიკური ტრავმის შემდეგ მიშა ამბობს, ჯარში უნდა გავაგრძელო სამსახურიო. ერთიც არ დაუწუწუნია, ეს რა მომივიდაო. პირიქით, აქეთ გვამხნევებდა. ამერიკელი ექიმები დაგვპირდნენ, აქედან ქუთათელაძეს სირბილით გამოვუშვებთო.

**— ამას წინათ რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ ინციდენტსა და პარლამენტში ატეხილ მუშტი-კრივზე რას იტყვით?**

— ჩვენი სასამართლოების ბევრი გადაწყვეტილებით არც მე ვარ აღფრთოვანებული, მაგრამ სასამართლო ერთ თვეში და თუნდაც ორ წელიწადში იდეალური ვერ გახდება, ამ საკითხზე აქტიურად უნდა იმუშაოს ხელისუფლებამ. თუ საზოგადოებას სურს, რომ კარგი სასამართლო და პარლამენტი ჰყავდეს, თავადაც განსაზღვრული სტანდარტებით უნდა მოქმედებდეს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დამოუკიდებელი სასამართლოს, თავისუფალი პრესისა და ძლიერი პარლამენტის არსებობა პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ცდება. მართალია, ამ პროცესებში დიდი როლი აქვთ დაკისრებული ქვეყნის ლიდერებს, მაგრამ საზოგადოებამაც უნდა შეიტანოს მასში წვლილი. თუ გვინდა, რომ სასამართლო დამოუკიდებელი იყოს, მას პატივი უნდა ვცეთ. როცა არ ვეთანხმებით მის გადაწყვეტილებას, დარბაზი კი არ უნდა დავარბიოთ, არამედ გავასაჩივროთ, ბოლო ინსტანციამდე ვიბრძოლოთ სიმართლის დასამტკიცებლად — აი, ასეთ შემთხვევაში იქნება მოსამართლე ობიექტური. მოსამართლე არ უნდა დადგეს იმის მხარეს, ვინც უფრო მაგრად მოუღერებს მუშტს და დაარბევს დარბაზს. თუ ეს დამკვიდრდა, პირადად თქვენ, რომელსაც არ შეგიძლიათ მუშტი-კრივის გამართვა, რა გარანტია გაქვთ, რომ მოსამართლეს არ შეეშინდება თქვენი მუშტმაგარი მოწინააღმდეგის და მისკენ არ გადაიხრება? ოპოზიციამ შეცდომა დაუშვა, როდესაც მოჭიდავეებს დაუჭირა მხარი. ხელისუფლებაც შეცდა — დარბაზშივე უნდა დაეპატიმრებინა დამრბევები და შემდგომ გართულებებს აიცილებდა თავიდან.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)




## HP Compaq (ეიჩ-პი კომპაკ) nx6110. მუშაობს სამუშაო დღეზე დიდხანს.

**თხელი და მსუბუქი, განსაკუთრებული დიზაინით და ხარისხით, ახალი ნოუთბუქი HP Compaq (ეიჩ-პი კომპაკ) nx6110, Intel® Centrino™ Mobile Technology (მობილური ტექნოლოგია ინტელ სენტრინო) ტექნოლოგიის ბაზაზე გაძლევთ თქვენს ოფისთან მუდმივი კავშირის გარანტიას უახლესი უმავთულო ტექნოლოგიის წყალობით.** დამატებითი ბატარეის გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ გაზარდოთ ავტონომიური მუშაობის სტანდარტული 4 საათი 9 საათამდე. სწორედ ამიტომ, თქვენ იქნებით ხაზზე ყველგან, სადაც არ უნდა იყოთ. დაუმატეთ ამას დიზაინის შესანიშნავი ხარისხი და მისაღები ფასი და თქვენ იგრძნობთ, თუ რატომ არის მაინცდამაინც ეს ნოუთბუქი თავისუფლების ახალი ფორმულა HP-საგან.



### HP COMPAQ BUSINESS NOTEBOOK nx6110

**$1,200*-დან**

- მობილური ტექნოლოგია Intel® Centrino™
  - პროცესორი Intel® Pentium® M 730/740
  - ინტეგრირებული მოდულ Intel® PRO / Wireless LAN 802.11 b/g
- Microsoft® Windows® XP Home/ Microsoft® Windows® XP Professional
- 256/512 მეგაბაიტი, 1/2 DIMM
- 40–60 გიგაბაიტი, 4200/5400 ბრუნი/წთ
- 15" დისპლეი XGA
- წონა 2,7 კგ.
- 6-სექციანი ლითიუმის იონური ბატარეა, დამატებითი 8-სექციანი ბატარეა HP Travel Battery (იყიდება ცალკე)
- 2 USB 2.0



### HP COMPAQ BUSINESS NOTEBOOK nc6120

**$1,600*-დან**

- მობილური ტექნოლოგია Intel® Centrino™
  - პროცესორი Intel® Pentium® M 730/740/750
  - ინტეგრირებული მოდულ Intel® PRO / Wireless LAN 802.11 b/g
- Microsoft® Windows® XP Home/ Microsoft® Windows® XP Professional
- 256/512 მეგაბაიტი, 1/2 DIMM
- 40–80 გიგაბაიტი, 4200/5400 ბრუნი/წთ
- 14,1"/15" დისპლეი XGA/SXGA+
- წონა 2,7 კგ.
- 6-სექციანი ლითიუმის იონური ბატარეა, დამატებითი 8-სექციანი ბატარეა HP Travel Battery (იყიდება ცალკე)
- 4 USB 2.0



### HP COMPAQ BUSINESS NOTEBOOK nc6220

**$2,100*-დან**

- მობილური ტექნოლოგია Intel® Centrino™
  - პროცესორი Intel® Pentium® M 740/750/760
  - ინტეგრირებული მოდულ Intel® PRO / Wireless LAN 802.11 b/g
- Microsoft® Windows® XP Home/ Microsoft® Windows® XP Professional
- 512 მეგაბაიტი, 1 DIMM
- 40–60 გიგაბაიტი, 5400 ბრუნი/წთ
- 14,1" დისპლეი XGA/SXGA+
- წონა 2,2 კგ.
- 6-სექციანი ლითიუმის იონური ბატარეა, დამატებითი 8-სექციანი ბატარეა HP Travel Battery (იყიდება ცალკე)
- 4 USB 2.0

ბატარეა უზრუნველყოფს ავტონომიური მუშაობის დამატებით 5 საათს



დამატებითი ბატარეა

**$180*-დან**

hp invent

ეიჩპი ინვენტ

შეიძინეთ

თბილისი: კომპლექს პრო 53 76 76, 25 06 05 • ესაბი 25 29 00
ორიენტ ლოჯიკი 33 06 16 • იუჯითი 22 05 05 • ივერსი 25 39 82

intel inside centrino™

ინტელ სენტრინო მობილური ტექნოლოგიები

ინტელ ინსაიდ სენტრინო

©2005 Hewlett-Packard Development Company, L.P. ყველა უფლება დაცულია. Intel, Intel logo, Intel Inside, Intel Inside logo, Intel Centrino, Intel Centrino logo, Celeron, Intel Xeon, Intel SpeedStep, Itanium, Pentium, and Pentium III Xeon არის სავაჭრო ნიშნები ან დარეგისტრირებული სავაჭრო ნიშნები, რაზეც უფლება ეკუთვნის ინტელ კორპორაციას ან მის ქვეგანყოფილებებს აშშ-სა და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.
* – შემოთავაზებული საცალო ფასები დღგ-ს გარეშე. მიმწოდებლების ფასები შეიძლება იყოს განსხვავებული მითითებული ფასებისაგან. გადახდა ეროვნულ ვალუტაში ბანკის ცენტრალური კურსით. საქონელი აუცილებლად უნდა იყოს სერტიფიცირებული.

# ვინ და როგორ უნდა დაიცვას კოდორის ხეობა

## რამდენად შეესაბამება „რეგიონული“ ბატალიონი ერთიანი შეიარაღებული ძალების სტრუქტურას?



თუკი სეპარატისტები დანაღმავენ ქუბერი-საკენის გადასასვლელს, ხოლო მთის მწვერვალებზე მეზენიტეებს განათავსებენ, კოდორის ხეობის გადასარჩენად დამატებითი ძალების გადასვლა ალბათ მხოლოდ ფეხით იქნება შესაძლებელი...

აფხაზეთის სვანეთში დღემდე მოქმედი ბატალიონ „მონადირის“ ბედი ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული.

საერთოდ, ჯობდა, „მონადირის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი ხელისუფლების კულუარებში გონივრულად აეწონ-დაეწონათ და მიეღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ამ რთულ რეგიონში ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს გააძლიერებდა. სამწუხაროდ, შედეგად მივიღეთ სახელმწიფო დიდმოხელეთა სატელევიზიო დებატები, კოდორის ხეობის მოსახლეობის განაწყენება ცენტრის მიმართ და სეპარატისტული სოხუმის აშკარა სიხარული.

ასეთი გაურკვევლობის გამო ბატალიონ „მონადირის“ დღევანდელ ბრძოლისუნარიანობაზე ლაპარაკი უკვე ძალიან ძნელია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ „მონადირის“ იმ სახით დატოვება, როგორიც ის შევარდნაძის ხელისუფლების დროს იყო, არაფრით იქნებოდა გამართლებული. ამ ბატალიონში შტატით 350-მდე ადგილობრივი მოსახლე ირიცხებოდა, მაგრამ თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, მათი დიდი ნაწილი თვეობით არ იმყოფებოდა ხეობაში — თბილისში, ქუთაისში ან სულაც საზღვარგარეთ „მოლვაწეობდნენ...“

საერთოდ, რეგიონული პრინციპით შექმნილი ბატალიონებისთვის დამახასიათებელია სუსტი დისციპლინა და არც ისე მაღალი საბრძოლო მომზადება, რისი მაგალითიც იყო შევარდნაძის დროს შექმნილი ბატალიონები — „ბარისახო“ და „სვანეთი“. ამ ბატალიონების ჩამოყალიბების მთავარი მიზანი იყო ერთგვარი თავდაცვის მეორე ეშელონის შექმნა და მესაზღვრეების დახმარება ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხედრო აგრესიის დაწყების შემთხვევაში.

ეს, ცხადია, ცუდი აზრი არ იყო (სხვათა შორის, დღეს მოსკოვი აქტიურად ამზადებს ორ სამთო-მსროლელ ბრიგადას, რომლებიც რუს მესაზღვრეებს დაეხმარებიან დაღესტანსა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში), თუმცა ამ ბატალიონების შექმნას მიეცა უფრო შინაპოლიტიკური დატვირთვა. მაშინ ოპოზიცია მიიჩნევდა, რომ შევარდნაძის რეჟიმი ამ ბატალიონებს გამოიყენებდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად და, ეტყობა, ამიტომაც, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ამ რეგიონულმა ბატალიონებმა არსებობა შეწყვიტეს.

ბატალიონ „მონადირის“ შემთხვევაში კი სიტუაცია საკმაოდ განსხვავებულია, უპირველესად, კოდორის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ერთხელ უკვე თქვა, რომ კოდორის ხეობაში ოპერატიულად გადაისროლ და რეგულარულ დანაყოფებს და იქ ცალკე ბატალიონის ყოფნა არ იყო საჭირო.

ბარისახოსკენ მართლაც შეიძლება მეტ-ნაკლებად სწრაფად გადაისროლო დამატებითი სამხედრო დანაყოფები (თუმცა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში არც ეს არის ადვილი), მაგრამ კოდორის ხეობაში ეს გაჭირდება და იქნებ შეუძლებელიც გახდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

კოდორის ხეობაში მოხვედრა მხოლოდ სამანქანო გზით და ავიაციის მეშვეობით შეიძლება. უამინდობა ხშირად გაუვალს ხდის სამანქანო გზას (ზამთარში უხვთოვლობის დროს იკეტება ხიდას ულელტეხილი), ხოლო ჩამონოლილი ღრუბელი ხელს უშლის შვეულმფრენების შეფრენას კოდორის ხეობაში.

სეპარატისტებმა რომ გაითვალისწინონ ასეთი რთული მეტეოროლოგიური პირობები და მოიწადინონ კოდორის ხეობაში დარჩენილ ქართულ სოფლებზე შეტევა, მაშინ რას იზამს თბილისი?

არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ასეთი შეტევა კარგ ამინდში დაიწყონ სეპარატისტებმა, მაგრამ მანამდე დივერსიულ ჯგუფებს დაანაღმვინონ ქუბერი-საკენის გზა, ხოლო მწვერვალებზე „იგლებითა“ და „სტრელებით“ შეიარაღებული მეზენიტეები დასვან. თბილისის ყველანაირ მცდელობას, ოპერატიულად გადაისროლოს რეგულარული სამხედრო დანაყოფები კოდორის ხეობაში, მოჰყვება არა მარტო სეპარატისტების, არამედ ჯვართან, ენგურის კაშხალთან მდგარი რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ სერიოზული წინააღმდეგობაც — სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, უსაფრთხოების ზონაში შეიარაღებული დანაყოფების და მძიმე შეიარაღების შეყვანისა და შეტანის უფლება არა გვაქვს!

აქედან გამომდინარე, ალბათ აჯობებს, კოდორის ხეობაში ცენტრს აუცილებლად ჰყავდეს დისციპლინირებული და ბრძოლისუნარიანი დანაყოფი. თუკი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ასე კატეგორიულად წინააღმდეგია მის დაქვემდებარებაში მყოფი დანაყოფის კოდორის ხეობაში ფუნქციონირებისა, მაშინ იქნებ ეს შსს-ს ეგიდით განხორციელდეს. ბატალიონ „მონადირემდე“ კოდორის ხეობაში ხომ შსს-ს შინაგანი ჯარების დანაყოფი იდგა და, ასე თუ ისე, ართმევდა თავს დასახულ ამოცანებს.

გასაგებია, რომ თავდაცვის სამინისტროს ბატალიონ „მონადირის“ ძველი სახით შენარჩუნება არ სურს, რადგან მას უჭირდა მისი პირადი შემადგენლობის გაკონტროლება, მაგრამ კოდორის ხეობის მთლიანად დაუცველად დატოვებაც ხომ არ იქნებოდა გამართლებული? ადგილობრივ მოსახლეობას ისედაც საკმაო იარაღი აქვს და სეპარატისტების შემოტევის შემთხვევაში არსად გაქცევას არ აპირებს. მაგრამ მათ მოქმედებას სჭირდება კოორდინაცია, მათ შორის, პირველ რიგში, სამხედრო თვალსაზრისით.

კოდორის ხეობა რომ 12 წელია ყელში აქვს გაჩხერილი სეპარატისტულ სოხუმს, ახალი ამბავი არ არის. ჯერ ერთი, იგი სტრატეგიული მნიშვნელობის პლაცდარმი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი თბილისი ოდესმე ძალით ეცდება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. რუსი სამხედრო ინსტრუქტორების დახმარებით, სეპარატისტები ყოველწლიურად ვარჯიშობენ ქართველების ძირითადად ორი მხრიდან შემოტევის მოსაგერიებლად — საზღვაო დესანტის განადგურებასა და კოდორის ხეობიდან შეტევის ჩახშობაზე (სხვათა შორის, კოდორის ხეობის ზოგიერთი ადგილიდან შორსმსროლელი არტილერია თავისუფლად სწვდება სოხუმს).

ისევე, როგორც სეპარატისტული ცხინვალი განუწყვეტლივ ოცნებობს თამარაშენი-კეხვის ქართული მონაკვეთის ერთხელ და სამუდამოდ დაპატრონებაზე, სოხუმიც კოდორის ხეობის ქართული სოფლების ხელში ჩაგდებას ნატრობს.

მორიგი სცენარების წერა საქართველოს ახალ, ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩასათრევად, მოსკოვის კაბინეტებში გრძელდება. თუკი, ღმერთმა არ ქნას, სეპარატისტულმა სოხუმმა მართლაც მიიტანა იერიში კოდორის ხეობაზე (ისევე, როგორც ცხინვალმა — თამარაშენი-კეხვის მონაკვეთზე) და წარმატებასაც მიაღწია, მაშინ ეს ძალზე სერიოზული დარტყმა იქნება დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ იმიჯზე.

მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, მსოფლიო საზოგადოების თვალში სეპარატისტების აგრესორებად წარმოჩენა ვერ გვიშველის — ჩვენს მაგივრად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე სისხლს არც პენტაგონი დაღვრის და, მით უმეტეს, არც ევროკავშირი. წინდახედულება გვკარნახობს, უფრო სერიოზულად მივუდგეთ კოდორის ხეობისა და თამარაშენი-კეხვის მონაკვეთის გამაგრებას, რათა მოვიგერიოთ სეპარატისტების შესაძლო შემოტევა.



# ხიდის ქვეშ „გამოჭერილი“ ტანკები



პირველად საქართველოს ისტორიაში ქართულმა არმიამ თავის შეიარაღებაში არსებული ტანკების რაოდენობით ორჯერ გადააჭარბა იმ რუსული ტანკების რიცხვს, რომლებიც შეიარაღებაში ГРВЗ-ს ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებში ჰყავს...

## სამხედრო სწავლებები პლაჟზე დამსვენებელთა დასაფრთხობად?

საქართველოს შეიარაღებული ძალები 18 ივლისს ფართომასშტაბიან ჯავშანსატანკო სწავლებებს ამთავრებენ ახალციხის მახლობლად, ორფოლოს პოლიგონზე. მანამდე კი ბათუმთან, გონიოს პოლიგონზე, უცხო ქვეყნის ტანკები ცდილობენ ზღვის სანაპიროზე გამოფენილი დამსვენებლების დაფრთხობას.

15 ივლისს ჭოროხის ხიდის ქვეშ „გამოჭერილი“ რუსული ტანკი მართლაც რომ კომიკურად გამოიყურებოდა. რუსმა სამხედროებმა სამი T-72 ტიპის ტანკით სცადეს, ბათუმის სამხედრო ბაზიდან გონიოს პოლიგონამდე მისვლა, მაგრამ ქართველმა სამხედროებმა ორ ტანკს გზა გადაუკეტეს.

ამ ინციდენტმა ცოტა ხნით კვლავ დაძაბა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მალევე მშვიდობიანად დასრულდა — ტანკები რუს სამხედროებს დაუბრუნეს.

საქართველოს მთავარ სამხედრო უწყებაში ამბობენ, რომ მათ რუს კოლეგებს სთხოვეს, სააგარაკო პერიოდში არ გაემართათ სროლები გონიოს პოლიგონზე და საამისოდ დროებით სიმონეთის პოლიგონით ესარგებლათ.

რუსული მხარე კი იშველიებს ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების 30 მაისის ერთობლივ განცხადებას, სადაც მითითებულია, რომ 2005 წლის 1-ელ სექტემბრამდე რუს სამხედროებს შეუძლიათ პოლიგონზე ისროლონ 20 მმ-ზე ნაკლებკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან და ავარჯიშონ მძღოლ-მექანიკოსები საბრძოლო ტექნიკის მართვაში.

ქართველ სამხედროებს არ დაუფიქსირებიათ გონიოს პოლიგონზე ტანკების ჭურვების სროლა, მხოლოდ პოლიგონისკენ მიმავალი რუსული ტანკები დააკავეს, რაც რუსეთის გენერალიტეტს აძლევს ამ სიტუაციიდან გამოძვრომის შესაძლებლობას. ისე, ასეთი ინციდენტების გამეორება გამორიცხული არ არის.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ წლეულს, პირველად, ქართულ არმიას ორჯერ მეტი ტანკი ჰყავს, ვიდრე საქართველოში ჯერჯერობით დისლოცირებულ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფს (ГРВЗ). ГРВЗ-ს შეიარაღებაში ამ მომენტისთვის რჩება არა 200 ერთეულამდე ტანკი, როგორც ამას ზოგჯერ ამბობენ; არამედ 72 ცალი T-72 ტიპის ტანკი, მათგან 31 ბათუმშია და 41 — ახალქალაქში.

# შეტევა ამერიკული ბაზების წინააღმდეგ...

## პენტაგონს მოსკოვისა და პეკინის ზეწოლით შუა აზიიდან „აგდებენ“ და კასპიის ზღვას „უკეტავენ“

აშშ-ის მნიშვნელოვანი დიპლომატიური დახმარებით თბილისი საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას ცდილობს, იმავე მეთოდებით მოსკოვი უკვე ამერიკულ ბაზებს „უტევს“.

რამდენიმე დღის წინ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გაიმართა „თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის“ მორიგი სხდომა, რომელზეც რუსეთისა და ჩინეთის აშკარა პოლიტიკური გავლენის შედეგად, უზბეკეთისა და ყირგიზეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა სერიოზული და თეთრი სახლისთვის მოულოდნელი განცხადებები გააკეთეს.

მკითხველს მოეხსენება, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-მა ავღანეთში საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაცია „თალიბანს“ აქტიურად დაუწყო ბრძოლა.

ინდოეთის ოკეანესა და არაბეთის ზღვაში მცურავი ამერიკული ატომური ავიამზიდებიდან აფრენილი დამრტყმელი თვითმფრინავები ავღანეთის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებს იოლად სწვდებოდნენ, მაგრამ პენტაგონი ვერ აკონტროლებდა ჩრდილოეთ ავღანეთს. ამიტომაც, თეთრი სახლის დაჟინებული მოთხოვნით და, ეტყობა, მოსკოვის თანხმობითაც, უზბეკეთმა კოალიციურ ძალებს „ჰანაბადის“ სამხედრო აეროდრომი, ხოლო ყირგიზეთმა — „მანასის“ სამოქალაქო აეროპორტი დაუთმო. ამ აეროდრომებიდან აფრენილი ამერიკული, მოგვიანებით კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თვითმფრინავები ზვერავდნენ და საბრძოლო დარტყმებს აყენებდნენ ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში თავშეფარებულ „თალიბანის“ შეიარაღებულ რაზმებს.

ასე საათივით აწყობილ საქმეს გასულ კვირაში ხუხულასავით დაშლის საფრთხე შეექმნა. უზბეკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მათ „ჰანაბადის“ სამხედრო აეროდრომი ამერიკელებს მხოლოდ „თალიბანთან“ საბრძოლველად დროებით დაუთმეს. უზბეკი დიპლომატები ასევე პრეტენზიას აცხადებენ, რომ პენტაგონი არ უხდის უზბეკეთს იმ თანხას, რასაც ტაშკენტი „ჰანაბადის“ აეროდრომის ფუნქციონირებასა და დაცვაში ხარჯავს. ტაშკენტი ასევე მოითხოვს იმ ზარალის ანაზღაურებასაც, რასაც პენტაგონის თვითმფრინავები ქვეყნის ეკოლოგიას და აეროდრომის მახლობლად მცხოვრებთ აყენებენ.

ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე ტაშკენტმა ამერიკელ პილოტებს აუკრძალა ღამით ფრენა, არადა ავღანეთის ჩრდილოეთში „თალიბანის“ ტერორისტული ჯგუფები სწორედ ღამით გამოდიან და მათ აღმოსაჩენად სპეციალური სადაზვერვო აპარატურით აღჭურვილი თვითმფრინავების ფრენაა საჭირო.

აშკარაა, ოფიციალური ტაშკენტი მიზეზს ეძებს თავისი ტერიტორიიდან ამერიკული ავიაბაზის საბოლოოდ გასაძევებლად. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ამას წინათ, ანდიჟანში დატრიალებული ტრაგედიისთვის თეთრმა სახლმა მკაცრად გააკრიტიკა უზბეკეთის ხელისუფლება.

ყირგიზეთის პოზიცია კი უფრო იმაზე მიუთითებს, რომ ამ ქვეყანაში არ მომხდარა არც თბილისური „ვარდების რევოლუცია“ და არც კიევური „ნარინჯისფერი რევოლუცია“. ჩანს, ყირგიზეთში პრეზიდენტ აკაევის რეჟიმის გადაგდებით უფრო კრემლი ისარგებლებს.



არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში უზბეკეთმა და ყირგიზეთმა არა მარტო დაკეტონ ამერიკული სამხედრო ბაზები, არამედ პენტაგონის თვითმფრინავებს აუკრძალონ მათი საჰაერო სივრციდან ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში შეფრენა. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მიერ აშშ-ისთვის ტრანზიტის უფლების გაცემა შეიძლება ფარატინა ქაღალდად იქცეს.

აეროპორტ „მანასში“ განთავსებული ამერიკული სამხედრო ბაზა ნელ-ნელა გავა, ხოლო „კანტში“ აუცილებლად დარჩება რუსული სამხედრო ბაზა — ასეთია ყირგიზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში წარმოჩენილი პოზიცია.

ორი ასეთი დარტყმის შემდეგ შეიძლება მნიშვნელოვნად გართულდეს ვაშინგტონის შორს მიმავალი გეგმების პოსტსაბჭოურ სივრცეში განხორციელება.

თუკი ამერიკელი სამხედროები მართლაც გააძევეს ყირგიზეთის „მანასიდან“ და უზბეკეთის „ჰანაბადიდან“, მაშინ, გარკვეულწილად, აზრს კარგავს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ჩვენ ამერიკულ მხარეს ნებას ვრთავდით საქართველოს საჰაერო სივრცე და ხმელეთი გამოეყენებინა შუა აზიაში სამხედრო დანიშნულების ტვირთების ტრანზიტისთვის.

კიდევ ერთ და შეიძლება მტკივნეულ დარტყმას მოსკოვი ვაშინგტონს კასპიის ზღვის აკვატორიაში „აყენებს“.

რამდენიმე დღის წინ ასტრახანში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც განიხილეს „ოპერატიული ურთიერთქმედების კასპიის სამხედრო-საზღვაო ჯგუფის“ შექმნის შესაძლებლობა. ამ ჯგუფში, მოსკოვის აზრით, უნდა შევიდნენ კასპიის ზღვის ქვეყნების — რუსეთის, აზერბაიჯანის, ირანის, თურქმენეთისა და ყაზახეთის სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო ხომალდები, რომლებიც შეებრძოლებიან ტერორიზმის გავრცელებას ამ დახურული ზღვის აკვატორიაში. ისე ჩანს, რომ კრემლი, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც სწავლობს თეთრი სახლისგან. კარგა ხანია ხმელთაშუა ზღვაში პენტაგონის თავკაცობით მიმდინარეობს საერთაშორისო ოპერაცია უკანონო მიგრანტების, საშიში ტვირთების, იარაღისა და ტერორისტების გადამყვანი გემების გამოსავლენად. ვაშინგტონს სურს ანალოგიური ოპერაციები შავ ზღვაშიც განახორციელოს, რითაც იგი უფრო განიმტკიცებს ადგილს ამ რეგიონში, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთი.

არანაკლებ სტრატეგიული დანიშნულებისაა კასპიის ზღვა. მისი მნიშვნელობა უფრო გაიზრდება ბაქოთბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედების შემდეგ. ბოლო ხანს იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამ ნავთობსადენის უსაფრთხოების მიზნით, აშშ, აზერბაიჯანთან ერთად, კასპიის ზღვაში შექმნიდა ერთობლივ საზღვაო ესკადრას.

მაგრამ, როგორც ჩანს, მოსკოვი ცდილობს, დაასწროს ვაშინგტონს და კასპიის ზღვამდე არ მიუშვას ამერიკელები. შავ ზღვაში აშშ-ს აშკარად ემხრობა როგორც NATO-ს წევრი თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი, ისე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის მოსურნე უკრაინა და საქართველო. აქ რუსეთი აშკარად მარტოა. კასპიის ზღვაში კი სიტუაცია რადიკალურად სხვაა — რუსეთის გვერდით არის, პირველ რიგში, აშშ-ის აშკარა მტერი ირანი, „ყვავილოვანი რევოლუციის“ მოშიში ყაზახეთი, და, შეიძლება თვით ნეიტრალური თურქმენეთიც.

აზერბაიჯანი, მართალია, ინარჩუნებს საუკეთესო ურთიერთობას თურქეთთან და აშშ-თან, მაგრამ ბაქო ცდილობს, არ წავიდეს რუსეთთან ისეთ აშკარა კონფრონტაციაზე, როგორც ეს თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობებში შეიმჩნევა.

აშშ-ის სტრატეგიული გავლენის გავრცელების პერსპექტივის წინააღმდეგ კასპიის აკვატორიასა და შუა აზიაში დაირაზმნენ მოსკოვი, პეკინი და თეირანი... რაც, საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს.

პენტაგონის ბაზების მიახლოება საკმაოდ აშფოთებს არა მარტო რუსეთსა და ირანს, არამედ ჩინეთსაც. ამ უკანასკნელს, რომელსაც უზარმაზარი ტერიტორია გააჩნია, ისე აქვს აგებული თავდაცვის სისტემა, რომ შესაძლო ამერიკულ ან იაპონურ აგრესიას აღმოსავლეთიდან ან სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ელის. შუა აზიაში ამერიკული ბაზების მომრავლებით ჩინეთს მოუწევს ფიქრი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებიდან დაცვაზეც, რაც უზარმაზარ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

მოსკოვი ისტორიულად უფრთხოდა სამხრეთ მიმართულებას, სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ჩამოცილების შემდეგ (არადა სწორედ ამ რეგიონებში იყო განთავსებული საბჭოთა კავშირის სამხრეთი მიმართულების თავდაცვის პირველი ეშელონები) რუსეთი სამხრეთის მხრიდან, ფაქტობრივად, გაშიშვლებული დარჩა. ეს, უპირველესად, ეხება ამ მიმართულებით საჰაერო სივრცის სუსტ კონტროლს. კრემლსაც უზარმაზარი ხარჯის გაღება მოუწევს, თუკი ამერიკული სამხედრო ბაზები რეალურად დამკვიდრდებიან სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში, რადგან მუდმივად ექნება ამ მიმართულებიდან თავდასხმის საშიშროება.

რაც შეეხება ირანს, აქ ყველაფერი ისედაც ნათელია. რომ არა ამერიკული სამხედრო მანქანის შეფერხება ერაყში, თეთრი სახლი აქამდეც დაარტყამდა თეირანს. ირანისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ამერიკული ბაზების გამოჩენა როგორც სამხრეთ კავკასიაში (უპირველესად, აზერბაიჯანში), ისე პენტაგონის გაბატონება კასპიის ზღვაზე.

მოსკოვი, პეკინი და თეირანი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ვაშინგტონმა ფეხი ვერ მოიკიდოს სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*


არ გამოგრჩეთ!

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი




ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

რესტორანი „წყალთაშუა“ სოხუმისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს იყო. იმ დილით იქ მხოლოდ სამი კაცი სტუმრობდა. ცოტა კი დალიეს, მაგრამ არ უხმაურიათ. საქმიანი ხალხი ჩანდა, რაღაც ხის მასალაზე ლაპარაკობდნენ. ბოლოს დანახარჯი გადაინაწილეს და გზა ზემოთ, საირმისაკენ გააგრძელეს. რესტორნის მომსახურე პერსონალი მხოლოდ მანქანის ფერსა და მარკას იხსენებდა — თეთრი „ჟიგული“ — მეტს ვერაფერს. ეს კი დიდს არაფერს ნიშნავდა. იმ დროს ათასობით თეთრი „ჟიგული“ დაქროდა საქართველოს გზებზე. ნომერი რომ მაინც სცოდნოდათ, ძებნას კიდევ ჰქონდა აზრი — ერთი [illegible]

„პროფესორა“ ვერც მიხვდა დავითის შეფარულ ირონიას. შექებით კმაყოფილმა დავითს საღამომდე მისცა დრო... საღამოს კი დავითმა უკვე იცოდა, რომ გარდაცვლილებს მეგობრობის გარდა ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობაც აკავშირებდა. ერთ-ერთი ქუთაისის ავეჯის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე გენო ახალბედაშვილი აღმოჩნდა (გვარ-სახელები აქ და შემდგომში შეცვლილია), ხოლო მეორე, რეზო გელაძე, წყალტუბოს ერთ-ერთი უნივერმაღის დირექტორი. დავითმა ორივე დანესებულების საქმიანი დოკუმენტაცია მოიძია და დაადგინა, რომ რამდენიმე თვის წინ გახსნილ ქუთაისის ავეჯის ფაბრიკას წყალტუბოს უნივერმაღისათვის შვიდი მაგიდა გადაუგზავნია სარეალიზაციოდ და შვიდივე პარტიის რაიონული კომიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ წარდგენილი სიის მიხედვით იყო გაყიდული.

— თქვენ დიდი აღმოჩენა გააკეთეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო. ხუმრობა ხომ არ არის, მოკლულთა ინტერესების სფეროში ერთბაშად შვიდი მაგიდა აღმოაჩინეთ... ოღონდ პურმარილის გარეშე, — ქირქილებდა „პროფესორა“ დავითის მიერ მოპოვებულ მწირ ინფორმაციაზე.

— რატომ შვიდი? შვიდი კი არა, ორმოცდათვრამეტი მაგიდა გაიყიდა წყალტუბოს უნივერმაღში. მათ შორის მხოლოდ შვიდი იყო რეგისტრირებული, — მშვიდად აუხსნა დავითმა უფროსს. „პროფესორა“ ერთბაშად გაცხარდა.

— რა ორმოცდათვრამეტი? დოკუმენტაციაში მხოლოდ შვიდია დაფიქსირებული, — და დავითს ფაბრიკიდან გამოგზავნილი ოფიციალური წერილი დაუდო წინ.

დავითს აინუნშიაც არ ჩაუგდია „პროფესორას“ გაანჩხლება.

— ჰო, მაგრამ ჩემი თხოვნით უბნის ინსპექტორებმა რაიონის მოსახლეობაში მაგ უნივერმაღიდან გაყიდული ქუთაისური წარმოების ორმოცდათვრამეტი მაგიდა მოიძიეს.

— ამით რისი თქმა გინდა? უფაქტურო საქონლით ვაჭრობენო, არა? მაგისთვის, ჩვენს სისტემაში ობეხესის სამსახური არსებობს, მე კი იმ ორი კაცის მკვლელებს ვეძებ, გაიგე?

— მკვლელის პოვნამდე ჯერ ძაღლის თავი უნდა ვიპოვოთ...

— მოკლედ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მე კიდევ რამდენიმე ვერსია მაქვს. ჩვენი ხალხი უკვე მუშაობს ზოგიერთზე. ვიცი, თქვენსას მაინც არ დაიშლით. რას ვიზამ, განაგრძეთ, ეგებ სახელმწიფო ქონების დატაცებაც აღმოაჩინოთ. ისე კი მინისტრს მოვახსენებ, რომ მკვლელობები არ გაინტერესებთ და იქნებ პროფილი შეგიცვალონ, — და „პროფესორამ“ იმ დღიდან დავითის ყველა თანამშრომელი თავის დაქვემდებარებაში გადაიყვანა და პოლკოვნიკი მარტო დარჩა... ბრძოლის ველზე. დავითს ეს ეწყინა და გაუხარდა კიდეც. მართალია, მარტო იყო, მაგრამ ხელს მაინც ველარ შეუშლიდნენ და ესეც ბევრს ნიშნავდა.

## თეთრი „ჟიგული“

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ხევში გადაჩეხილი მოქალაქე გონს მოვიდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ იხსენებს, რა უნდოდა იმ მხარეს, — უთხრა დავითს ლეიტენანტმა ახალაძემ და თან წარამარა კორიდორს გაჰყურებდა, „პროფესორამ“ არ გამოიაროსო.

— ვინ ვარო?

— ჯემალ კაჭკაჭიშვილი ვარ, დიდხანს რუსეთში ვცხოვრობდიო. ცოლ-შვილი ახლაც იქ ჰყოლია. თავად თურმე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და დროდადრო ხეტყეს ამზადებს.



# ყოფილი ქურდი დიდი თავადის პორცსიგარით

— ხეტყეს ამზადებს? — ფიქრიანად ჩაილაპარაკა დავითმა, — კარგი, მადლობელი ვარ. ახლა წადი... არ მინდა საყვედური მიიღო.

დავითი ტელეფონის ყურმილს დასწვდა. ჯერ პროკურორს დაურეკა, მერე მილიციის სამმართველოს უფროსს.

— აუცილებლად უნდა დავადგინოთ ვინ არის ჯემალ კაჭკაჭიშვილი. მე კი საავადმყოფოში მივდივარ მისი მკურნალი ექიმის სანახავად. რაღაც უცნაური გულმავიწყობა დასჩემდა ამ კაცს და არ მომწონს.

— დავით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა მივიღეთ — ახალბედაშვილს იმ იარაღით ესროლეს, რომლითაც ხუთი წლის წინ მკვლელობა მოხდა ქუთაისში. ის საქმე დღესაც გაუხსნელია.

— დღესვე გავეცნობი მაგ საქმეს...

საავადმყოფოში კი დავითი კაჭკაჭიშვილის ნაცნობად წარუდგა ექიმს.

— თვითონ ჯემალს არ მინდა დავენახო, ინერვიულებს...

— სულაც არა, თავს შესანიშნავად გრძნობს და ამ დღეებში გავწერთ კიდეც. ოღონდ ეგ არის, რაღაც-რაღაცებს ვერ იხსენებს. არადა, რაიმე სერიოზული დარღვევა ამ მხრივ არ აქვს.

დავითს ენიშნა ექიმის სიტყვები. მეორე დღეს გამომძიებელმა ჰკითხა ავადმყოფს, იმ ხრამში როგორ გადავარდითო, მაგრამ კაჭკაჭიშვილმა ისე ბუნდოვნად უპასუხა, რომ გამომძიებელმა ისიც ვერ გაიგო ხეირიანად, ჰყავდა თუ არა ავტომანქანა დაზარალებულს. მილიციის სამმართველოს ხალხმა კი ასეთი ამბავი მოიტანა: კაჭკაჭიშვილს ამჟამად შავი „ვოლგა“ ჰყავს, დღესაც გარაჟში უდგას, თეთრი „ჟიგული“ კი არასოდეს ჰყოლიაო. ქუთაისური მკვლელობის საქმეში დავითმა კაჭკაჭიშვილის გვარსაც ჰკიდა თვალი და ამიტომ მთელი საქმე რამდენიმეჯერ გადაიკითხა. კაჭკაჭიშვილი მაშინ მოწმის სახით დაუკითხავს გამომძიებელს ერთ-ერთი თვითმხილველის ნათქვამის საფუძველზე: იმ საღამოს მკვლელობის ადგილზე სხვებთან ერთად, მგონი, ჯემალსაც მოვკარი თვალიო. ეს იყო და ეს. ამის გამო კაცს ვერ დაიჭერ, მაგრამ არც ეს ეჩვენებოდა დავითს შემთხვევითობად.

— საირმის გზაზე მომხდარ მკვლელობაში ჯერჯერობით მკვლელი არ ფიგურირებს, მაგრამ როგორ აღმოჩნდა კაჭკაჭიშვილი მაინცდამაინც იმავე გზაზე, ამასთან, მარტო. მართალია, ის გვამების აღმოჩენიდან რამდენიმე საათის შემდეგ იპოვეს ხევში, მაგრამ ამ ორ შემთხვევას შორის უთუოდ არის რაღაც კავშირი. ეგეც არ იყოს, კაჭკაჭიშვილი წარსულში რამდენიმეჯერ ნასამართლევია, ადრე ავტორიტეტული ქურდი და მოგვიანებით „კოლეგებისგან“ მოკვეთილი ისევ ქურდულს აწვება და ახლა ხეტყეს ამზადებს ვაჟბატონი. ავეჯი კი, მით უმეტეს, მასიური მაგიდა, ხის გარეშე არ კეთდება. თუ ვივარაუდებთ, რომ ახალბედაშვილს ხის მასალით კაჭკაჭიშვილი ამარაგებდა, მივიღებთ სამკუთხედს: მწარმოებელი ახალბედაშვილი, მომმარაგებელი კაჭკაჭიშვილი და გამსაღებელი — უნივერმაღი, ანუ გელაძე. ასეთები ხშირად ფულს ვერ იყოფენ და კონფლიქტიც მოსდით. ასე რომ, კაჭკაჭიშვილზე უნდა ვიმუშაოთ, — დაასკვნა დავითმა და წამოდგა.

— მოიცა, დავით, — შეაყოვნა ბესო ბალავაძემ სტუმარი, — ვიცი, „პროფესორამ“ საქმეს მარტო შეგატოვა. რამდენ კაცსაც მოითხოვ, იმდენს გამოგიყოფ დღესვე. ბოლოს და ბოლოს, ეს საქმე ჩემი და პროკურორის თავსატეხია და არა შინაგან საქმეთა სამინისტროსი, ანუ შენი, — უთხრა გამომძიებელმა.

ამის შემდეგ უფრო გაეხსნა ხელ-ფეხი დავითს — დამხმარე ძალა რომ გაუჩნდა, საქმეც დაჩქარდა.

— აბა, ბიჭებო, ახალი რა ვიცით? — ჰკითხა დავითმა თავის ორ ახალგაზრდა ხელქვეითს.

— წუხელ ქურდებს შევხვდით. გვითხრეს, კაჭკაჭიშვილი დიდი ხანია, რაც მოვიკვეთეთ. ახლა ველარაფერს იპარავს, მაგრამ თავს აფერით ირჩენს. ჯერ დავერიაში შედის, მერე პარტნიორს დიდ საქმეს წამოაწყებინებს და, როგორც წესი, აგდებსო. თურმე დიდი მექალთანეც არის, გუშინ საავადმყოფოდან გამოსული წუხელ წყალტუბოს ტურბაზაში უნახავთ.

— ყოჩაღ, ბიჭებო, დღეისთვის კმარა.

ნაშუადღევს დავითმა თავისი ძველი, მესტიელი თანამშრომელი, რეზო უშხვანი მოიკითხა. ის ახლა დაზვერვის ქუთაისის განყოფილებაში მსახურობდა.

— რეზო, მახსოვს, ერთ დროს მოკრივეობაზე აცხადებდი პრეტენზიას.

— ერთ დროს კი არა, ორსამ კაცს ახლაც მივბერტყავ, უფროსო. რაო, გასალახია ვინმე?

— კი, თანაც ძალიან, მაგრამ ამჯერად იმას უნდა გაალახვინო თავი.

საღამოს, როცა რეზო რესტორანში შევიდა, კაჭკაჭიშვილი უკვე იქ იყო, ერთი ფაშფაშა რუსი ქალის დათრევაც მოესწრო.

— ნეტავ სად იშოვა ამ უპატრონომ თავისთანა ზორზოხა მატრონა! — კაჭკაჭიშვილის გასაგონად გადაულაპარაკა ვიღაცას რეზომ და პასუხმაც არ დააყოვნა. ჯემალმა სილაქით დააჯილდოვა არამკითხე მოამბე. რეზოს წამით გადაავიწყდა დავითისთვის მიცემული პირობა და ისეთი ხურდა დაუბრუნა, რომ ჯემალი კუნძივით გააგორა იატაკზე. კაჭკაჭიშვილი არ დაბნეულა. წამოდგა თუ არა, შამპანურის ბოთლს დაავლო ხელი, მაგიდის კიდეს ჩამოჰკრა და გაავებული მიეჭრა რეზოს. რამდენიმეჯერ მოუქნია, მაგრამ რეზო მარჯვედ იცილებდა. ამასობაში „წესრიგის დამცველებიც“ გამოჩნდნენ და კაჭკაჭიშვილი, როგორც დებოშის ამტეხი, მილიციის განყოფილებაში მიაბრძანეს.

— ბიჭებო, ეგ გომბეშო ერთი სამი თვით მაინც უნდა „დავასვენოთ“. ჯერჯერობით, მკვლელობაზე სიტყვა არ უნდა დაგცდეთ, — უთხრა დავითმა მილიციის თანამშრომლებს. იცოდა, სამხილის გარეშე სიტყვას ვერ დააცდენინებდა. ამიტომ მეორე დღეს კაჭკაჭიშვილის საკანში ერთ „თავზე ხელაღებულ“ ახალგაზრდას უკრეს თავი.

— სად მომიყვანეთ თქვენი... ხალხში ვიჯექი. ამათ თავიანთი მასტის ხალხი შეუსახლეთ, მე აქ რა მინდა?!

— მოიცა, ძმაკაც, ეგ როგორ, გამოდის, მაგ მასტებში მეც გავდივარ? — ჯემალი საწოლზე წამოჯდა.

— შენ არა, შენ გიცნობ ვინცა ხარ. შენ აქ რა გინდა? აქ მხოლოდ ნასედკები სხედან.

ჯემალმა ცოტა დაირცხვინა:

— მიჭირს, მაგრამ რა ვქნა...

— ხომ იცი, აქ ენას კბილი უნდა დააჭირო, თორემ იმწამსვე ჩაგიშვებენ. გაიგე?

— ჯიგარი ხარ. რა გქვია, არკადი, არა? მე აქედან მალე გავალ და ფეშქაშად ერთი კარგი მაგიდა უნდა მოგცე.

— მაგიდა რად მინდა, სახლი მე არა მაქვს და კარი. რვა წელია ყაზახეთში ვცხოვრობ. დამიჭირეს და რაღაც „გრაბიოჟი“ უნდა შემტენონ. მე არ გამიკეთებია, სხვას კიდევ ვერ ჩავუშვებ. აქ მაგარი ხალხი ზის, მთელ კორპუსში ერთ ჩამშვებს ვერ იპოვი. ახლა კი სად მომიყვანეს... არადა, გულის გახსნა ხომ გინდა... კიდევ კარგი ვიცი, ვინცა ხარ, შენზე იმდენი გამიგია, რომ ერთი კაცის ქებად კმარა... მერე მოდგა და თავისი შუააზიური ისტორიების ისეთი კორიანტელი დააყენა, ისეთი „საგმირო“ ამბები გაიხსენა, რომ ჯემალსაც მოუნდა თავის გამოჩენა.

— შუა აზიაში მეც მაქვს საქმეები, ძმაო. იქ მაგიდებს ვგზავნი. ახლაც მაქვს იქიდან შეკვეთები. კარგადაც იხდიან, მაგრამ ჩემი ნაპარნიკის ხელში რას გააკეთებდი... კვირაში ერთ-ორ მაგიდას თუ გადმოაგდებდა ლევად. ვუბნებდი, ძმაო, ცოტა გვერდზე ჩაიჩოჩე, ერთი ძალიან მაგარი ბიჭი მყავს, შენსავით მშიშარა კი არ არის, დიდ საქმეებს გავარტყამთ. პოლნი წილში ჩაგსვამ, მეტი რა გინდა-მეთქი. არა და არაო.

— მერე შენც ამდგარიყავი და მიგებრიდა...

— მა რას ვიზამდი, ავდექი და მივბრიდე. ზედაც მეორეც წავაკალი. რომ გამეშვა, ჩამიშვებდა...

საირმეში მივდიოდით მასალის საყიდლად. მამოწმებდნენ, შენ იაფად ყიდულობ და ფაბრიკას ძვირს უფასებო. აბა, რა უნდა მექნა, ვირის მუშა ხომ არ ვიყავი? მოკლედ, „წყალთაშუაში“ ცოტა დავლიეთ და შევთავაზე აქვე, გზისპირას პატარა ჩანჩქერია, გავგრილდეთ-მეთქი. დამთანხმდნენ ქაჯები. გაიხადეს და ჩანჩქერის ქვეშ დადგნენ. ჯერ იმ ჩემს კომპანიონს ვესროლე, მაგრამ მეორეს ჯერი რომ მოვიდა, ტყვია გაიჭედა და დანა გავუყარე....

— მოიცა, ასე დაწვრილებით ნუ ჰყვები. ხომ იცი, კედლებსაც ყურები აქვს... მაგისთვის დაგაკავეს?

— არა, კაცო, წვრილმანზე ამიყვანეს. მე ის ჩიტი ვარ, რომ მაგათთვის სამხილი ჩამეგდო ხელში? იმათი ტანსაცმელიც კი დავწვი, ოღონდ იმ ჩემი ნაპარნიკის ვერცხლის პორტსიგარი კი წამოვიღე. მაგარი რამეა, ღილაკზე თითს დააჭერ და სიგარეტის ღერებს ამოგილაგებს. თურმე ვიღაც დიდი თავადის ნაქონია. მოკლედ, იმ დღეს ჩემი „ვოლგა“ ხელოსანს დავუტოვე შესაკეთებლად, ზესტაფონში. მე კი მისი „ჟიგულით“ წავედი. საქმის მოთავების შემდეგ უკან დავბრუნდი და ჩემი მანქანა ჩვეულ ადგილას დავაყენე, თვითონ კი ტაქსით წავედი საირმის გზაზე და ხევში დავგორდი. ვინმეს რომ ეთქვა, იმ ორთან ერთად ვნახეთო, თავი ხომ უნდა მემართლებინა — კი, ბატონო, მათთან ვიყავი, მაგრამ ბანაობის დროს და მერეც რა მოხდა, აღარ მახსოვს-მეთქი.

— უკვე გელაპარაკნენ?

— არა, ეგენი აზრზეც არ არიან. დიდიდიდი, ორი თვე მომისაჯონ ხულიგნობისათვის, გამოვალ და ჩემს საქმეს გავაგრძელებ...

— მაგრა გაგიიმასქნებია. ყველაფერი კარგია, მაგრამ რომ მიდიხარ და აქ მარტო მტოვებ, ეგ აღარ მომწონს. ახლავე პროკურორთან შეხვედრას მოვითხოვ, თუ აქედან ყაზახეთში გადამიყვანენ, ბრალის აღიარებასაც შევპირდები.

— თავს იღუპავ?

— არა, იქამდე დიდი გზაა. აუცილებლად დავეთესები ბადრაგს და ურალს იქით გადავალ.

პროკურორთან შეხვედრა მეორე დღეს შედგა. ყაზახეთიდან კი სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა ბადრაგი. წოდებით უფროსი საკანში შევიდა არკადის სანახავად.

— მოკლედ, ბრატ, ეს ბიჭი მაგრა მევასება. თუ შენ მაგას გზიდან პაბეგს მოუწყობ, რაც გინდა მთხოვე, დღესვე გადამხდელი ვარ. აი, მისამართი. ეს სახლი აქედან ორას მეტრშია. ფული აიღე და წადი.

მორიგდნენ და ბადრაგმა კაჭკაჭიშვილის წერილის შესაბამისად ათი ათასი მანეთი აიღო მითითებულ მისამართზე. „დაძმობილებულებმა“ კი პირობა დადეს, რომ ერთმანეთს აუცილებლად შეხვდებოდნენ.

ორი დღის შემდეგ ჯემალმა შეიტყო, ქუთაისის ციხიდან გაყვანილი პატიმარი ბადრაგს ბაქოდან გაექცაო და დიდად გაიხარა. სინამდვილეში კი ყველაფერი ეს დავითის დადგმული სპექტაკლი გახლდათ, სადაც არკადის როლი მისმა ბავშვობის მეგობარმა ითამაშა და თანაც უნაკლოდ... ათი ათასი მანეთი კი საქმეს დაურთეს. რა თქმა უნდა, დანაშაულის დასამძიმებლად.

იმ საღამოს კაჭკაჭიშვილის ბინა გაჩხრიკეს და ვერცხლის პორტსიგარი ამოიღეს. უნატიფესი ნამუშევარი იყო, წარწერით: „მის აღმატებულებას, კავკასიის მთავარმართებელს, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს! ულრმესი პატივისცემით თავადი პეტრე ობოლენსკი“.

— ეს პორტსიგარი საიდან? — ჰკითხეს ჯემალს.

— რა ვიცი, ყირიმში ტალკუჩკაზე ვიყიდე ორას მანეთად.

— ამხანაგო პროკურორო, ხომ შეიძლება ეს ის პორტსიგარი იყოს, რომელიც ოჯახის წევრების თქმით, იმ დღეს გენო ახალბედაშვილს ედო ჯიბეში? — იკითხა ახალგაზრდა გამომძიებელმა, რომელიც დაკითხვის ოქმს ადგენდა.

— მოიცა, კაცო, ახლა ეს პორტსიგარი რომ ოქმში მოხვდეს, მერე ვინ წავა ყირიმის ტალკუჩკაზე და ვინ იპოვის ამის გამყიდველს? მორჩით ოქმის წერას და სხვა საქმეს მივხედოთ, — ყასიდად გაჯავრდა დავითი.

— ჩემო დავით, მე პროკურორი ვარ და რაკი ასეთი ვარაუდი გამოითქვა, მევალება ყურადღება გავამახვილო მასზე. შენ კი, ბიძიკო, ეგ პორტსიგარი ოქმში დააფიქსირე და მერე მილიციამ ეძებოს მისი წარმომავლობა, — განაცხადა იაშა მახარაძემ და ოთახიდან გავიდა. ასე „შემთხვევით“ გაიჭედა კაჭკაჭიშვილი. ახალბედაშვილის ოჯახის წევრებმა დაადასტურეს, რომ იმ დღეს გენომ ეს პორტსიგარი თან წაიღო. თუმცა ყოფილი ქურდი მკვლელობის აღიარებას არ აპირებდა. დიდხანს აწვალა დავითი. თანამოაზრეც ჰყავდა. დავითის შეფი, „პროფესორა“, ერთადერთი კაცი, ვისაც არასგზით არ უნდოდა ამ საქმის გახსნა — იცოდა, გამასხარავდებოდა ხელქვეითებთან. მკვლელიც ამას გუმანით გრძნობდა და კიდევ უფრო გულმოცემული უტევდა გამოძიებას. არადა საპატიმრო ვადა დასასრულს უახლოვდებოდა და დავითმა კიდევ ერთი სპექტაკლი დადგა.

იმ დღეს კაჭკაჭიშვილის საკანში ერთი დაკუნთული და სქელკისერა ბიჭი შეუშვეს. შესვლისთანავე უცერემონიოდ მოისროლა თავისი აბგა, მასპინძელს საყელოში მისწვდა და გამოცრა:

— შენ ეი, იცი, რომ დანაშაული სპეციალნა ჩავიდინე და ფულიც გადავიხადე, რომ შენთან შემოვეგდე. იმიტომ, რომ ჩემი სისხლი გმართებს. შენ მე უსაყვარლესი მამიდაშვილი მომიკალი, მის სისხლს არ შეგარჩენ, შენი... — ამის თქმა იყო და გრძელი თმიდან სამართებელი დააძრო. ის იყო, ყელში უნდა გამოესვა, რომ კაჭკაჭიშვილმა იღრიალა:

— მიშველეთ, პროკურორი მომიყვანეთ, ყველაფერს ვიტყვი... ვიტყვი!..

**ვაჟა გავაშელი**

# „გელაშვილის საქმეში მართლაც არის საეჭვო დეტალები“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

— რაც შეეხება პარლამენტში ჩხუბს, ეთიკის კოდექსს ხელი მოვაწერეთ და ავტომატით თავზე ვერავის დავადგები, არ იჩხუბოთ და ერთმანეთს არ შეაგინოთ-მეთქი. ეთიკის კოდექსში რაიმე განსაკუთრებული სასჯელის მექანიზმები არ არის შეტანილი, თუმც თქვენ კარგი აზრი მომაწოდეთ — მოვიფიქრებ, შესაძლოა დებოშის ამტეხი დეპუტატები მატერიალურად დაზარალდნენ.

**— როდესაც ოპოზიცია ხელისუფლებას აკრიტიკებს, თქვენი მისამართით რაიმეს თქმას ყოველთვის ერიდება. ამის გამო ამბობენ, ნინო ბურჯანაძე სამომავლოდ ოპოზიციური გაერთიანების ლიდერად მოგვევლინებაო.**

— ოპოზიციის გაძლიერებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ძლიერი და კონსტრუქციული ოპოზიცია ნებისმიერი ქვეყნისთვის დადებითი ფაქტორია. თავს ვიკავებ მძაფრი გამონათქვამებისაგან და, ალბათ, ოპოზიციაც ამიტომ არ არის კრიტიკული, მაგრამ, ზოგიერთ ოპოზიციონერზე ნამდვილად ვერ ვიტყვი კონსტრუქციულია-მეთქი.

ამას მე პოპულიზმად აღვიქვამ. მირჩევნია, რომ ოპოზიცია მართლაც ძლიერი და კონსტრუქციული იყოს და იმ შეცდომებზე მიგვითითოს, რაც გვაქვს. ეს ქვეყნის წინსვლის პირობაა, მაგრამ, როდესაც ისეთ რაღაცას ითხოვენ, რაც შეუსრულებელია, ეს ოპოზიციისგან დისტანცირებას იწვევს. რაც შეეხება ჩემს ოპოზიციურ ლიდერობას, გაოპოზიციონერებას არ ვაპირებ. ვფიქრობ, იმ უამრავ საქმეს, რომელიც წამოვიწყეთ, ბოლომდე უნდა მიყვანა. კონსტრუქციული პოზიციის დაკავება არასდროს მიჭირს. ხელისუფლება გამოასწორებს იმ შეცდომებს და დაძლევს იმ სირთულეებს, რაც მას უდავოდ აქვს. ყველაფერს ნელ-ნელა მივხედავთ.

**— რა არ მოგწონთ ხელისუფლების ქმედებებიდან?**

— არ მომწონს, რომ პარლამენტი არ არის კრიტიკული ჩვენი მთავრობის მიმართ. უფრო სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მთავრობაზე კონტროლს. არ მომწონს, რომ ჩამოყალიბებული არ გვაქვს ეკონომიკური სტრატეგია. არ მომწონს ის, რაც „ნიკალაში“ მოხდა. მსგავსი ფაქტები დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. იმედი მაქვს, სექტემბრის სესიამდე გავიგებთ იმ პირთა გვარებს, ვინც ეს ჩაიდინა. არ მომწონს ის, რაც გასულ კვირას მოხდა თბილისში — პარლამენტარის ცემას ვგულისხმობ. ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს, რა მოხდა, აუცილებლად უნდა დაისაჯონ დამნაშავეები.

**— ვალერი გელაშვილი ხელს სპეცსამსახურებისკენ იშვერს.**

— ფონი ძალზე არასასიამოვნო იყო და ამის გამოყენება კარგად შეეძლოთ იმ ძალებს, რომლებსაც ხელისუფლებასთან კავშირი არ აქვთ. წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, ხელისუფლებაში იმდენად ბრიყვი და უგუნური იყოს ვინმე, რომ ეს ჩაედინა. ეს ხომ ძირის გამოთხრა და იმ ტოტის მოჭრაა, რომელზეც თავად ზიხარ. ასეა თუ ისე, რადგან კითხვები არის, მათ პასუხიც უნდა გაეცეს. გელაშვილის საქმეში მართლაც არის საეჭვო დეტალები. პირადად დავინტერესდები ამ საკითხით და ვეცდები, მომხდარზე ადეკვატური რეაგირება მოვახდინოთ.

**— შვებულებას სად გაატარებთ?**

— ოფიციალურად უკვე შვებულებაში ვარ, მაგრამ ხომ ხედავთ ჩემს მაგიდას (უამრავ დოკუმენტს მაჩვენებს), რა დღეშია. დიდი იმედი მაქვს, რომ აგვისტოს მეორე ნახევარში მაინც შევძლებ ოჯახთან ერთად დასვენებას. ბოლოდროინდელმა ვიზიტებმა დიდი ენერგია მოითხოვა. ამიტომ დასვენება ურიგო არ იქნებოდა. ზღვაზე მინდა წასვლა, ოღონდ არა აქ და ნუ მიწყენენ ჩემი თანამემამულეები.

არა იმიტომ, რომ საზღვარგარეთ მირჩევნია, უბრალოდ ვერ ერთი, ხალხს ვერ ვეტყვი, შვებულებაში ვარ და ვერ მოგისმენთ-მეთქი, ზღვაზე თავისუფლად გინდა ყოფნა. ისეთ ადგილას წავალ, სადაც ნაკლებად მიცნობენ. იმედია, ეს ქედმაღლობად და საქართველოს კურორტების ანტირეკლამად არ ჩამეთვლება. პირიქით, საზღვარგარეთ საქართველოს მთის კურორტებსა და ზღვას დიდ რეკლამას ვუკეთებდი — ჩამობრძანდით, ნახეთ, რა კურორტები გვაქვს-მეთქი.

*იზო რუკაძე*

# არაჩვეულებრივი ზაფხული „ჯეოსელთან“ ერთად

## პირველად საქართველოში „მეგობრული ტარიფები“

ჯეო-კადრი, ჯეო-ზუმერი, ჯეო-მხსნელი, მეგობრული ნომრები... და კიდევ, „ჯეოსელის“ ქსელში ჩართვა 5 ლარად უპრეცედენტო სასტარტო პაკეტით ამ ზაფხულს ალბათ საოცრებად გიქცევთ. ორიგინალური სერვისის პრეზენტაცია ფიჭურმა სატელეფონო კომპანია „ჯეოსელმა“ სათავო ოფისის ეზო-სკვერში ვიოლინოს „აკომპანემენტის“ თანხლებით მოაწყო, რომელსაც კომპანიის გენერალური მენეჯერი, ოსმან თურანი „ჯეოსელის“ სხვა წარმომადგენლებთან ერთად მასპინძლობდა. პრეზენტაციაზე მიწვეული მასმედიის წარმომადგენლები კონკრეტულად გაეცნენ „ჯეოსელის“ ახალი სერვისის ფორმებს და კომპანიის მიერ საგანგებოდ ჟურნალისტებისთვის შეთავაზებულ აქციაშიც მიიღეს მონაწილეობა. თუმცა, ვიდრე ამის შესახებ გიამბობდეთ, ვეცდებით აგიხსნათ, რით აპირებს „ჯეოსელი“ თქვენთვის ამ ზაფხულის გალამაზებას. კომპანიის აბონენტებს ჯეო-კადრის სერვისით საშუალება ეძლევათ მობილური ტელეფონით გადაღებული ფოტოები გააგზავნონ სპეციალურ მოკლე ნომრებზე და მიიღონ დაბეჭდილი ფოტოები „კონიკას“ ოფისებში. ფოტოები უნდა გაიგზავნოს მისამართების მიხედვით შემდეგ ნომრებზე: 4455 — გამსახურდიას გამზ. №9, 4422 — კოსტავას ქუჩა №75, 4444 — პუშკინის ქ. №7, 4411 — მოსაშვილის ქ. №2. ამ მისამართებზე გაგზავნილი სურათების ბეჭდვაში მხოლოდ 20 თეთრს გადაიხდით. იმავე ფოტოების ადგილზე დაბეჭდვა კი 25 თეთრი ღირს.

თუ თქვენ მოგბეზრდათ სტანდარტული ტონალური სიგნალი (ზუმერი), ჯეო-ზუმერი საშუალებას გაძლევთ, ნებისმიერი მუსიკალური ან ხმოვანი ფრაგმენტით შეცვალოთ იგი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში პოპულარული ეს სერვისი დსთ-ის სივრცეში პირველად „ჯეოსელმა“ დანერგა.

თუ თქვენი ნომერი ცალმხრივად გაითიშა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თავი რობინზონ კრუზოსავით უკაცრიელ კუნძულზე გარიყულივით იგრძნოთ. დაელოდოთ როდის გაახსენდებით მას, ვინც ძალიან გჭირდებათ. ჯეო-მხსნელი საშუალებას გაძლევთ 20 დღის განმავლობაში, სადაც გინდათ სრულიად უფასოდ გაუგზავნოთ დღეში 5 მოკლე ტექსტური შეტყობინება — „გთხოვ დამირეკე“.

15 სექტემბრამდე გეძლევათ შანსი შეარჩიოთ „ჯეოსელის“ ან „ლაი-ლაის“ ქსელში ჩართული თქვენი სამი მეგობრის „მეგობრული“ ნომერი და მათთან დაკავშირებისას 30%-იანი ფასდაკლებით ისარგებლოთ, ანუ თქვენთვის ერთი წუთი მხოლოდ 20 თეთრი ეღირება.

დაბოლოს, თუ თქვენ ჯერაც არა ხართ „ჯეოსელის“ აბონენტი, შეგიძლიათ მისი არაჩვეულებრივი შემოთავაზება მიიღოთ და ქსელში მხოლოდ 5 ლარად ჩაერთოთ. თანაც, ფანტასტიკური სასტარტო პაკეტით, რომელშიც შედის 5 ლარის სასაუბრო დრო, 5 უფასო ჯავათამაში, 15 უფასო წუთი „ჯეოსელზე“ და „ლაი-ლაიზე“, 25 უფასო MMS, 125 უფასო SMS. „ჯეოსელი“ თავის ოფისებში ასევე გთავაზობთ დაწყვილებულ ნომრებს.

სანამ თქვენ „ჯეოსელის“ მომსახურების ახალი სერვისით სარგებლობას ან ქსელში ჩართვას გადაწყვეტდით, 14 ივლისს კომპანიის პრეზენტაციაზე მისულმა ჟურნალისტებმა „ჯეოსელის“ თხოვნის თანახმად თავიანთი პროგნოზები გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სერვისი უფრო პოპულარული, მომგებიანი, უბრალოდ კარგი ან ეფექტიანი იქნება მომხმარებლებისთვისაც და კომპანიისთვისაც.

**ირმა ცქიტიშვილი,** „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი: — გვინდოდა, მასმედიის წარმომადგენლები დეტალურად გაცნობოდნენ ახალი სერვისის სპეციფიკას და გამოეთქვათ თავიანთი ვარაუდები, თუ რამდენად გაამართლებს სერვისის ესა თუ ის ფორმა. ამჯერად დაფიქსირებულ პროგნოზებს სექტემბრამდე შევინახავთ და როცა მსგავსი შეხვედრა მოეწყობა, რეალური პროგნოზების ავტორი სერიოზული პრიზით დაჯილდოვდება.

**— ანუ, როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, კონსულტანტად აიყვანთ?**

— რა თქმა უნდა! მიგვაჩნია, რომ მასმედიის წარმომადგენლები ყველაზე უკეთ, სწრაფად და ზუსტად ითვისებენ ინფორმაციებს. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების ძალიან კარგი მომხმარებლებიც არიან, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ მათი ანალიტიკური მსჯელობის საფუძველზე გაკეთებული პროგნოზები მომხმარებელსაც უფრო დაეხმარება და ჩვენც. გვინდა, ყოველ გრანდიოზულ აქციაზე ჟურნალისტების პროფესიონალური ხედვის გაზიარება ტრადიციად ვაქციოთ.

„ჯეოსელს“ სერვისის ახალი ფორმები და ჟურნალისტებთან თანამშრომლობის ორიგინალური ფორმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, დიმიტრი ქიტოშვილმაც მოუწონა, რომელიც ასევე ესწრებოდა პრეზენტაციას.

*ეკა ლომიძე* Ⓡ


სოკო
პრობლემად რომ არ გვექცეს . . .

ზაფხულის სითბო და ტენი სოკოვანი დაავადების განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. თქვენ თავად უწყობთ ხელს სხვადასხვა ლოკალიზაციის სოკოს გამრავლებას . .
- თუ ხშირად სტუმრობთ სპორტულ დარბაზებს, აბანოებს, საუნებს, საცურაო აუზებს და თუ იქ არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობებია . . .
- თუ ტანზე მჭიდროდ მომდგარ სინთეტიკურ ტანსაცმელს ატარებთ და, ამის გამო, ოფლიანობთ. . .
- თუ ვიწრო ფეხსაცმლის სისტემატური ტარების გამო ტერფების კანი და ფრჩხილები დაგიზიანდათ . . .
- თუ გქონდათ შემთხვევითი დაუცველი სქესობრივი კავშირი . . .
- თუ ხანგრძლივად გამოიყენეთ ანტიბიოტიკები და სხვა . . .

ადგილობრივი მოქმედების საშუალებებით სოკოვანი დაავადებების მკურნალობა მიზანშეწონილია მხოლოდ ზედაპირული მიკოზების საწყისი სტადიის დროს. ყველა სხვა შემთხვევაში ეფექტურია სისტემური ანტიმიკოზური საშუალებების გამოყენება, რომლებიც მოქმედებენ ყველა ლოკალიზაციის სოკოზე და ამით უზრუნველყოფენ მკურნალობის მაღალ ეფექტურობას.
სისტემური მოქმედების ანტიმიკოზური პრეპარატი მიკოფლუ (ფლუკონაზოლი) დაგეხმარებათ სხვადასხვა ლოკალიზაციის სოკოვანი დაავადებისა და მისი კლინიკური გამოვლინებებისგან (ფრჩხილების აქერცვლა, მსხვრევადობა, ფერისა და ფორმის შეცვლა, კანის თითებშუა არის დაზიანება, ქავილი და სუნი, ქალებში ვულვოვაგინიტის შემთხვევაში გამონადენის არსებობა და სხვა) სწრაფად და ეფექტურად განკურნებაში.
ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას




მიკოფლუ აბარიდებთ პრობლემებს!
საწარმო GMP ფლობს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს "ISO-9001-2000"
PSP ფსპ ჩემი ოჯახის აფთიაქი
ალმაშენებლის გამზ. 148/II
GMP ჯი-ემ-პი



ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიული ცენტრი

აშშ-ში სტაჟირებულ ექიმთა ჯგუფი აკადემიკოს
ბესიკ იაშვილის ხელმძღვანელობით
(ექიმები პაატა ჯანაშია, ლაშა იაშვილი) მაღალი კლასის
უცხოური აპარატურით და თანამედროვე მეთოდებით გთავაზობთ
ყველა სახის პლასტიკურ ოპერაციას
შედეგის წინასწარი კომპიუტერული იმიტაციით:
◆ სახის დაჭიმვა ◆ ქუთუთოების პლასტიკა ◆ მკერდის გადიდება-დაპატარავება, კორექცია, აღდგენა ◆ მუცლის დაჭიმვა ◆ ზედმეტი ცხიმების მოშორება (ლიპოსაქცია) ◆ ტუჩების ფორმის შეცვლა

ცხვირის პლასტიკა უახლესი მეთოდით
სახის პროპორციების გათვალისწინებით ესთეტიკური და ძვლის რეკონსტრუქციული ოპერაცია ერთდროულად. ტამპონადის გარეშე. სრულიად უმტკივნეულოდ, როგორც ოპერაციის დროს ასევე ოპერაციის შემდგომ პერიოდში. ზოგადი ნარკოზის გარეშე. ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი 7-9 დღეში.

სიახლე!
ვიზაჟის უახლესი აპარატურით არაოპერაციული მეთოდით, ტუჩის და თვალის ირგვლივ არეში არსებული დაღარიანების მოშორება!

მის: თბილისი, კაპანაძის ქ. 3 (დამწვრობის ცენტრი).
ტელ: 96-85-93
(ოფისი, 10-17 სთ; შაბათ-კვირის გარდა)
ფაქსი: 96-70-85
22-76-54 (საღამოს); 877-41-97-11



ახალი კლინიკა
თმის გადანერგვა
ხელმძღვანელი
პროფ. თემურ თემურაშვილი



- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმისა და დამწვრობის შემდეგ
- ხელმისაწვდომი ფასები, კონფიდენციალობა



HAIRLINE International
ჰეალაინ ინტერნეიშნლ
თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი
ქავთარაძის 16 (სამკურნალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62



ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

შპს. ფენიქსი
www.phoenix.ge

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

# „დედაის“ პერები...

## მზითვად გაყოლილი განძეული

ამ ნალკოტს არც ლაგოდეხის ნაკრძალის მომხიბვლელობა აკლია, არც ყვარლის ვარდის ბალების სურნელება. იქვეა, იმ არემარეში, იმ მხარის ტყუპისცალი: თითქოს მხატვრის მარჯვენას შეუგროვებია ცისა და მიწის დალოცვილი ფერები, ერთ დიდ ტილოზე მიმოუფანტავს, მერე კი მსახვრალ ხელს მახვილით გაუპია და ერთმანეთისთვის საუკუნოდ დაუშორებია. ეს ორი პატარა მიწის ნაგლეჯი მაინც განუყოფელია, ერთიანი და მთელი. ტანკენარ ქალიშვილებსა და გულოვან ვაჟკაცებს ვერც აქეთ მოსწყვეტ თვალს და ვერც იქით. ჩაცმულობით თუ გამოარჩევ ერთმანეთისაგან და კიდევ... სამეტყველო ენით. გაღმამხარელებს ინგილოებს ეძახიან, გამოღმელებს — კახებს. თუმცა მე-17 საუკუნემდე „ინგილო“ სატომო სახელი არ იყო.

1602 წელს ლეკებთან ფარული გარიგებით შაჰ-აბასმა გაღმა მხარე საბოლოოდ მოსწყვიტა კახეთს, დრომ იძალა. დაღი დაასვა გაღმამხარელთა ყოფას. ოთხას წელიწადში თავის ქვეყანას არაერთხელ მიერთებული და მოგლეჯილი მხარე მაინც „სხვისად“ დარჩა, ბევრი რამ დრომ შეცვალა. არ შეცვლილა მხოლოდ ძალმომრეობა, რომელმაც ქართულ გენთან ვერაფერი გააწყო. ამ მხარეში ჯერ კიდევ ისმის ქართული ხმა... თუმცა ერთმანეთს მაშინ დავშორდით, როცა გაღმამხარელებთან ნათესავები შემოგველია.

საბჭოთა ხელისუფლებამ ერთი სიკეთე მაინც ქნა: ამ ხალხთან ურთიერთობისთვის ღია კარი დაგვიტოვა. მაშინ აზერბაიჯანში შესასვლელად არც ვიზა იყო საჭირო, არც საგანგებო პასპორტი, იქ შინაურებივით დავდიოდით. დღემდე არ გამნელებია კახში, ნუხსა თუ ზაქათალაში მცხოვრები ქართველების სითბო და თავისებურად აჟღერებული სიტყვა — დედა!

ერთ ოჯახში სტუმრობისას დიასახლისმა სამზითვო სკივრიდან დიდი ამბით ამოალაგა საქორწინო ქართული კაბა სარტყელ-გულისპირით, ძვირფასთვლიანი ქინძისთავით შემკული ჩიხტიკოპი, ჩონგური, ოქროს ჯვარი და მთავარანგელოზის ხატი. თავისი ხელით მოქსოვილი ძველი ფარდაგიც გვაჩვენა. ფარდაგზე ამოქარგულ ვარდებს ხასხასა ფერები შერჩენოდა.

ეს არის ჩემი დედანევისიო — გვითხრა. „დედანევისი“ თურმე მზითევში მოყოლილ ნივთებს ნიშნავს. მთავარი „დედანევისი“ ინგილოსათვის მაინც თურმე სიტყვა „დედაა“!.. დედას, როგორც ჩვენში, აქაც მშობელს, გამზრდელს ეძახიან და ყველაფერი ამ სიტყვის გარშემო იყრის თავს. მაგალითად, დედანევი — მამის ოჯახია გათხოვილი ქალისათვის, დედამიწა — ქვეყანა, სიმრავლე და სიდიდე.

პერები რომ იტყვიან: დედამიწაი თოვლი მოვიდაო, — დიდთოვლობას ნიშნავს; ნადში დედამიწაი (ბევრი) ხალხ იყოო.

დედაკაცევი მარაქა — ქალების ჯგუფია, დედანაი — დიდედა, წითელაი დედაი — წითელა ბატონები, პაპან დედაი — ბებია, ღვინი დედაი — ჭაჭა, ცომი დედაი — ხაში...

აქ ისევ შეგხვდებათ გამოთქმები — გუთნი დედაი, ჭინჭრი დედაი, სადედოი (მანვნის დედა).

ერთხელ საინგილოში სოფელ ალათემურთან შემოგვაღამდა. ხმაურზე მასპინძელი გამოვიდა და ჩვენი ქართველობა რომ გაიგო, შინ შეგვიპატიჟა. ორსართულიანი სახლი ედგა. სუფრა აივანზე გაშალეს და შემოიტანეს „დედაი პურები“.

დედაი პური, თონეში მესამე-მეოთხე რიგში ჩაკრული პურია იქაურად და ეს სახელიც იმიტომ ჰქვია, რომ ყველაზე კარგად ცხვება. მასპინძლის ბებია შვილიშვილის აკვანს არწევდა და „ზილი დედაის“ („ძილის დედა“, ანუ იავნანა) უღიღინებდა. ანა ბებიამ მითხრა, რომ „ეემ დარწევადი ზილი დედაი ნაი, ნაი ეტყვის“. — ღმერთო, შენ ზილი დედაო! ეემ ყმაწვილს ვერ ვაზინებ და, შენც იყო ერ ჩარა ქენ (ბავშვს ვერ ვაძინებ და მიშველეო). თუ მაინც არ დაიძინა, „ეემას ზილი დედაი გარდაპხწნი“ (ძილის დედა გადაეხვეწაო).

„შავ შიგნით, თეთრ გარეთ!“ — იტყვის პერი ორგულ და ორპირ ადამიანზე, „წვეთწვეთობით გუბ დადგევ“, „თავის საძოვრიდან გაცილებულს, ეკალს მოუძოვნი“... ეს გამოთქმები ძირძველი ქართული ანდაზებია, მზითვად გაყოლილი ყველაზე დიდი განძეული...

# ისე აღესრულა მოხუცი მეფე, ვერ აუსრულა ნადილი ჭაბუკ მოხევეს

## ჭიდაობისა არა ვიცი რა, ხმალში კი სიამოვნებით გამოვალო...



ჯანღი შეყრილიყო სტეფანწმინდის მთათა ზედა.

თავქვე მოდიოდა თვრამეტიოდე წლის „ვაჟკაცი გულოვანი“, ხევის ტკივილი მოჰქონდა მხრებით. მოდიოდა გულჯავრიანი, გზადაგზა კაცს ეძებდა, პოულობდა, აფიცებდა ხანჯალს და ძმობას. უკან ხნიერი მოხევე მოსდევდა...

ველარ აეტანათ ხევურთ ჯვარ-ანგელოზების შერყვნა, მამა-პაპათა ადათ-წესების რღვევა. ერთ დროს შეკრული თემი უწადინოდ დასცქეროდა ძირს დაგდებულ და შეგინებულ ხევის დროშას. ძალმომრეობა ჩრდილოეთიდან ნიაღვარივით მოსკდომოდა მათ სამყოფელს. ფეხქვეშ თელავდა რწმენას, სინდისს, მართალ განცდებს.

ამ სანახაობით იტანჯებოდნენ ცას დაახლოებული მოხევეები. ისინი სიკვდილზე უარეს ტკივილებსაც უძლებდნენ და არც არას თმობდნენ. დარიალის ვიწრო ხეობაში თავად ჩაეკეტათ საცალფეხო ბილიკები, ილუპებოდნენ პირზე ღიმილით, მსხვერპლსაც არ ითვლიდნენ, თუმცა ველარც თავგანწირვა შველოდა ქვეყანას...

თემის კაცებს ის ორნი გამოეგზავნათ ქალაქში. ამბობენ, ხნიერ მოხევეს ძველი სულის განძეულობა, ანუ მამა-პაპათა ადათების „დასტა“ განემზადებინა ერეკლე მეფისთვის, ყმაწვილ კაცს კი ამ განძეულობის დასაცავად შემწეობა უნდა ეთხოვაო.

სამი დღე მოუწიათ ცდა.

ფერისცვალებას განიხვნა ჭიშკარი სასახლისა...

ზღურბლს რომ გადააბიჯა ყმაწვილმა, განიერი მხრებით წამით ჩამოაბნელა სადარბაზო. ზორბა ვაჟკაცის ხილვამ სიხარულით შეუქანა გული მეფეს. მოხევე თავდახრით მიეახლა, კედელს მიეყრდნო მცირედ, სალამი უძღვნა ხელმწიფეს. ბოხოხი მოეხადა, ხელიდან ხელში უხერხულად ანაცვლებდა. ის იყო მოსვლის მიზეზთა თხრობა დაიწყო, რომ შეაჩერა მეფემ:

— ჯერ ნურასა მთხოვ, რადგან სათხოვარი მე მაქვსო.

...იმხანად სპარსეთიდან საქართველოში ერთი განთქმული ფალავანი ჩამოსულა. ვისაც დაეჭიდა, ყველა ბეჭებზე გააკრა თურმე. ერეკლეს ბრძანებით სხვადასხვა კუთხიდან მოიხმეს გამოჩენილი მოჭიდავეები, მაგრამ... მარცხს მარცხზე ითვლიდნენ ქართველები. თვალში მოსვლია მოხევე ჭაბუკი მეფეს. სპარსელი მოჭიდავის ამბავი უთქვამს და უთხოვია, დაეჭიდეო.

მოხევეს შორს დაუჭერია:

— ჭიდაობისა არა ვიცი რა და ხმალში კი სიამოვნებით გამოვალო. მაგრამ ახლა ხმალი საჭირო არ იყო. სპარსელი ფალავნის დამარცხებით უნდა ჩამოერეცხა სირცხვილი ქვეყნისათვის მეფეს და მის რჩეულ მოხევეს.

ხნიერი მოხევისათვის უკითხავს რჩევა.

— წავიდეთ, სპარსელი ვნახოთ და ისე გადავწყვიტოთო, — შეთანხმებულან.

წასულან დიდუბეში, სადაც ჭიდაობა იმართებოდა. მიდიოდა თურმე ჭაბუკი მოხევე ხალხით სავსე მოედანზე, მხრებზემოდან გადაჰყურებდა შეკრებილთ, იმის ვაჟკაცური ხმის ექო მტკვარგაღმა გადიოდა. სპარსელსაც შეუმჩნევია ქართველების ახალი ფალავანი.

— დავეჭიდები სპარსელს, მაგრამ თუ წამაქცია, თავს არ ვიცოცხლებ, გალახული კაცის ცხოვრება სიკვდილზე უარესიაო!.. — უთქვამს ხნიერი მოხევისთვის. სპარსელსაც ასე შეთანხმებია:

— აქ არა, ავლაბრის ხიდზე შევხვდეთ ერთმანეთს ერთი პირობით: გალახული გამარჯვებულმა მტკვარში გადააგდოსო. სპარსელს დასტური მიუცია.

მეორე დღეს ავლაბრის ხიდს გაღმა-გამოღმა შეყრილა აუარებელი ხალხი. უკრავდა ზურნა, იყო განგაში და ქართველთა სირცხვილის ჩამორეცხვის ნადილი. ჩააცვეს მოხევეს საჭიდაო ჩოხა. ფეხშიშველი შევიდა ნახერხით მოფენილ წრეში. დგას დოინჯშემოყრილი... მისი ფიქრი სნოს, არშის, გერგეტის, თამარის გატიალებულ ციხეებს დასტრიალებს. ამ ციხეთა დასაცავად იქ ჩასაფრებული, ხევურ ჯვარ-ანგელოზებს შეფიცული, გაუტეხელი მოძმეები ეგულება. თუ ვერ დაბრუნდება, მოამბედ ხნიერი მოხევე მიუვათ. იცის, განყდებიან და სიტყვას არ გატეხენ, მის სანაცვლოდაც დაიცავენ ადგილის დედას. მხრებით შეუდგებიან ჩრდილოეთიდან წამოსულ ზვავს, „მისდრეკენ, შიგნით მიჰხრიან“.

...დგას სპარსელის მოლოდინში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის გამზადებული მოხევე და იმედიანად ბუბუნებს:

*ყმაწვილო, არშის ციხესა,*
*არ შენისთანა ყმა უნდა,*
*ჩავეს ჩამტანი აბჯართა,*
*ამომტანელი სხვა უნდა.*

მზე გადაინვერა. ზურნა-დალაბანდი არაერთხელ აჭყვიტინდა და მიჩუმდა. არსად ჩანს სპარსელი ფალავანი. აფრინეს კაცები, ამბავი მოიტანეს: — წუხელ გაიპარა თბილისიდანო.

გახარებული ერეკლე დიდძალ საჩუქარს სთავაზობს მოხევეს. ის კი უარზეა. მეფისაგან ჯარს, იარაღს, შემწეობას თხოულობს დარიალის ვიწროების გასამაგრებლად... ოთხი თვე ელოდა დანაპირებს. ჩამიჩუმი არ ისმოდა ბარიდან. ლოდინით გულგადაღლეულს შავი ამბავი მოუტანეს: რკინის კარი შეხსნოდათ ქართველებს! ისე აღესრულა მოხუცი მეფე, ვერ აუსრულა ნადილი ჭაბუკ მოხევეს.

თავად ითავკაცა. ფიცვერცხლი ჭამა მთიულებთან, ფშავ-ხევსურებთან. შეაგულიანა თაგაური ოსები. კარგა ხანს ჩახერგა რუსის ჯარის გადმოსასვლელი გზა-ბილიკები. სინსილა გაუწყვიტა მოძალადეებს, დააშოშმინა აწიოკებული ქალ-რძალი, ერთობის კვლავინდებური იმედი ჩაუსახა თანამოძმეებს.

იყო კაცი, დარჩა ლეგენდად...

ხევში დღესაც სჯერათ, რომ ალექსანდრე ყაზბეგმა „ელგუჯაში“ მოხევე „ფალავანი“ სვიმონ ჩოფიკაშვილის სახით გააცოცხლა.

***გვერდი მოამზადა ეთერ თარიმანმა***

გამოვიდა მე-12 ნომერი




# რას გვეტყვი, მამაო?

**— გამიგია, რომ საუფლო დღესასწაულზე არანაირი საქმიანობა არ შეიძლება. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ისეთი საქმე გადავდო, რომლის გაუკეთებლობაც ჩემს ოჯახს ზიანს მიაყენებს?**

— დღესასწაულზე უქმად ყოფნა უსაქმურობით ოჯახის, საკუთარი თავისა ან ახლობლების ზიანის მიყენებას არ ნიშნავს... თვით უფალმა უთხრა ფარისევლებს, შაბათს (უქმეს) წვიმა თუ წამოვიდა და გათიბული ძნები გიფუჭდებათ, შინ შემოიტანეთო... როგორ შეიძლება შვილებს შიოდეთ და დედამ კერძი არ მოუმზადოს — დღეს უქმეაო ან ჭუჭყიანი სამოსი არ გამოუცვალოს...

სასურველია დილიდანვე მიბრძანდეთ ტაძარში და მონაწილეობა მიიღოთ წირვა-ლოცვაში. დღესასწაულისას საქმიანობა ღვთისმსახურების დროის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს... მერე კი, რაც აუცილებელია, აკეთეთ.

**— სოფელში ხშირად მოსავლის დათესვა-აღებასთან დაკავშირებულ საკითხებს მთვარის ფაზების მიხედვით წყვეტენ. ეს არაქრისტიანული ხომ არ არის?**

— ასეთ შეხედულებას ქრისტიანულ მრწამსთან კავშირი არა აქვს. იგი გლეხის სამეურნეო გამოცდილების შედეგია, რომელიც ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბდა ბუნების მოვლენებზე დაკვირვებით.

ეს დაკვირვებები, როგორც ჩანს, ხშირად უტყუარია... ასე რომ, თუ მოსავლის აღებასთან დაკავშირებით მეურნის გამოცდილებას გამოვიყენებთ, ამით არაფერი დაშავდება.

**— ვცხოვრობ ახალციხის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სადაც ბოლო დროს რამდენიმე მკითხავი გაჩნდა. როგორ ვებრძოლოთ მათ?**

— ნებისმიერ ცოდვასთან ბრძოლის ყველაზე უტყუარი ხერხი რწმენაა. თუ ადამიანს უფლის სჯერა, ბუნებრივია, ის მკითხავთან აღარ წავა. მან იცის, რომ ნებისმიერი განსაცდელის დროს ეკლესიაში სიარული და მხურვალე ლოცვა-ვედრება უშველის. საერთოდ კი, შეეცადეთ ყველას აუხსნათ, რომ არც ერთ მკითხავს წინასწარმეტყველების ნიჭს (თუ ასეთი მართლაც აქვს) უფალი არ აძლევს, იგი ბოროტი ძალისგან მიენიჭება. ყოველი ასეთი წინასწარმეტყველების აყოლა მავანთათვის შესაძლოა მძიმე ფსიქიკური შედეგით დამთავრდეს...

ნამდვილი წინასწარგანჭვრეტის უნარი მხოლოდ წმინდანებს და ღვთის რჩეულთ ენიჭებოდათ ლოცვა-ვედრების შემდეგ ღვთისავე ნებით... რაც უფრო მეტად ივლის თქვენი სოფელი ეკლესიაში, მით უფრო მეტად დასუსტდებიან მკითხავები...

**— გთხოვთ გვიპასუხოთ, ვის ეწოდება წმინდანთა შორის „მართალი“ და რამდენი ასეთი წმინდანი გვყავს ქართველებს.**

— წმინდანთა დასში „მართალთა“ შორის ის საერო მოღვაწენი შერაცხეს, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ღირსი და მოწამე მამების ღვაწლს უტოლდება. საქართველოს წმინდანთა შორის ოთხია „მართალთა“ წოდებით: ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე, იოანე, სტეფანე და ისაია ქართველები.

სამწუხაროდ, დრო-ჟამისგან მივიწყებულ მართალ მამათა შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მათ საქართველოს ეკლესია უკვე რამდენიმე საუკუნეა მოიხსენიებს. როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, იოანე, სტეფანე და ისაია ქართველები იერუსალიმში მოღვაწეობდნენ და ქრისტეს საფლავის საპატიო მცველებად ითვლებოდნენ.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „ერთმა მენატურემ თავისი 9 წლის გოგონა მომიყვანა“ (?!)

# „თუ პორნოგრაფიას „კანონიერად“ ავრცელებ, არ ისჯები“

**ინტერნეტში არასრულწლოვნები, ძირითადად, პორნოსაიტების დათვალიერებით ერთობიან. მათ არ იციან, რომ ძილის წინ ასეთი საიტების ნახვა მათ მამაკაცურ პოტენციას საფრთხეს უქმნის. ხომ ნახეთ, ჩემი კაბინეტის წინ რამდენი ახალგაზრდა მამაკაცი დგას რიგში. მათ სერიოზული პრობლემები აქვთ. სხვათა შორის, უმეტესობა ბავშვობაში სწორედ პორნოსაიტების ხშირი სტუმარი იყო.**

— **თქვენ ხართ ნინო?**

— დიახ, მე დაგირეკეთ.

— **კარგია, ტანადი და ლამაზი გოგო ყოფილხარ. ახლა პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. ჩემს საქმეში ასეთი „სტავკებია“ — თუ ბოლომდე გაიხდი, ერთ სეანსში 100 ლარს გადაგიხდი. ტანგითა და ბიკინით მხოლოდ 50 ლარს მიიღებ. ისე, რამდენი წლის ხარ, რაღაც მეეჭვება, სრულწლოვანი იყო, პასპორტი ან პირადობის მოწმობა გაქვს?**

— კი, როგორ არა, ახლახან შემისრულდა 23 წელი. აი, პირადობის მოწმობა ნახეთ.

— **ვაა, მართლაც 23 წლის ყოფილხარ, არადა, ბავშვს ჰგავხარ. ისე, შეიძლება შენ პორნოფოტოები როგორც ბავშვს, ისე გადაგიღო. ვინ რას გაიგებს, თან შენთვისაც კარგი იქნება, დამატებით გადაგიხდი. ოღონდ ცოტა უნდა წავიფანტაზიოროთ, ბავშვს უფრო დაგამსგავსოთ. მაგალითად, სკოლის მოსწავლის ფორმას ჩაგაცვამთ, კიკინებს გაგიკეთებთ... მერე ნახე, შენზე რა მოთხოვნილება იქნება...**

ეს საუბარი ამ რამდენიმე დღის წინ გაიმართა ჟურნალისტსა და პორნოფოტოგრაფს შორის. რა თქმა უნდა, ჟურნალისტმა ფოტოგრაფს თავი პორნოვარსკვლავობის მსურველად გააცნო. მართალია, ამ ბიზნესით დაკავებული ფოტოგრაფის პოვნა ძალიან გაგვიჭირდა, ისინი მარჯვედ ინილბებიან, მაგრამ ნაცნობი ფოტოკორესპონდენტების მეშვეობით მათთან დაკავშირება მაინც მოვახერხეთ. მეტიც, ჩვენ იმ ფოტოგრაფსაც მივაკვლიეთ, რომელიც ბეჭდურ მედიაში და ინტერნეტსაიტებზე ქართველი არასრულწლოვანი გოგონების ფოტოსურათებს ავრცელებს.

60-70-იან წლებში საქართველოს რკინიგზის სადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე ან უშუალოდ მატარებლით მგზავრობის დროს, ვაგონის დერეფანში, კუპედან კუპეში მუქსათვალიანი, ძირითადად, ყრუ-მუნჯი მოქალაქეები დადიოდნენ და მგზავრებს სტალინისა და სხვა ცნობილი მხედართმთავრების ფოტოებს სთავაზობდნენ. თუ სამხედრო პირებით მგზავრები არ დაინტერესდებოდნენ, მაშინ ცნობილი სპორტსმენების ან კინოვარსკვლავების ფოტოების ფართო ასორტიმენტს შესთავაზებდნენ. მძაფრი შეგრძნებების მოყვარულებისთვის კი პორნოგრაფიული ფოტოებიც ჰქონდათ. განსაკუთრებით ბანქოს ფურცლებზე დაბეჭდილ შიშველ ქალებზე იყო დიდი მოთხოვნილება. ცოდვა გამხელილი სჯობია და, ერთხელ, მოსწავლეობისას, ასეთი ბანქო მეც ვიყიდე. რამდენიმე დღეში დედაჩემმა იპოვა და მამაჩემს მოახსენა, რასაც ჩემი მამაპაპური მეთოდით „ჭკუაზე მოყვანა“ მოჰყვა. გავიდა ხანი. ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა და ის ბანქოს ქალალდებიც მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილმა პორნოფოტოებმა და პორნოსაიტებმა შეცვალა. ჩვენ დავინტერესდით, ვინ და როგორ უწყობს ხელს საქართველოში ამ ბიზნესის განვითარებას, რომელიც არასრულწლოვანთა გარყვნასა და მათი ფსიქიკისა და ჯანმრთელობის ხარჯზე მავანის გამდიდრებას ემსახურება.

ჩვენი პირველი რესპონდენტი სტაჟიანი ფოტოგრაფი მურმან ლ. აღმოჩნდა.

— პროფესიით ეკონომისტი ვარ, მაგრამ ერთი დღეც არ მიმუშავია ამ სპეციალობით. მოგეხსენებათ, ქართული პრესა პორნოგრაფიული ფოტოების დაბეჭდვას ერიდება, მაგრამ ბოლო დროს მაინც გამოჩნდა რამდენიმე პორნოგრაფიული მიმართულების ჟურნალი, დიდი მოთხოვნილებაა ქართულ პორნოსაიტებზეც...

— **როგორ პოულობ ასეთი ფოტოებისთვის გოგონებს?**

— თავად მოდიან ჩემთან — ზოგს ვარსკვლავობა უნდა, ზოგსაც ფული. უმეტესად რუსები არიან, ქართველები შედარებით ცოტა.

— **რამდენს უხდი სეანსში?**

— გოგოს გააჩნია, ზოგი ათი ლარიც არ ღირს, ზოგს კი ასზე მეტსაც ვაძლევ.

— **სად ავრცელებ ფოტოებს?**

— ხანდახან პორნოჟურნალებში. ძირითადად, კომპიუტერშიკები ყიდულობენ, პორნოსაიტები აქვთ გახსნილი და მაგარ ფულს შოულობენ.

— **მოზარდებს როგორ ითანხმებ გადაღებაზე?**

— ათასი უპატრონო ბავშვია... ბევრი სამ ლარზეც კი მადლობას გეტყვის, ოღონდ ფული მიეცი და ყველაფერს აკეთებენ. ზოგჯერ სავსებით ნორმალური ოჯახების შვილები მოდიან, ყოფილა შემთხვევაც, როცა გაჭირვებულ მშობელს თავად მოუყვანია შვილი.

— **სად გაქვთ გადაღებები?**

— შინ მიყვანას ვერიდები, ამიტომ ერთი საათით ვქირაობ ოთახს და იქ ვიღებ, ზოგჯერ ქალაქგარეთაც გამიყვანია ნატურა...

ამ ფოტოგრაფის მეშვეობით ერთ არასრულწლოვან მენატურე გოგონასაც გავესაუბრეთ (გასაგები მიზეზების გამო მის ვინაობას არ ვასახელებთ):

— დედა ორი წლის წინ თურქეთში წავიდა და მას შემდეგ მასზე არაფერი ვიცი. მართალია, დედაჩემმა ჩემი თავი მეზობელ მოხუც ქალს ჩააბარა, მაგრამ ის თვითონ მოსავლელია და მე რას მიპატრონებდა. სულ ქუჩაში ვარ, მეგობრებიც არ მაკლია და მათი ცხოვრებით ვცხოვრობ. რასაც ვშოულობთ, ერთად ვხარჯავთ.

— **როგორ შოულობთ ფულს?**

— ბიჭები იპარავენ, გოგოები კი ხან ვმათხოვრობთ, ხან პორნოფოტოებს ვიღებთ.

— **მერე არ გრცხვენიათ?**

— სამარცხვინო რა არის, უბრალოდ, სურათს ვიღებთ... ისე, რა თქვენი საქმეა, ჩვენ რას ვაკეთებთ. უცბად მამობა არ გამიწიოთ, თქვენისთანა „მამობილებიც“ გვინახავს. მეუბნები, დედიშობილა სურათის გადაღება რატომ არ გრცხვენიაო, იმათ რატომ არ რცხვენიათ, ჩვენზე რომ ნადირობენ?!

როგორც შევიტყვეთ, საქართველოში არასრულწლოვანთა პორნობიზნესის შესახებ ინფორმაცია დედაქალაქის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის თანამშრომლებსაც აქვთ.

**ეკა ებრალიძე:** — სამწუხაროდ, პორნოსაიტების პრობლემა კარგა ხანია არსებობს. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვეხსენებინა იგი საზოგადოებისთვის და ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ამიერიდან ჩვენ მათ საჭირო მასალებს მივაწვდით.

პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებობს პორნოსაიტები, რომლებსაც ადვილად ებმის ქართული საიტები. სპეციალური რეგისტრირებული საიტები არ არსებობს, მაგრამ მაინც იოლად პოულობენ გამოსავალს.

— **თუ გაქვთ ინფორმაცია გამავრცელებლებზე?**

— ვფიქრობთ, ამას ჰაკერები აკეთებენ. არიან ისეთებიც, სადღაც, სარდაფებში რომ სხედან და კომპიუტერით ავრცელებენ ფოტოებს. ისინი ჩვეულებრივი პროგრამისტები არიან, ან უბრალოდ კომპიუტერის კარგად მცოდნენი. ბავშვებს მოტყუებით ან შანტაჟით ითანხმებენ, ზოგჯერ კი ფულით აცდუნებენ.

— **ამის საწინააღმდეგო კანონი არ არსებობს?**

— ამგვარი ფოტოების გადაღება კანონით არ ისჯება, ამიტომ უზნეო ხალხი ხელს ითბობს. ადრე საქართველომ მიიღო კანონი ბავშვთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ, მაგრამ ის თითქოს არც არსებობს.

**თემურ ქავთარაძე,** სექსოლოგი: „თუ ამ კანონით ვიმსჯელებთ, დანაშაული მხოლოდ პორნოგრაფიის უკანონოდ გავრცელებაა. თუ რეგისტრირებული ხარ და ამ საქმიანობას კანონიერად ეწევი, ანუ პორნოგრაფიას „კანონიერად ავრცელებ“, მაშინ არ ისჯები.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

# „აქსისი“ — ხარისხისა და ნდობის გარანტი

ხარისხი, სიმყარე და ნდობა — ეს ის პრინციპებია, რომელთა წყალობითაც დეველოპერული კომპანია „აქსისი“ ქართულ სამშენებლო ბაზარზე ლიდერობს. რამდენიმე საცხოვრებელი კომპლექსი და ოფისცენტრი, ათასობით მომხმარებელი და ნოვატორული პროექტები — ეს კი „აქსისის“ უკვე განხორციელებული თუ სამომავლოდ დასახული მიზნებია...

რატომ ასოცირდება „აქსისის“ პროდუქცია ხარისხთან და რა სიახლეებს გვპირდება კომპანია, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**თეიმურაზ ჟოხონელიძე,** კომპანია „აქსისის“ დირექტორის მოადგილე:

— „აქსისი“ ახალგაზრდა კომპანიაა, იგი საქართველოს ბაზარზე არსებობის მხოლოდ 7 წელს ითვლის. დაარსებისთანავე კომპანიის მესვეურებმა აქცენტი პროდუქციის მაღალ ხარისხზე გააკეთეს. თუმცა, მაღალი ხარისხის ცნება არა მხოლოდ მდგრადობასა და სამშენებლო მასალების ხარისხთან ასოცირდება. ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ესთეტიკური მხარე. ის, რასაც ვქმნით, თბილისელებსა თუ ჩვენი დედაქალაქის სტუმრებში დადებით ემოციებს უნდა იწვევდეს. ჩვენი შენობები არქიტექტურული თვალსაზრისით უნდა გამოირჩეოდნენ და ქალაქს უნდა ამშვენებდნენ. ამავე დროს უნდა შევთავაზოთ მომხმარებელს თანამედროვე ტექნოლოგიები და ახალი მომსახურება.

— ***სადღეისოდ, რა მიაჩნია კომპანიას ყველაზე წარმატებულ პროექტად?***

— ყველა სამშენებლო პროექტი, რომლებიც „აქსისმა“ განახორციელა, ჩვენი აზრით, წარმატებული აღმოჩნდა. ყველა შენობა-ნაგებობა შვილივით გვიყვარს, განსაკუთრებით კი სახლი პეტრიაშვილის ქუჩაზე, სადაც „აქსისმა“ დიდი ყურადღება დაუთმო შენობის ვიზუალურ მხარეს. სახლი ქვითაა მოპირკეთებული, დატანებული აქვს ვიტრაჟები. მისი მშენებლობისას საკმაოდ ძვირად ღირებული მასალები გამოვიყენეთ. კომპანიის წარმატების წინა პირობა ისიც არის, რომ აქ პროფესიონალთა გუნდი მუშაობს, ხარისხს ხომ ადამიანები ქმნიან. ამ მიმართულებით „აქსისმა“ ბევრი იმუშავა — ძველი თაობის პროფესიონალების გამოცდილებამ და ახალგაზრდების ნოვატორულმა იდეებმა შესანიშნავი ნაზავი მოგვცა. ვფიქრობთ, „აქსისს“ კიდევ მეტ წარმატებას მოუტანს ის პროექტები, რომლებიც საზოგადოებაში „აქსის-პალასის“ სახელითაა ცნობილი. საბურთალოსა და ბახტრიონის ქუჩებს შორის, ერთმანეთისგან დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით, ორი კომპლექსი აშენდება. მათ უკვე სახელებიც მოეძებნათ „აქსის-პალას 1“ და „აქსის-პალას 2“. ეს იქნება ორი, იდენტური ტიპის კომპლექსი.

— ***უკანასკნელ წლებში, ფაქტობრივად, არ არსებობდა კონტროლი მშენებლობის ხარისხზე, თითქმის აღარავინ ხელმძღვანელობდა საბჭოთა სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით, თუმცა არც ალტერნატივა არსებობდა. როგორ მოახერხეთ ასეთ პირობებში მაღალი ხარისხის ნიშნის შენარჩუნება?***

— დაარსების დღიდანვე კომპანიის ხელმძღვანელობამ დაისახა საქმიანობის გრძელვადიანი მიზანი, რომელიც იმთავითვე უარყოფდა იაფფასიანი ეფექტებით მოხვეჭილ სახელს. კომპანიის მიზანი იყო, რაც შეიძლება მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნით უძრავი ქონების ბაზარზე დამკვიდრება. მეტიც, კომპანიას უფრო შორს მიმავალი გეგმები აქვს — გვსურს, ქართული სამშენებლო ბიზნესი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გავიტანოთ. გეთანხმებით, რომ უკანასკნელ წლებში შესუსტებული იყო სახელმწიფო კონტროლი სამშენებლო პროცესებზე, სამშენებლო პროექტების რეალიზება განგებ ჭიანურდებოდა და ფერხდებოდა. მაგრამ არა მკაცრი კონტროლის გამო... მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია ბიზნესის ამ სექტორში მკაცრი სახელმწიფო კონტროლის დაწესება. ეს პროცესები დაიწყო და ჩვენ ამას მივესალმებით. ჩვენც ხომ ამ ქალაქში ვცხოვრობთ და ისევე, როგორც ყველა თბილისელს, გვინდა, რომ ჩვენი დედაქალაქი ლამაზი და მშვენიერი იყოს, სახლები კი კომფორტული და ხარისხიანად აშენებული.

— ***მსმენია, რომ მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად „აქსისმა“ საკუთარი ბეტონმწარმოებელი ქარხანა ააშენა. ასე არ არის?***

— სამწუხაროდ, საქართველოს ბაზარი ყოველთვის არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალები შეგვეძინა. ამიტომ გადავწყვიტეთ, თავად გვეწარმოებინა ის მასალები, რომლებიც მშენებლობისას მნიშვნელოვანწილად ხარისხის განმსაზღვრელია. ამის მაგალითი გახლავთ „აქსისის“ ბეტონის ქარხანა, რომელიც კომპანიას ემსახურება და სადაც დაწესებულია საკმაოდ მკაცრი შიდა და გარე კონტროლი.

კომპანია „აქსისი“ ასევე თავად აწარმოებს მაღალი ხარისხის ალუმინის კარ-ფანჯრებს. ქართული წარმოების სამშენებლო მასალების გარდა, ვიყენებთ უცხოურ პროდუქციასაც (მაგალითად, არმატურას), რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს სრულად შეესაბამება. და მიუხედავად ამისა, თავს ადგილობრივი კონტროლითაც ვიზღვევთ.

— ***თუ შეგიძლიათ, შედარებისთვის, პარალელი გაავლოთ თქვენ მიერ განხორციელებულ და მსოფლიოს წამყვანი სამშენებლო კომპანიების პროექტებს შორის?***

— ტრაბახად ნუ ჩამითვლით, მაგრამ, ვფიქრობთ, მოკლე ხანში ასეთ პარალელებს აუცილებლად გავავლებთ. ჯერჯერობით კი გეტყვით, რომ არქიტექტურული და სამშენებლო ხარისხის თვალსაზრისით ევროპის წამყვან ქვეყნებში არსებულ ნორმებსა და კრიტერიუმებს ვიცავთ. ჩვენს კომპანიაში მუშაობენ საუკეთესო სპეციალისტები, მათ შორის უცხოელი გამოცდილი ტექნოლოგი, რომელიც ჩართულია ხარისხის კონტროლის სისტემაში. გარდა ამისა, ჩვენი სპეციალისტები სისტემატურად ეცნობიან საერთაშორისო გამოცდილებას მშენებლობის სფეროში. ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება ის ტექნოლოგიებიც, რომლებსაც ვიყენებთ.

— ***როგორ ფიქრობთ, ხარისხზე აქცენტირება რამდენად გაახანგრძლივებს შენობა-ნაგებობების „სიცოცხლისუნარიანობას?“***

— შენობის გამძლეობა დამოკიდებულია როგორც სამშენებლო მასალების ხარისხზე, ასევე თავად მშენებლობის ხარისხზე. შეიძლება იყენებდეთ მაღალხარისხოვან მასალებს, მაგრამ შესრულება იყოს უხარისხო. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია თავად სამშენებლო პროცესის ხარისხის კონტროლი. „აქსისში“ მშენებლობის პროცესში ჩართული არიან სხვადასხვა სპეციალისტები: ინჟინრები, გეოდეზისტები, ხორციელდება არქიტექტურული ზედამხედველობა, გვაქვს ულტრათანამედროვე საზომ-საკონტროლო აპარატურა, შექმნილია კონტროლის ჯგუფი. ძალზე მნიშვნელოვანია ზუსტი კონსტრუქციული გათვლები, რასაც მაღალკვალიფიციური კადრები აწარმოებენ. ყველა პროექტი გადის სახელმწიფო ექსპერტიზას. ყოველივე ეს კი გვაძლევს იმის გარანტიას, რომ „აქსისის“ შენობა იქნება მყარი და გამძლე. გვეამაყება, რომ ჩვენი კომპანიის მიერ აშენებულ შენობა-ნაგებობებს მცირეოდენი ზიანიც კი ვერ მიაყენეს უკანასკნელ წლებში თბილისში მომხდარმა მიწისძვრებმა. ღმერთმა ქნას, ასეთი კატაკლიზმები აღარ განმეორდეს, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც კი ჩვენს მობინადრეთ შეგვეძლია სიმშვიდის სრული გარანტია მივცეთ.

— ***ცოტა ხნის წინ სამშენებლო-საპროექტო კომპანია „აქსისი“ საზოგადოებას დეველოპერულ კომპანიად გაეცნო...***

— „აქსისი“ დეველოპერულ კომპანიად თავისი მიზნებიდან, თავისი მისიიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა. სწორედ ამ მისიას ემსახურება ჩვენი კომპანიის ახალი პროექტი „აქსის-პალასი“ და ცათამბჯენების პროექტი, სადაც ოფისცენტრი განთავსდება. ჩვენი, როგორც დეველოპერული კომპანიის ამოცანაა, ახალი სიტყვა ვთქვათ სამშენებლო ბაზარზე. დეველოპერი ზუსტად უნდა გრძნობდეს დროს და, შესაბამისად, განსაზღვრავდეს, როდის, სად და რა უნდა გააკეთოს, შექმნას.

— ***რა სიახლეები შემოგაქვთ სამშენებლო ტექნოლოგიების თვალსაზრისით?***

— წინასწარი სამუშაოების ხანგრძლივი პროცესი უკვე გავიარეთ. რაც შეეხება ოფის-ცენტრს (ცათამბჯენები აქსის-ტაუერი), ამ შემთხვევაში მისალები გვექნება საკმაოდ სერიოზული ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, მნიშვნელოვანია პროექტის საინჟინრო ნაწილი. კონსულტაციები გავიარეთ უცხოელ კოლეგებთან და მშენებლობის პროცესში მათთან თანამშრომლობა მოგვიწევს, რადგან ასეთი ტიპის მშენებლობის გამოცდილება საქართველოში, პრაქტიკულად, არ არსებობს, თუმცა ჩვენი სპეციალისტები თეორიულად იცნობენ ასეთ ტექნოლოგიებს. ასევე „აქსის-პალასი“ მართალია ცათამბჯენები არა, მაგრამ საკმაოდ მაღალი და რთული შენობები იქნება. აქ თავს მოიყრის უამრავი ტექნოლოგიური სიახლე, როგორც მშენებლობის პროცესთან, აგრეთვე შენობის ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული. მაგ. შენობის ფასადის ზოგიერთი ნაწილი დახრილი იქნება და ეს სერიოზულ კონსტრუქციულ და საინჟინრო გადაწყვეტილებებს მოითხოვს. ამ შენობაში ყველაფერი თანამედროვე იქნება: ლიფტები, გათბობის და დაცვის სისტემები და რაც სიახლეა, ახალი სასტუმრო ტიპის მომსახურება და სხვა.

— ***რა სიმაღლის იქნება აქსის-ტაუერი?***

— 110 მეტრის სიმაღლისა და სავარაუდოდ 32 სართულით.

— ***ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართველი მომხმარებელი თავიდან სიფრთხილით მოეკიდება ამ სიახლეს?***

— ჩვენი თანამემამულეები ბევრს მოგზაურობენ უცხოეთში და კარგად იციან, რომ ამჟამად სართულების სიმრავლე უჩვეულო და პრობლემატური სულაც არ არის. ცივილიზებულ ქვეყნებში მაღალ სართულებზე ცხოვრება გაცილებით პრესტიჟულია, რადგან უფრო სუფთაა ჰაერი, უკეთესი ხედი იშლება და ხმაურიც ნაკლებად გაწუხებს.

„აქსისში“ ახლახან ფასების დიფერენცირებაც მოხდა — გავაძვირეთ ბინები მაღალ სართულებზე და ამის მიუხედავად, მოთხოვნა კვლავ მაღალია. ვიმეორებ, მთავარია ხარისხი, სიმყარე და ნდობა. ნიუ-იორკში ჩასულ ქართველებს ხომ არ ეშინიათ „ემპაირსტეიტ ბილდინგზე“ ასვლა და იქიდან გადმოხედვა. ეს გასაგებიცაა, რადგან იქ ნდობის ფაქტორი სამშენებლო კომპანიების მიმართ საკმაოდ მაღალია. მანამდეც ვახსენე, რომ მხოლოდ მასალები და ტექნოლოგიები არ განსაზღვრავენ ყველაფერს, შენობებს ხომ ადამიანები ქმნიან. ამიტომ ვქმნით საკუთარ სამშენებლო ბრიგადებს, ვახორციელებთ სტრუქტურულ ცვლილებებს, ვაუმჯობესებთ მენეჯმენტს, ვზრუნავთ თანამშრომელთა მოტივაციაზე. ყველა ამ პროცესის ლოგიკური დასასრული კი კომპანიის მართვის გაუმჯობესება იქნება.

მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც მხარში გვიდგას, მათ შორის, ჟურნალისტებს, ჩვენს მომხმარებლებსა და ყველას, ვინც ხელს უწყობს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

*ემა ტუხაშვილი*

R

# საქართველოს პრეზიდენტი რუსეთს აფრთხილებს

## THE INDEPENDENT

მიხეილ სააკაშვილი ძალ-ღონეს არ იშურებს იმ კონფლიქტების შესაჩერებლად, რომლებიც შეიძლება რუსეთთან დაპირისპირების საბაბი შეიქნეს. დიდ ბრიტანეთს იმედი აქვს, რომ საქართველოს პრეზიდენტი ქვეყანაში სტაბილურობას აღადგენს და ამიტომაც ემხრობა მის მცდელობას, შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა.

მაგრამ ზოგიერთ ანალიტიკოსს ეშინია, პრეზიდენტს აგრესიულობა არ დასჩემდეს და ამან უფრო არ გააღიზიანოს პრორუსული რეგიონები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

ავის ნიშანი იყო სააკაშვილის მიერ მოსკოვის გაფრთხილება — თუ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი იფეთქებს, ეს საქართველოსა და რუსეთის კონფლიქტი იქნება.

სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 80%-ს რუსული პასპორტი აქვს. საქართველოს პრეზიდენტის მცდელობამ, კონტროლი აღედგინა რესპუბლიკაზე, რომელიც სსრკ-ის დაშლის შემდეგ ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა, გაამწვავა მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობა. ბოლო ხანს სააკაშვილმა ცოტათი შეარბილა ტონი და მის ოფისთან შეკრებილ 300 ოსს განუცხადა: — გადაეცით თქვენს ახლობლებს, რომ ყველაფერს ვიღონებთ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

მიხეილ სააკაშვილმა უკვე მოიპოვა ერთი ქულა აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის განდევნებით, მაგრამ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შეიძლება ნაკლებად დამყოლი აღმოჩნდნენ და მაშინ სააკაშვილს ნამდვილად მოუწევს პირობის შესრულება — კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბილ რამელი თბილისს ეწვია, რათა საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად განეხილა, რით შეუძლია დაეხმაროს მისი მთავრობა საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში, კორუფციასთან ბრძოლასა და სამართლიანი რეფორმების გატარებაში. ლონდონი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მოთხოვნას, გუდაუთიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის თაობაზე.



საქართველოს სტაბილურობა ძალზე მნიშვნელოვანია დასავლეთის სახელმწიფოებისთვის, რომელთაც კავკასიაში ახალ „დიდ თამაშზე“ რუსეთთან ეკონომიკური ფსონი დადეს — ეს არის ნავთობსადენის მშენებლობა კასპიის ზღვიდან თბილისის გავლით — თურქეთამდე.

საქართველო რეგიონის სატრანსპორტო ცენტრია, რომელსაც დასავლეთის ენერგეტიკული მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლია, თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ერაყში არეულობაა, ხოლო საუდის არაბეთს ისლამისტი ტერორისტები ემუქრებიან.

„ჩვენ არ ვაპირებთ საქართველოში ამერიკის ალტერნატივად ყოფნას, მაგრამ ამ ქვეყნის სტაბილურობა დიდი ბრიტანეთის ეროვნულ ინტერესებში შედის“, — განაცხადა რამელმა.

# ევროპა საქართველოს სომხეთის კურატორად ნიშნავს?!

## PanARMENIAN Network

ლიტვაში სომხეთის პრემიერ-მინისტრის ანდრანიკ მარგარიანის ვიზიტმა ცხადყო, რომ "დროა, სომხეთმა ქართული „ვარდების რევოლუციის“ შედეგები იგრძნოს. სომეხ პრემიერს ოფიციალურად განუცხადეს, — ევროკავშირთან და დასავლეთთან საქმის მოსაგვარებლად თქვენს ახლო მეზობელს — საქართველოს მიმართეთო. პრემიერმა სასტიკად უარყო ეს წინადადება, მაგრამ აშკარაა, სომხეთს დასავლეთზე ზემოქმედება ნაკლებად შეუძლია და თუ დასავლეთმა სომხეთის კურატორად საქართველოს დანიშვნა გადაწყვიტა, ამას ვერავინ გადაათქმევინებს.

სომხურ-ქართული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარემ არტურ ბაღდასარიანმა ერევანში სომხური წარმოშობის საქართველოს პარლამენტის დეპუტატები მიიწვია.

გთავაზობთ ინტერვიუს **ვან ბაიბურთთან:**

— საქართველოში დღეს კანონი მოქმედებს და იქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობაც დაცულია. რევოლუციის შემდეგ ყველა სფეროში წინსვლა იგრძნობა. ჩვენი ახალგაზრდა ხელმძღვანელობის მენტალიტეტი უწინდელისაგან სრულიად განსხვავდება, რაც აშკარად ჩანს.

*— თქვენ, როგორც საქართველოს მოქალაქეს, არ შეურაცხყოფთ გავრცელებული აზრი — საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ის დანიშნულიაო?*

— რუსეთის დანიშნული რომ იყოს, კარგი იქნებოდა, ამერიკის კი ცუდია? ვფიქრობ, რომ ორი უბედურებიდან ნაკლები უნდა აირჩიო, ხოლო ქვეყნის მაშენებელმა დახმარების მოსურნეს უარი არ უნდა უთხრა, სხვათა შორის, საქართველოს რუსეთის დახმარებაზე უარი არასოდეს უთქვამს, რუსეთმა კი საქართველოს დასჯა მოინდომა — დამოუკიდებლობა რატომ გინდაო. მაგრამ თუ ჯერ ერთი ბინა წაგართვეს, მერე მეორე — ლაპარაკია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე — და შემდეგ გეუბნებიან, გინდა არ გინდა, ვიმეგობროთო, ამის გაკეთება ძალიან ძნელია...

*— საქართველოს პრეზიდენტზე ამბობენ, ექსცენტრიკული კაცია, ქალებს გულგრილად ვერ უყურებსო...*

— სააკაშვილი რაფინირებული ინტელიგენტია. მას რომ 10 წელი ჯუნგლებში გაეტარებინა, მერე პირდაპირ პრეზიდენტი გამხდარიყო და პირველად ენახა მოკლეკაბიანი ქალი — კიდევ ჰო, მაგრამ მიშა სააკაშვილს ეს პრობლემა არა აქვს — ის გალანტური კავალერია. თუ პოლიტიკოსი მამაკაცი ლამაზ ქალს თვალს არ გააყოლებს, ცუდადაა მისი საქმე — ასეთი ხელმძღვანელი ძალიან საშიშია.

*— საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა — ჯავახეთი გამოკვებავს ქართულ არმიასო. როგორ, რუსეთის ბაზების გაყვანა ჯავახეთის სოციალურ მდგომარეობას აღარ ემუქრება?*

— სააკაშვილმა ასე თქვა და გარწმუნებთ, რომ ქართული ჯარების მომმარაგებელი ჯავახეთი იქნება. მისი ნათქვამს უნდობლად ნუ მოეკიდებით მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკელების მხარე უჭირავს და თქვენ კი რუსებისა. დღეს რუსები პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ საქართველოს და არ იკადრებენ, რფ-ის სახელმწიფო დუმის ვიცესპიკერის, ლუბოვ სლისკას მსგავსად, მას გუბერნიასავით ელაპარაკონ. რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებას ელაპარაკება, როგორც თანასწორს.

*— რა უნდა გააკეთოს სომხეთმა, რომ მასაც ასე შეხედონ?*

— სომხეთს ზურგს უკან ორიოდე სახელმწიფო რომ ედგას, სხვაგვარად ექნებოდა საქმე.

*— სომხეთს დემოკრატიის სფეროში თუ შეუძლია რაიმე ისწავლოს საქართველოსგან?*

— ალბათ შეუძლია, ისევე, როგორც საქართველომ შეიძლება ისწავლოს სომხეთისგან მეურნეობის მართვა.

# „მალე აბაშიძე მოენატრებათ...“

**ინტერვიუ აჭარის ყოფილ შს მინისტრ ჯემალ გოგიტიძესთან, რომელიც ამჟამად ასლან აბაშიძის მსგავსად, მოსკოვში ცხოვრობს:**

## REGNUM

— სააკაშვილი და მისი გუნდი შევარდნაძემ მოიყვანა ხელისუფლებაში, მათ კარგად დამუშავებული სცენარი განახორციელეს... აშშ-მა კი ისარგებლა ოპოზიციონერთა ხელისუფლებაში მისვლით. ვფიქრობ, ყველაფერ ამას ხელს უწყობდა ზოგიერთი რუსი ჩინოსანი. ალბათ მათ საკუთარი მიზნები ჰქონდათ...

*— რა მსგავსებაა აჭარაში მომხდარ მოვლენებსა და იმას შორის, რასაც ახლა საქართველო ახორციელებს სამხრეთ ოსეთის მიმართ?*

— სამხრეთ ოსეთსა და აჭარას შორის დიდი განსხვავებაა. ცხადია, სამხრეთ ოსეთშიც არიან ადამიანები, რომლებიც გარკვეულ საკითხებში არ ეთანხმებიან ხელმძღვანელებს, მაგრამ ოსები ავტომატით ხელში დგანან ოსეთის სადარაჯოზე... აჭარაში კი ხელიდან გავუშვით მომენტი, როცა საკუთარ ხალხთან გარკვეული პოლიტიკის გატარება იყო საჭირო. ეს დიდი შეცდომა იყო. მაშინ, 5 მაისს, ბათუმში საქართველოს ყოველი კუთხიდან იყვნენ ჩამოსულები. ადგილობრივი მოსახლეობა იქ არ იყო. ხალხი არ გამოვიდა თავისი ლიდერის დასაცავად, რომლისგანაც, სხვათა შორის, ძალიან დავალებული იყვნენ. მოვა დრო და აბაშიძის მმართველობის პერიოდი ოქროს ასოებით ჩაიწერება აჭარის ისტორიაში.

*— აჭარაში ხომ არ შეიმჩნევა თურქეთთან ინტეგრაციის ტენდენცია?*

— აბაშიძის მმართველობის დროს თურქებს აჭარაში არც ერთი ობიექტი არ შეუსყიდიათ, თუმცა მთელ საქართველოში ყველაფერს ყიდულობენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, უპირველესად, ეროვნულ ინტერესებს ვიცავდით. მგონი, მთელ საქართველოს უფრო ლოიალური განწყობა აქვს თურქეთისადმი, ვიდრე აჭარას. აჭარაში მუსლიმანები ცხოვრობენ, მაგრამ ისინი თათრები არ არიან, როგორც მათ ეძახიან. ისიც ტყუილია, რასაც აჭარაზე ჭორაობენ — თურქეთის შემადგენლობაში უნდა შესვლაო... თურქეთს სრულიად საქართველო უფრო მიუერთდება, ვიდრე აჭარა!

*— რას აკეთებთ ამჟამად, ასლან აბაშიძეს თუ ნახულობთ?*

— ახლა არსად არ ვმუშაობ. მაგრამ ვმონაწილეობ გადაცემებში, ვწერ სტატიებს, ვიგონებ საქართველოს და აუცილებლად დავბრუნდები შინ. იმ დღიდან, რაც ასლანმა აჭარა დატოვა, არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ კარგად არის.

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***


AMERICAN COUNCILS
FOR INTERNATIONAL EDUCATION
ACTR • ACCELS

ამერიკული საბჭოები აცხადებს
- ლექტორთა გაცვლით პროგრამას -
2005-2006 აკადემიური წლისათვის

ეს პროგრამა გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებელთა ლექტორთათვის მათი კარიერის საწყის ეტაპზე. ხუთთვიანი პროგრამა გათვლილია სასწავლო პროგრამის განვითარებისათვის, პედაგოგიური თვისებების შეძენისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და ჰუმანიტარულ სფეროებში.

კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ორწლიანი გამოცდილება და ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე. კანდიდატებს უნდა შეეძლოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრება 2006 წლის იანვრიდან მაისის ბოლომდე.

ანკეტები შეგიძლიათ მიიღოთ საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების ოფისში. ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 19 აგვისტო, 2005 წ.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ
შემდეგ მისამართზე:
არაყიშვილის ქ. 2, ბინა 4.
თბილისი, 0179
ტელ.: 29-17-62 / 29-21-06 / 93-28-99


## ცხადდება კონკურსი ქალაქ თბილისის მერიასა და საკრებულოში არსებულ თანამდებობებზე

*ქალაქ თბილისის მერიასა და საკრებულოში ცხადდება კონკურსი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე.*

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება 18 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: სააქციო საზოგადოება „გამოფენების ცენტრი ექსპო ჯორჯია“, მე-11 პავილიონი, აკაკი წერეთლის №118.

*კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:*

1. წერილობითი განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
2. ავტობიოგრაფია დადგენილი ფორმის შესაბამისად;
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა და მისი ასლი;
4. შრომის წიგნაკი და მისი ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. ორი ფოტოსურათი 3X4;
6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი.

არსებული ვაკანსიების ჩამონათვალი, კონკურსის თემატიკა და პროგრამა, ასევე სხვა დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოითხოვოთ აკაკი წერეთლის №118-ში მდებარე მე-11 პავილიონში განლაგებულ საინფორმაციო ბიუროში ან ვებ-გვერდზე www.Tbilisi.gov.ge

კონკურსთან დაკავშირებით თქვენს კითხვებს 24 საათის განმავლობაში უპასუხებს ქალაქ თბილისის მერიისა და საკრებულოს ცხელი ხაზი 994 (111); 933 838; 933 839

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვწერენ

3 წლის **მერაბი** მამამ ცირკში წაიყვანა. შინ რომ დაბრუნდნენ, აღტაცებულ ბავშვს ბებომ ჰკითხა, — ცირკში ყველაზე მეტად რა მოგეწონაო? მერაბმა უპასუხა:

— იცი, ბებო, ყველაზე მეტად ლილიპუტები მომეწონა, მე რომ გავიზრდები, აუცილებლად ლილიპუტი გამოვალ!..

***

5 წლის **სალომე კრიალაშვილს** ბებომ ნაყინი არ უყიდა, — ყელი გტკივაო. ამ დროს პაპამისი მოვიდა. ქუჩაში კი ბოთლების შემსყიდველის ხმა ისმოდა:

— ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს!

თვალცრემლიანმა სალომემ პაპას ხვეწნა დაუწყო:

— პაპიკო, გეხვეწები, ბებო ბოთლებში ჩავაბაროთ, რა!..

***

2 წლის **ლუკა** მამას ეკითხება:

— როგორ არის ძაღლი რუსულად?

— „საბაკა“, — უპასუხა მამამ.

— როგორ, საბა ძაღლია? — უკვირს ლუკას.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„უცნაური ცხოველია, მუდამ ყურებდაცქვეტილი, მას მუცელზე ჩანთაში ჰყავს პაწაწინა თავის შვილი“.**

I



II ანა, გამოცანა

**1. ჩამოთვლილთაგან რომელ ცხოველს სძინავს მთელი ზამთრის განმავლობაში:**

ა) მელას; ბ) დათვს; გ) ძაღლს; დ) თაგვს.

**2. დედამიწაზე რომელი ზღვაა ყველაზე თბილი?**

ა) შავი ზღვა; ბ) კასპიის ზღვა; გ) ყვითელი ზღვა; დ) მარმარილოს ზღვა.

**3. ვის საფლავზე წერია შემდეგი სიტყვები: „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან!“**

ა) ცოტნე დადიანის; ბ) შოთა რუსთაველის; გ) დემეტრე თავდადებულის; დ) დავით აღმაშენებლის.

**4. რომელია ზედმეტი?**

ა) სიტყვაძუნწი; ბ) ჭორიკანა; გ) მჭევრმეტყველი; დ) ენამჭევრი.

## იპოვე 10 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაშუკა ხუციშვილმა.

III

განალაგე თეფშზე ბუტერბროდები დომინოს თამაშის პრინციპით, გაამახვილე ყურადღება ყველზე არსებულ ნახვრეტებზე



### ზღაპარი

## ესეც მეგობრობაა?!

მგელი და დათვი დამეგობრდნენ. პირობა დადეს, ტყეში სანადიროდ მუდამ ერთად ევლოთ და ნანადირევი თანაბრად გაენაწილებინათ.

ერთხელ მთელი დღე დახეტიალობდნენ ტყეში, ვერაფერი ინადირეს, შიმშილისგან ორივეს კუჭი უხმებოდათ.

— მოდი, სანადიროდ სხვადასხვა გზით წავიდეთ, ვინც პირველად დაბრუნდება, აი, ამ ხესთან დაიცადოს. მე თუ დაგასწარი მოსვლა, დაგიცდი, თუ — შენ, შენ დაიცადე, — უთხრა მგელმა დათვს.

— კარგი, ეგრე იყოს, — დაეთანხმა დათვი.

ორივენი, მართლაც სხვადასხვა გზით გაემართნენ.

დათვმა იარა, იარა, ტყის არც ერთი კუნჭული არ დატოვა შეუთვალიერებელი, მაგრამ მაინც ვერაფერს წააწყდა. ბოლოს, გაწბილებული, უკან რომ ბრუნდებოდა, გზაში მკვდარი ტურა იპოვა. დათვს შიმშილისგან თავბრუ ეხვეოდა და ნახევარი შეჭამა, ნახევარი კი მეგობრისთვის შემოინახა. იფიქრა: ვინ იცის, იქნებ მგელმა სულ ვერაფერი იშოვა და ამით ცოტათი მაინც მოიკლავს შიმშილსო.

მგელი ჯერ ხევში ჩავიდა, მერე იქიდან ფერდობი აიარა და ტყის პირას ფრთამოტეხილ ქორს წააწყდა, დაიჭირა და უცებ შესანსლა. რომ გამოძღა, მერე ხის ძირას წამოწვა და მალე ხვრინვა ამოუშვა.

დათვი ზის, წინ ნახევარი ტურა უდევს და მეგობრის გამოჩენას ელოდება. ამ დროს ხეზე ყვავი ჩამოჯდა და ხმამაღლა დაიჩხავლა.

— გამარჯობა, ყვანჩალა, ჩემი მეგობარი, მგელი ხომ არსად გინახავს? — ასძახა დათვმა ყვავს.

— როგორ არა, ხევის ზემოთ, ტყის პირას, ქორი დაიჭირა, არხეინად მიირთვა, ახლა ხის ძირას წამოწოლილა და სძინავს! — გადმოსძახა ყვავმა.

დათვს ბრაზი მოერია, მე აქ მთელი დღე მშიერი ველოდები, მისთვის გადანახული ულუფისთვის ხელი არ მიხლია, ის კი მაგრად გამომძღარა და ისვენებსო... გაბრაზებულმა დარჩენილი ნახევარი ტურაც შეჭამა.

ყვავი რომ გაფრინდა, ცოტა ხნის შემდეგ მგელიც მოძუნძულდა.

— ვერაფერი ინადირე? — ჰკითხა განგებ დათვმა მგელს.

— ვერაფერი, შიმშილით დაოსებულმა აქამდე ძლივს მოვაღწიე, — უპასუხა მგელმა.

— მე მკვდარი ტურა ვიპოვე, ნახევარი შევჭამე, ნახევარი კი შენთვის შემოვინახე.

— მერე სად არის ჩემი წილი? — ისე იკითხა მგელმა, თითქოს მთელი კვირა არაფერი უჭამიაო.

— კარგა ხანს ვინახე, ვინახე, მაგრამ ბოლოს გავიგე, ქორის ხორცით გამომძღარხარ და ისევ მე შევჭამე, — უთხრა დათვმა.

— ესაა მეგობრობა?! — ვითომ წყენით ჩაილაპარაკა მგელმა.

იმ დღის შემდეგ დათვს ახლოს აღარ გაეკარებია.



„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 55-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე — ⊕ და სია აჩვენეთ მშობლებს:

1. ◯ მელია და მწყერჩიტა
2. ◯ ქალთევზა
3. ◯ ნაცარქექია
4. ◯ მძინარე მზეთუნახავი
5. ◯ კომბლე
6. ◯ ირმისა
7. ◯ ჩიპოლინო
8. ◯ წითელქუდა
9. ◯ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ◯ ხუთკუნჭულა
11. ◯ მაკნაზუნა
12. ◯ თოვლის დედოფალი
13. ◯ ბრემენელი მუსიკოსები
14. ◯ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ◯ სამი ბოჩი
16. ◯ თორმეტი თვე
17. ◯ სიზმარა
18. ◯ მაუგლი
19. ◯ ჩექმებიანი კატა
20. ◯ მგელი და შვიდი თიკანი
21. ◯ ნამცეცა
22. ◯ ნახევარქათამა
23. ◯ სამი ფორთოხალი
24. ◯ გოგონა და ურჩხული
25. ◯ წიქარა
26. ◯ ალადინი
27. ◯ ღორების მწყემსი
28. ◯ მძლეთამძლე
29. ◯ ქოჩორა რიკე
30. ◯ უფლისწული ბაყაყი
31. ◯ ბულბული
32. ◯ რიკი-ტიკი-ტავი
33. ◯ კონკია
34. ◯ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ◯ კატა, მამალი და მელა
36. ◯ ცეროდენა
37. ◯ გაუცინარი პრინცესა
38. ◯ ველური გედები
39. ◯ გაქვავებული სამეფო
40. ◯ გოგონა და სამი დათვი
41. ◯ წითელი ფეხსაცმელები
42. ◯ მოჯადოებული კატა
43. ◯ მეჩონგურე
44. ◯ თხისყურებიანი მეფე
45. ◯ ბურატინოს თავგადასავალი
46. ◯ ლომი და კურდღელი
47. ◯ მოჯადოებული ტყე
48. ◯ არჩილას ამბავი
49. ◯ ჯიუტი სილუკა
50. ◯ შრომის ფასი
51 ◯ ვარსკვლავტიჭუნა
52. ◯ გენერალი ფანტა-გირო
53 ◯ კოკროჭინა
54 ◯ სამი და
55 ◯ ზარმაცი მზეთუნახავი
56 ◯ ასფურცელა

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში



გასართობი ჟურნალი

7

შემეცნებით-გასართობი ჟურნალი პატარებისთვის

# „12 მოციქული“ ჩამოინგრა



სამხრეთ ავსტრალიაში დაინგრა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბუნებრივი ქანდაკება ე.წ. „12 მოციქული“. ნაციონალურ პარკ „ვიქტორიაში“ ტურისტების თვალწინ ჩამოიშალა 45-მეტრიანი კლდე, რომელიც წყლიდან ამოზიდულ ამ უნიკალურ ანსამბლში შედიოდა. მის ადგილზე 10-მეტრიანი ნამსხვრევების მთა გაჩნდა. ნგრევის მიზეზი ბუნებრივი ეროზია გახდა. ამავე მიზეზით 1990 წელს მეორე კლდის ნაწილი ჩამოინგრა.

„12 მოციქული“ სამხრეთ ავსტრალიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა იყო.

*ნიუს რუ*

# გერმანიაში ხალიჩები ალაპარაკდნენ

გერმანელმა სწავლულებმა შექმნეს უნივერსალური ხალიჩა, რომელსაც შეუძლია მტვერსასრუტთან... ლაპარაკი. ჭკვიანი ხალიჩა მტვრის შემგროვებელ მანქანას გადასცემს სიგნალს, თუ სად უნდა აიღოს მტვერი. ახლა დიასახლისებს შეუძლიათ სახლის დალაგებით თავი აღარ შეიწუხონ. ამისთვის საკმარისია ჩართონ მხოლოდ მტვერსასრუტი და ისიც, გონიერი ხალიჩის ხელმძღვანელობით, რაც საჭიროა, ყველაფერს გააკეთებს.

ჭკვიან ხალიჩასთან მომუშავე მტვერსასრუტის პირველი ნიმუში აპრობაციას ლაბორატორიის პირობებში გადის, მაღაზიებში კი 2007 წელს გამოჩნდება.

მტვერსასრუტისა და ხალიჩის „ურთიერთთანამშრომლობა“ ხდება სკანერის საშუალებით, რომელიც ინფორმაციას ხალიჩაზე განლაგებული ჩიპებიდან კითხულობს. ამ მიკროსქემებზე ჩაწერილია ყველა აუცილებელი მონაცემი, რომელიც დალაგების პროცესს, მის ხანგრძლივობას და ხარისხს განსაზღვრავს.

*მირ ნოვოსტეი №28*

# ტაქსი უიღბლოებისათვის



შანხაის ქუჩებიდან გაქრა ყველა ტაქსი, რომლის სანომრე ნიშანში რიცხვი „4“ ერია. ჩინეთში უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები იწყება, ხოლო „ოთხიანს“ აქ უბედურების მომტან რიცხვად მიიჩნევენ. იგი შანხაურ დიალექტზე „უიღბლოს“ ნიშნავს. ტაქსების კომპანიამ ანგარიში გაუწია აბიტურიენტების „ფაქიზ“ ფსიქიკას და რიცხვი „4“ დროებით ამოიღო სანომრე ნიშნებიდან.

*ოკნა №26*

# არ გირჩევთ კოლუმბიაში ჭორაობას

კოლუმბიის პატარა ქალაქ იკონონსოს მცხოვრებთ ჭორის გავრცელებისთვის ჯარიმა და ციხეც კი ემუქრებათ. ამ სიახლის თაოსანმა, ქალაქის მერმა, იგნასიო ხიმენესმა, განაცხადა, რომ მის ქვეყანაში ჭორი შეიძლება დაჯდეს სიცოცხლედ ან უკიდურეს შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთად. იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთი მოარულ ხმას აჰყვა და დაიჯერა, მავანნი სიმპათიით არიან განწყობილი ერთი აკრძალული გასამხედროებული ორგანიზაციისადმიო და ეჭვმიტანილები დახოცეს. მსგავსი რამ რომ არ განმეორდეს, ცრუინფორმაციის გავრცელებისთვის — 4 წლამდე პატიმრობა შემოიღეს. როგორც ხიმენესი თვლის, ეს აიძულებს მოქალაქეებს, ვიდრე აჩურჩულდებიან, კარგად დაფიქრდნენ.

*„რია ნოვოსტი“*

# პლანეტის ყველაზე მახინჯი ძაღლი

აშშ-ის ქალაქ სანტა-ბარბარაში დასრულდა კონკურსი მსოფლიოს ყველაზე მახინჯი ძაღლის წოდებისთვის. ზედიზედ მესამედ ეს „საპატიო“ წოდება ჩინურმა ძაღლმა სემმა მოიპოვა. 14 წლის სემი ისეთი მახინჯია, რომ კონკურსის მსაჯებიც კი შეძრწუნებულები უყურებდნენ. ნამცეცა გოშია ხელისგულივით უბალნოა, მხოლოდ ერთადერთი ჭაღარა ბეწვი „უმშვენებს“ თავს. კანი დალაქულ-დამეჭეჭებული და დანაოჭებული აქვს, თანაც ბრმაა. თვალები უცხოპლანეტელს მიუგავს, სხვადასხვა ზომის დაღრეჯილი კბილების დანახვაზე შეიძლება გულს შემოგეყაროთ. თუმცა სემის დიასახლისი — სუზი ლოკჰედი ძალიან ამაყობს თავისი გოშიათი.

„ადამიანებს ზარავთ, როცა სემის ვეფერები. ვინ იცის, იქნებ ჩემი პატარა ოდესმე მშვენიერ პრინცად იქცეს. ტყუილად ხომ არ ჰგავს ბაყაყს“, — ხუმრობს ლოკჰედი. მაგრამ პრინცად ქცევის შანსი სემს ხელიდან თანდათან ელევა — უკვე ხანდაზმულია, 15 წელს ეხუმრებით?

სემი დიდი პოპულარობით სარგებლობს კალიფორნიაში. ბოლო გამარჯვების შემდეგ პატრონმა ასობით წერილი მიიღო აღფრთოვანებული თაყვანისმცემლებისაგან. „ბევრმა მოიწერა, რომ სემის ფოტო მაცივრებზე უკიდიათ“, – ამბობს ლოკჰედი.

*ინტერნეტ რუ*

# „სნაიპერი“ სიძე

გასულ კვირას სერბი პოლიციელი თავისივე ქვეგანყოფილებაში გისოსებს მიღმა აღმოჩნდა — მას საკუთარ ქორწილში 15 ადამიანის დაჭრაში ედება ბრალი.

სერბებს ერთი უჩვეულო საქორწილო რიტუალი აქვთ — ვაშლის „დახვრეტა“. თუ სიძე პისტოლეტით ვაშლს „გახვრეტს“, ეს კარგ ნიშნად მიიჩნევა. პოლიციელმა სიძემ კი ამ საქმისთვის თოფი იხმარა. „სნაიპერულ“ გასროლას ვაშლი გადაურჩა, მაგრამ გაბნეულმა საფანტმა თხუთმეტი მექორწილე დააზარალა.

*ნიუ ზუიქ*

# სადამ ჰუსეინი... ალაპარაკდა



ერაყში მობილური ტელეფონები „ალაპარაკდნენ“ სადამ ჰუსეინის ხმით. მობილური კავშირის პროვაიდერების ხელშეწყობით, ყურმილში გაისმის დამხობილი პრეზიდენტის ხმა: „ბოდიშს გიხდით, ამჟამად ეს ნომერი არ პასუხობს გადაუხდელობის ან ზონიდან გასვლის გამო“. ამის შემდეგ გაისმის ზარის წკრიალი და მილიონობით ერაყელისთვის ნაცნობი ხმა ამბობს: „სადამი“ და მხიარულად იცინის.

*ოკნა №21*

# ჩვილები... სიგნალიზაციით

დიდ ბრიტანეთში, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გეგმავენ ახალშობილებისთვის ელექტრონიშნებით აღჭურვის სისტემის შემოღებას.

ინდივიდუალურ მოწყობილობას ბავშვს კოჭზე დაბადებისთანავე მიაკრავენ და მისი ადგილსამყოფლის მიგნება ცენტრალური პულტის საშუალებით ყოველთვის შესაძლებელი იქნება. სამშობიარო განყოფილებიდან ჩვილის გაყვანას თუ შეეცდებიან, მაშინვე ატყდება განგაში და შენობის ყველა კარი დაიბლოკება.

როგორც ჩიპების დამამზადებლები ამბობენ, — ეს სისტემა დაამშვიდებს მშობლებს. ისინი დარწმუნებული იქნებიან, რომ მათ პატარებს არავითარი საშიშროება არ ემუქრება.

სისტემის მეორე დანიშნულება არის — ბავშვების შესაძლებელი ურთიერთარევის გამორიცხვა.

*ექსპრეს-გაზეტა*

# გინესის ახალი რეკორდსმენი



54 წლის მონღოლი სი შუნი გინესის რეკორდების წიგნში შევა სიმაღლის წყალობით — იგი 236,1 სმ-ია.

ახალი რეკორდსმენი, რომლის დედა მხოლოდ 160 სმ სიმაღლისაა, ჩვეულებრივი ბავშვი იყო, მაგრამ 16 წლის შემდეგ სწრაფად დაიწყო ზრდა და 1 სმ-ით გაასწრო კიდეც ტუნისელ გოლიათს რად ხუან ჩარბიბას.

*თაიმი*

# ძვირფასი დათუნია

გერმანულმა ფირმამ მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი პლუშის დათვები დაამზადა. დათვის ცხვირ-პირი ოქროსია, ბეწვი — ოქრომკედის, საფირონის თვალების გარსი კი 20 წვრილი ბრილიანტითაა მოოჭვილი.

დამზადებულია ამ საკოლექციო სათამაშოს 125 ეგზემპლარი. თითოეული დათუნია 73 ათასი დოლარი ღირს.

*მეგაპოლის-ექსპრესი*

# გაიყიდა 500 წლის რუკა

ლონდონის აუქციონზე 1 მლნ დოლარად გაიყიდა 500 წლის რუკა, რომელზეც პირველად ფიგურირებს სიტყვა „ამერიკა“. რუკაზე დედამიწა სფეროს სახითაა გამოსახული.

„კრისტის“ აუქციონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამერიგო ვესპუჩის ჩანაწერების მიხედვით, 1507 წელს შედგენილ რუკაზე გერმანელმა კარტოგრაფმა, მარტინ ვალდზეე-მიულერმა, წყნარი ოკეანე პირველად აღნიშნა. რუკის მხოლოდ 4 ეგზემპლარი არსებობდა. ერთ-ერთი ეგზემპლარი ახლახან აღმოაჩინა ერთმა ევროპელმა თავისი რუკების კოლექციაში მას მერე, რაც გაზეთში გერმანელი კარტოგრაფის ნამუშევრის შესახებ წაიკითხა.

*იტოგი №26*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში იმედა კახიანის სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | ა | უ | ც | ი | ლ | ე | ბ | ე | ლ | ი | ს | ი | ა | მ | ო | ვ | ნ | ე | ბ | ა | ა |
| ს | დ | ვ | რ | ე | ი | ა | ი | ლ | ი | ნ | ა | ს | ი | ო | ი | ა | ა | ა | რ | ო | ლ | ნ | ო | ნ | ლ | ი | ნ |

პ. აღფრთოვანება, ალმაფრენა, მგზნებარება; ა. იჯარა; ლ. რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში; ი. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანთა საზოგადოების განვითარებას; ტ. სომეხი მღვდელი; რ. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; ა. ქვითკირის სამარე; ა. სიყვარულის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; უ. ჩვეულებრივი, მარტივი, სადა; ც. რა ერქვა კვაჭი კვაჭანტირაძის პირველ საყვარელს; ი. მგალობელი ფრინველი; ლ. ... ისაკაძე; ე. რა ერქვა ჩე გევარას; ბ. ბაკარა არის საუკეთესო ხარისხის ...; ე. რა ერქვა მიზანა ბრეგვაძის ვაჟიშვილს ფილმში „შერეკილები“; ლ. ქართული ხალხური თამაში; ი. საქართველოს კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი; ს. ჩეხი კომპოზიტორი; ი. მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; ა. თვითმფრინავის სადგომი; მ. ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პერსონაჟი ქალი; ო. თურქის მეორენაირი სახელწოდება; ვ. ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; ნ. ხელოვნური ბოჭკო; ე. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; ბ. რა ჰქვია ყვავის შვილს; ა. თამბაქოს სამშობლო; ა. ყაჩაღი, რომელსაც ქალაქ მცხეთაში დაუდგეს ძეგლი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

ჩ. ჩამიჩი; ვ. ვოევოდა; ე. ებრაელი; ნ. ნოელი; თ. თავადი; ა. აკორდი; ნ. ნელსონი; ე. ერუდიტი; რ. რეცეპტი; თ. თეირანი; ა. აბორტი; დ. დუნაი; ა. ამერიკა; რ. რურუა; მ. მეისონი; ო. ოსმალო; ი. იკებანა; წ. წიფელი; ყ. ყაენი; ე. ეშვი; ნ. ნიაგარა; თ. თართი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მე რევოლუციონერი მეფე ვარ.**

# სასამართლო ქრონიკა

DURA LEX SED LEX

ყოველთვიური ჩანართი

N49 18.07.2005


## თვალსაზრისი

მერაბ ბასილაია



# ქართული მედიის ელექტრონული ზადე

„...მედიის მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად დაეცა. ეს ვარდნა იმ აღშფოთებისა და ცინიზმის პირდაპირპროპორციულია, რომელსაც მოქალაქეები საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ავლენენ. როდესაც ჟურნალისტი ვერ ხედავს იმ საზოგადოებას, რომელსაც უნდა ემსახუროს, მისი ფუნქცია იკარგება და მედია ისეთივე რიგით ინსტიტუციად იქცევა, როგორიც ბევრი სხვაა. თანამედროვე ჟურნალისტიკა კარგად გაიწვრთნა ისეთ დაპირისპირებებში, როგორებიცაა: ჟურნალისტი მათ წინააღმდეგ, ვისაც აშუქებს; რეპორტაჟი კომენტარის წინააღმდეგ; ფაქტი ფასეულობის წინააღმდეგ; ბეჭდური მედია ელექტრონული მედიის წინააღმდეგ.

მოქალაქეები თანაბარი ცინიზმით განიმსჭვალნენ მედიისა და პოლიტიკის მიმართ, რადგან ეს უკანასკნელნი მხოლოდ ერთმანეთთან აწარმოებენ დიალოგს და მათ ამ ურთიერთობაში არანაირად არ მონაწილეობს ხალხი. უფრო მეტიც, მედიამ თავად დაიწყო პოლიტიკური ბოსების გენერაცია და დაივიწყა მოქალაქე და ხალხის ინტერესები". – ცნობილი ამერიკელი მკვლევარების, ლიუს ა. ფრიდლენდის, ჯეი როზენის და ლიზა ოსტინის ეს შეფასება საქართველოს არ ეხება. ეს ექსპერტები გასული საუკუნის 90-იან წლებში, ამერიკული მედიის პრობლემებს იკვლევდენ და აქტიურად ლობირებდნენ ჟურნალისტიკის ახალ თეორიას – საზოგადოებრივ/სამოქალაქო ჟურნალისტიკას.

ამ თეორიის გამზიარებლები მიიჩნევდნენ, რომ სამოქალაქო ჟურნალისტიკა ხალხისა და მედიის ურთიერთობის თვისებრივად ახალი ეტაპი იქნებოდა. ეს პრინციპი ეფუძნება იმის გაგებას, რომ ჟურნალისტს საკვანძო პასუხისმგებლობა აკისრია სამოქალაქო კულტურის განვითარებაში და, რომ განზე დგომა, საზოგადოებრივი კოლაფსის თუნდაც მიუკერძოებელი აღწერით შემოფარგვლა, უკვე შეუძლებელი გახდა, რადგან ხალხისა და მედიის გაუცხოება, მკვლევართა აზრით, უკვე შემდგარი ფაქტი იყო. ამერიკული მედია, მეტ-ნაკლებად გამოეხმაურა ამ თეზას და შედეგად, იქ არის ის, რაც არის.

ეს, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლების ამერიკას შეეხება. საქართველოში მედიისა და ხალხის გაუცხოებაზე ფორმალურად არაფერი მეტყველებს. არიან რეიტინგული მედიასაშუალებები, რომლებიც ერთმანეთს აუდიტორიის გადაბირებაში ეჯიბრებიან, საინფორმაციო ბაზარი გაჯერებულია, მედია ინფორმაციის ძირითადი წყაროა და რაც მთავარია, ხალხი უყურებს ტელევიზორს და კითხულობს გაზეთს, ყველა ავტომობილში რადიოა ჩართული.

მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც აცხადებს, რომ მედია მოსწყდა სამოქალაქო პროცესს და თვალსაწიერიდან გამორჩა მოქალაქე, მისი საჭიროებებითა და პრობლემებით. რომ მედიაპროდუქცია დღეს, არასტანდარტული ანუ მდარე ხარისხისაა, ხოლო საზოგადოებას არ აქვს არჩევანი. ის მოიხმარს იმ მედიაპროდუქციას, რომელსაც მას სთავაზობენ.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად მრავალრიცხოვანია საზოგადოების ნაწილი, რომელიც ასე ფიქრობს, მაგრამ ამ პოზიციას აქტიურად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები გამოხატავენ. მოქალაქეთა ეს ჯგუფი წუხს, რომ საქართველოში მედია და ჟურნალისტიკა სამოქალაქო კულტურის ბურჯი არ არის, მედია ღია საზოგადოების იდეებს არ ლობირებს, არ არის პლურალისტური და ტოლერანტული. მედიამ დაივიწყა ხალხის საჭიროებები და მხოლოდ პოლიტიკის სუბიექტად იქცა. ანუ თითქმის იგივე პრობლემაა, რომელზეც ზემოთ ნახსენები ამერიკელი ექსპერტები საუბრობდნენ. საზოგადოების ეს ნაწილიც გამოთქვამს აღშფოთებას თუ არა, გაკვირვებას იმის გამო, თუ საიდან ჩნდება მედიაში ე.წ. დღის თემები, როგორ საზღვრავენ რედაქციებში, რომ სწორედ ეს თემაა ხალხისთვის აქტუალური და ვინ ბლოკავს ამა თუ იმ თემას. ამ ადამიანებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში ჟურნალისტებმა ახალი მიდგომები უნდა ეძებონ და ისინიც ხშირად მათ სამოქალაქო თვითშეგნებაზე აპელირებენ. ზოგადად ეს არის ამ ჯგუფის შეშფოთებისა თუ უკმაყოფილების მიზეზი, თორემ მედიით უკმაყოფილო პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიებიც არიან, ოღონდ სულ სხვა მიზეზის გამო. ამ უკანასკნელთ მიაჩნიათ, რომ მედია მათ სათანადო ყურადღებას არ აქცევს და სწორედ ეს არის ხელისუფლების მიერ მედიის შეზღუდვისა და მასზე ზეწოლის უტყუარი სიმპტომი.

სამოქალაქო სექტორშიც კამათობენ და ეძებენ მედიაში არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებელ სუბიექტს, ოღონდ მოტივაციაა განსხვავებული. როგორც წესი, ამ ჯგუფის წარმომადგენლები მედიის უყურადღებობას არ უჩივიან. უფრო მეტიც, მედია თავად არის მათი კომენტარებით დაინტერესებული, ისინი ხშირად ჩნდებიან სიუჟეტებსა და პუბლიკაციებში ექსპერტების როლში და მათ ეს ფუნქცია წლების განმავლობაში განვითარებულ საზოგადოებრივ პროცესებში დაიმკვიდრეს. ასე რომ, პირადი პრეტენზია მედიის მიმართ ამ საზოგადოებას არ აქვს.

მაშ ასე, უკმაყოფილება არის, უკმაყოფილების არსიც ფორმულირებულია. რჩება მთავარი კითხვა: ვისი ბრალია ყოველივე? ამ კითხვასთან მიმართებაში, აზრი აქაც იყოფა. ერთნი მთავარ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება ერევა მედიის საქმიანობაში, ზღუდავს სარედაქციო დამოუკიდებლობას, ზეწოლას ახდენს ჟურნალისტზე და ამის დასტურად ჟურნალისტების მიერ არაფორმალურად გამოქმული ბევრი პრეტენზია მოჰყავთ. მეორენი შექმნილ მდგომარეობაში საზოგადოების იმ უდიდეს ნაწილს ადანაშაულებს, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების პრობლემები ნაკლებად აწუხებს. ამ მოსაზრების ავტორები აცხადებენ, რომ საზოგადოება ანუ ხალხია არაპროგრესული და შესაბამისად მედია გრძნობს საზოგადოებრივ დაკვეთას, ხოლო ეს საზოგადოება მას კარგს არაფერს უკვეთს. ზოგიც ჟურნალისტების დაბალ პროფესიონალიზმსა და განათლების ხარვეზებზე მიანიშნებს. პრაგმატიკოსები ახსნას ეკონომიკურ ასპექტებში ეძებენ და მთავარ პრობლემას სარეკლამო ბაზრის სიმწირეში ხედავენ.

ძალზე იშვიათად, ასეთ კამათში ჩნდება ისეთი საინტერესო ფიგურა, როგორიცაა მედიასაშუალების მფლობელი. უფრო სწორად კი მისი როლი და პასუხისმგებლობა მედიაში არსებულ ვითარებაზე. რა თქმა უნდა, ლაპარაკია კერძო, კომერციულ მედიასაშუალებებზე, უფრო თუ დავკონკრეტდებით, კერძო ტელევიზიებზე, რადგან ყოფილი სახელმწიფო და ჯერ საზოგადოებრივ ტელევიზიად ვერჩამოყალიბებული I არხი ცალკე საუბრის თემაა.

გაგრძელება მე-18 გვერდზე

## სახალხო დამცველის ქრონიკა

### განცხადება პარლამენტარზე თავდასხმის გამო

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი შეშფოთებულია პარლამენტარ ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმის გამო და იმედს გამოთქვამს, რომ სამართალდამცავი ორგანოები უსწრაფესად გამოიძიებენ დანაშაულს, ხოლო დეპუტატის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნება.

14 ივლისს, თბილისში, რესტორან „თეთრ სახლთან" პარლამენტის წევრს, ვალერი გელაშვილს თავს დაესხა რვა შეიარაღებული, ნიღბიანი პირი და მიაყენეს მას მძიმე ფიზიკური დაზიანება.

### პროკურატურამ გამოძიება დაიწყო

სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა მოქალაქეების: გუგუნაშვილისა და ჩიტიაშვილის განცხადებები, სადაც ნათქვამი იყო, რომ კახეთის რეგიონში ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის მეორე განყოფილების თანამშრომლებმა მათ უკანონოდ ჩამოართვეს, შესაბამისად: 9 და 10 ტონა დიზელის საწვავი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ფინანსურმა პოლიციამ დიზელის საწვავი გუგუნაშვილს ლაგოდეხის რაიონში, ხოლო ჩიტიაშვილს გურჯაანის რაიონში ჩამოართვა. საწვავი მათ დოკუმენტაციის გარეშე გადაჰქონდათ. თუმცა ფაქტთან დაკავშირებით არ შემდგარა შესაბამისი დოკუმენტაცია და არსებობს მხოლოდ ერთი ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ მოქალაქე გუგუნაშვილისთვის ჩამორთმეული საწვავი არ დალუქულა. რამდენიმე დღეში კი ეს საწვავი გაქრა. თელავის პოლიციის სამმართველოს უფროსისა და მისი თანამშრომლების განმარტებით, საწვავის ნაწილი ფინანსურმა პოლიციამ წაიღო, ნაწილი კი დაიღვარა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის შიგნით ტერიტორიებზე საწვავის დოკუმენტაციის გარეშე ტრანსპორტირებისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა, რომელიც კანონდამრღვევს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად ეკისრება. კახეთის მხარის არც ერთ სასამართლოში აღნიშნული საქმე არ შესულა. შესაბამისად, ფინანსურ პოლიციას საწვავის ჩამორთმევის უფლება არ ჰქონდა.

სახალხო დამცველის აპარატმა მოძიებული მასალების საფუძველზე რეკომენდაციით მიმართა კახეთის სამხარეო პროკურორს თამაზ ცაბუტაშვილს და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

მიღებული პასუხის თანახმად, კახეთის სამხარეო პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს. როგორც ცნობილია, თანამდებობიდან გათავისუფლებულია ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის II განყოფილების უფროსი ზურაბ ბეჟანიშვილი.

### სახალხო დამცველის აპარატი ტრეფიკინგის მსხვერპლს დაეხმარა

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ყირგიზეთის მოქალაქე ქალბატონმა, რომელიც მისი განცხადების თანახმად, საქართველოში შრომითი დასაქმების მიზნით ჩამოვიდა, მაგრამ ტრეფიკინგის მსხვერპლი აღმოჩნდა და ორი წლის განმავლობაში, ვინმე დავითის ძალადობის შედეგად, პროსტიტუციას ეწეოდა.

ქალმა შემთხვევის წყალობით მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა, მაგრამ ფულისა და საბუთების გარეშე სამშობლოში დაბრუნება ვერ მოახერხა.

სახალხო დამცველის აპარატის ქალთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ბაია რომელაშვილმა დახმარებისთვის მიმართა ყირგიზეთის ომბუდსმენსა და ყირგიზეთის საკონსულოს მოსკოვში და დაზარალებულს დროებითი საბუთების მიღებაში დაეხმარა. უცხოელ ქალბატონს ფინანსური დახმარება საქართველოში მოქმედმა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) გაუწია. ტრეფიკინგის მსხვერპლი ყირგიზეთში დაბრუნდა.

გაგრძელება. დასაწყისი მე-17 გვერდზე

მედიამფლობელი – ადამიანი, ვისაც პრაქტიკულად ეკუთვნის ესა თუ ის ტელეარხი. ადამიანი, რომლის ხელშია ფინანსები და თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ტელეკომპანიები თვითკმარი არ არიან, ანუ საკუთარ ხარჯებს ვერ ფარავენ, დოტაციაზე ჰყავს არხიც და ჟურნალისტიც ანუ ადამიანი, რომლის ხელშია მედიის ელექტრონული ბადე თუ სივრცე.

ასეთები ბევრი არ არიან და საზოგადოება მათ ბიზნესმენებად და დეპუტატებად იცნობს, ნაკლებად როგორც მედიამფლობელებს. არიან ისეთებიც, რომლებიც ხალხს სახეზეც კი არ უნახავს. არადა მათ გარეშე მედიაში არც კარგი მოხდება და არც – ცუდი.

თუკი საუბარია მედიის რაიმე სახით შეზღუდვაზე ან მასზე ზეწოლაზე მაგალითად ხელისუფლების მხრიდან, ამანაც ხომ მედიამფლობელზე უნდა გაიაროს. დავუშვათ, მხოლოდ დავუშვათ, რომ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, რომელიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერი ან თუნდაც ქვეყნის პრეზიდენტი საინფორმაციო ნაკადში რაიმე კორექტივის შეტანას დააპირებს. ეს ვერ განხორციელდება ერთი ჟურნალისტის დონეზე. ეს, როგორც მინიმუმ, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის დონეზე უნდა გადაწყდეს. წარმოუდგენელი და ერთობ სარისკოა, რომ ასეთი გადაწყვეტილება რედაქციამ არხის დირექტორის გარეშე მიიღოს. ასევე წარმოუდგენელია, რომ დირექტორმა კონსულტაცია მედიამფლობელთან არ გაიაროს. თანაც უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ პრაქტიკულად არც ერთ ჟურნალისტს არ აქვს კვალიფიციური კონტრაქტი, არ არსებობს მედიის თვითრეგულირება და თუნდაც, პროფკავშირი. ის მთლიანად მფლობელზეა დამოკიდებული. ასე რომ, ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს, მედიასივრცეში დამოუკიდებელი მოქმედება, მედიამფლობელის გარეშე, გაუჭირდება. უბრალოდ რომ ვთქვათ, მედიამფლობელს უნდა დაურეკონ, შეხვდნენ, სთხოვონ ან თუნდაც დააშანტაჟონ, მაგრამ მისი იგნორირება ვერ მოხერხდება. როგორ ისარგებლებს ამ ვითარებით მედიამფლობელი, არავინ უწყის. მას შეუძლია ბოლომდე დაუდგეს გვერდში ჟურნალისტს, შეუძლია დაჰყვეს ძალაუფლების მპყრობელთა ნებას, შეუძლია შეევაჭროს და შეუძლია იგნორირება გაუკეთოს ხელისუფალთა ნებას. მფლობელს ყოველთვის აქვს რალაც არჩევანი.

მოხელეების მხრიდან განხორციელებულ ასეთ ქმედებებს, როგორც წესი, ბევრი მითქმა-მოთქმაც მოჰყვება და მიუხედავად იმისა, რომ არც ჟურნალისტები და არც მფლობელები დღემდე ღიად არ ადასტურებენ მათზე ზეწოლის მცდელობის ფაქტებს, ეს თემა მაინც საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი ხდება. უფრო მეტიც, სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების მეცადინეობით, ეს ინფორმაცია ზოგჯერ გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ხდება ცნობილი. ამ ორგანიზაციებს კი აქვთ იმის საშუალება, რომ ხელისუფლებას მცირე, მაგრამ მაინც დისკომფორტი შეუქმნან.

ახლა წარმოვიდგინოთ, მხოლოდ წარმოვიდგინოთ, რომ თავად მედიამფლობელი გადაწყვეტს რაიმე კორექტივი შეიტანოს იმავე საინფორმაციო ნაკადში, დაბლოკოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან პერსონა, ნონ გრატად გამოაცხადოს რომელიმე პოლიტიკური ფიგურა ან სულაც რომელიმე თემა.

რას მოიმოქმედებს ის? დაურეკავს ქვეყნის პრეზიდენტს ან რომელიმე გავლენიან მოხელეს? ან საინფორმაციოს შეფს ან ჟურნალისტს? – არა. ის არავის არ დაურეკავს. ის უბრალოდ იტყვის, რომ ასე სურს და ეს საზოგადოებაში მითქმა-მოთქმის საბაბიც არ გახდება. არავინ დაიწყებს საუბარს იმაზე, რომ მედია არ არის უბრალო ბიზნესი, რომ მას უნიკალური და კონსტიტუციით დაცული საზოგადოებრივი ღირებულება აქვს და რომ სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფა დაუშვებელია, ვისგანც არ უნდა მომდინარეობდეს ეს. არც არასამთავრობოები დაწერენ ვრცელ პროტესტებს და არც ჟურნალისტები ილაპარაკებენ ბევრს, რადგან ეს უფრო სახიფათოა. სახიფათოა იმდენად, რამდენადაც სამუშაოს და ხელფასის დაკარგვის საფრთხე ასე უფრო რეალურია, ვიდრე ხელისუფლების გულისწყრომის შემთხვევაში. სამწუხაროდ, ამის მაგალითიც იყო ჩვენს სინამდვილეში. ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტებმა მათი არხის დახურვის შესახებ დღეით, სამსახურში მისვლის შემდეგ გაიგეს და არავის განუმარტავს მათთვის ის, თუ რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება მედიამფლობელმა. იყო სხვა შემთხვევაც, თუმცა ოდნავ განსხვავებული, როდესაც მედიამფლობელი საქართველოდან გაიქცა და ტელეარხის საქმიანობაც, თავისთავად, ზედმეტი ჩარევის გარეშე შეწყდა.

აქვე, ნუ დაგვავიწყდება, რომ მედიამფლობელები რეგიონებშიც არიან და ყველა ის საფრთხე, რომელიც ჟურნალისტს ე.წ. ნაციონალურ არხებზე ემუქრება, რეგიონებში ათმაგად რეალურია.

სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ჩემი ეს მსჯელობა ინსინუაციური თუ არა, მოდელირებულია. ანუ ის პასუხისმგებლობა, რომელსაც მე მედიამფლობელებს ვაკისრებ, შესაძლოა ჩემს პირად წარმოსახვაზეა დაფუძნებული, რადგან ვიმეორებ, არავინ ღიად არ აცხადებს და არ საუბრობს იმაზე თუ რა ხდება მედიასაშუალებების კულუარებში. მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლების ბრალეულობაზე საუბარიც ინსინუაციური და წარმოსახვითია, რადგან ჯერ არსად, არავის (ვგულისხმობ ტელევიზიების მფლობელებს) საჯაროდ არ განუცხადებიათ, რომ ჩინოვნიკები მათ რაიმეზე უბიძგებენ და არც თანადგომა უთხოვიათ ვინმესთვის.

მე პირადად შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ დღეს საქართველოში საინფორმაციო ნაკადს მედიამფლობელებისა და ხელისუფლების უხილავი ურთიერთობები განსაზღვრავს. მე იგნორირებას ვერ გავუკეთებ საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკურ გამოცდილებას. დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ხელისუფლება და ვერც მედიამფლობელები ვერ შეძლებენ ვითარების ისე მენეჯირებას, რომ დაიმალოს რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ეთერიდან უკვალოდ გაქრეს აქტუალური თემა ან მოვლენა. ბოლოს და ბოლოს არსებობს კონკურენცია და ამ კონკურენციის ობიექტური კანონები. მაგრამ ასევე არსებობს აქცენტი, დროულობა და ინტერპრეტაცია ანუ საინფორმაციო ტექნოლოგიის საყრდენი შემადგენლები, რომელთა მანიპულირებით შესაძლებელი ხდება ნებისმიერი ფაქტის ან თემის გააქტიურება ან პირიქით – დასამარება.



მერაბ ბასილაძე, ფონდი ALPE

# ქართული მედიის ელექტრონული ბადე

დასასრული მე-20 გვერდზე

# ევროპის პოლიციის ეთიკის კოდექსი

**საქართველოში, ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერით, მიმდინარეობს მუშაობა პოლიციის ეთიკის კოდექსის შემუშავებაზე. ეს თემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომლის კომენტირება ევროკავშირის EUJUST THEMIS-ის ექსპერტს დავით წულაიას ვთხოვეთ:**

– საქართველო ევროპის საბჭოში 1999 წელს გაწევრდა. ევროპის საბჭო სამთავრობათშორისო ორგანიზაციაა, რომლის მიზნები ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება, ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება, მის წევრ სახელმწიფოებში საერთო პრინციპების ჩამოყალიბება, განხორციელება და მჭიდრო ურთიერთობის მიღწევაა. ამ თვალსაზრისით სისხლისსამართლებრივი სისტემა პრიორიტეტულია იმდენად, რამდენადაც დანაშაულთან ბრძოლა იმ პრინციპების პრაქტიკაში გატარებას მოითხოვს, რომლებზეც ევროპის საბჭო ეფუძნება და რომლის დაცვას იგი ემსახურება, ანუ კანონის უზენაესობას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს, რაც ყველა ჭეშმარიტი დემოკრატიული სისტემის ფუნდამენტური ფასეულობაა.

სწორედ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოების ინტერესებშია დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. თავისი არსებობის პირველივე დღიდან ევროპის საბჭოს დღის წესრიგში იდგა პოლიციის საკითხი. პოლიცია იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროსაბჭოს ადამიანის ძირითადი ფასეულობების დაცვის საქმეში, რომ ევროპის საბჭო ქმნის დისკუსიების საფუძველს ევროპისთვის, პოლიციის როლის საკითხზე დემოკრატიულ საზოგადოებაში (1979 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა „პოლიციის დეკლარაცია“, რაც პოლიციაში ეთიკური სტანდარტების დამკვიდრების პირველ მცდელობად უნდა განვიხილოთ. ეს პირველი ბიძგი იყო. 1989 წელს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დაწყებულმა ცვლილებებმა განაპირობეს ევროპის საბჭოს საქმიანობის გააქტიურება პოლიციასთან მიმართებაში. იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებიც სამართლებრივ და სახელმწიფო მმართველობის რეფორმას ისახავდნენ მიზნად, პოლიციის ჩათვლით და ჩატარებული მთელი რიგი ღონისძიებები სხვადასხვა თემის მიხედვით: „პოლიციის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, „პოლიცია და კანონის დაცვა“ და სხვა. პოლიციის რეფორმის ამ კონტექსტში ხაზი გაესვა მთლიან ევროპულ სივრცეში პოლიციის მუშაობის ნორმატიული საზღვრების საჭიროების ხელახლა გაშუქების აუცილებლობას. შედეგად მინისტრთა კომიტეტმა დააარსა პოლიციის ეთიკისა და პოლიციის რეგულირების საკითხებზე მომუშავე ექსპერტების კომიტეტი (PC-PO), ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ გამოიკვეთა პოლიციის მიზნების, ეფექტიანობისა და პასუხისმგებლობისთვის ერთიანი ევროპული პრინციპების შემუშავების აუცილებლობა, 2001 წლის 19 სექტემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია, რომლითაც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაცია მიეცათ თავიანთ კანონმდებლობაში, პრაქტიკასა და პოლიციის საქმიანობის კოდექსებში იხელმძღვანელონ იმ პრინციპებით, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის პოლიციის ეთიკის კოდექსში.

ევროპის პოლიციის ეთიკის კოდექსი შედგება VI თავისაგან და 66 მუხლისაგან, რომელსაც ერთვის განმარტებითი მემორანდუმი. ეს უკანასკნელი იძლევა ეთიკის 66-ე მუხლის განმარტებას.

კოდექსის მაღალ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასში მკაფიოდაა განსაზღვრული როგორც ზოგადი დებულებები, ასევე კონკრეტული ნორმები, რომლებიც პოლიციის ოფიცრებმა უპირობოდ უნდა დაიცვან ყოველდღიური საქმიანობის პირობებში, კერძოდ, – განსაზღრულია პოლიციის მიზნები, თუ რა არის პოლიციის იურიდიული საფუძველი, მოცემულია პოლიციისა და სისხლისსამართლებრივი სისტემა, წარმოდგენილია პოლიციის ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც დეტალურადაა გაწერილი პოლიციის პერსონალის კვალიფიკაცია, რეკრუტირება, ტრენინგი; პოლიციის პერსონალის უფლებები და სხვა. ასევე ის, თუ რა წარმოადგენს პოლიციის მოქმედების პრინციპს, პოლიციის ანგარიშვალდებულებას და მასზე კონტროლს.

ევროპის პოლიციის ეთიკის კოდექსი ეხება ყველა იმ პოლიციას (*საპატრულო, კრიმინალური თუ საზღვრის პოლიცია*), რომელიც პასუხისმგებელია მის საქმიანობაზე სამოქალაქო საზოგადოებაში. ეს კოდექსი გამოიყენება მიუხედავად იმისა, თუ როგორ ინსტიტუციურ პრინციპს ემყარება პოლიცია ამა თუ იმ სახელმწიფოში, არის პოლიცია ცენტრალიზებული თუ ადგილობრივად ორიენტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვარ ადვოკატი, მომმართა მოქალაქემ, რომელსაც წინასწარი შემოწმების საფუძველზე, უარი უთხრეს მეზობლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. რამდენადაც ვიცი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია დაიწყოს გამოძიება ინფორმაციის მიღებისთანავე.**

**რაულ გელენავა, ზუგდიდის რაიონი**

– თავიდანვე მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ აღნიშნული ცვლილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ინსტიტუტი, გაუქმებასთან დაკავშირებით, კანონიერ ძალაში 2006 წლის 1-ელი იანვრიდან შევა.

მოქმედი კანონმდებლობით, დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობის მიღების შემთხვევაში, ხდება ცნობის შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არაღძვრის საკითხი წყდება ამ შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით.

იმ ცვლილებების თანახმად, რომელიც მომავალი წლის იანვრიდან ამოქმედდება, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებული იქნება დაიწყოს გამოძიება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე. წინასწარი გამოძიების პირველად დოკუმენტად ჩაითვლება თავად შეტყობინების დოკუმენტი ანუ მოქალაქის წერილობითი განცხადება ან პროცესის მწარმოებლის მიერ მიღებული ზეპირი ინფორმაციის შესახებ შედგენილი ოქმი. ასეთ ოქმს ხელს აწერენ პროცესის მწარმოებელი ორგანოს უფლებამოსილი პირი და განმცხადებელი. ეს ინოვაცია ამარტივებს გამოძიების დაწყების პროცესს, უფრო მყარ გარანტიებს უქმნის დაზარალებულს, რადგან ამჟამად მოქალაქეს, რომელსაც ზიანი მიადგა, არა აქვს საშუალება ისარგებლოს დაზარალებულის სტატუსით, ვიდრე სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება.

ასევე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ინსტიტუტის გაუქმება და გამოძიების დაწყების არადისკრეციულობა არ იწვევს ეჭვმიტანილის ინტერესებისა და უფლებების ხელყოფას, რადგან პირველივე ეტაპიდან ხდება მისი, როგორც ეჭვმიტანილის ფორმალიზება.

# ჩვენი კონსულტაცია

**გარდამეცვალა მეუღლე. ჩემი მული აცხადებს, რომ მას აქვს ჩემი მეუღლის მიერ დატოვებული ანდერძი, რომლის თანახმად ჩვენი საცხოვრებელი ფართის ნახევარი მას ეკუთვნის. მე ეს ანდერძი არ მინახავს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემს მეუღლეს ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს. რა ძალა აქვს ასეთ ანდერძს?**

**ნინა სუთიაშვილი, ხაშურის რაიონი**

– ანდერძი აუცილებლად უნდა იყოს წერილობითი, სხვა სახის ანდერძს კანონმდებლობა არ ცნობს. ასევე კანონით, არ არის აუცილებელი, რომ ანდერძი ნოტარიუსის მიერ იყოს დამოწმებული, თუმცა ეს სასურველია.

ზოგადად ანდერძის უპირატესობა ის არის, რომ მასში კონკრეტულად არის გაწერილი თუ რომელ მემკვიდრეს, რა სახის წილი ეკუთვნის. თუ ანდერძი არ არსებობს, მაშინ საკითხი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმებით უნდა გადაწყდეს.

**სოფელში გარდამეცვალა მამა. ჩემმა უფროსმა ძმამ გამომიცხადა, რომ მე და ჩემს შვილებს მამის კუთვნილი სახლიდან წილი არ გვეკუთვნის, რადგან ქალი ვარ და უკვე 15 წელიწადია მეუღლის ბინაში ვცხოვრობ რაიონულ ცენტრში. მამას ანდერძი არ დაუტოვებია. ამავე სახლში ცხოვრობს დედაჩემი, რომელიც აცხადებს, რომ მამისეული სახლის ნახევარი მართლაც მე მეკუთვნის. როგორ მოვიქცე?**

**დინარა გიორგობიანი, ონი**

– კანონმდებლობით, პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახის ერთ რომელიმე წევრს არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია განსაკუთრებულ წილზე. ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, ქონება უნდა თანაბრად გაიყოს მემკვიდრეებზე, მიუხედავად ასაკობრივი თუ სქესობრივი სხვაობისა. მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ ძმას რაიმე სახის უპირატესობა აქვს დასთან მიმართებაში, უსაფუძვლოა. ასევე არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ სად ცხოვრობდა რომელიმე მემკვიდრე.

საგულისხმოა, რომ თუ მოცემულ სიტუაციაში, სადავო სახლი ცოლ-ქმრის საერთო თანასაკუთრებაა, მაშინ და-ძმაზე მემკვიდრეობით სახლის მხოლოდ ნახევარი, ანუ გარდაცვლილი მამის წილი გადავა. მაგრამ თუ ქონება, ამ შემთხვევაში სახლი, მხოლოდ მამის საკუთრება იყო, მაშინ ის სამ თანაბარ ნაწილად უნდა გაიყოს, თუ რომელიმე მემკვიდრე უარს განაცხადებს ფართზე მამისეულ სახლში, მას კანონის თანახმად კომპენსაცია ეკუთვნის.

**ფონდ ALPE-ის იურიდიული სამსახური**

რებული, მოწყობილია სამოქალაქო თუ სამხედრო მოქმედების წესით, სამსახურებრივ თუ ძალოვან კატეგორიას მიეკუთვნება, ან თუ არიან პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე, რეგიონულ თუ ადგილობრივ მმართველობასთან თუ ფართო საზოგადოების წინაშე.

ეს კოდექსი არ მოიცავს ისეთ სტრუქტურებს, როგორიცაა „სამხედრო პოლიცია“, როდესაც ეს უკანასკნელი სამხედრო ფუნქციებს ახორციელებს და „უშიშროების საიდუმლო სამსახური“. მეორე კატეგორია, რომელსაც კოდექსი არ ითვალისწინებს, არის „პენიტენციარული პოლიცია“ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი არსებობენ. შეზღუდული არიან მოვალეობების შესრულებით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

ევროპაში, სადაც ეროვნული საზღვრები სულ უფრო გამჭვირვალე ხდება, პოლიციასა და მის ძალაუფლებაზე ყურადღების გამახვილება გარდაუვალია. მსჯელობა, ფართო გაგებით, მიმდინარეობს პოლიციის მიერ ისეთი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებაზე, რომელიც სცილდება სახელმწიფოს საზღვრებს, მაგალითად ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია. თუმცა მსჯელობა ამით არ შემოიფარგლება. დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიციის ძალაუფლება შეზღუდულია პიროვნების ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებაში, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაშია ჩამოყალიბებული. ამ ინტერესებს შორის საჭიროა სათანადო ბალანსის მოძიება და სწორედ აქ პოლიციის საერთაშორისო ეთიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამჟამად ევროპის ბევრი სახელმწიფო პოლიციის რეორგანიზაციას განიხილავს, როგორც საზოგადოებაში დემოკრატიული იდეების ფასეულობების წინ წამოწევის გადამწყვეტ ფაქტორს და აუცილებელ ინსტრუმენტს. ამ ქვეყნებში ზრუნავენ საერთო სტანდარტების დაცვაზე ეროვნულ საზღვრებში, იმის გათვალისწინებით, რომ დააკმაყოფილონ იმ ევროპული სახელმწიფოების მოქალაქეთა მზარდი მოთხოვნები, რომლებიც ესწრაფვიან იყვნენ თანაბარ პირობებში, სჯეროდეთ პოლიციის სამართლიანობის, ურთიერთთანამშრომლობის გაფართოებისა საერთაშორისო დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლაში.

ამჟამად პოლიციის ეთიკის კოდექსი ევროპის საბჭოს ზოგიერთ სახელმწიფოში უაღრესად აქტუალურ საკითხად იქცა. „ევროპის პოლიციის ეთიკის კოდექსი“ უზრუნველყოფს ბაზისს ამ ფარგლებში, ხელს უწყობს ევროპის საბჭოს ამოცანის მხარდაჭერას, რათა მიღწეული იქნას მჭიდრო თანამშრომლობა ევროპის წევრ ქვეყნებს შორის.

პოლიციის როლი კანონიერების მხარდაჭერისა და დაცვის საქმეში იმდენად დიდია, რომ დემოკრატიის ხარისხს ხშირად სწორედ პოლიციის საქმიანობა განსაზღვრავს. დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიცია იცავს დემოკრატიულ ფასეულობებს, რაც დაკავშირებულია საპასუხიმგებლო საქმიანობაზე. ამ მიზნით საზოგადოებას სჭირდება გარანტია. საერთო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებულ ეთიკის კოდექსს, რომელშიც გათვალისწინებულია მიზნები და ფასეულობები, შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, საზოგადოებასა და პოლიციას შორის კარგი ურთიერთობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

ზოგადი ეთიკის ნორმების განსაზღვრისას, პოლიციის ეთიკის კოდექსი ხელს უწყობს ეთიკური პრობლემების უფრო სწრაფ გამოვლენას, გაანალიზებასა და გადაწყვეტას. გარდა ამისა, იგი გვეხმარება დავადგინოთ პოლიციის პერსონალის ქცევის სტანდარტები. კოდექსი ასევე უზრუნველყოფს პოლიციის კონტროლს სამართლებრივ და დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომლის მიზანია დაიცვას როგორც საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოთხოვნები.

ეთიკის კოდექსმა უნდა შექმნას და განსაზღვროს ის მოთხოვნები, რომლებიც პოლიციის საქმიანობას შეეხება, გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები დანაშაულის თავიდან აცილებისა და კანონის განმტკიცების მიზნით.

თუმცა კოდექსის შემუშავება ზოგადი სტანდარტების დაცვის პროცესის მხოლოდ დასაწყისია. ამ კოდექსის გარეშე პროცესი წარმატებულად ვერ წარიმართება, რადგან ის პოლიციის შინაგანი ორგანიზაციის მარეგულირებელი ინსტრუმენტია.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს
# ქრონიკა

შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი რევაზ ქანთარია დააკავეს.

რევაზ ქანთარია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის № 7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსია.

ის ეჭვმიტანილია იმაში, რომ ერთ-ერთი მსჯავრდებულის ნათესავს, სასჯელის მოხდისაგან პირობით გათავისუფლების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 500 ლარი გამოსძალა.

რევაზ ქანთარია მოქალაქისაგან 300 ლარის აღების მომენტში დააკავეს და მას, ბრალის დადასტურების შემთხვევაში, 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

* * *

დაკავებულია ადვოკატი არჩილ სოფრომაძე, რომელიც თაღლითობაშია ეჭვმიტანილი.

გამომძიებლის განცხადებით, მან მისი დაცვის ქვეშ მყოფ მოქალაქეს, მოტყუებით, თითქოსდა პროკურატურის თანამშრომლისათვის ქრთამის მისაცემად, 500 აშშ დოლარი გამოსძალა.

ეს დანაშაული, რომელიც თაღლითობის ბრალდებას შეიცავს, ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

* * *

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრი თამაზ ტყეშელაშვილი დააკავეს.

დეპუტატი ეჭვმიტანილია იმაში, რომ მან ინდივიდუალურ მეწარმეს, საქალაქო მარშრუტზე ავტობუსით მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემისა და ამავე მარშრუტზე მძღოლად დანიშვნის სანაცვლოდ 2.700 აშშ დოლარი გამოსძალა.

* * *

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად დაკავებულია ქალაქ მცხეთის გამგებლის მოადგილე გიორგი ნიკლაური.

გამოძიება აცხადებს, რომ აღნიშნულმა თანამდებობის პირმა, სამეწარმეო საქმიანობისთვის 0,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის გამოყოფისთვის, მოქალაქეს 2.000 აშშ დოლარი გამოსძალა რაც, ბრალის დადასტურების შემთხვევაში, 10-წლიანი პატიმრობით ისჯება.

* * *

დაკავებულია ქალაქ ზესტაფონის გამგებელი მირიან ბერუაშვილი.

იგი ეჭვმიტანილია იმაში, რომ ერთ-ერთ ფირმას, რომელსაც გზის მოსაპირკეთებელი სამუშაოებისათვის, 15-ათასიანი ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ თანხის 10%, ანუ 1.500 ლარი გამოსძალა.

თუ სასამართლომ აღნიშნული ბრალდება დაადასტურა, ყოფილ გამგებელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მოელის.

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

სწორედ აქ იწყება მთავარი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა თუნდაც კამათის დონეზე. სწორედ ამ ზღვარზე რთულდება ისეთი ლოგიკური არგუმენტების ჩამოყალიბება, რომელიც რაიმეს უარყოფს ან დაასაბუთებს. და სწორედ ეს არის ის ზღვარი, რომელზეც უნდა გამოვლინდეს ხელისუფლების, მედიამფლობელების, ჟურნალისტებისა და საზოგადოების სამოქალაქო კულტურა.

ამ პრობლემით შეწუხებულ საზოგადოებაშიც იწყება გამოსავლის ძიება. უმეტესობა თვლის, რომ გამოსავალი ქართულ მედიასივრცეში ახალი მედიამოთამაშის გამოჩენა იქნებოდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ახალი ტელეკომპანიის შექმნა. თუ უფრო დავაკონკრეტებთ მათ ამ წადილს, ლაპარაკი ახალ მედიამფლობელზეა. ისეთ მფლობელზე, რომელსაც მკაფიოდ გამოკვეთილი ლიბერალური იდეალები ექნება, არც ფინანსურად იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ სივრცეზე, არც პიროვნულად და, რაც მთავარია, არ ექნება საეჭვო წარსული.

ასეთი მოთამაშის, ანუ როგორც მას სამოქალაქო სექტორში უწოდებენ, Media Player-ის შემოსვლა მართლაც იქნებოდა გარღვევა მედიასივრცეში, რადგან როგორც ზემოთ ვთქვით, მედიაში კონკურენცია ობიექტურ კანონებს ემორჩილება და, რაც მთავარია, ეს კანონები უსწრაფესად მოქმედებენ.

ეს გამოსავალი ყველას მოსწონს, თუმცა კითხვა საიდან მოვა ასეთი „ფლეიერი", უპასუხოდ რჩება. ევრო-ამერიკული სივრციდან? რუსეთიდან? – თეორიულად შესაძლებელია. მაგრამ პრაქტიკული მოტივი? თუ საქართველოში სარეკლამო ბაზარი შეზღუდულია, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს არ იქნება კომერციული პროექტი და ყველაზე დიდი, რისი მიღწევაც შეიძლება, იქნება ის, რომ მას დოტაცია არ დასჭირდეს (ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ საქართველოში ეს შესაძლებელია). მაგრამ მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ თუ მედიას კომერციული მოგება არ მოაქვს, მაშინ მფლობელს პოლიტიკური დივიდენდები უნდა აინტერესებდეს. ამ შემთხვევაში კი ჩვენ ვბრუნდებით იმ წერტილზე, საიდანაც დავიწყეთ.

მსჯელობის სწორედ ამ ფაზაში, როგორც წესი, ყველას საზოგადოებრივი ტელევიზია ახსენდება. პრაქტიკულად ყველა თანხმდება, რომ სწორედ საზოგადოებრივი ტელევიზიის კონცეფცია შეიძლება იქცეს სამოქალაქო/საზოგადოებრივი ჟურნალისტიკის ფლაგმანად და შესაბამისად, რადიკალურად შეცვალოს სამოქალაქო კულტურა.

სტატიის დასაწყისში მოყვანილ ამერიკელ მკვლევართა მოსაზრებების კვალდაკვალ, ჩვენი ლიბერალური შეხედულების მქონე ადამიანთა დიდი ნაწილიც თვლის, რომ საქართველოშიც უნდა ამოქმედდეს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრაქტიკა. ამ პრაქტიკის არსი სათქმელად მარტივია: ჟურნალისტი საზოგადოებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. საზოგადოება გაცილე-

## ქართული მედიის ელექტრონული ბადე

ბით უფრო მეტს უნდა ნიშნავდეს ვიდრე საინფორმაციო ბაზარი. ჟურნალისტმა მოქალაქეში უნდა დაინახოს არა ინფორმაციის მომხმარებელი, არამედ იმავე საზოგადოების წევრი, რომელსაც ჟურნალისტი თავად ეკუთვნის. პროფესიულ მიუკერძოებლობას ამოფარება და საკუთარი პოზიციის არგამჟღავნება, არცთუ იშვიათად თავის მოტყუება და ფარისევლობაა. ხოლო საინფორმაციო დღის, თვის და წლის პრიორიტეტების ანუ ე.წ. მთავარი თემების განსაზღვრა, ამ კონცეფციით, ისევ და ისევ მოქალაქეებთან მუდმივი დიალოგის გზით უნდა ხდებოდეს. თუმცა ამ კონცეფციის ექსპერტები, რომელთაც რეალიზაციის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული გამოცდილებაც აქვთ, აცხადებენ, რომ ზოგადად სამოქალაქო ანუ, როგორ მას ხშირად უწოდებენ, საზოგადოებრივი ჟურნალისტიკა, არ ეწინააღმდეგება მაღალპროფესიული ჟურნალისტიკის არც ერთ სხვა თეორიას და მისი უმთავრესი ამოცანა სწორედ მაღალი პროფესიული სტანდარტების უზრუნველყოფაა. მითუმეტეს, რომ არ არსებობს ამ კონცეფციის რეალიზაციის რაიმე ერთი, უალტერნატივო გზა.

როგორც უკვე ვთქვით, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა უმეტესობა თანხმდება, რომ საზოგადოებრივ/სამოქალაქო საჭიროებათა რეალიზაციის ოპტიმალური პირობების შექმნა, ყველაზე მეტად, საზოგადოებრივ ტელევიზიაშია შესაძლებელი.

თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ კონსენსუსი საქართველოში ჯერჯერობით არშექმნილი საზოგადოებრივი ტელევიზიის მიმართ, მიღწეულია. პირიქით. არც ერთი სხვა ტელევიზიის მიმართ არ გამოხატავენ იმდენ პრეტენზიასა და ცინიკურ დამოკიდებულებას, როგორც ამ პროექტის მიმართ. მიზეზები და არგუმენტაციაც უხვია.

ავიღოთ თუნდაც დაფინანსება. კლასიკურ მოდელში, საზოგადოებრივ ტელევიზიას თავად საზოგადოება უნდა აფინანსებდეს, ანუ იხდიდეს საგანგებო გადასახადს. ამას ხალხი არ დათანხმდებოდა და ხელისუფლებამ მას ეს არც შესთავაზა. ამდენად, მომავალი საზოგადოებრივი ტელევიზია ბიუჯეტიდან დაფინანსდება. მართალია მთავრობამ ჩადო სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, იმისათვის, რომ საბიუჯეტო ტრანსფერები ტელევიზიით მანიპულირების საშუალება არ გამხდარიყო, თუმცა ბევრი ამას სათანადო გარანტიად არ მიიჩნევს.

მიზეზი მეორე და შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანიც: ვინ წარმოადგენს ამ ტელევიზიაში საზოგადოებას ანუ ვინ არის ახალი მედიამფლობელი და შესაბამისად ახალი „მედიაფლეიერი"?

საზოგადოებამ პრეზიდენტს თავისი კანდიდატურები წარუდგინა. პრეზიდენტმა ისინი გადაარჩია და თავის მხრივ პარლამენტს გადაუგზავნა. პარლამენტმაც იმსჯელა და რამდენიმე მათგანი ახალ მედიამფლობელად დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი „მედიამფლობელები" მეტწილად სწორედ სამოქალაქო საზოგადოების მეტ-ნაკლებად ცნობილი წევრები არიან, მათ მიმართ ნდობის ხარისხი, რბილად რომ ვთქვათ, მაღალი არ არის. აქ ბევრი ფაქტორი მოქმედებს. მაგრამ ერთი უფრო ტრადიციულია: თუ აირჩიეს, ესე იგი ეს ხელისუფლებას ხელს აძლევდა. თუ ხელისუფლებას ასე უნდა, ეს არაფერ კარგზე არ მეტყველებს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში საზოგადოება მოქალაქეს მაშინ ენდობა, როცა ირჩევს და არჩევისთანავე უარს ამბობს ამ არჩევანზე. ასე ხდება მაშინ, როდესაც პარლამენტის წევრებს ირჩევენ და მაშინაც, როდესაც მათი რჩეულები ირჩევენ სხვებს. ისიც სამწუხაროა, რომ ეს ტრადიცია, დიდწილად სწორედ მათ დაამკვიდრეს, ვისაც ეს საზოგადოება წლების განმავლობაში ირჩევდა.

ცხადია, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას სხვა, იმაზე უფრო დასაბუთებული მიზეზებიც აქვს, ვიდრე ზემოთ მოყვანილი ფსიქოსოციალური წიაღსვლებია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ სამოქალაქო სექტორში არავინ უარყოფს პიროვნების, პიროვნებათა ჯგუფის და, რაც მთავარია, საზოგადოების ნების როლს ნებისმიერ საქმეში. არავინ უარყოფს, რომ საქმისადმი პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მიდგომა რადიკალურად ცვლის ნებისმიერ, თითქოსდა გამოუვალ მდგომარეობას. არავინ უარყოფს, რომ ასეთმა მიდგომამ განაპირობა უპრეცედენტო პროცესები საქართველოში და თუ კვლავ მივუბრუნდებით მედიის პრობლემას, იქნება ეს კერძო თუ საზოგადოებრივი სექტორი, აქაც მთავარი რესურსი სამოქალაქო კულტურის ამაღლებაში უნდა ვეძებოთ.

ჩანართი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.

ჩანართში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და მათი შინაარსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

## მატიანე

მოამზადა სოფო ბუკიამ, მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი



## ფემინისტების შურისძიება

მალლესტოუნში(პენსილვანიაშია) გამოდის გაზეთი „HERALD"-ი. ამ გაზეთის რედაქტორად და გამომცემლად პეტერ რეტიგანია. პეტერს ამას წინედ ერთი უბედურება დამართვნია. გაზეთში ერთის საზოგადოების ქალებზედ რაღაცა წერილი დაუბეჭდია და სასაცილოდ აუგდია ამ საზოგადოების ქალბატონები. ქალებს ჯავრის ამოყრა განუზრახავთ. მოგროვილა თხუთმეტი ქალი, ჩამჯდარან დახურულ ეტლებში და მისულან ამ გაზეთის რედაქციასთან. ჩამალულან ბუჩქებში და გამოჩნდა თუ არა პეტერი, მისცვივდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ წკეპლით ცემა დაუწყიათ. იმდენი უცემიათ ქალებს, ვიდრე არ დაღლილან და ცემა არ მოჰბეზრებიათ. ამ ამბავს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყოლია ამ ქალაქში. პეტერის მეგობრებს სასამართლოსთვის მიუმართავთ და ამ ქალების ქმრებს შეურაცხყოფის დაკმაყოფილებას სთხოვენ.

„ივერია" №176, 1886 წელი



## ხომ ვგავარ იმპერატრიცას?

ფრანგული გაზეთი „GIL BLAS"-ი მოგვითხრობს, რომ ერთს ახალგაზდა ქალს შეუტანია საჩივარი და ამტკიცებს, რომ იმპერატრიცა ევგენიას ქალი ვარო. საკუთარი სიმართლის საბუთად ქალს ის მოჰყავს, რომ გაჭრილი ვაშლივით ვგევარ იმპერატრიცასო. სასამართლო დარბაზში ახირებული ქალი იმპერატრიცას სურათით გამოცხადებულა. იმპერატრიცა მეტად ლამაზი ქალი ყოფილა, მომჩივანი კი ერთი უშნო ქალი გამოდგა, მოსამართლემ ბევრი იცინა ამ ქალის სახეზედ და სასამართლოდან კინწისკვრით გამოაგდო – შენ, ვილაც გიჟი დედაკაცი ხარ, დროს ტყუილად მაკარგვინებო. ის ქალი დღესაც დადის თურმე პარიზის ქუჩებში და გამვლელებს ეკითხება, ხომ ვგავარ იმპერატრიცა ევგენიასო.

„ივერია" №88, 1886 წელი

ფონდი ALPE

მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენთვის, ქალბატონებო!

*ეს წერილი მამაშვილობას ეხება, თუმცა მასში ბევრი სხვა ისეთი ნიუანსიც იკვეთება, რომელიც ურთიერთობაში ბზარს აჩენს.*

*თათია 19 წლისაა, ჰყავს ორი წლის შვილი, მეუღლეს ვერ შეეწყო (გაყრას აპირებს) და ამიტომ მეგობარ გოგონასთან ცხოვრობს. მისი ნაადრევი გათხოვება და ბედის „უკუღმა დატრიალება“ კი როგორც თავად ამბობს, ბავშვობიდან მოდის.*

— ხუთი წლის ვიყავი, როცა დედაჩემი მშობიარობას გადაჰყვა. პატარასაც დიდხანს არ უცოცხლია. მამას თავზარი დასცა დედაჩემის სიკვდილმა. წვერი მოუშვა, ოთახში ჩაიკეტა, არავის იკარებდა... მე ბებია და ბაბუა მზრდიდნენ. ზოგჯერ საჭმლით ხელში შემიშვებდნენ მამასთან, მაგრამ ის პირს არაფერს აკარებდა, ცოტა ხანს მომეფერებოდა და ლანგრიანად უკან მიშვებდა. ამასობაში აფხაზეთის ომი დაიწყო. მამამ ყური არ უგდო მშობლების ვედრებას და საომრად წავიდა. ბებია მასზე დარდმა ლოგინად ჩააგდო. საწყალი ბაბუა შავ დღეში იყო — აქეთ მე ვიყავი მისახედი, იქით — ბებია. ღვთის ნებით, მამა ცოცხალი დაგვიბრუნდა, მაგრამ ნერვებდაგლეჯილი. ზოგჯერ, როცა უმიზეზოდ ჭურჭლის მტვრევას და ყვირილს დაიწყებდა, დამფრთხალი ბაბუის ზურგს უკან ვიმალებოდი. ის კი მაწყნარებდა: ბაბუ, განა ჩვენ გვიბრაზდება. იმდენი უბედურება ნახა, რომ ნერვები აქვს დაწყვეტილიო. პატარა ვიყავი და მიჭირდა იმის გაგება, ნერვებს რაღა მაინცდამაინც ჭურჭლის მტვრევით იწყნარებდა... მერე ცოტათი დამშვიდდა მამა, მუშაობაც დაიწყო და ცდილობდა, არაფერი დაეკლო ჩემთვის. ცოლი რომ შეირთო, 8 წლის ვიყავი. ნათესავები შეუჩნდნენ — დედაშენს ოჯახის და ბავშვის მოვლის თავი არა აქვს, მამაშენს კი როდემდე ეყოფა ძალა, შენც ცოდო ხარ, თათიასაც ხომ უნდა და ან ძმაო. თავდაპირველად ყველაფერი კარგად იყო (ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა). დედინაცვალი ზრუნვას არ მაკლებდა, ყველგან თან დამატარებდა, ლექციებზეც კი მივყავდი ხოლმე. ერთი წლის მერე გაჩნდა გოგიტა. უზომოდ გახარებული ვიყავი, სულ პატარასთან ყოფნა მინდოდა. მაგრამ დედინაცვალმა მის ოთახში შესვლა ამიკრძალა. მიყვიროდა. სწორედ ამის გამო მოუვიდათ მას და ბებიას შელაპარაკება. მე აცრემლებული ჩავედი ეზოში. ეტყობა, ჩხუბი გაგრძელდა და დედინაცვალმა ისეთი რამ უთხრა ბებოს, რომ მას სიკვდილამდე ხმა აღარ გაუცია რძლისთვის. თუმცა არც შვილისთვის უთქვამს რამე. მამამ შეატყო, რაღაც მოხდა, მაგრამ, ყველას გასაკვირად, არაფრის გარკვევა არ მოუნდომებია.




გველის სურო ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება. იგი გამოიყენებოდა მელანქოლიის, ზოგადი სისუსტის, თავის ტკივილის, მონელების დარღვევის დროს.

ქინძი და ოხრახუში მდიდარია ვიტამინებით (C, $B_1$, $B_2$, PP კაროტინი), მინერალური მარილებით, ეთერზეთებით, ფლავონოიდებით, ცხიმოვანი ზეთებით, გლიკოზიდებით. ასეთი ბიოაქტიური ნივთიერებების შემცველობა აღნიშნულ მცენარეებს ეფექტურს ხდის ასთენიური მდგომარეობების დროს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**რამდენიმე წელია, მაწუხებს ჰაიმორიტი. ბევრნაირი მკურნალობა ვცადე, მაგრამ შედეგი ვერ მივიღე. იქნებ ვინმემ იცოდეს ძველებური ნაცადი საშუალება.**

***გთხოვთ დამეხმაროთ.***

***დიდი პატივისცემით დ. კობახიძე***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

N19
ოჯახის მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.
თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

## მზის სხივების სამკურნალო ძალა



მზის სხივების სამკურნალო თვისებები ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ შეამჩნია. მანვე მოიგონა სიტყვა — ჰელიოთერაპია, რაც ნიშნავს მზის სხივებით მკურნალობას. მზის სხივები ძლიერ ბაქტერიციდულია — მზის სინათლეზე ბაქტერიები ნაკლებად მრავლდებიან. მზემოკიდებულ კანზე 3-ჯერ უფრო სწრაფად იხოცებიან მიკრობები, ვიდრე მზემოუკიდებელზე. მზის შუქი კურნავს ძალიან ბევრ ინფექციურ დაავადებას — ანგინას, პნევმონიას, ტუბერკულოზს და სხვა.

მხოლოდ მზეზე ყოფნისას წარმოიქმნება ორგანიზმში D ვიტამინი, რომელიც აუცილებელია ნივთიერებათა ცვლის, განსაკუთრებით კალციუმისა და ფოსფორის ათვისებისათვის. ბავშვები, რომლებსაც აკლიათ D ვიტამინი, მტირალები და აღგზნებულები არიან, გვიან ამოსდით კბილები, უვითარდებათ რაქიტი.

სხვათა შორის, D ვიტამინის სინთეზისთვის ორგანიზმი ხარჯავს მავნე ქოლესტერინს, ასე რომ, თუ ის ძალიან ბევრი დააგროვეთ — „დაწვით“.

მზის კაშკაშა სხივები სწრაფად აფართოებს ძარღვებს, ორგანიზმი იღებს დიდი რაოდენობით ჟანგბადს, უკეთესად მუშაობს გულის კუნთები, წესრიგდება წნევა. მზეზე ქრება ფეხებზე მოლურჯო-იისფერი სისხლძარღვოვანი ბადე, აქტიურდება იმუნიტეტი. მზის სხივები წარმატებით ებრძვის ვირუსს, მსუბუქად გარუჯვა კანს ხდის გლუვსა და ელასტიკურს, კურნავს ფსორიაზსა და ფერიმჭამელებს. ნერვიული ადამიანები მზეზე მშვიდდებიან და ხალისიანები ხდებიან, რადგანაც მზის ზეგავლენით ტვინი გამოიმუშავებს ბედნიერების ჰორმონებს — ენდორფინებს.

მზიანი მხარის მკვიდრნი ან ისინი, ვისაც გარეთ უხდებათ მუშაობა, ნაკლებად ავადდებიან მკერდის, მსხვილი ნაწლავის და პროსტატის კიბოთი. D ვიტამინი ხელს უშლის კიბოს უჯრედების დაყოფას და აძლიერებს ორგანიზმის დაცვის უნარს. მაგრამ... გახსოვდეთ!

მზეზე დიდხანს ყოფნა და უზომოდ გარუჯვა მავნებელია, ზრდის კიბოთი დაავადების რისკს. მზეზე დიდხანს წოლით ორგანიზმში ჩნდება E ვიტამინის დეფიციტი, რაც აქვეითებს იმუნიტეტს, ტუჩებზე ჩნდება ჰერპესი, კანი უწყლოვდება, ჩნდება ნაოჭები.

სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო სოლარიუმშიც.

***კომსომოლსკაია პრავდა***

ავერსი AVERSI
მომხმარებელთა საყურადღებოდ!
“ავერსი-ფარმა” გაცნობებთ, რომ ევროს კურსის კლებასთან დაკავშირებით, ევროში იმპორტირებულ მედიკამენტებზე ფასი შემცირდა კურსის შესაბამისად.
გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

ლაქტო-G
ნაწლავური ფლორის სწრაფი აღდგენა ანტიბიოტიკოთერაპიის შემდეგ!
მრავალი დაავადების ეფექტური მკურნალობა წარმოუდგენელია ანტიბიოტიკების გარეშე, თუმცა ანტიბაქტერიული პრეპარატები თრგუნავენ სასარგებლო მიკროფლორას კუჭ-ნაწლავის ტრაქტში და იწვევენ დისბაქტერიოზს. გამოდის, რომ ჩვენ ვმკურნალობთ ერთ დაავადებას და ამავე დროს ვიძენთ მეორეს!
დისბაქტერიოზი — არა მარტო მუცლის არეში დისკომფორტის შეგრძნებას, არამედ ვიტამინების, მიკროელემენტების შეწოვის დარღვევას, ნაწლავური ტოქსინების რაოდენობის მომატებას, ასევე იმუნიტეტის დაქვეითებას და ქრონიკული დაავადებების გამწვავებას გულისხმობს.
ანტიბიოტიკოთერაპიის კურსის დროს და შემდეგ რეკომენდებულია ნაწლავური მიკროფლორის კორექცია და რაც უფრო სწრაფად მოხდება ეს, მით უკეთესია; თუმცა ნაწლავის მიკროფლორაზე ზრუნვა არასდროს არ არის გვიანი. სწორედ ამ შემთხვევაში ეფექტურად დაგეხმარებათ ქართული ფარმაცევტული საწარმო „ჯი-ემ-პი“-ის მიერ წარმოებული პრეპარატი ლაქტო-G!
PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი აფთიაქი ცხელი ხაზი ადგილობრივი 148!!
საწარმო GMP ტიპის საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი "ISO 9001-2000"
GMP ჯი-ემ-პი

თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზი“
მრავალწლიანი გამოცდილება. ხარისხი. გარანტირებული შედეგები



უახლესი ამერიკული მეთოდები: მხოლოდ ჩვენთან ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაცია. სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები
✓ თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
✓ გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა
✓ ასაკი შეუზღუდავია, კონსულტაციები უფასოა და ანონიმური
ბუდაპეშტის ქ. 22 მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართ.
☎ 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ზაფხულია, როგორ ვიკვებოთ სწორად?

ჯ. ადამია

# ზაფხულის აუცილებელი დიეტები

ზაფხული ის დროა, როდესაც ორგანიზმმა ვიტამინიზებული საკვები უნდა მიიღოს, ე.ი. ძირითადად ხილი და ბოსტნეული. მათში კი სასარგებლოს გარდა, ჯანმრთელობისთვის საზიანო ნივთიერებებიც უხვადაა.

ბოსტნეულს ამდიდრებენ მინერალური სასუქებით, რომელთა არასწორი გამოყენება აზოტმჟავა მარილებს (ნიტრატებს) წარმოქმნის. ეს უკანასკნელი ტოქსიკურ ნივთიერებად — ნიტრიტად გარდაიქმნება. ნიტრატებისა და ნიტრიტების რაოდენობა ბოსტნეულში ცვალებადია და დამოკიდებულია სხვადასხვა სასუქი ნივთიერების ურთიერთშეფარდებასა და ხარისხზე, ნიადაგის შემადგენლობასა და ტენიანობაზე, ბოსტნეულის შენახვის პირობებზე.

გარდა ამისა, ხილსა და ბოსტნეულში ბევრია მიკრო და მაკროელემენტები, ნახშირწყლები, უჯრედისი და სხვა სასარგებლო ნივთიერებანი.

ნიტრატები არათანაბარზომიერად კონცენტრირდება ბოსტნეულში. კარტოფილსა და კიტრში კანთან ახლოსაა თავმოყრილი, კომბოსტოსა და სტაფილოში — გულისკენ. ამიტომ საჭიროა კარტოფილის და კიტრის ღრმად გათლა, ხოლო კომბოსტოსა და სტაფილოს გული საკვებად არ უნდა გამოვიყენოთ.

ნიტრატების მოსაშორებლად კომბოსტო, კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი ძალიან წვრილად უნდა დავჭრათ და მოვხარშოთ, ნახარში გადავღვაროთ.

დაკონსერვებული, ძმარდამატებული და ჰერმეტულად შენახული კიტრი უკვე დღე-ღამის შემდეგ ნიტრატების 21,6%-ს კარგავს, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ნიტრატები საერთოდ უკვალოდ ქრება.

მავნე ნივთიერების შემცველობა მინიმალურია ცოტა მარილმოყრილ ბოსტნეულში, უფრო კი კიტრში.

მნიშვნელოვნად იკლებს საზიანო ნივთიერებები მწნილეულში.

გამოზამთრებულ ბოსტნეულსა და საერთოდ, ზამთრის განმავლობაში ნადებ საკვებში ნიტრატები ქრება.

სალათა, ისპანახი, ბოლოკი და მწვანე ხახვი ხმარებამდე 1-2 საათით მოათავსეთ წყლიან ჭურჭელში, პერიოდულად გამოუცვალეთ წყალი. სასარგებლოა გამდინარე წყალში მათი ხანგრძლივი რეცხვაც. ბოსტნეული აუცილებლად მაცივარში უნდა შეინახოთ.

**დიეტა წყლულოვანი დაავადების დროს:** წყლულოვანი დაავადების მკურნალობისას კვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დაავადება მწვავდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანი მკურნალობის შემდეგ თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობს, გაზაფხულსა და ზაფხულში დიეტის დაცვა მაინც საჭიროა.

*რეკომენდებულია:*

სასმელები: ბაცი ჩაი, რძიანი კაკაო.

პურ-ფუნთუშეული: ხორბლის გამომშრალი (მეორე დღის) თეთრი პური, ორცხობილა, მშრალი ნამცხვარი.

რძის პროდუქტები: რძე, ნაღები, არამჟავე არაჟანი ან ხაჭო, ერთი დღის მაწონი.

ცხიმი: კარაქი (უმარილო), ზეითუნის, სოიის ზეთი, მზესუმზირის რაფინირებული ზეთი.

კვერცხი: მაგრად მოხარშული კვერცხი, ორთქლზე მომზადებული ომლეტი (არა უმეტეს 2 ცალი დღეში).

წვნიანი: კომბოსტოს და ისპანახის კერძების გარდა, ყველა სახის.

ხორცი, თევზი: ორთქლზე მომზადებული, მოხარშული, დაკეპილი ხორცი, წიწილა, მოხარშული, უმარილო თევზი.

ბურღულეული: რძეზე დამზადებული ფაფები.

ბოსტნეული, მწვანილი: საზამთრო, კომბოსტოს, მჟაუნისა და ისპანახის გარდა, ყველა სახის ბოსტნეულის პიურე, გახეხილი კიტრი, წვრილად დაჭრილი, კერძში დამატებული მწვანილი.

ხილი და წვენები: კომპოტის წვენი, კისელი, ასკილის, ტკბილი ხილისა და კენკრის წვენები.

ვიტამინები: პოლივიტამინების კომპლექსი.

შაქარი, თაფლი და მურაბა მცირე რაოდენობით.

მარილი — შეზღუდულად.

საკვები უნდა მიიღოთ ცოტ-ცოტა, 4-ჯერ დღის განმავლობაში.

**დიეტა ქრონიკული ქოლეცისტიტის (ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს):**

— საჭმელი მიიღეთ მცირე ულუფებით, 4-6-ჯერ დღეში, სასურველია ერთსა და იმავე დროს.

— საკვები უნდა იყოს გრილი.

— მიირთვით ხორცის ან თევზის თხელი წვნიანი კერძი, უფრო ხშირად კი ბოსტნეულის ან რძის პროდუქტებზე მომზადებული (მაწონი, ხაჭო) სუპები.

— სჯობს მიირთვათ მოხარშული, ჩაშუშული, ორთქლზე მომზადებული კერძები.

— სასარგებლოა მცენარეული საკვები და რძის პროდუქტები — მაწონი, ხაჭო, ყველი, კეფირი.

— უფრო ხშირად მიირთვით ფრინველის ხორცი, ნაკლებად ცხიმიანი თევზი, ხაჭო, ყველი (დაახლოებით 200-250გ ყოველდღე).

— შეგიძლიათ მიიღოთ 1 ცალი მოხარშული კვერცხის ცილა კვირაში ერთხელ (სალათში ან ომლეტში), კვერცხის გული კი — კვირაში 2-3-ჯერ.

— ცხიმები არ უნდა აღემატებოდეს დღეში 45გ-ს. ისინი შეგიძლიათ ასე გაანაწილოთ:

ა) ზეითუნის ან სოიის ზეთი — 1 სუფრის კოვზი;

ბ) მზესუმზირის ან სიმინდის ზეთი — 1 სუფრის კოვზი;

გ) კარაქი — 10-15გ.

ცხიმი დაუმატეთ გამზადებულ კერძებს.

— მინიმალური რაოდენობით მიიღეთ მარილი, საკონდიტრო ნაწარმი, ცომეული, ტკბილეული, ნაყინი. ეს უპირატესად მათ ეხებათ, ვინც ჭარბ წონას უჩივის.

სითხეებიდან უმჯობესია ასკილის ნაყენი, მინერალური წყალი — ოთახის ტემპერატურის, უგაზო, ჭამიდან 30-40 წთ-ის შემდეგ.

შეგიძლიათ მიირთვათ ბაცი ჩაი და ყავა. ქოლეცისტიტის გამწვავების დროს სითხის რაოდენობა გაზარდეთ დღეში 2-2,5 ლ-მდე.

ქოლეცისტიტისთვის მავნეა: ცხარე საჭმელი, საწებლები, სანელებლები, მარილიანი კერძები, ძეხვეული, ტვინი, სოკო, ალკოჰოლიანი სასმელი.

**დიეტა ჰიპერტონიული დაავადების დროს**

*აუცილებელია:*

— საკვებში სუფრის მარილის შეზღუდვა დღე-ღამეში 6გ-მდე;

— კალიუმით და კალციუმით მდიდარი საკვების მიღება;

— ცხიმოვანი ცვლის მოწესრიგება ათეროსკლეროზის თავიდან ასაცილებლად;

— ნახშირწყლოვანი ცვლის მოწესრიგება შაქრიანი დიაბეტის თავიდან ასაცილებლად;

არტერიული ჰიპერტენზიის დროს შეიძლება მიიღოთ:

ა) ახალი ხილი და ბოსტნეული — მარწყვი, გარგარი, ქლიავი, ბანანი, ვაშლი, ლიმონი, გოგრა, საზამთრო, ნესვი, პომიდორი, კიტრი, კარტოფილი, ლობიო, ბადრიჯანი, ხახვი, მწვანილი, კომბოსტო და სხვა.

ბ) ქვავის ან გაუმტკიცავი ხორბლის პური, სოია, ჰერკულესი, წიწიბურა, ბრინჯი.

გ) ახალი თევზი, ქათმის, ინდაურის, ძროხის მჭლე ხორცი.

დ) მცენარეული ცხიმები — მზესუმზირის, სიმინდის, ზეითუნისა.

*მაია მუხიგული*



გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად

85 კომპლექტი ლარად!!!

ფასდაკლება პენსიონერებს და ინვალიდებს!

შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03; 899-19-60-55



თირკმლებში კენჭების დაშლა

თირკმლის კენჭოვანი დაავადებისაგან განკურნება შესაძლებელია უნიკალური ჰომეოპათიური მეთოდით, რომელიც თირკმლებში აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, შლის ოქსალატურ, ურატულ თუ ფოსფატურ კენჭებს უმტკივნეულოდ, გარანტიით, რეციდივების გარეშე.

*კონსულტაცია უფასოა.*

პუშკინის 10, ქალთა კონსულტაცია. კაბ. №1. ვენდისაანსარის ზემოთ (12-17სთ).
☎ 899-96-33-15



ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება:



სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, მტკივნეული მენსტრუაცია და კისტოზი, მასტოპათია, კიფოზი, ნევროზი, შიშები, დეპრესიები, შაკიკი, არითმია, პოსტინსულტური დამბლა, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t=37,2°C), სიგარეტის გადაგდება.

კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა.
მის: მ. „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18
ანატოლი შავიძე ☎ 61-65-03; 893-20-68-21



პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს




ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალეთ იკითხეთ აფთიაქებში

საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით

სერთიფიცირებულია

ცხელი ხაზი: 39 66 03



„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
- უროლოგიური, გულსისხლძარღვთა, ნევროლოგიური, ნივთიერებათა ცვლის მოშლით და ნარკომანიით გამოწვეული სექსუალური დარღვევების მკურნალობა

ფსიქოთერაპია

ვაქცინაცია ლასაელეთის წარმოების ვაქცინებით.

თბილისი ქავთარაძე ჯავახიშვილის ქ. 83/11 ტელ: 32 21 21; 31 73 24


# პურში ღამურა გამოგვიცხვეს!




## სანამ შეჭამთ შეამოწმეთ, რა იცით, რა ხდება...

რა სჯობია, დაცვარულ ქორფა ტარხუნას ხელის მტევანზე რომ დაიფერთხავ. მერე გუდის ყველს მოზრდილ ნაჭერს ჩამოაჭრი და ცხელ, სურნელოვან შოთის პურს გატეხ. გატეხ და... შემწვარ-გამოცხობილი ღამურა „შემოგღიმებს". ეჰ, რა კარგად დავიწყე და როგორ დავასრულე... მაგრამ სჯობია, რამდენიმე საათით მადა დაიოკოთ და პური მანამ არ მიირთვათ, სანამ არ დარწმუნდებით, რომ ის კეთილსინდისიერი მეწარმის მიერ არის გამომცხვარი. თორემ საქართველოში გამომცხვარ პურში რას არ შეხვდება მომხმარებელი — ლითონის დეტალებსა და ლურსმნებს კიდევ აიტანდა კაცი (არაერთხელ ყოფილა). დიდი-დიდი, ერთი-ორი კბილი შეეწიროს, მაგრამ როდესაც პურში წრუწუნები და სხვა გაურკვეველი წარმოშობის არსებანი შეგხვდებიან, დამეთანხმებით, სასიამოვნო შეგრძნება სულაც არ არის. ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ პურთან ერთად გამომცხვარი არსება დაავადებული არ იყო. იქნებ ზოგიერთმა მკითხველმა, ვისაც გაუმართლა და დღემდე პურში უცხო საგნები და არსებები არ აღმოუჩენია, ზემოთქმული ჟურნალისტის ფანტაზიას მიაწეროს, მაგრამ მათ შევახსენებ, რომ რამდენიმე დღის წინ თბილისელმა მოქალაქემ ლილოს დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ საცხობში გამომცხვარ პურში ღამურა ნახა. სანიტარული ინსპექციის უფროსი დავით მესხიშვილი და მისი კოლეგები აღშფოთებას ვერ მალავდნენ პურში „შემოპარული" ღამურის გამო(!). მათ ბევრი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა უნახავთ, მაგრამ ახლანდელმა რეკორდი მოხსნა. ამის შემდეგ საცხობის შემოწმებისას იმდენი ყურადღება არავის გაუმახვილებია იმ ბუზებზე, რომლებიც გამოსაცხობად გამზადებულ ცომს ეხვია.

მხოლოდ თბილისში ოფიციალურად ლიცენზირებული 1200 პურის საცხობი მუშაობს. დაახლოებით კიდევ 500-ს ლიცენზია არა აქვს, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, აქვთ თუ არა მათ ნებართვები, არამედ ის, რომ პურის საცხობების უმრავლესობა კვების პროდუქტების საწარმოებლად შეუფერებელ შენობა-ნაგებობებშია განთავსებული — ავტოფარეხებში, ყოფილ წყალსაქაჩ სადგურებში, საავადმყოფოს ეზოებში მდებარე დამხმარე შენობებში, სარდაფებში, გაუქმებული ქარხნების და ფაბრიკების საამქროებში ან, უბრალოდ, ჯიხურებში. ძალიანაც რომ მოინდომოს ასეთ შენობებში განთავსებული პურის საცხობის მეპატრონემ, მაინც ვერ შეძლებს ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. აბა, როგორ შეიძლება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში პურის საცხობის გამართვა. თბილისი ისე სუფთა ქალაქი არ არის, რომ სარდაფებში მღრღნელები სანთლით საძებარი იყოს. აგერ, ქალაქის ცენტრში, რკინიგზის ბორჯომის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიბრძანდით. გაჰყევით იმ ქალს, რომელიც სადგურთან ახლოს ხაჭაპურებსა და ღვეზელებს ყიდის და იმ სარდაფსაც ნახავთ, სადაც ხაჭაპურთან ერთად პურიც ცხვება (ეს სანიტარული ინსპექციის საყურადღებოდაც არის ნათქვამი. — ავტ.). თუ მოახერხეთ და საცხობში თუნდაც ცალი თვალით შეიხედეთ, მერწმუნეთ, აღარასოდეს იყიდით სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე კვების პროდუქტებს. ამ სარდაფებში ისეთი ანტისანიტარიაა, არათუ კვების პროდუქტების დამზადება, არამედ იქ ადამიანის რამდენიმე საათით ყოფნაც კი დაუშვებელია. მეტიც, სწორედ ამ სარდაფებში სალდება „დეზერტირის" ბაზარში გაფუჭებული საქონელი, რომლისგანაც შემდეგ ნაირ-ნაირ კვების პროდუქტს ამზადებენ.

**როდესაც პურში წრუწუნები და სხვა გაურკვეველი წარმოშობის არსებანი შეგხვდებიან, დამეთანხმებით, სასიამოვნო შეგრძნება სულაც არ არის. ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ პურთან ერთად გამომცხვარი არსება დაავადებული არ იყო. იქნებ ზოგიერთმა მკითხველმა, ვისაც გაუმართლა და დღემდე პურში უცხო საგნები და არსებები არ აღმოუჩენია, ზემოთქმული ჟურნალისტის ფანტაზიას მიაწეროს, მაგრამ მათ შევახსენებ, რომ რამდენიმე დღის წინ თბილისელმა მოქალაქემ ლილოს დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ საცხობში გამომცხვარ პურში ღამურა ნახა.**

პურის საცხობებში ვერსად ნახავთ (იშვიათი გამონაკლისის გარდა) სავენტილაციო დანადგარებს. აღარაფერს ვიტყვით სხვა ტექნოლოგიურ დაზგა-დანადგარების შესახებ.

ცალკე საუბრის თემაა ქართული პურის თონეები. თუ რა ხდება თბილისის თონეებში, ამის შესახებ ერთ ძველ პურის მცხობელს, **რაჟიკო ჩაგელიშვილს** მოვუსმინოთ: „ადრე თბილისში თითზე ჩამოსათვლელი იყო თონეები. მახსოვს, ისე მკაცრად გვაკონტროლებდნენ, სარკესავით წკრიალებდა თონე. ექიმს ბუზი ან ტარაკანა რომ ენახა, ერთი ამბავი ატყდებოდა. ახლა კი ისეთი ხალათებით მუშაობენ, ვერ გაარჩევ, შავია თუ თეთრი. ომის შემდეგ ხალხი პურს პატივს სცემდა. ქუჩაში დაგდებულ პურის ნატეხს რომ დაინახავდნენ, აიღებდნენ, გაწმენდდნენ და სადმე შემოდებდნენ. ამას წინათ ერთი მანქანა პური დაიყარა ქუჩაში, ვითომც არაფერი, აკრიფეს და გასაყიდად გააქანეს. ადრე ძირს ნაყარ პურს მაღაზიაში ვინ შეიტანდა. ძველი ხაბაზებიც სხვანაირები ვიყავით. გვიხაროდა, ხალხი ჩვენს გამომცხვარ ლავაშებს რომ მიირთმევდა. ასე გვეგონა, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, ხალხი შიმშილით დაიხოცებოდა. ახლა აღარც ხეირიანი ხაბაზია სადმე და აღარც ხაბაზის შრომის დამფასებელი. ყველა ფულზე ფიქრობს"...

P. S. დედაქალაქის პურის საცხობებში სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით რომ ასეთი მდგომარეობაა, ადვილი წარმოსადგენია, რა იქნება რაიონებში, როგორ ცხვება იქ პური ჩვენი არსობისა და ამიტომ, ვისაც ეს ხელეწიფება, დროულად უნდა გამოიღოს ხელი, სანამ ხალხი დაწამლულა.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

## ყირგიზეთში რევოლუცია დასრულდა

ყირგიზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ყურმანბეკ ბაკიევმა. მისი მთავარი მეტოქე ფელიქს ყულოვი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდება. ასე შეთანხმდნენ არჩევნებამდე, როცა ყულოვმა თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტო რბოლიდან მოხსნა. ყირგიზეთის ექსპრეზიდენტმა ასკარ აკაევმა, მისმა მეუღლემ, მაირამ აკაევამ და ვაჟმა არჩევნებში ვერ მიიღეს მონაწილეობა — მოსკოვში, ყირგიზეთის საელჩოში ისინი საერთოდ არ იყვნენ შეყვანილი ამომრჩეველთა სიებში.

აკაევების ოჯახიდან მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტის ქალიშვილმა შეძლო ხმის მიცემა ბიშკეკში. „ხმა მივეცი იმ კანდიდატს, რომელიც ნამდვილად არ მიიყვანს ქვეყანას დანგრევის პირამდე," — განუცხადა ბერმეთ აკაევამ ჟურნალისტებს. ყოფილ პრეზიდენტს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა შესთავაზეს.



ძნელი სათქმელია, პრეზიდენტის არჩევა მოუტანს თუ არა ყირგიზეთს მშვიდობას. ალბათ შემოდგომაზე ქვეყანა ეკონომიკურ პრობლემებს შეეჯახება. „რევოლუციურმა განწყობამ" სოფლად ხვნა-თესვას ხელი შეუშალა და ყირგიზები მალე იგრძნობენ სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას. არც მრეწველობაა კარგ დღეში, საწარმოებს სთხოვენ, რამდენიმე თვით ადრე გადაიხადონ გადასახადები, აქტიურდება ნარკოტრაფიკი, ძვირდება გაზი. ასეთ პირობებში კიდევ უფრო გამწვავდება დაპირისპირება ქვეყნის სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. ხალხი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისაგან შეთანხმებულ მოქმედებებს ელის.

*არგუმენტი ი ფაქტი*

## ჩინელი გენერალი მზად არის ამერიკის გასანადგურებლად

„თუ ამერიკელები ჩვენი და ტაივანის ურთიერთობაში ჩაერევიან, ჩვენ ბირთვული იარაღით გავცემთ პასუხს, — იმუქრება ჩინეთის არმიის გენერალ-მაიორი ჩჟუ სენჩჟუ, — ასობით ქალაქს გავანადგურებთ". გენერალმა ბრძანა, რომ ეს მისი საკუთარი აზრია და არა მთავრობის ოფიციალური პოზიცია. ამერიკელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ჩინელი გენერლის განცხადება არ ასახავს ჩინეთის არმიის ხელმძღვანელობის განწყობას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა ამერიკელთა ვარაუდი, — გენერლის მოსაზრება არ ემთხვევა ჩინეთის ხელისუფლების აზრს. იმედი გვაქვს, მივაღწევთ ტაივანისა და ჩინეთის მშვიდობიან გაერთიანებას. ტაივანის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას კუნძულსა და ჩინეთს შორის მშვიდობის ჩამოსაგდებადო. შეგახსენებთ, რომ მართალია, ტაივანი 1949 წლიდან პეკინისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ ჩინეთს ის თავის ამბოხებულ პროვინციად მიაჩნია. ვაშინგტონი ადრე აცხადებდა, რომ გარკვეულწილად მიესალმებოდა ტაივანის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ ახლა ხაზგასმით აღნიშნავს, — ყველაფერს ვილონებ, რათა ჩინეთსა და ტაივანს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდესო.

*ბი-ბი-სი*

## ევროპოლი ტერორიზმთან ბრძოლაში ებმება

**2001 წლის 11 სექტემბერი — ნიუ-იორკი. 2004 წლის 15 მარტი — მადრიდი. 2005 წლის 7 ივლისი — ლონდონი. ასეთია დასავლეთის დედაქალაქებზე „ალ-ქაიდას" ყველაზე ძლიერი დარტყმების გეოგრაფია. როგორ ავიცილოთ თავიდან შემდეგი დარტყმა — დღეს ეს არის დასავლეთის სპეცსამსახურების მთავარი საზრუნავი.**

ტერორისტულმა ორგანიზაციამ, რომელიც თავს უწოდებს „ალ-ქაიდა ევროპაში", ინტერნეტით გამოაცხადა, რომ ლონდონის შემდეგ მისი სამიზნე იქნება იტალია და დანია, რადგან ამ ქვეყნების ჯარი ერაყში იმყოფება.



დანია რეჟიმს ამკაცრებს

რომისა და კოპენჰაგენის სპეცსამსახურები გამალებით ემზადებიან დარტყმის თავიდან ასაცილებლად. იტალიის პოლიციამ ლომბარდიაში დააპატიმრა ტერორისტებთან კავშირში ეჭვმიტანილი 142 კაცი. დანიის ხელისუფლება გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ქვეყანაში მცხოვრებ რადიკალ-ისლამისტებს და მოქალაქეებს სიფხიზლისკენ მოუწოდებს.

სპეცსამსახურები ფიქრობენ, რომ თუ ტერორისტები მართლა აპირებენ თავდასხმას ევროპის რომელიმე ქვეყნის დედაქალაქზე, ეს ასე სწრაფად არ მოხდება — „ბომბისტები" „აქციის" ჩატარების შემდეგ გარკვეული დროით, ვიდრე ყველაფერი არ მიწყნარდება და ტერორიზმის ექო არ ჩაცხრება, თვალს მიეფარებიან. ლონდონის ტერაქტამდე ევროკავშირის წევრი ქვეყნების სპეცსამსახურები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ახლა კი გეგმავენ დაზვერვის სამსახურების მონაცემების საერთო ბანკის შექმნას, რომლითაც ევროპის ყველა ქვეყანა ისარგებლებს. ტერორიზმთან ერთიანი ბრძოლის შტაბი ჰააგაში, ევროპოლის შენობაში დაიდებს ბინას.

აქამდე ევროპოლი კოორდინაციას უწევდა ბავშვთა პორნოგრაფიისა და ნარკოტრაფიკის საწინააღმდეგო საერთაშორისო ოპერაციებს, ტერორიზმს კი ნაციონალი სპეცსამსახურები ებრძოდნენ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად უკავშირდებოდნენ საზღვარგარეთელ პარტნიორებს საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. თანამშრომლობის ამგვარ ფორმას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი სპეცსამსახურების ცალკეული თანამშრომლის პირად ნაცნობობასა და ურთიერთნდობას ეფუძნებოდა და მასში ევროკავშირის ორგანოები არ ერეოდნენ.

„ცხოვრებამ კი გვიჩვენა, რომ ევროპოლმა აუცილებლად უნდა იმოქმედოს ნაციონალურ სპეცსამსახურებთან ერთად", — განაცხადა შვედეთის უსაფრთხოების პოლიციის შეფმა კლის ბერგენსტრანდმა.

*ნოვიე იზვესტია*

## რუსეთი ზაკაევის გადაცემას ითხოვს

დიდი ბრიტანეთი მზად არის, განიხილოს ჩეჩენ „ბოევიკთა" ერთ-ერთი ემისრის, აჰმედ ზაკაევის რუსეთში ექსტრადიციის საკითხი, თუ მოსკოვი ტერაქტებთან მისი კავშირის დამამტკიცებელ საბუთებს წარადგენს, — განაცხადა რფ-ში დიდი ბრიტანეთის ელჩმა ტონი ბრენტონმა. მან ისიც დასძინა, რომ ბატონ ზაკაევს ისევე იცავს ბრიტანეთის კანონმდებლობა, როგორც დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს.

ჟურნალისტების შეკითხვას — ლონდონის ტერაქტების შემდეგ დაჩქარდება თუ არა ზაკაევის ექსტრადიციის საკითხიო, ტონი ბრენტონმა ასე უპასუხა: — ტერორისტების ერთ-ერთი მიზანი სწორედ დემოკრატიისა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის დამხობაა. თუ ჩვენ მათ დაკრულს ავყვებით და კანონის უზენაესობის პრინციპს დავარღვევთ, ეს იქნება ტერორისტების გამარჯვება.

*იზვესტია*

## ლუქსემბურგმა ევროკონსტიტუცია მიიღო




ჟან-კლოდ იუნკერი

ლუქსემბურგელები, ტრადიციულად, ყოველთვის ევროინტეგრაციას ემხრობოდნენ. მაგრამ საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ევროკონსტიტუციის ჩავარდნისა და ლონდონის ტერაქტების შემდეგ, ანალიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ ევროკონსტიტუციას ლუქსემბურგი მხარს არ დაუჭერდა. ასე არ მოხდა.

ლუქსემბურგის პრემიერის, ჟან-კლოდ იუნკერის აზრით, სწორედ ევროინტეგრაციის წყალობით აყვავდა ეს პაწაწინა სახელმწიფო. გარდა ამისა, საფრანგეთისა და გერმანიისაგან განსხვავებით, რომელთა ცხოვრების დონე, ევროპის გაერთიანების შემდეგ მნიშვნელოვნად დაეცა, ლუქსემბურგი დარჩა მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი შემოსავლის მქონე ქვეყნად. ერთ ლუქსემბურგელზე წელიწადში 52.600 ევრო მოდის. ასეთ კეთილდღეობას ქვეყანამ საბანკო სფეროს განვითარებისა და ევროკავშირში ყველაზე დაბალი გადასახადით მიაღწია.

ბატონი იუნკერი, რომელიც ლუქსემბურგის მთავრობას 11 წელია ხელმძღვანელობს, სკეპტიკოსებისგან განსხვავებით, იმდენად დარწმუნებული იყო თავის ქვეყანაში ევროკონსტიტუციის გამარჯვებით, რომ განაცხადა, — თუ რეფერენდუმი ჩავარდება, გადავდგებიო.

*კომერსანტი*

## მონაკოს ტახტზე ალბერტ II ავიდა

მონაკოს ახალი მთავარი ჰყავს — ალბერტ II. ცერემონია გაიმართა ტაძარში, სადაც დაკრძალული არიან მისი მშობლები — ავტოკატასტროფაში დაღუპული ჰოლივუდის ვარსკვლავი გრეის კელი და მთავარი რენიე III. იგი 81 წლის ასაკში წელს, 6 აპრილს გარდაიცვალა.

ტახტზე ასვლისთანავე ალბერტ II-მ განაცხადა, ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ მონაკოს „ფინანსური სამოთხის" სახელი მოვაშოროო. მინისახელმწიფოში 32 ათასი კაცი ცხოვრობს. აქედან მონაკოს ქვეშევრდომი მხოლოდ 7,5 ათასია. ქვეყნის 70 ბანკში 340 ათასი ანგარიშია რეგისტრირებული. ამ პატარა ქვეყანას დროდადრო „ფულის გათეთრებაში" ადანაშაულებენ და ახალ მთავარს სწორედ ამ ბრალდების გაბათილება სურს.

47 წლის ალბერტ II-ს მეუღლე არ ჰყავს. ტახტზე ასვლამდე რამდენიმე დღით ადრე მან საჯაროდ აღიარა ორი წლის შავკანიანი ბიჭუნას, ალექსანდრეს, მამობა. ბავშვის დედა ყოფილი ტოგოელი სტიუარდესაა. დედა-შვილი ყოველწლიურად 100 ათას ევროს მიიღებს და საფრანგეთის პატარა ქალაქ ვილფრანშ-სიურ-მერში



იცხოვრებს. სრულწლოვანი ალექსანდრე მამის ქონების მემკვიდრე გახდება, მაგრამ ვერც გრიმალდის გვარს მიიღებს და ვერც ტახტს.

*ნიუზუიქი*

## ევროპაში ცხელა

სინოპტიკოსები აღნიშნავენ, რომ წლევანდელი ზაფხული ევროპაში ჭირვეულობით გამოირჩევა — ხვატს სიცივე და კოკისპირული წვიმა ცვლის.

საფრანგეთში პაპანაქებაა. მოსახლეობა შიშობს, არ განმეორდეს შარშანწინდელი ზაფხული, როცა სიცხემ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საჭიროებისთვის ჰოსპიტლებსა და კერძო საავადმყოფოებში გამზადებულია 8 ათასი ადგილი.

ვარაუდობენ, რომ ძალიან დაცხება ესპანეთსა და შვედეთში. პორტუგალიასა და ესპანეთში 60 წელია ასეთი ხვატი არ ყოფილა. პორტუგალიის ზოგ რაიონში იძულებული არიან, წყალი მეზობელი ქვეყნიდან შეიტანონ — ადგილობრივი წყალსაცავები და ჭები დამშრალია. გვალვამ თითქმის მთელი მოსავალი გაანადგურა. მათ ხანძრისაც ეშინიათ, ხალხი ხშირად დასაძინებლად ჩაცმული წვება, რომ ხანძრის შემთხვევაში დრო არ დაკარგოს. ივნისში მაინცდამაინც არ ცხელოდა, მაგრამ პორტუგალიაში ხანძრის უამრავი შემთხვევა დაფიქსირდა.

ხორვატიაში სეტყვამ ნათესების უდიდესი ნაწილი გაანადგურა, ავსტრიაში კი კოკისპირულად წვიმს...

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას
კეტოროლი
მოკალი ტკივილი!
რეგისტრაციის № 0000406

დამწყებ მეწარმეთა საყურადღებოდ!
გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი
აცხადებს დამწყებ მეწარმეთა შერჩევას ბიზნეს-ინკუბატორის პროექტში მონაწილეობის მიზნით. ბიზნეს-ინკუბატორის მიზანია ხელი შეუწყოს მცირე მეწარმეთა საქმიანობას უფასო ბიზნეს-კონსულტაციებისა და შეღავათიანი საბანკო სესხების გზით.
პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისში რეგისტრირებულ დამწყებ მცირე მეწარმეებს (რეგისტრაციის ხანგრძლივობა 2 წლამდე. მაგრამ არანაკლებ 6 თვისა).
მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ბიზნეს-ინკუბატორის ცენტრალურ ოფისს 2005 წლის 1 აგვისტომდე მისამართზე: თბილისი, მელიქიშვილის გამზირი №12, ტელ 22-14-11; 22-12-87

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა და ვიტრაჟი
საუკეთესო ხარისხის სამ და ოთხკამერიანი
მწერებისგან დამცავი ბადეები
ყველაზე რეალური ფასები
38-37-47 899-17-70-80
იოსებიძის ქ. №49

ავტონაწილების მაღაზია
ფილტრები, ზეთები
ამერიკული ავტომობილების ავტონაწილები შეკვეთით: პარპრიზები, ამორტიზატორები, კალოდკები, ძრავის ნაწილები, რემნები და სხვა.
მის: წერეთლის 118 ☎34-15-76

„ტრანსკონტინენ" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

# ბენზინი გაძვირდა... და, ალბათ, კიდევ გაძვირდება



საერთაშორისო ბაზარზე ნედლი ნავთობის ფასმა წელს არაერთხელ მიაღწია რეკორდულ მაჩვენებლებს. თუკი გასულ თვეებში ერთი ბარელი ნავთობის ღირებულების მაქსიმალური ზღვარი 60 დოლარს შეადგენდა, უკანასკნელმა კვირამ ამ თვალსაზრისით ყველა რეკორდი მოხსნა: ნიუიორკის ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობი 60,73 დოლარი ღირდა, ლონდონის ბირჟაზე — 60,3 დოლარი, ხოლო გენუის ბირჟაზე ბარელის ფასმა 57 დოლარს მიაღწია. საერთაშორისო ექსპერტების შეშფოთებას ნედლ ნავთობზე ფასების ზრდის სწრაფი დინამიკა იწვევს.

სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სულ რაღაც 2-3 კვირის წინ საერთაშორისო ბაზარზე ნედლი ნავთობის ფასი 50-51 დოლარის (ერთ ბარელზე) ფარგლებში მერყეობდა. კომპეტენტური პირები ნავთობის გაძვირებას მსოფლიოში ნავთობპროდუქტებზე გაზრდილ მოთხოვნას უკავშირებენ. გარდა ამისა, ლაპარაკობენ მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, ბუნებრივ კატაკლიზმებზე, რაც ხშირად საბირჟო აჟიოტაჟისა და ფასებით მანიპულირების საბაბი ხდება. მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები ზუსტი პროგნოზების გაკეთებას ერიდებიან, თუმცა ერთხმად მიგვანიშნებენ, რომ ირანის გარშემო დაძაბულობის წრე სულ უფრო ვიწროვდება და თუ საომარი მოქმედებები დაიწყო, „შავი ოქროს“ ფასი კიდევ უფრო გაიზრდება.

პროგნოზების სიზუსტეს ისიც აფერხებს, რომ არავინ იცის, რა დონეზეა ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის სტრატეგიული მარაგი. თუმცა ექსპერტთა საერთო შეფასებით, ნავთობზე ფასების ზრდა წლის ბოლომდე მაინც გაგრძელდება და ერთ ბარელზე 70 დოლარს მიაღწევს.

მართალია, მიზეზთა გამო ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ჯერ ფეხს ვერ უწყობს, მაგრამ ისეთ ფაქტზე, როგორიცაა მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის გაძვირება, ადგილობრივი ბაზარი უმალვე რეაგირებს. სწორედ ამის შედეგია, რომ გასული წლიდან დღემდე საქართველოში საწვავის ფასი თითქმის გაორმაგდა. „ადგილობრივი იმპორტიორები საწვავზე ფასს ხშირად თვითნებურად ზრდიან. კი, ბატონო, გასაგებია, რომ საქართველო 100%-ით იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზეა დამოკიდებული, მაგრამ ერთი შემთხვევა მაინც დამისახელეთ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი დაცემულა და საქართველოშიც ადეკვატურად შეემცირებინოთ ფასები საწვავზე“, — აცხადებს ეკონომიკური ექსპერტი გია ხუხაშვილი. საერთაშორისო პროგნოზებზე დაყრდნობით, ქართველი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თვის ბოლომდე ნედლი ნავთობი, შესაძლოა, კიდევ გაძვირდეს, რაც უმალვე გამოიწვევს საწვავზე ფასის მატებას საქართველოს ბაზარზე. ამ პროცესის ლოგიკური გაგრძელება კი სამომხმარებლო პროდუქციის ფასების ზრდა იქნება. ამგვარი ვითარების შესამსუბუქებლად ეკონომიკური ექსპერტები ხელისუფლებას თადარიგის დაჭერასა და შეღავათიანი ღონისძიებების გატარებას ურჩევენ — კერძოდ, ნავთობპროდუქტებზე მნიშვნელოვნად გაზრდილი აქციზის დროებით მაინც შემცირებას. თუმცა ექსპერტულ ანალიზსა და რეკომენდაციებში გამორჩენილია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რაც საწვავზე ფასების ზრდის მაპროვოცირებელი იქნება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ 2006 წლის 1-ელი იანვრიდან (იქამდე კი მხოლოდ 5-6 თვეა დარჩენილი) საქართველოს ხელისუფლება უარს იტყვის აზერბაიჯანული იაფი საწვავის შესყიდვაზე, რადგან ამ უკანასკნელის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ამასთან, ცნობილი ხდება, რომ საქართველოს მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და სხვა ევროპული გაერთიანებების მოთხოვნით მიიღო.

ასე რომ, 2006 წლიდან (თუ ზემოხსენებული გადაწყვეტილება არ გადაისინჯა) საქართველოში საწვავზე ფასები ნახტომისებურად გაიზრდება. ამას კი ავტომატურად ყველა სახის საქონლის გაძვირება მოჰყვება.

***ემა ტუხიაშვილი***

# „ერთმა მენატურემ თავისი 9 წლის გოგონა მომიყვანა“(?!)

## „თუ პორნოგრაფიას „კანონიერად“ ავრცელებ, არ ისჯები“

**(დასაწყისი იხ. გვ.11)**

არადა პორნოგრაფია არაჯანსაღ სექსუალურ ინტერესს იწვევს, ახალგაზრდებში სქესობრივი კავშირის გარყვნილი ფორმებით ჩატარებისაკენ სწრაფვას აძლიერებს. ამას კი ხშირად ადამიანის ორგანიზმის მწვავე ბიოლოგიური გამოფიტვა მოსდევს. სწორედ ამიტომ არის პორნოგრაფიული ნაწარმის დამზადება დანაშაული და საზოგადოებისათვის საშიში. მეტიც, ინტერნეტში არასრულწლოვნები, ძირითადად, პორნოსაიტების დათვალიერებით ერთობიან. მათ არ იციან, რომ ძილის წინ ასეთი საიტების ნახვა მათ მამაკაცურ პოტენციას საფრთხეს უქმნის. ხომ ნახეთ, ჩემი კაბინეტის წინ რამდენი ახალგაზრდა მამაკაცი დგას რიგში. მათ სერიოზული პრობლემები აქვთ. სხვათა შორის, უმეტესობა ბავშვობაში სწორედ პორნოსაიტების ხშირი სტუმარი იყო. ხანში შესულ მამაკაცებს რომ გაეპაროს თვალი პორნოსაიტისკენ, კიდევ ხო... და ისიც განსაზღვრული დოზით, მაგრამ ახალგაზრდებისთვის ძალზე სარისკოა...

დასასრულ, ქართული პორნოგრაფიული საიტის ერთ-ერთ შემქმნელსაც გაგაცნობთ, იგი თვითონ დაგვიკავშირდა. ვაჟა ნ.: — გავიგე, რომ ამ თემაზე სტატიას ამზადებთ და მინდა, როგორც ეროტიკული საიტის ერთ-ერთმა შემქმნელმა, ჩემი მოსაზრებაც გაგიზიაროთ.

— **ეროტიკული თუ პორნოგრაფიული საიტის შემქმნელმა?**

— მე ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ ამ ორ ცნებაში. უბრალოდ სიტყვების თამაშია. მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებშია განსხვავება. ჩვენ არავის ვაძალებთ, გინდა თუ არა გაშიშვლდი და ფოტო გადაიღე-თქო. ყველა მენატურე თავისი ნებით მოდის, იხდის, იღებს სხვადასხვა პოზას და ცდილობს, რაც შეიძლება კარგად წარმოაჩინოს თავისი სხეული. ზოგიერთი გოგონა დაჟინებით იმასაც მთხოვს, რომ საიტზე მისი მობილური ტელეფონის ნომერიც მივუთითო(?!).

— **ანუ პროსტიტუციის განვითარებასაც უწყობთ ხელს.**

— რატომ პროსტიტუციის? განა არ შეიძლება, კაცს პორნოსურათზე ალბეჭდილი გოგო ისე მოეწონოს, რომ ცოლადაც კი მოიყვანოს(?!). და საერთოდ, საქართველოში პორნოგრაფია არ იკრძალება და კანონით დაშვებულია.

— **არასრულწლოვანებსაც იღებთ?**

— სხვები რას აკეთებენ, არ ვიცი, მაგრამ მე მხოლოდ სრულწლოვან მენატურეებთან ვმუშაობ, საციხედ საქმეს არ გავიხდი. მაგხელა „კრიშა“ არა მყავს და მხოლოდ კანონის ფარგლებში ვმუშაობ. ისე, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ერთმა მენატურემ თავისი 9 წლის გოგონა მომიყვანა, მაგრამ ორივე გავაგდე.

ბოლო დროს ამაზე აურზაური იმიტომ ატეხეს, რომ კანონის გამკაცრება უნდათ. სულერთია, კანონი ქაღალდზე დარჩება, სამაგიეროდ, პოლიციას ფულის საკეთებელი საშუალება მიეცემა — საიტების შემქმნელებს დაგვხარკავენ, ზოგს კი „კრიშად“ დაუდგებიან...

**P. S.** ყველაფრიდან ჩანს, რომ ქვეყანაში პორნოინდუსტრია ვითარდება და თუ დროზე არ გამოვილეთ ხელი, აყვავდება კიდეც. საზღვარგარეთიდან ყველაფრის ბრმად გადმოღება კარგს არაფერს მოგვიტანს. ხანდახან მაინც გავაკონტროლოთ, რითი ერთობა კომპიუტერზე მიჯაჭვული ჩვენი პირმშო, თორემ მერე გვიან იქნება, როდესაც ყმაწვილი სექსოლოგთან დაიწყებს ვიზიტებს.

***ზვიად ჩაკვეტაძე***
***დიანა ჭელიძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 16 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8201 |
| ევრო | 2,2083 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,2088 |
| რუსული რუბლი | 0,0636 |
| თურქული ლირა (1*) | 1,3711 |

* 2005 წლის 1 იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები
მოსკოვი(ფიქსირებულ ტელეფონებზე) 22თ.
რუსეთი
ამერიკა 25თ.
ევროპა(ფიქსირებულ ტელეფონებზე)
დროის წამობრივი აღრიცხვა
ფიქსირებული ტელეფონიდან მობილურზე(საქართველოში, თბილისის ფარგლებში) 25თ.
საქართველოს რეგიონები 12თ.
8 - 10
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. გამოუშვით ოჭალანი!..



მოგეხსენებათ, რომ ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ, თურქეთის მთავრობამ დააპატიმრა ქურთების ლიდერი აბდულა ოჯალანი, რასაც მოჰყვა საპროტესტო გამოსვლები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც ქურთები ცხოვრობდნენ. თბილისელი ქურთები ვისზე ნაკლები იყვნენ და გამოვიდნენ ქუჩაში — მამაკაცების მთელ არმიას ცისარტყელას ფერებით აჭრელებულ ნაოჭასხმულკაბიანი ქალებიც უმშვენებდნენ მხარს. ისანი-სამგორის რაიონში მათ შეუერთდნენ თბილისის სხვა რაიონის ქურთებიც და გადაკეტეს აეროპორტისკენ მიმავალი ტრასა ოჯალანის გათავისუფლების მოთხოვნით. სწორედ იმ პერიოდში ჩემი ძმაკაცი შ. კ-ძე (თუ იცნობს ამ კურიოზში თავის თავს და მისაყვედურებს, არა უშავს, ამასაც ავიტან) მუშაობდა ისანი-სამგორის რაიონულ პოლიციაში მაღალ თანამდებობაზე. მოკლედ, არის აეროპორტის ტრასაზე ქურთების აურზაური და პოლიციაში რეკავს ტელეფონზე რაიონის გამგებელი: — ხალხო, სად არიან თქვენი პოლიციელები, ქურთები ითხოვენ ოჯალანის გათავისუფლებას, ტრასაზე არეულობაა, სასწრაფოდ მიიღეთ ზომებიო!

ჩემი ძმაკაცი მაღალჩინოსანი პოლიციელიც სასწრაფოდ მივარდა მთელი ერთი კვირის მანძილზე დაპატიმრებულ პირთა ჟურნალ-კარტოთეკას, გულისყურით დაუწყო ძებნა ვინმე ქურთ ოჯალანს, ვერ ალმოაჩინა ჟურნალში და შვებით ამოისუნთა. მერე გამგებლის ნომერი აკრიფა და მოახსენა: — მთელი კარტოთეკა ჩემი ხელით გადავქექე, ეგეთი პატიმარი ქურთი ჩემს რაიონში ვერ ალმოვაჩინეო და დაუმატა, — ალბათ სხვა რაიონში დააპატიმრეს ეგ ვილაცა ოჯალანი, ტრასა კი ჩვენთან გადაკეტესო!..

მგონი კომენტარი ზედმეტია, რაც ჩემს ძმაკაცს შემდგომ კარიერაში დაემართებოდა!!!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## 2. უკულმართი პედაგოგი



სტუდენტობისას ვმეგობრობდი მეგრელ ბიჭთან, რომელსაც ვთხოვე, მეგრული სიტყვები მასწავლე-მეთქი. მითხრა, ისეთებს გასწავლი, მთელი სიცოცხლე გემახსოვრებაო. თან დაამატა, ეს სიტყვები მაშინ თქვი, როცა ვინმე მოგეწონებაო. სულ სამი სიტყვა იყო, რომელიც ქართულად ასე გადამითარგმნა — „მე შენ მომწონხარ“. რაჭველმა ეს ფრაზა იოლად და ხალისით დავიმახსოვრე. მის მერე კარგა დრო იყო გასული, როცა სტუმრად მოვხვდი მეგრულ ოჯახში. საცოლე ბიჭს გამაცნეს მშვენიერი გოგონა, რომელიც ჩემ პირდაპირ დაჯდა. იგი დანახვისთანავე მომეწონა და ბუნებრივია, მინდოდა მეც გამომეჩინა თავი. ლაპარაკში გოგონას ისიც ვუთხარი, მეგრულადაც შემიძლია ერთი-ორი წინადადების თქმა-მეთქი და ყველას გასაგონად ვუთხარი: „სკან დიდა ....“. ატყდა სიცილი. გამიხარდა, ვიფიქრე ალბათ მოეწონათ-მეთქი. გოგონაც იცინოდა. მერე შემეკითხა, ვინ გასწავლაო. მე დავუსახელე ჩემი ბედოვლათი ძმაკაცი ნოდარ ესიავა, რომელიც გულში „ლამაზი“ სიტყვებით შევამკე.

ამ ამბის შემდეგ 55 წელი გავიდა, მაგრამ ის „ფრაზა“ არ დამვიწყებია. მართალი უთქვამს ჩემს „პედაგოგს“, არასდროს დაგავიწყდებაო.

***რევაზ პეტრიაშვილი, თბილისი***

## 3. იაფი ხამხახური



კასპელი მეგობარი მყავს, ავთო პაპუნაშვილი. ქუთაისში მუშაობდა, „ოფთალმიჯის“ ოფისს რემონტს უკეთებდა. ერთ საღამოსაც ოთახში არიან სამნი: ავთო და ქუთაისელი ლაშა და მარიკა. ლაშა ხელოსანია, მარიკა კი ოფისის მენეჯერი. ლაშა, როგორც მასპინძელი, ავთოს ეპატიჟება:

— ავთოია, წამოი ახლა, ქალებში წევიდეთ, იაფიანი, 5-ლარიანი ქალები ვიცი!..

მარიკამ ეს რომ გაიგო, ლაშას ეუბნება:

— რა არი, ლაშა, ეგრე იაფად სად შოულობ, შენი ნათესავები არიან თუ?!

***თემურ ბახტაძე, კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი





**4.** ახალი ქართველი ცნობილი (ოღონდ ღარიბი) მოქანდაკის სახელოსნოში ერთ-ერთი ისტორიული გმირის ქანდაკებას იწონებს და ხელოვანს ეკითხება:

— როგორ შექმენით ეს დიდებული ქანდაკება?

— მარმარილოს ლოდიდან გამოვკვეთე.

— მერე რა იცოდით, რომ მაინცდამაინც იმ ლოდში იყო?!

***ანიკო, თბილისი***

## ყურადღება!
## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 20 ივლისის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 21 ივლისის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ______

______

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №29**

## ·ფოტოპალიტრა·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

______
______
______
______
______

თქვენი სახელი, გვარი ______

ქალაქი (რაიონი) ______



გიგი წერეთელი, ზურაბ ჟიჟიაშვილი

## © ფოტოანტიკვარი

„ფოტოანტიკვარის“ წინა ნომრის მინიშნება (— არა, ჩვენს მთავრობას ძველი სახელითაც ვერ ვეჭიდავები!..) ჩვენი მკითხველისთვის არცთუ ისე რთული „ამოსახსნელი“ გამოდგა. თუმცა კი ჭიდაობის მოხსენიებამ და გამოცვლილმა სახელმა (თუ მეტსახელმა) რესპონდენტთა ერთი ნაწილი არასწორ გზაზე დააყენა. ამიტომაც დაასახელეს ბოლო პერიოდის სკანდალური ძიუდოისტი, ევროპის ჩემპიონი გიორგი რევაზიშვილი (იგივე „ჯღანა“); ასევე ათენის ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში ჯარჯი ზვიადაური, რომელმაც ჩემპიონობა ილიას ილიადისის (და შესაბამისად, საბერძნეთის) სახელით მოიპოვა. ამ ამბავს დღესაც მტკივნეულად განიცდის რუბრიკის მუდმივი მკითხველი, ბატონი გურამ წერეთელი (და არა მარტო ის) და აღნიშნავს, „შვილებს დაკარგვის შემდეგ მიტირით, ხელისუფალნო?!“

რაც შეეხება მკითხველთა 60%-ს, მათ იოლად ამოიცნეს სახელშეცვლილი სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **ლუკა (ელდარ) კურტანიძე.**




***ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მილოცვა

ულამაზეს წყვილს – **ბექა ჩიხლაძეს და ეკა კილაძეს** ვულოცავთ პირველი შვილის, პატარა ნიკოლოზის დაბადებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ლამაზ მომავალს.

*დიდი სიყვარულით, ოჯახი*

**ნათია კაჭარავას!**



ჩვენო ძვირფასო დედა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ულევ სიხარულს. გმადლობთ ჩვენი ამ ქვეყანაზე მოვლენისთვის. უფლის მადლი და წყალობა არ მოჰკლებოდეს ჩვენს დიდ ოჯახს.

*ტყუპები – მარიამ და ანანო ლიპარტიები*

**კატო გვენეტაძეს!**



ჩვენო პატარა, კუდრაჭა გოგო, გილოცავთ ორი წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, ბედნიერ ბავშვობას, ძამიკოსა და მშობლების კარგად ყოფნას. პატარა ანგელოზო, ჩემო ლამაზო კატო, შენთვის დავდნები, გავქრები, თითქოს სანთელი ვიყო. ულევ სიხარულს გისურვებ, შენზე მლოცველი მარად. გფარავდეს მაღალი ღმერთი.

*ბებო ნაზია, ბაბუა ალექსი*

**ლევან ბასილაშვილს!**

ბებოს ბედნიერებავ და ცხოვრებავ, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენთვის საყვარელი ხალხით. გისურვებ ულევ სიხარულს და წარმატებებს მთელი ცხოვრების მანძილზე.

*შენი ბებო – ნანა ბიგანიშვილი*

## მადლობა

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ზესტაფონის რაიონის მეორე სვირში მცხოვრებ **გურამ, ნინელი, გოჩა და ეკა გიორგაძეებს** ყურადღების, სტუმართმოყვარეობისა და იმ პატივისცემისათვის, რაც იშვიათია ახლანდელ დროში. თქვენ ჩვენი ექსკურსია ორმაგად სასიამოვნო გახადეთ!

*დედოფლისწყაროს რაიონის არხილოსკალის საშუალო სკოლის IX კლასი, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი – მ. ბურდული*

## ბინები

სასწრაფოდ! იყიდება სახლი ახალაშენებულ კორპუსში, II სართ. გარემონტებული, ა/ფარეხით (ს/ფ – 226 კვმ, ა/ფარეხი – 21 კვმ), დაჯავშნული კარით, ცენტრალური გათბობით, მარმარილოთი, მოპარკეტებული ბუხრით, ჩაშენებული სამზარეულოთი. მის: კოსტავას 1. №45 (სასტუმრო „ვარაზთან"). ტელ: 893 27-82-87. შოთა

ქირავდება 3-სართულიანი კეთილმოწყობილი აგარაკი კოტორაანთკარში, დენით, ცივი და ცხელი წყლით. ტელ: 21-30-33. ლია

## გთავაზობთ სამუშაოს

18-დან 25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასი), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვჭირდება განათლებული ადამიანები ოფისში სათანამშრომლოდ. სამუშაო კონტრაქტითაა. მსოფლიოში საუკეთესო მუშაკებს, შანსი ეძლევათ ყოველ 3 თვეში უფასოდ წასვლისა საზღვარგარეთ, სამუშაოდ ან სტაჟირებით (კომპანიის პროფილით). გამომუშავება – ყოველდღიური, თვეში – საშუალოდ 300-600 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა. ფირმის საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი დიმიტრი. მის: „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 899 76-68-50

მსხვილ კომპანიას ესაჭიროება პედაგოგიური მუშაობის პროფესიონალები, თადარიგის ოფიცრები, მწვრთნელები, უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეები, პირები, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო ხელმძღვანელ თანამდებობაზე და კერძო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება. სამუშაო საოფისეა, შესაძლოა შეთავსებაც. ტელ: 38-23-74 (დისპეტჩერი); 893 79-90-01 ელჩინი

მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება: 1. განყოფილების გამგე; 2. განყოფილების გამგის მოადგილე; 3. კადრების ინსპექტორი; 4. თადარიგის ოფიცრები; 5. პედაგოგები და ფსიქოლოგები. ანაზღაურება მაღალია. სავალდებულოა უმაღლესი განათლება. ტელ: 73-30-60; 899 79-67-63

უცხოურ კომპანიას ესაჭიროება ექიმები: თერაპევტი, დერმატოლოგი, ენდოკრინოლოგი, გინეკოლოგი. ტელ: 92-31-90; 64-63-40

ვიწვევ სამუშაოდ ექიმებს, პედაგოგებს, ეკონომისტებს. შეთავსება შეიძლება. ასაკი 25-50 წლამდე. ტელ: 65-46-49

კომპანიას ესაჭიროება მაღალკვალიფიციური, ხუთ წლამდე სამუშაო გამოცდილების მქონე ელექტროინჟინერი. აუცილებელი მოთხოვნაა ელექტროპროექტების შედგენა და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოება და გაძღოლა. ანაზღაურება სოლიდურია. ტელ: 35-60-01; 35-52-60

კომპანიას ესაჭიროება მაღალკვალიფიციური, სამუშაო გამოცდილების მქონე გათბობა-ვენტილაციის სისტემების სპეციალისტი. აუცილებელი მოთხოვნაა გათბობა-ვენტილაციის პროექტების შედგენა, სამონტაჟო სამუშაოების წარმოება და გაძღოლა. ანაზღაურება სოლიდურია. ტელ: 35-60-01; 35-52-60

საინტერესო და პერსპექტიული ბიზნესი ჩინურ საერთაშორისო კომპანიაში მათთვის, ვინც მზად არის შეისწავლოს, არის მიზანდასახული და შრომისმოყვარე. შერჩევა გასაუბრებით. ტელ: 99-57-35 (11-17 სთ); 824 12-22-01; 899 77-18-71. მაია

## მომსახურება

შპს „ულტრა ტური" გთავაზობთ ავტოტურებს, შოპტურებს და დასვენებას დუბაიში, $620-დან ეკვივალენტი ლარებში. მომსახურებაში შედის: სასტუმრო (კვება, საცურაო აუზი, ფიტნესი, საუნა), ვიზა, ავიაბილეთები, ტრანსფერი (დახვედრა, გაცილება). ჩვენი პარტნიორები დუბაიში აღმოგიჩენენ ნებისმიერი სახის დახმარებას. აგრეთვე გთავაზობთ დასვენებას თურქეთში: კუშადასი, ანტალია, ქემერი, ტეკიროვა. სტუდენტებისთვის – სპეციალური ტურები ავტობუსით. მის: თბილისი, მეტეხის ქუჩა №22 (მ. „ავლაბრის" პირდაპირ). ტელ: 77-86-80; 77-62-02

კომპიუტერული ფირმა გთავაზობთ P4 ცელერონ + 17 მონიტორით – $340-დან; P4 პენტიუმ + 17 Flat მონიტორით – $440-დან; ლაზერული პრინტერი – $170-დან; Apple Macintosh (Mac Mini) – $699-დან; Apple IPOD – $131-დან; კომპიუტერული ქსელის გამართვას და ინსტალაციას, როგორც ოფისებში, ასევე კერძო პირებთან DSL-ში ჩასართავად; დაზიანებული კომპიუტერული ტექნიკის შეკეთებას, პროგრამების ინსტალაციას, კარტრიჯების დატენას ადგილზე მომსახურებით; ასევე WEB-საიტების დამზადებასა და განთავსებას ინტერნეტში. ტელ: 20-07-80; 20-07-81; მის: აღმაშენებლის №100; შპს „კომპანია".

შპს „პოლიგრაფისტი" გთავაზობთ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების სახელმწიფო დიპლომების დამზადებას მაღალი ხარისხით, განათლების და ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის გათვალისწინებით. მის: თბილისი, სურამის ქ. №13 (რკინიგზის დეპარტამენტის უკან). ტელ: 95-00-97

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ნაოჭების სრული დაშლა-გასწორება, მოდუნებული სახის კანის, ყელის, ღაბაბის აღდგენა, ცელულიტის დაშლა სამკურნალო მასაჟით (35 წუთი) + ეგვიპტური ნილბებით. შედეგი გარანტირებულია 7-10 დღეში. შემდგომში არ გაჩენის გარანტიით სპეციალური მალამო-ზეთით. 1 სეანსი 5 ლარი. მიღება ჩაწერით. მის. ჯავის ქ. 26. I საშობაოროსთან. ტ. 899-17-63-90; 69-98-92 ეთო

რბილი ავეჯის რესტავრაცია სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა, სკამების მატრასების გადაკვრა-გაახლება. ვღებავთ ტყავის სამეულებს. ტ. 56-61-28; 899-18-17-11; 95-97-12 ვალერი

ვკერავთ და ვაახლებთ მატყლის და ბამბის ლეიბებს და საბნებს, ბუმბულის ბალიშებს. როგორც ჩვენი, ასევე თქვენი მასალით, ხარისხის გარანტიით, ჩვენი ტრანსპორტირებით. ტელ: 29-34-49. გულიკო

## მკურნალობა

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს. (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

საგვარეულო ხსნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა (ბუდობრივი ცვენით). ამოდის თმა. თმის ძირების გამოკვლევა აპარატით; ტილებისა და წილების მოსპობა; კანისა და ფრჩხილის სოკოფსორიაზი, ეგზემა; ლაქების მოცილება; ოფლის მალამო, ღრძილების ჭრილობები; გამონაყარი; ქუსლებზე ნახეთქები. მასაჟი – აპარატით, გარანტიით. ბიოლოგი მჭედლიძე-ბეგაშვილი. მის: ვაჟა-ფშაველას №47. II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართული, ოთახი 28. ყოველდღე, 11-18 სთ, შაბათ-კვირის ჩათვლით. ტელ: 39-39-51 (სამს.); 30-94-73; 893 918-917

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად; დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპებზე (ფასი 30 ლარი); კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. ტელ: 877 45-78-39; 96-66-49. ქ-ნი ბელა; 893 16-70-76; 92-39-44. ბ-ნი ზვიადი

ფარული ქლამიდიური ინფექციის დიაგნოსტიკა და მკურნალობა; პარადონტოზის, ართრიტების, სისხლძარღვთა დაავადებების, ვენების გაგანიერების, ტროფიკული წყლულის, ოსტეოქონდროზის, ზრდაში ჩამორჩენის პროფილაქტიკა და მკურნალობა უნიკალური ჩინური და ტიბეტური მცენარეული პრეპარატებით (შედეგი გარანტირებულია!). ტელ: 22-11-47. მედ. მეცნ. კანდიდატი თამარი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგით: ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი, (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან. ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 61-02-97; 95-80-51; 899 57-16-99

100%-იანი გარანტიით!!! ვმკურნალობ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, ნაპრალები, ქავილი, კოლიტი), აგრეთვე ვარჩენ კანისა და ფრჩხილის სოკოვან დაავადებებს, დამწვრობას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან და შეუხორცებელ ჭრილობებს. ეფექტი პირველსავე დღეებიდან. მიღება წინასწარი ჩაწერით ტელ: 95-80-51; 12-17 სთ (ოფისი), 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99 ექ. ალექსიშვილი

ნევროზები, შიში, უძილობა, აგრესია, დეპრესია, სტრესი და ნეიროცირკულარული დისტონია, თავის ტკივილები, მიგრენი – ქრონიკული გადაღლის სინდრომი. მკურნალობა წარმოებს მცენარეული, სერტიფიცირებული პრეპარატებით, რომელსაც არ ახასიათებს შეჩვევა. არის მაღალეფექტური, არაჰორმონალური და აბსოლუტურად უსაფრთხო. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო ექიმი

ალკოჰოლიზმი, „პახმელია", აგრესიულობა, ნევროზი, გასტრიტი, წყლული, ქოლეცისტიტი, ვირუსული და ქრონიკული ჰეპატიტები, ნაწლავთა დისბაქტერიოზი, მეტეორიზმი, კოლიტი, შეკრულობა, ჰემაროი (ბუასილი). მკურნალობა მიმდინარეობს თერაპიული კურსით, პრეპარატები არის მცენარეული, სერტიფიცირებული, მაღალეფექტური და აბსოლუტურად უსაფრთხო. ალკოჰოლიზმის მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო ექიმი

ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით. ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ფსიქოზები – თეთრი ცხელება („ბელაია გარიაჩკა"), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადებები და სხვა გართულებები. აგრეთვე ჰეპატიტები, ნევროზები, შიშები, უძილობა და სხვა დაავადებების მკურნალობა. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 899 36-65-34; 99-75-90 (სამს). ნანა ექიმი

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა – აგრესიები, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, დაზიანებული ღვიძლის ფუნქციის აღდგენა, ბუასილი (სისხლმდენი, ქავილი, ნაპრალი), კოლიტი, ასთმა, ფსორიაზი, წითელი ქარი, პოდაგრა, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული – მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნიათ (დამზადებულია მოსკოვში, კრემლის ყოფილ ლაბორატორიაში – აკად. ლიხარიოვი). ტელ: 68-92-77; 899 21-13-66. ლალი

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით, შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით, „პახმელიის" მოხსნა. გარდა ამისა, ნევროზი, აგრესია, დეპრესია, ფსორიაზი, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), იმუნიტეტის გაძლიერება და ბავშვების სიმაღლეში მომატება. მკურნალობა აკად. ლიხარიოვის მეთოდით. ტელ: 893 35-45-35 (ნებ. დროს); 98-42-49 (11-17 სთ, კვირის გარდა) მაკა ექიმი

მამაკაცების საყურადღებოდ! გარანტირებული შედეგით: პროსტატიტი, პენისის ანთება, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, ხშირი შარდვა, წვა, ინფექციები, შარდის შეკავება და შეუკავებლობა, ბუასილი (ნაპრალი, კვანძები, ქავილი, სისხლდენა, გაუსაძლისი ტკივილი), სოკოვანი დაავადება, კუჭ-ნაწლავის, კანის დაავადებები. ტელ: 34-42-00 (12-17 სთ); 899 49-84-23. ნონა

სხვადასხვა მეთოდით: აკვიატებული აზრები და ქმედებები, უძილობა, შიში ნებისმიერი, აგრესია, დეპრესია, აფორიაქება, მოუსვენარი ძილი, სევდა, ნაღველი, მელანქოლია, პესიმიზმი, ალკოჰოლიზმი, ვეგეტონევროზი. ტელ: 34-42-00 (12-17 სთ); 899 49-84-23. ნონა

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

სპეციალიზებული სკოლა „PARADOX"-ის ლიცენზირებული სპეციალისტები, პროფესიულ დონეზე შეგასწავლით კომპიუტერულ პროგრამებს, ბუღალტერიას და ინგლისურს. გაიცემა საერთაშორისო ლიცენზირებული სერტიფიკატი. საოფისე: WINDOWS-XP, MSOFIICE-XP. გრაფიკა: CORELDRAW, PHOTOSHOP, AUTOCAD, ARCHICAD, 3-DMAX. მის: ბელინსკის ქ. №12. ტელ: 93-22-02.URL: www.paradox.ge E-MAil:mail&paradox.ge

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო მობილით. მის: ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

## იყიდება

კაპიტალური ავტოფარეხი. მის: ვაჟა-ფშაველას 51, მე-9 კორპუსის ეზოში. ფასი $3000. ტელ: 877 76-55-56; 52-77-51

სასწრაფოდ! მიწის ნაკვეთი კრწანისში, 1800 კვმ, სამთავრობო რეზიდენციის მოპირდაპირე მხარეს. ტელ: 893 27-82-87

რუბეროიდის ქარხანა – მუშა მდგომარეობაში – ორი ბლოკის საამქროთი და ორი ქვის სახერხით. მის: ქ. რუსთავი, ჭყონდიდელის დასახლება (ინტერნატები). მაზმიაშვილის №6. ტელ: 15-56-09; 17-56-45; 14-12-41

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა 70-600-მდე ევროპული, 1-დან 5-მდე ქართული, 5-18-მდე რუსული. ფასი $130-230. მხოლოდ 30 რუსული არხი. ფასი კომპლექტის $200. მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

## შევიძენ

ვიეტნამის და ჩინური შალის ხალიჩებს, აგრეთვე გერმანულ შალის ხალიჩას „სუპერი". ტელ: 38-89-24 (საღამოს ან დილით 12 სთ-მდე)

32 სმ-ზე გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი", 12-16 სთ, ყოველდღე. დასვენება – კვირას. ტელ: 58-78-88; 58-55-58

## სხვადასხვა

სექტემბრიდან იხსნება კერძო საბავშვო ბაღი საბურთალოს ქუჩაზე, იპოდრომის გვერდით, ჩოგბურთის კორტებთან, მწვანეში ჩაფლული, კარგად მოწყობილი საკუთარი სათამაშო მოედნით. არაჩვეულებრივი ჰაერი, სახლში საუკეთესო პირობები – ახალგარემონტებული, გაწკრიალებული 3-ოთახიანი ბინა. ავიყვან ბავშვებს 3-დან 6 წლამდე ასაკისას. თავად ვარ პედაგოგი. დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 36-35-34; 899 97-48-70; 36-19-78; 899 23-43-44; 899 36-25-34

ბიზნესსერვისცენტრი „მეტეხი" გთავაზობთ საერთაშორისო სტანდარტების მქონე საოფისე ფართების მრავალფეროვან არჩევანს ქალაქის ცენტრში, ავლაბრის მოედანზე. ტელ: 77-97-00; 77-97-09

4 წლის **მარი მძევაშვილს,** რომელიც ბავშვთა I რესპუბლიკურ საავადმყოფოში წევს მწვავე არადიფერენცირებული ლეიკემიით, ესაჭიროება დიდი რაოდენობით III ჯგუფის სისხლი. მის: დიღმის მასივი, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს სისხლის გადასხმის ცენტრი ან ქავთარაძეზე სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგური. ტელ: 899 56-73-78; 899 20-73-26

**მივმართავ ქართველ ბიზნესმენებს!**

მყავს მძიმე ავადმყოფი 17 წლის შვილი, რომელიც მოულოდნელად დაავადდა. მის გადასარჩენად და საზღვარგარეთ მკურნალობისათვის საჭიროა 9 ათასი ევრო. გემუდარებით, დამეხმაროთ და შვილი გადამირჩინოთ!

*ტელ: 893 56-05-25; 899 40-38-61*
*ბანკი ქართუ. ბანკის კოდი: 220101081*
*საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ბანკში:*
*სანგაიშსწორებო ანგარიში: 000161381*
*ბენეფიციარი: ნატო მიქაბერიძე*
*ბენეფიციარის ანგარიშის ნომერი: №19403601*




## ავთო შარვაძე ყველას მოუკვდა...



13 ივლისს, სვეტიცხოვლობას თბილისს კიდევ ერთი ტრუბადური მოუკვდა... მოუკვდა ავთო შარვაძე – გიტარით ხელში სასიმღეროდ ყელმოღერებული და სიყვარულით სავსე გულით.

სულ ორიოდე თვის წინ თეატრალურ სარდაფში არ ცხრებოდა ტაში და თაყვანისმცემლები სცენიდან არ უშვებდნენ ცნობილ მომღერალსა და კომპოზიტორს ავთო შარვაძეს... ისიც იდგა გიტარით ხელში და ამ ბოლო დროის აუცილებელი ატრიბუტით – თავზე ქუდით. გულით მღეროდა და ბოლომდე იხარჯებოდა... ალბათ გრძნობდა, რომ ეს უკანასკნელი შეხვედრა იყო, ეს ბოლო გასვლა იყო სცენაზე... ასეთი დაამახსოვრდებოდა ყველას, ვინც იქ მოვიდა. „მაყვალივით თამუნა... უნდა დაბრუნდე", „წითელყვავილები", „ვარდებისთვის", „შემოდგომა", „სავარდო და სამზიო", „ზამთარი", „თბილისელები ვიცით". არადა, ათი წელი გასულა, რაც ავთო შარვაძე თავისი მსმენელის პირისპირ აღარ დამდგარა. ეს იყო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მისი შემოქმედებითი საღამო. თავად ასე ხსნიდა ამ ხანგრძლივი დუმილის მიზეზს: ჩვენი მომღერლები ასცდნენ თავიანთ გზას.

ავთო შარვაძის, როგორც ნიჭიერი მომღერლისა და კომპოზიტორის გზა, მისი ძალიან თბილისური ოჯახიდან იწყება: რუსთაველზე, სადაც ახლა ცენტრალური ფოსტამტელეგრაფია, იქ ცხოვრობდა ძალიან პრესტიჟულ ბინაში, მაგრამ ყველასთვის, ყველაზე პრესტიჟული, ამ ძირძველ, მდიდარ ოჯახში სტუმრობის უფლება იყო, სადაც ყველა მღეროდა: დედა – ნადია ზურაბაძე და – ნელი შარვაძე, რომელიც არაერთი ლექსის ავტორია. მხოლოდ ერთს შეგახსენებთ – „შენი ტრფობის ბალახი ვარ, მოთიბული სიყვარულის ვარდყვავილთა კონა ვარ".

...მის ძალიან თბილისელობას ხელი არ შეუშლია, უმშვენიერესი სიმღერა ეძღვნა ქუთაისისთვის: „სავარდო და სამზიო, სიმღერა და ხელოვნება, ეს ხომ ჩვენი ძველთაძველი, ნანატრი ქუთაისია". ამ სიმღერებს მსმენელი ქართული ესტრადის მარგალიტებად მიიჩნევს, რომელიც არავის ჰყავს და მაინც იგი მუდამ ჩრდილში მდგომი და მოკრძალებული, არასოდეს ყოფილა ბოლომდე დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში.

ოთხი შვილის მამის, ხალხის სიყვარულით განებივრებული ავთო შარვაძის ბიოგრაფიიდან, გასახსენებელი მაინც ბოლო შეხვედრაა თეატრალურ სარდაფში, რომელიც ბაჩუკი ბახტაძისა და მომღერალ ზაზა მაჩალაძის ძალისხმევით მოეწყო და სადაც ავთო შარვაძე უშუალოდ ჩაება საუბარში: „დავბერდი, მაგრამ მაინც ქალური ჯერ ხალხური სიმღერა იყო, მერე – ქალაქური, მერე – ჯაზი, მაგარი ჯაზმენი ვიყავი". დამსწრე საზოგადოების გაოცება და სიცილი გამოიწვია მისმა არაორდინარულმა ბიოგრაფიამ, რომელსაც თავადაც დიდი იუმორით ჰყვებოდა. მუსიკალურ ოჯახში აღზრდილს კონსერვატორიის ნაცვლად სამხატვრო აკადემიაში გაუგრძელებია სწავლა, იქვე ჩამოუყალიბებია ჯაზის ორკესტრი. ჰყვებოდა, თუ როგორ იქნებოდა მისი პირველი სიმღერა. „მე თამუნა არ მიყვარდა", – განაცხადა მან სცენიდან. არც არავის გაკვირვებია, რადგან მას თავად სიყვარული უყვარდა ამ ქვეყანაზე ამიტომ იყო მისი სიმღერა ასეთი ლაღი, გულში ჩამწვდომი, დაუვიწყარი და ქალაქური.

ყველას გვჯერა, როგორც ქართველებს გვჩვევია, ავთო შარვაძის „ჟასმა და მსმენელებს" სიკვდილის მერე სხვაგვარად შეხედავენ.

მან კი, ავთო შარვაძემ ლაღად იცხოვრა. სიხარულს და დღესასწაულს არასდროს შეეწუხებია. ეს მის შემოქმედებას ნათლად აჩვენა.

ბოლო გზაზე ალბათ ახლობლების ტაძრიდან მისი გამოსვენების ჟამს იქნება, კვირას სამ საათზე, საბურთალოს სასაფლაოზე.

ამბობენ, ბარდის უკვდავებისთვის ერთი ლამაზი მელოდიაც საკმარისია, მან კი უამრავი მარგალიტი დაგვიტოვა სახსოვრად... მას ამისთვის არანაირი გასამრჯელო არ მიუღია.

---

### ანა ქინქარაულის მონატრება



უკვე მეორედ მოდის უშენოდ შენი დაბადების დღე. მშობლები, ვაი, რომ ისევ ცოცხლობენ. დედაშენი დარწმუნებულია, ანა ღმერთმა რაღაც განსაკუთრებულს არიდა და იმიტომ წაგიყვანა. რა დაგვავიწყებს იმ საზარელ ახალ წელს, შენ რომ ასე ლამაზი იწვექი. სახლიდან ხმაური მოისმა და შენი საყვარელი მ. სუპაშვილის სიმღერები ალერდა. ასე ხდება შენ სიკვდილი!

*ფრთაშემოტეხილი დედაშენის მეგობარი*

*– მ. ბურდული*

---

### ჩემი დაიკოს — მარიკას მოსაგონარი



ჩემო მარი, ჩემო დაიკო! როგორ უცებ გაირბინა უშენობით დამძიმებულმა წელიწადმა. 21 ივლისიდან არ ხარ ჩვენთან. ზაფხულში მამიდასთან ვისვენებდით, მდინარისკენ მიგიწევდა გული, წყალმა მოგიტაცა, მდინარეში გაგიხდა გული. უსაყვარლესო ჩემო დაიკო, ძალიან მიყვარხარ, მენატრება შენი ლამაზი სახე, თმა, შენი წკრიალა ხმა, შენი ცისფერი თვალები. ყველას გვაკლიხარ, უშენობას ყველა განიცდით: დედიკო, მამიკო, შენი პატარა ძმა აკო, დები, შენი კლასელები, დეიდები, მამიდები, ბებია, ბაბუა. ყველას გვაკლიხარ, ჩემო დაიკო. მართლაც გადაგიხადა მამიკომ დაბადების დღე, როგორც შენ გინდოდა, მაგრამ შენ ჩვენთან არ იყავი, ზეციდან გვიყურებდი.

შენს საფლავზე ხშირად დავდივართ, ჩემო დაიკო. არასდროს მოაკლდება შენს საფლავს ყვავილები, სანთელი და ჩვენი მწარე ცრემლები.

*შენი და – ნინო და თაკო*

---

### ჟუჟუნა ბახტაძე-გელაშვილის მოგონება



უკვე 40 დღე გავიდა შენი სიკვდილიდან. სწრაფად გადის დრო, მაგრამ იგი მაინც უძლურია იმ ტკივილთან, რომელსაც დედის დაკარგვა ჰქვია. დღეები ვერ ანელებს დარდს, პირიქით, უფრო და უფრო გვძლება შენდამი მონატრება, დედა! შინ შესული შვილები ქვეცნობიერად ისევ შენ დაგეძებთ, ველით შენს ღიმილიან შემოგებებას და ხალისიან შეძახილს: „მოხვედით? მოდი, განახვეთ, რა გაგიკეთო".

შვილებს რომ გვენატრები, არაა გასაკვირი, მაგრამ შენთან დაშორებას, შენს სოფლიდან წასვლას ყველა ახლობელი ძალიან განიცდის. თუმცა, გასაოცარი ხომ არც ესაა, რადგან პატარასთან პატარა იყავი, დიდთან – დიდი. შენ გიყვარდა და შენთან ხალისობდა როგორც 4 წლის ბავშვი, ისე 90-ს მიღწეული ადამიანი. სხვები ამბობენ, რომ შენ ადამიანებთან გულთბილი ურთიერთობის დამყარების საოცარი ნიჭი გქონდა. თვალზე მომდგარი ცრემლით უჩუმრად ვეთანხმებით მათ. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ როცა შენზე ლაპარაკს იწყებენ, ახლობლები და ნაცნობები, სულგანაბული ვუსმენთ შვილები, ამით ვიმსუბუქებთ შენთან განშორების უსაშველო დარდს. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*შვილები და ახლობლები*

---

### ვერა (მუკი) პერტენავას მონატრება



დაბადების დღეს გილოცავ, მუკი. 25 ივლისს ოთხმოცი წლის გახდებოდი. ხუთი წელია, უშენოდ ვხვდებით შენ ამ ქვეყნად მოვლინების დღეს. წახვედი და დაგვიტოვე უსასრულო მონატრება. შენ უსასრულო და უანგარო სიყვარული შეგეძლო, გულით იხარჯებოდი, სითბოსა და სიყვარულს არ აკლებდი შენს გაზრდილ ძმიშვილებსა და დისშვილებს. დაუფასებელია შენი ამაგი. შენგან ყველთვის ვსწავლობდით რაღაც ახალს. გვენატრები ყველას. ნათქვამია, – სანამ ხსოვნა ცოცხლობს – ადამიანი ცოცხალია. შენ იმდენი სიყვარული დატოვე, რომ შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

გვჯეროდეს, არასოდეს ამოიშლები ჩვენი გულებიდან. შევთხოვთ უფალს, რომ შენს მშობლებთან და სანათესაოსთან ერთად, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. ყველა ჩვენგანი დაგინთებთ წმინდა სანთლებს და ვილოცებთ შენი სპეტაკი სულის უკვდავსაყოფად. მონატრებამ და სიყვარულმა გაგინათოს გზა მარადისობაში. ღმერთი გფარავდეს.

*შენი ძმის ოჯახი; რომანი, ინეზა, მაკრი, იზო, ანა და ირაკლი პერტენავები; გოჩა, ციცინო და მარი ნათობაძეები*

---

### ლია ხუციშვილი-ჩუთლაშვილის მონატრება



გავიდა გაურკვეველი, ცრემლიანი, ტკივილიანი დღეებით სავსე წელიწადი, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ჩვენო საყვარელო დედა!

შენი დაღუპვიდან ორი თვის მერე პატარა ნია დაიბადა... ვერ მოუსწარი მის დანახვას. შენი გიორგი ცრემლით სავსე თვალებით შესცქეროდა ბოლო ზარის საზეიმოში მოფუსფუსე მშობლებს. შენი ღიმილი, შენი ზრუნვა და მოფერება აკლია. ყველას ტკივილამდე ენატრები, უშენობა ძნელია, დედა.

*შენი ნია და გიორგი*

---

### ალექსანდრე (ალიოშა) ოდიშარიას და ანა თოფურია-ოდიშარიას მონატრება



დედა, მამა, გავიდა საკმაოდ ბევრი ტკივილიანი წელი, რაც ჩვენთან აღარ ხართ. ძნელი ყოფილა უთქვენობა. ძალიან გვენატრებით, მაგრამ ისღა გვანუგეშებს, რომ ღმერთთან წასვედით ამ ქვეყნიდან. ნათელში იყავით, დედა და მამა, თქვენი ორი პატარა შვილიშვილით. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი მიწა. არ მოგაკლებთ სანთელ-საკმეველს, თქვენს ლამაზ სულებს. ჩვენო საფიცრებო, დე, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათონ გზა მარადიულ სასუფეველში. იძინეთ ტკბილად, კეთილნო და სიკეთის მთესველნო.

*„მუდამ საფლავზე დაგინთებთ სანთლებს, დარდებს გაგანდობთ ჩვენსას დამძიმებულს,*
*გულზე დაგაყრით ლამაზ ყვავილებს, ჩუმად დაღვრილ ცრემლით დანამულს"*

*ძალიან მონატრებული შვილები: ინეზა, მუხრი, იუზა და ელგუჯა ოდიშარიები ოჯახებით*

---

### აჩიკო კობახიძის ხსოვნას!



9 ივნისს მეხივით დაეცა ორთაჭალას ჩვენი აჩიკოს გარდაცვალების ამბავი. ორმოცი მწარე დღე გავიდა, ჩვენო აჩი, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი და დაგვიტოვე უზარმაზარი ტკივილი. ვერაფრით დავუკავშირეთ ერთმანეთთან აჩი და სიკვდილი.

ბევრი ვიმსჯელეთ, ღმერთსაც ვლოცეთ შევთხოვეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ამბობენ, ღმერთსაც კარგი უყვარს, ამიტომაც წაგიყვანა თავისთან.

- ძნელია ამის შეგუება, რამხელა ტკივილი დაგვიტოვე შენმა უდროოდ წასვლამ. როგორ გვიყვარდი და ვამაყობდით შენით. ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა და დაგიმკვიდროს სამარადისო ადგილი.

*თემურ ბარტყულაშვილის ოჯახი*

---

### ლადიკო (მოსე) ბიბილაშვილის მონატრება



წელიწადი გავიდა, რაც მარადისობაში გადახვედი ცხოვრებაზე გულდაწყვეტილი, უსაზღვროდ კეთილი, მიმტევებელი და პატიოსანი ადამიანი. ჩვენ კი დაგვიტოვე შენი მონატრებული ცოლ-შვილი, შენი ტატო და ნატო, გაწამებული დედ-მამა, ძმა, დები და საახლობლო.

რაც დრო გადის, უფრო გვიმძიმს უშენობა. გვენატრები, გვიყვარხარ. შევცქერით შენს სურათებს ცრემლიანი თვალებით. შენ კი გვიყურებ სურათებიდან შენი ჩვეული ღიმილით. გვიმძიმს რეალობასთან შეგუება.

*ჩვენ კი ვერაფერს გშველით, ჩემო კარგო, ჩემო კეთილო,*
*აქ შენ ვერ ნახე ზღვა სიხარული, ფასი დაკარგა თითქოს სიცოცხლემ,*
*მაგრამ მჯერა რომ სასუფეველში ნაწვალ სულს მიიღებენ!*
*ხელი სუფთა გქონდა, გული – კეთილი, თვალი და სული – პატიოსანი*
*შენი შემწყნარი, შენი გამჩენის ყველა დღეებით ნაზიარები*
*უფალმა გიბოძოს სასუფეველში ჩემო პატარა ლამაზო ძმაო (ლადო).*

*მონატრებული ოჯახი*

---

### გოჩა ძნელაძის ხსოვნას!



დრო ულმობლად გარბის წუთისოფელში. 17 ივლისს უკვე წელიწადი ხდება, რაც მარადიულ სასუფეველში გადასახლდა, შვილო გოჩა, შენი ლამაზი სული. 41-ე ზაფხულს მოესწარი! ცოტა გოჩა, ძალიან ცოტა. შენ ხომ იმიტომ მოევლინე ამ ქვეყანას, რომ სიკეთე და სიყვარული გეთესა და შენი კეთილშობილება წარმოგეჩინა, ჩემო საყვარელო ბიჭო. ალბათ საუბედუროდ იყავი ასეთი გამორჩეული, კეთილი, შენ გარშემო ულევ სიყვარულს რომ აფრქვევდი. ან როგორ ახერხებდი, შვილო, შენი გულის სითბო ყველასათვის გაგენაწილებინა. შენ უამრავ ადამიანს სიყვარული დაიმახსოვრე და ცრემლების ზღვა გაიყოლე მარადიულ სასუფეველში. დიდი მორწმუნე და სულით ძლიერი იყავი, შვილო, მაგრამ მაინც მოგერია სიკვდილი. ჩემო საყვარელო, მოურჩენელო ტკივილო, ჩემო ცხოვრების სევდა და დარდო! ბედნიერი ქალი ყოფილა დედაშენი, რომ ვერ მოესწრო იმ საბედისწერო დღეს, რომელმაც გზაში დაუსვა წერტილი შენს ალალმართალ ცხოვრებას. ალბათ დედაშვილურმა სიყვარულმა სძლია ყველაფერს და წახვედი დედასთან, რომელიც ძალიან გენატრებოდა. შენ ხომ დედა გამორჩეულად გიყვარდა.

ალბათ გრძნობ, როგორ მენატრები მწარე სინანულით დაღუპვებული, სადარდო მტკივნეული და აუტანელი, ტანჯვით და მონატრებით გავიდა ერთი წელი, მაგრამ სულიერი ტკივილი არასოდეს მოშუშდება. ყველთვის ჩემს გულში მეყოლები, ჩემო სიცოცხლეზე გულდაწყვეტილო შვილო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სასუფეველი.

*„სიზმრივით გაურბოდი უფლისო დარდო, ამ სიზმარში დაბრუნდეს,*
*ღმერთო, როგორ ვნატრობ,*
*მინდა გულში ჩაგიხუტო, ჩემო სისხლო, ხატო, მინდა შენი ლაღი სახე*
*სადღაც დავინახო*
*დღეხანს, დღეხანს მოგელოდი, ხან გავიგო შენი, მინდა გითხრა, რომ*
*უშენოდ მორჩა ყველაფერი*
*რომ სიცოცხლე ღირდა შენთვის, შენ გესმოდა ჩემი, შენ იცოდი – ჩემი*
*ხელი, იწყებოდა შენით"*

*შენი სულის უკვდავსაყოფად შენზე მლოცველი, შენი უბედური მამა*

---

### დავით ლუკას ძე მჭედლიძის გახსენება



ძვირფასო მამა, რა ცრემლიანი სიცოცხლე დაგვიტოვე ოჯახს. 17 ივლისს 6 წელი გისრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ისევ ტრიალებს შენი თბილი სული. ნათელში იყოს შენი სული.

*ზაზა მჭედლიძის ოჯახი*

---

### ამირან ობოლაძის გახსენება



წლები გადის და ჩვენი ცხოვრებიდან თანდათან იკარგება ღიმილი. თითქოს ჩვენი ახალგაზრდობის შემდეგ ცხოვრება სხვა რიტმში, სხვა განზომილებაში გადავიდა და ჩვენც აღარ გვცალია ზედმეტი გრძნობებისთვის. მაგრამ შენი ღიმილი, შენი საოცრად თბილი, მოსიყვარულე ღიმილი წარუშლელი და შეუცვლელი იყო წლების მანძილზე. ახლა კი მარადისობაში გადასული, ღიმილიანი სახით გვეახსენები მუდამ.

გვასაც შემდეგ ასე მალე კიდევ თუ დავრჩებოდით გულნატკენი და დაღარიბებული, ნამდვილად არ გვეგონა. შენ კი ისე მალე, ისე უცებ წახვედი, გაცნობიერებაც ვერ მოვასწარით, რომ ავად იყავი. ვერ წარმოვიდგენდით, რომ მალე ჩვენ შორის საერთოდ აღარ იქნებოდი. როგორ გატკინე გული, როგორ დაგვამწუხრე ყველას დამშვიდობება იყო, ყველას გამყრელის ტკივილის, მუდამ სიკეთის მკეთებელი. ერთი ადამიანიც არ მოიძებნება შენზე ცუდის მთქმელი, შენზე გაბრაზებული, შენგან გულნატკენი. მარტო ახლა მოიტანე ყველას გულის ტკენა, დაღარიბდნენ საყვარელი მიკო, დედა, შვილები, ძმები, ნოდარი, გურამი, ცოლის დედა, ნათესავები და მეგობრები.

საზღვარი არა აქვს შენი ახლობლების მწუხარებას. ნაღვლიანი სახით გაგაცილეს შენმა თანამშრომლებმა უკანასკნელ გზაზე. მარტო ის გვანუგეშებს ყველას, რომ „საქმეან შენგან გამოგჩინა", კაცურად იცხოვრე, სიკეთე და სიყვარული თესე, დიდი სიყვარული მოიმკე და პირნათელი წახვედი ცათა სასუფეველში.

*ჯგუფელები*

---

### ვიანორი (ტოტი) საჯაიას ხსოვნას



ახლოვდება ტკივილიანი 40 დღე, რაც ჩვენთან აღარ ხარ. მოულოდნელი იყო შენი წასვლა ამ ქვეყნიდან. შენ ხომ აფხაზეთში დაბრუნებაზე ოცნებობდი. მაშინ შეწყდა გულისცემა, როცა ყველაზე მეტად გწყუროდა სიცოცხლე. კეთილშობილი პიროვნება იყავი, უპრეტენზიო, გამორჩეულად გიყვარდა ყველა და ყველას უყვარდი.

შენს საყვარელ მეუღლეს მზიას და შვილიშვილებს მუდამ სიკეთით სავსე და მოსიყვარულე ემახსოვრები.

გვიმძიმს უშენობა დედას, და-ძმას, მეგობრებს. ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

*გენი, ზაირა, გურანდა მაჭავები*

---

### მამუკა ლოჩოშვილის მოსაგონარი



დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო დიდო ტკივილო, მამუკა. უკვე 44 წელი შეგისრულდა. ძალიან გვენატრები. მოვდივართ შენ საფლავთან და უშენობისგან ვტირით, არ ვიცით, რით ვანუგეშოთ ერთმანეთი. შენი საფიცარი, ლამაზი და სულ შენზე ფიქრობს, სულ შენ გახსენებს და ყველა შენხელა ბიჭში შენ გეძებს. დაიზარდნენ შენი თეონა და ლევანი, შენ რომ იამაყებდი, ისეთები არიან.

ჩვენს ოჯახში კიდევ ერთი პატარა სიხარული დაიბადა, მასაც მამუკა ჰქვია. ცოტათი ის გვიმსუბუქებს შენი წასვლით გამოწვეულ ტკივილს. მამა, ჩვენი ისედაც ღონეც და სიტყვამოწყვეტილი მამა, უსიტყვოდ შეჰყურებს შენს ფოტოებს. ალბათ ასე გელაპარაკება. სხვა რა გითხრა, ჩემო ერთადერთო ძმაო, ჩემო დიდო ტკივილო და მონატრებავ.

გილოცავ დაბადების დღეს!

*შენი დიდი ოჯახი*

---

### ბაქარ ფიცხელაურის მონატრება



ბაქო, შვილო, ზუკა, 20 ივლისს შენი დაბადების დღეა. 25 წლის გახდი, ჩემო ლამაზო, ტანადო, ჭკვიანო შვილო. გილოცავს შენი ცოცხლად მკვდარი დედიკო. რა მწარე და ტკივილიანია დედისთვის, შვილს ცივ სამარეში მიულოცო დაბადების დღე. ასე გვერგუნა, დედა, განგებამ, მეც და შენც უბედურება, ჩემთვის, შვილო, ასეთი მოუშორებელი, განუკურნებელი ტანჯვის ტვირთი, მაგრამ მოთმინებით ველი უფლის დახსნას, რომ სამუდამოდ ჩაგიკრა გულში. მაშინ კი ვეღარავინ დაგვაშორებს, შვილო.

ძალიან ბევრი მინდა გელაპარაკო, ჩემო მონატრებულო ბაქო, დედა – მაგრამ ცრემლები არ მაძლევს საშუალებას, შვილო. სულ იავარდით მოგეფინოს გზა, დედა. ეჭვიც არ მეპარება, რომ შენი უმანკო, ლამაზი სული სასუფეველში იქნება ანგელოზებთან.

*გულმკვდარი დედა*

---

### პროფესორ ვალერიან ჯიქიას გახსენება



ამაგდარი მეცნიერი და მოქალაქე – მხოლოდ ასე თუ მოვიხსენიებთ ადამიანს, რომელმაც კაცური ცხოვრებით იცხოვრა, წყნარად, ღირსეულად და უწყინრად გაატარა 83 გაზაფხული „ამ დალოცვილ მიწაზე" და როგორც უჩუმრად და უწყინრად იცხოვრა, ასევე უჩუმრად და უწყინრად გადავიდა მარადიულობაში და ეს კაცი იყო პროფესორი ვალერიან ივანეს ძე ჯიქია და აი იმ დღიდან უკვე 40 დღე გასულა. მან თითქოს არცთუ ისე ცოტა ხანი იცხოვრა, მაგრამ ვინც მას იცნობდა, ყველას გული დასწყდა.

ვალერიან ჯიქია დაიბადა 1922 წლის 13 თებერვალს, ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში, გლეხის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1945 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ვ. ჯიქია მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ისტორიის არქივში, მეცნიერ თანამშრომლად. 1949-50 წლებში, ვ. ჯიქია იყო ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და ისტორიის მასწავლებელი. 1950 წლის იანვრიდან 1952 წლის ივნისამდე იგი მუშაობდა საქართველოს ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის არქივში, ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, სამკითხველო დარბაზის გამგედ, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ კი – დირექტორად, სადაც იმუშავა 1960 წლის მარტამდე.

ვ. ჯიქიამ 1955 წლის დეკემბერში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომი და საქართველო", რისთვისაც 1956 წლის ოქტომბერში მას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1972 წლის მარტში მიეკუთვნა დოცენტის წოდება. 1955 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოსცა ვ. ჯიქიას მონოგრაფია „რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო". 1972 წლამდე მან 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოსცა გამომცემლობამ „მეცნიერება".

1972 წლის ივნისში ვ. ჯიქიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „საქართველოს მუშათა კლასის ისტორია 1900-1914 წლებში". 1983 წელს კი პროფესორის წოდება მიენიჭა. იგი არ უშინდებოდა სიძნელეებს, ყველაფერზე მაღლა აყენებდა წმინდა მეცნიერულ ინტერესებს.

ვ. ჯიქია 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ გამოცემულ ნაშრომთა შორის, ორი მონოგრაფიაა. 1960 წლის მარტიდან, პენსიაზე გასვლამდე ე.ი. 2000 წლის 24 თებერვლამდე, ვ. ჯიქია მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო შემდეგ წამყვან მეცნიერ თანამშრომლად.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, ვ. ჯიქია პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი 1968-71 წლებში ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1974-85 წლებში კი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საცდელ ინსტიტუტში, ხოლო 1985-88 წლებში – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი იყო.

ღვაწლმოსილი მკვლევარის, პედაგოგისა და შესანიშნავი მოქალაქის ვალერიან ჯიქიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულში.

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

---

### ფარნაოზის (ფარნა) ლოქაბიძის გახსენება!



23 ივლისს ორმოცი დღე გახდება, რაც განგებამ ერთმანეთს დაგვაშორა. 14 ივნისი უბედური დღეა ჩვენთვის, შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა ჩვენი ოჯახის ბედნიერი დღეები უსაშველო ტკივილით და სევდით შეცვალა. სწორედ ამ დღეს შეწყდა შენი კეთილი გულისცემა. რატომ, მამიკო? ხომ ამბობდი: დიდი და მოსიყვარულე გული ოკეანესავითაა – არასოდეს იყინება. შენ ხომ სწორედ ასეთი გული გქონდა. რა ცრემლიანი ყოფილხარ, მამა, გვენატრები... სევდისფერი უშენობა ცრემლიან მონატრებად ათოვს შენს ნაფერებ ოჯახს. ვერაფერი ავსებს უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს. ძნელია იფიქრო, რომ შენ აღარ გვყავხარ. დაგეძებთ ყველგან, შინ თუ გარეთ, მაგრამ ამაოდ... უშენოდ ყველაფერმა ხიბლი დაკარგა, ირგვლივ ყველაფერი გაუფერულდა. თვალწინ გვიდგას შენი ღიმილიანი გამოხედვა, გვენატრება შენი სითბო, სიყვარული და იმედიანი საუბარი. შენ ხომ ყველაფერს აკეთებდი, რომ შენ გვერდით ყველა ბედნიერი ყოფილიყო. დაუფასებელია შენი ამაგი, მამა.

საყვარელო მამიკო! პირველად შევხვდით 27 ივნისს – შენს დაბადების დღეს უშენოდ. პირველად მოგილოცეთ ეს დღე სანთლებით და ცრემლიანი თვალებით. 55 წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყველასთვის გული მოგეცა. დატოვე შენი საყვარელი თბილისის სახლი, მეზობლები, რომლებიც იმ საბედისწერო ღამეს თავს გაოგნებულები გეხვეოდნენ. გადაინაცვლე შენს სოფელში, სადაც დაგხვდნენ გულმოკლული დედმამიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, ნათესავები. მთელი სოფელი დაგტიროდა, დიდი თუ პატარა. რამდენ ხალხს ჰყვარებიხარ, მამა! 19 ივნისს ყვავილებით და ცრემლებით ზღვა ხალხმა გაგაცილა უკანასკნელ გზაზე.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი შენი მშობლიური სოფლის მიწა. მამიკო, იძინე მშვიდად, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ვილოცებთ შენთვის გვჯეროდეს ამ სიტყვების: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, შენც მასთან ერთად უკვდავი იქნები".

*შენი ნათია და მაია*

---

### თემურ უჩლებას გახსენება



ღმერთმა მოგვცა ძალა, სიკვდილს შევურიგდით, მაგრამ მონატრება მარადიულია. ერთი წელი გასულა ჩვენი თემურის გარდაცვალებიდან.

არსთა გამრიგემ ქვეყნად დიდხანს ყოფნა არ ადროვა. ოჯახიშვილი, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა, ულალატო და დაუზარელი მეგობარი, ძირძველი ვერელი, სულით ხორცამდე ქართველი კაცი – ასეთად დაგვამახსოვრა თავი და დაგვწყვიტა გული თემურ უჩლებამ. უეცრად წავიდა და დაგვტოვა სიყვარულის და მონატრების ამარა. წასული კაცის გახსენება მასთან შეხვედრას ჰგავს.

წელიწადია, აღარ არის ჩვენ შორის კაცი, რომელიც სიკეთით დადიოდა ამ ქვეყანაზე, უყვარდა, წუხდა, უხაროდა...

---

### როინ ძმანაშვილის მონატრება!



ჩვენო საყვარელო როინ! ერთი ტკივილიანი წელი გავიდა იმ ავადმოსაგონარი დღიდან (12 ივლისი) რაც შენ დაგვტოვე და დაგვიტოვე გაუსაძლისი ტკივილი.

შენი მშობლები ლოდად იქცნენ, შენზე დარდით, ჩვენო ძმაო. დედა ყველგან შენ გეძებს, მაგრამ ამაოდ. გვენატრები ყველას – შენს ცოლ-შვილს, შენს დათოს, ქეთის და სალომეს, რომლებსაც უმამობით გამოწვეული ტკივილი ცხოვრების ბოლომდე გაჰყვებათ. ჩვენ მუდამ შენზე ვფიქრობთ, ოცნებაშიც მუდამ შენთან ვართ. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები. არასოდეს განელდება ტკივილი, რომელსაც უშენობით განვიცდით. ეს წელი ჩვენთვის ყველაზე უბედური და მტანჯველი იყო. ქვა ვერ აღწერს იმ დარდს და ტკივილს, რასაც ჩვენი ოჯახისთვის უშენობა ჰქვია.

ჩვენ ყველანი მოვდივართ შენს საფლავზე, ვანთებთ წმინდა სანთლებს და ღმერთს ვთხოვთ: ცათა სასუფეველში იყოს შენი სული, უფალთან ერთად, ჩვენო შვილო, საყვარელო მეუღლევ, მოსიყვარულე მამავ და ძვირფასო ძმავ.

*შენი და-ძმა – ნანა და მურაზი*

---

### კოლია და დათო მაისურაძეების გახსენება




20 ივლისი მეხის გავარდნა იყო ჩვენი ოჯახისთვის. სამი წელი შესრულდა, რაც შენი არყოფნა ძალიან გვიმძიმს გულებს, ჩემო დათუნა. შენი ყველა საქციელი დიდ მონატრებას მგვრის, შენ ხომ დედის ერთადერთი სიხარული, იმედი და ნუგეში იყავი. ხუთი წლის წინ მამამენაც მიგვატოვა, ვერ მოესწრო შენ ბედნიერებას, პატარა ნიკოლას. მაგრამ ჩემზე ბედნიერი მაინც ის ყოფილა. ერთ დროს უბედნიერესი, დღეს გაუბედურებული ქალი, დედა, ყველაფერს მარტო ვუძლებ. ვცოცხლობ შენი დანატოვარი ნიკუშას იმედად, რომელიც შენ ვერ გაზარდე და დაგვიტოვე ყველას გასაზრდელად. მეძებს უთქვენობა, მონატრებას ზღვარი არ აქვს, მიყვარხართ. ძნელია, ძალიან ძნელი უთქვენობა და მარტოობა. მინდა გრძნობდეთ, მაგრამ რაც წლები გადის, მით უფრო მძიმე და მტანჯველია ჩემთვის აღნიშნო თქვენი დაბადების, გარდაცვალების დღეები, მხოლოდ ამითღა ვსულდგმულობ და ვცოცხლობ.

უფალს ვთხოვ, დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, მსუბუქი იყოს თქვენთვის გრილი მიწა.

*გულდათუთქული მეუღლე და დედა – დოდო*

---

### ვასო შენგელიას ხსოვნას!



ერთი წელი გავიდა უშენოდ, მამა! საოცარი სისწრაფით გაირბინა ამ ერთმა წელმა. 29 ივლისს შეწყდა შენი კეთილი გულისცემა, ის გულის, რომელიც სიყვარულს ვერ იტევდა. მამიკო, შენ შვილიშვილების მოფერებით ვერ იჯერე გული, რადგანაც მშობლები აფხაზეთში დარჩით და შვილები და შვილიშვილები შორს გვყავდით. ჩვენ ბედისწერამ გაგვთიშა დროზე ადრე.

ყველა ამ თვის დღეები ტკივილიანი და ცრემლიანი იქნება შენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის. შენი სითბო და სიყვარული მოგვაკლდა, მამიკო. შენ შენი შვილებისა და შვილიშვილების ჭკუის დამრიგებელი და გზის გამკვლევი იყავი. გვენატრება შენი თბილი გამოხედვა, იმედის მომცემი საუბარი.

ჩვენო ძვირფასო მამიკო, მოჭარბებული სიყვარულით, პატიოსნებით, მამხედველობით და კაცური კაცის სახელით იცხოვრე დღეს ვერაფრით ვერ შევეგუეთ შენს სიკვდილს. მის თვალებზე ცრემლი არ შეშრება. მამიკო, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. შენი დატოვებული სითბო და სიყვარული არასოდეს გაგვინელდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული, ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო მამიკო.

*შენი შვილები და შვილიშვილები*

---

### თემურ დოლიძის გახსენება



ჩემო ერთადერთო ძამიკო თემურ, ოჰ, როგორ უსაშველოდ აუტანელია 97 წლის ივლისის თვის 17 რიცხვი ჩვენი ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, ნათესავ-მეგობრებისა და მეზობლებისთვის იმის გამო, რომ უცებ შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ჩემო ძალიან კეთილო ძამიკო, დიდთან დიდი იყავი, პატარასთან – პატარა, ყველა ძალიან გიყვარდა, შენც ყველას უყვარდი. უკვე შვიდი წელი შესრულდა, რაც დატოვე შენი საყვარელი დედ-მამა, და – მარინა, ძალიან რომ გიყვარდა შენი სახლ-კარი, როგორც სოფელში, ისე ქალაქში და აირჩიე გზა ნათელი იმქვეყნიურ სასუფეველში. არა შენ, მხოლოდ უფალმა იცის, ასე ყოფილიყო ახლა, ჩემო საფიცარო ძმაო, მოვალთ შენს საფლავზე მე, ჩვენი გაუბედურებული დედ-მამა და ყველა ახლობელი; მოგიგონებთ ძალიან, ძალიან სიყვარულით, დაგინთებთ წმინდა სანთლებს და მოგიტანთ ცრემლით დანამულ ყვავილებს. მე და ჩვენს გაუბედურებულ დედას და მამას ისღა დაგვრჩენია, ვიაროთ ტაძარში, ვანთოთ წმინდა სანთლები, ვიხადოთ პანაშვიდები და შევთხოვოთ უფალს წრფელი გულით, რომ შენი სპეტაკი, უმანკო სული იყოს მარადიულ ნათელში.

*შენი და მარინა; გაუბედურებული დედ-მამა და ახლო ნათესავები*

---

### მზია მეტრეველის ხსოვნას!



ერთი ტკივილიანი წელი გავიდა, დედა. ძნელი ყოფილა უშენობა. ძალიან გვენატრები. ვერ ვიჯერე გული შენი მოფერებით. ყველაფერში მართალი იყავი, რასაც გვარიგებდი.

შენი სიტყვის ძალასაც ახლა ვხვდებით. ღმერთმა დაასვენოს შენი სული, სადაც მართალნი განისვენებენ, ჩვენო ძვირფასო.

*შენი ოჯახი*

---

### ჯენერი ცხონდიას გახსენება



შენი გაუგებარი სიკვდილი მეხის გავარდნას ჰგავდა. ჯენერი, ოჯახის უსაზღვრო დარდი და ტკივილი. ღვთისნიერი იყავი და ყველას ქომაგი. შენი ლამაზი სული უკვდავყოფილი იქნება, რამეთუ უკვდავად წახვედი ამ წუთისოფლიდან. ღმერთმა ქნას, შენმა შვილებმა ღირსეულად გაგრძელებული იყვნენ შენი საქმისა და ხნიერი ცხოვრებისა.

*ნათელა და ლიზა ზარანდიები*

---

### ცირა კორხიძე-ტუკვაძის მონატრება



2003 წლის 15 ივლისს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო შენი დაღუპვის ამბავი. უკვე 2 წელი გავიდა, რაც შენმა ლამაზმა სულმა დატოვა ოჯახი და ამქვეყნიური ცხოვრება. თან უამრავი ცრემლი და გულისტკივილი წაიყოლა. შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა შენი ორი დის და საყვარელი ძმის სიცოცხლეც შეიწირა.

ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, ვლოცავთ, რომ შენი ლამაზი და კეთილი სული ღმერთმა ნათელში ამყოფოს, აწ და მარადის. ამინ!

*ოჯახი*

---

მეუღლე ლოლა; შვილები: ლუდმილა, ავთო; რძლები მარინა, ნათელა; შვილიშვილები: ირმა, ქეთა, რეზო, ანდრო ჯიშკარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანდრო ალექსანდრეს ძე ჯიშკარიანი.**

პანაშვიდი: 18 ივლისს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 19 ივლისს, 15 საათზე.
მისამართი: თანეთის ქ. №14.

---

გაზეთ „კვირის პალიტრის" რედაქცია თანაუგრძნობს ირმა ჯიშკარიანს ბაბუის

**ანდრო ჯიშკარიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები: ლევანი და გულიკო; შვილიშვილები: ეკა, დავითი, თამარი, ნატალია, დიმიტრი; რძალი ზინა ფილაური; სიძე ჯუმბერ კოზმანიშვილი; დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით ირაკლის ძე ანდღულაძე**

პანაშვიდი: 17, 18 ივლისს, 17 საათზე;
გამოსვენება: 19 ივლისს, 15 საათზე
მისამართი: თბილისი, ლომოურის ჩიხი №7/ა

# ქვეწარმავლის მადლიერება

თხემით ტერფამდე ქალაქელი კაცი ვარ და გაჭირვება რომ არა, სოფელში ცხოვრებას ვერასოდეს ვიფიქრებდი. მეუღლემ — შვილები და შვილიშვილები ხომ უნდა ვარჩინოთო, ავიკარით გუდა-ნაბადი და იმერეთის მაღალმთიან სოფელში მის პაპისეულ სახლს მივადექით. პირველად ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მერე იქაურმა გარემომ თითქოს ახალი სიცოცხლე მომცა და შრომას იმგვარი ენერგიით შევუდექი, ცოტა ხნის წინ რომ ვერც კი წარმოვიდგენდი. ძროხა ვიყიდეთ, ფრინველი მოვაშენეთ, სიმინდის ყანა გავიჩინეთ და სახლსაც მივხედეთ. იმერეთში ისეთი მშვენიერი თეთრი ქვაა სახლის ასაშენებლად, ჩემი აზრით, თანამედროვე სამშენებლო მასალები მასთან ვერც მივა. ერთ ზაფხულს ახლომდებარე გორაკიდან სახლის ასაშენებლად ამ ქვის ჩამოზიდვა გადავწყვიტე. ავიღე წერაქვი და გავწიე... მიწის პირზე ამოყრილი ქვების დამუშავებას შევუდექი... ერთ-ერთი გადავაგორე და გავშეშდი. ქვის ქვეშ ახალდაჩეკილი გველის წიწილები ზანტად იკლაკნებოდნენ. ის იყო წერაქვი აღვმართე, რომ უკნიდან სისინი მომესმა. დაზაფრულმა წერაქვი ახლა გველს დავუმიზნე. პირდაპირ თავში მოხვდა. არაფერი მოსვლია, მძიმე წერაქვის ქვეშიდან გამოძრომას შეეცადა... გაოგნებული დავყურებდი, მერე ქვები მოვიმარჯვე და ის იყო, თავი უნდა გამეჩეჩქვა, რომ უეცრად გადავიფიქრე და წერაქვი ხელში ავიტაცე. გველი წიწილებთან გაჭირვებით მიცურდა და მომნუსხველი თვალებით უცნაურად დამიწყო ყურება...

გონს რომ მოვედი, შინისკენ კისრისტეხით გამოვქანდი.

ეს ამბავი მეზობელს ვუამბე. კარგად მოქცეულხარ, დედა გველი რომ არ მოკალი. ჩანს, მისი შურისძიებისგან რაღაც ძალამ დაგიცვაო...

იმ ადგილს კარგა ხანს არ გავკარებივარ,



რადგან გველის თვალები თან მდევდა... ერთხელ, ერთკვირიანი ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ძროხა საძოვარზე გავიყვანე, ვიფიქრე, ცოტას ვაბალახებ-მეთქი. საძოვრამდე პატარა ხევი უნდა გაგვევლო... და ფერდობზე ავსულიყავით... ხევის ჩასასვლელს რომ მივადექით, პირუტყვი ვირივით გაჯიუტდა — წინ ნაბიჯი ვერ გადავადგმევინე... გაჯავრებული ხეს ვეცი, ტოტი შევატეხე და ის იყო, უნდა დამერტყა, რომ ფეხზე რაღაც ცივი მომედო, სახრე ხელიდან გამივარდა. ჩემი თავზარდაცემა წარმოიდგინეთ, როცა ძირს დავიხედე და გველი დავინახე. სახრეს ხელი გავუშვი და იქვე გავიყინე... რამდენიმე წამში ფეხქვეშ მიწა ნელა შეტოკდა და მიწის გულიდან გუგუნი ამოვარდა, გრიალით მოწყდა ფერდობი და თვალის დახამხამებაში პატარა ღელე შთანთქა...

შიშით გონი დავკარგე...

ცნობაზე რომ მოვედი, სოფელი მადგა თავზე — ხმაური გაეგონათ და წამოსულიყვნენ, — თურმე მეწყერი ყოფილა.

ეს ამბავი ამით არ დამთავრებულა... მე და ჩემს მეუღლეს ქალიშვილმა რამდენიმე საათით თავისი ჩვილი დაგვიტოვა და საქმეზე გავიდა... ასეთ დროს ბავშვს უყურადღებოდ ვინ დატოვებს, მაგრამ ჩემი მეუღლისთვის მეზობლის ქალს დაეძახა, დედამთილმა გონი დაკარგა და მომეშველეო. ისიც ორიოდე წუთით გავარდნილა. სწორედ ამ დროს მეც ყანიდან დავბრუნდი. ეზოში რომ შევედი, ფართოდ გაღებული კარი მომხვდა თვალში. უცნაურად მომეჩვენა ეს ამბავი — ჩემი მეუღლე კარს ღია არასოდეს ტოვებს. გულმა რეჩხი მიყო და გაგიჟებული შევვარდი შინ. ჩემმა თვალებმა ისეთი უცნაური სურათი ნახა, მსგავსის ნახვას არავის ვუსურვებ: მეზობლის ღორი ჩვილის საწოლს მისდგომოდა და რიკულებში დინგის შეყოფას ლამობდა. უფრო იმან დამზაფრა, რომ ყალყზე შემდგარი მწვანე გველი ჩვილს შემოხვეოდა და ღორს ენას უსისინებდა... გონებადაბნეულმა ჩაქუჩს ვტაცე ხელი და ღორს თავში დავუშვი... ბავშვისკენ რომ მოვიხედე, უკვე გველი აღარ იყო და პატარას ისევ მშვიდად ეძინა... მართალია, იმ წუთში დაზაფრული ვიყავი, მაგრამ ამ ამბის შემდეგ სახელდაურქმეველი გრძნობა გამიჩნდა გველის მიმართ... ჩემი პატარაც მან იხსნა მშიერი ღორისგან...

სულ ბოლოს კი აგვისტოს დასასრულს, გველების დაბუდების წინ გამოჩნდა მწვანე ქვეწარმავალი. ეზოში კუდზე იდგა და შემომყურებდა. ის იყო ჩემი მწვანე მეგობარი, რომელსაც ჩემი წერაქვის ნაჭდევი ისევ ეტყობოდა. ამჯერად აღარ შემშინებია, შინ შევედი, ჯამით რძე გამოვუტანე და დავუდგი... ამოსვლიპა, კიდევ ერთხელ შემომხედა და ზანტად გაძვრა ლობეში... ალბათ დამემშვიდობა ზამთრის ძილის წინ...

**რამაზ კაპანაძე**

# ჩვეულებრივი სასწაული

ამას წინათ ერთი უცნაური ამბავი შემემთხვა, რომელმაც დამარწმუნა, რომ ადამიანი ბედისწერას ვერსად გაექცევა. მეგობარს ვესტუმრე დიღომში. ღამისთევით არაერთხელ დავრჩენილვარ მასთან, მაგრამ იმჯერად შინ დაბრუნება გადავწყვიტე, რადგან დედა მყავდა შეუძლოდ. საღამოს შვიდის ნახევარი იქნებოდა, ეკას რომ დავემშვიდობე. გავუყევი დიდუბისკენ გზას, რადგან თემქაზე მხოლოდ იქიდან მიდის ტრანსპორტი. ის იყო გაჩერებას მივუახლოვდი, რომ მივხვდი, სრულებით უცხო გარემოში მოვხვდი.

ვიყურები აქეთ-იქით, არც ქუჩა მეცნობა, არც შენობები, გამვლელებიც კონტიკუნტად დადიან. არადა, ბინდდება.

როგორ შეიძლება, დიღომში დაიკარგო-მეთქი, — შემოვუძახე საკუთარ თავს და ალალბედზე განვაგრძე გზა, ხან მარჯვნივ შევუხვიე, ხან — მარცხნივ და ტყის პირას არ ამოვყავი თავი?!

შვებით ამოვისუნთქე, რადგან უკვე ზუსტად ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი. ფეხსაც ავუჩქარე, რომ არ დამღამებოდა. გავიარე ორი ასეული მეტრი და... ისევ დავიკარგე! ავცახცახდი. ერთი პირობა, ისიც ვიფიქრე, იქნებ მეგობრის სახლისკენ როგორმე გავიგნო გზა-მეთქი, მაგრამ მყისვე შეუძლოდ მყოფი დედაჩემი გამახსენდა, მოთმინება მოვიკრიბე და ისევ შინაგანი ხმის კარნახით განვაგრძე სიარული. რამდენიმე წუთში კვლავ ტყის პირას ამოვყავი თავი...

მესამედაც რომ იგივე განმეორდა, ხელი ჩავიქნიე, ვიფიქრე, ეტყობა, ღმერთს ასე ნებავს, რომ ამაღამ შინ არ მივიდე-მეთქი და მეგობრის კორპუსის ძებნას შევუდექი. ვერც კი შევნიშნე, როდის მივადექი გაჩერებას, საიდანაც სამარშრუტო ტაქსის დილამდე უნდა მივეყვანე.

მტერმაც არ ნახოს, რაც იქ ჩემმა თვალებმა ნახა. ჩოჩქოლი, წივილ-კივილი, შეჯგუფული ხალხი, პოლიციელები, სასწრაფო დახმარება, დამტვრეული ტაქსიდან დაშავებული ადამიანები გადმოჰყავდათ... გაოგნებული ვიდექი. ეს სწორედ ის ტაქსი გახლდათ, რომელშიც, გზა რომ არ ამბნეოდა, უთუოდ ჩავჯდებოდი და სხვა მგზავრების ბედსაც გავიზიარებდი, მაგრამ ეტყობა, არ მეწერა, რადგან ღმერთმა ისეთ ადგილას „დამკარგა“, სადაც წარმოუდგენელია, გზა აგერიოს. ან დამკარგა კი? — ყოველ შემთხვევაში საათს რომ დავხედე, სულაც არ იყო იმდენი დრო გასული, რაც მე უცნაურ „ხეტიალში“ დამეხარჯა.

ეს ამბავი ამით არ დასრულებულა. რაკილა უკვე ბნელოდა, ნანახმა და განცდილმაც დამღალა და მგზავრობის თავიც აღარ მქონდა, ეკას სახლს მივაშურე. კარი არავინ გამიღო, არადა, ზუსტად ვიცოდი, რომ არსად წასვლას არ აპირებდა. უცებ გაზის სპეციფიკური სუნი ვიგრძენი. შევყარე მეზობლები. ჩამოვილეთ კარი, შევცვივდით ბინაში და გონწასულ ეკას სააბაზანოში მივაგენით. იქვე, კედელზე გაზის „კალონკა“ წყნარად ზუზუნებდა...

მოვაბრუნეთ საამქვეყნოს და რაღა თქმა უნდა, ღამე მასთან გავათენე.

**ა.კ. თბილისი**

# გასაღები მეექვსე გრძნობისთვის

მას შემდეგ, რაც 1977 წელს გარდაიცვალა ირლანდიელი ეილინ ჰარლეტი, რომელსაც სიცოცხლეში უდიდეს ნათელმხილველს უწოდებდნენ, სწავლულებმა დაიწყეს მისი პარანორმალური შესაძლებლობების სისტემური შესწავლა. ადრე ეს თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ჰარლეტმა, იმავე ჟანეტ ბანკომ, წამოაყენა პირობა: „ნუ შეეხებით ღვთაებრივს ადამიანურით, ნუ აქცევთ ჩემს აბსოლუტურ ცოდნას ფულად. ჩემი მომსახურებისთვის საფასურს არ ვიღებდი. თუკი ამას გავბედავდი, დავკარგავდი უხვად მომადლებულ ნიჭს“.

ნათელმხილველის ძალა კი მართლაც იმდენად ძლიერი იყო, რომ ჰარლეტს, რენტგენის აპარატის მსგავსად, შეეძლო დაენახა ადამიანის და ცხოველის შინაგანი ორგანოები, იგი უშეცდომოდ სვამდა დიაგნოზს, კითხულობდა აზრებს, ხედავდა წარსულ და მომავალ მოვლენებს, ჰქონდა ლევიტაციის უნარი, შეეძლო ნახევარი მეტრის სიმაღლეზე იატაკიდან ან მაგიდის ზედაპირიდან მაღლა აეწია მძიმე საგნებიც კი. ჰარლეტის გასტროლების დროს ყველა სარეკლამო პლაკატს ერთადერთი წარწერა ამშვენებდა: „გასაღები მეექვსე გრძნობისთვის“. სეანსებს ზღვა ხალხი აწყდებოდა.

ყველას, ვისაც სურდა, რაიმე ეკითხა ეილინისთვის, თან უნდა ჰქონოდა ქარვის ნაჭერი. ზოგჯერ ეს მზიური ქვა იმდენი იყო, რომ ჯამში ძლივს ეტეოდა. მას ნათელმხილველი ძმარს ასხამდა. ეილინი ჯამიდან ქვას იღებდა და ყოველთვის უშეცდომოდ ასახელებდა მის მფლობელს...

1930 წლის ოქტომბერში ლონდონში ეროვნული გლოვა გამოცხადდა, რადგან საფრანგეთის სამხრეთში კატასტროფა განიცადა სუპერდირიჟაბლმა P-101-მა. ცეცხლმა შთანთქა ხომალდის მეთაური ქეი მარკ ირვინგი, ხოლო 54 ჰაერმცურავიდან მხოლოდ 6 გადარჩა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებმაც არ გამორიცხეს ტერორისტის ბოროტი განზრახვა, დახმარებისათვის ჰარლეტს მიმართეს. სეანსი, ხელისუფალთა მოთხოვნით, კინოკამერებით და ხმის ჩამწერი აპარატურით დააფიქსირეს. ამჟამად, 70 წელზე მეტი ხნის შემდეგ, ეს ჩანაწერები აღადგინეს და დაწვრილებით შეისწავლეს. ყველაფერი, რაც ექსპერტებმა იხილეს და მოისმინეს, მეტყველებს იმაზე, რომ ნათელმხილველმა ასპროცენტიანი სიზუსტით, დეტალურად აღწერა კატასტროფის დინამიკა. აი, როგორ გამოიყურებოდა ეს წინასწარმეტყველება ძველ კინოფირზე:

ეილინ ჰარლეტი დაახლოებით ხუთი წუთის მანძილზე აკვირდება ქარვის ბურთს, ამის შემდეგ თვალებს ხუჭავს. მაშინვე მიცურავს მასთან ბამბუკის სავარძელი, რომელშიც ჯდება. „მგონი, ქალბატონს სძინავს, გაგრძელებას აზრი არა აქვს“, — წყენით ამბობს ხმა კადრს მიღმა. „ვიცდით ზუსტად იმდენს, რამდენიცაა საჭირო, ეს ზედაპირული ძილია, ტრანსია“, — ეპასუხება სხვა ხმა. ისმის ჭახანი. კამერა მსხვილი პლანით აჩვენებს ქარვის ბურთს. იგი სამ ტოლ ნაწილადაა გაპობილი. ნათელმხილველი მამაკაცის დაბალი ხმით ლაპარაკობს — ითხოვს, ყურადღებით დაუგდონ ყური, რადგან ცნობები მოდის დაღუპული მეთაურის ქეი მარკ ირვინგისგან. სპეციფიკური ტექნიკური ტერმინებით შეზავებული ინფორმაცია მაქსიმალურად მოკლეა. ხმა აღწერს, რა დაემართა დირიჟაბლის ცალკეულ დეტალს ცეცხლის გაჩენის შემდეგ. ცეცხლი კი აკუმულატორის ნაკვეთურში გაჩნდა, სადაც დირიჟაბლის მშენებელი ფირმის დანაშაულებრივმა ჯგუფმა დაამონტაჟა ასაფეთქებელი მოწყობილობა. ტრაგედიის მიზეზია შეცდომები კონსტრუქციულ გათვლებში, ზეთის სადინარების დახშობა და ყუმბარის აფეთქება.

ამის შემდეგ მძინარე ეილინს დაჟინებით სთხოვს ხმა კადრს მიღმა, დაასახელოს ბოროტმოქმედთა გვარები, ადგილსამყოფელი, დამახასიათებელი ნიშნები. ქალი ქაღალდს და ფანქარს ითხოვს. 3 წუთის მანძილზე რაღაცას წერს და ხატავს. კამერა აჩვენებს ქაღალდს. მასზე კარგად ჩანს სახლის შიდადაგეგმარება, აღნიშნულია ეზოს ნაგებობები, არის უამრავი წარწერა. ოღონდ ამოკითხვა შეუძლებელია. წარწერები სარკის პროექციითაა შესრულებული. ნათელმხილველი სავარძლიდან დგება. შეკითხვაზე, არის თუ არა პასუხისმგებელი თავის ნათქვამზე, პასუხობს, რომ ეს მისი კი არა, გარდაცვლილი ირვინგის სიტყვებია. ქალი იმასაც ამატებს, რომ მკვლელები გამოტეხა და ისინი ელიან ანგარიშსწორებას, თანაც ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ არ შეუძლიათ თავშესაფრის მიტოვება.

მოვლენათა ფანტასტიკური განვითარების შესახებ წერდა 1930 წლის ბრიტანული და ამერიკული პრესა. რეპორტიორები სულმოუთქმელად ჰყვებოდნენ, როგორ მივიდნენ პოლიციელები ლივერპულის გარეუბანში, როგორ შევიდნენ ეზოიან სახლში, სადაც აღმოაჩინეს „სამი ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცი, რომლებსაც ისე მაგრად ეძინათ, რომ მათი გაღვიძება გაჭირდა“. როგორც გამოძიების მსვლელობისას გაირკვა, ეს სამეული აქტიურად მონაწილეობდა P-101-ის კონსტრუირებასა და გამოცდაში. როცა მიხვდნენ, რომ სერიოზული შეცდომები დაუშვეს დირიჟაბლის აგებისას, პასუხისმგებლობის ასარიდებლად, თავადვე მოამზადეს ავარია. ალბათ, ინჟინერს ყველაფერი შერჩებოდა, რომ არა ირლანდიელი ნათელმხილველი.

ჟანეტ ბანკოს სჯეროდა, რომ მომავლის წინასწარმეტყველება ძველი ცივილიზაციის წარმომადგენელთათვის ნორმა იყო. წიგნში „მე — სიძველის ნამსხვრევი“, ის, უკვე დიპლომირებული ექიმი, ასე ხსნის თავის წარმოუდგენელ უნარს: „მოვლენის ძირებს ვვარაუდობ ჰიპოთალამუსში, ტვინის უძველეს რუდიმენტულ სტრუქტურებში, თავის ქალის ფუძესთან ახლოს. მე იმ ცხოველების მონათესავე ვარ, რომლებსაც ბუნებამ ასწავლა მოვლენათა დანახვა რაღაც სხვა სენსორით, რომელიც ადამიანების უმეტესობას გამორთული აქვს“.

**ნლო №27**

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. კენგურუ

II. აბა, გამოიცანი

1. — ბ); 2. — გ); 3. — დ); 4. — ა).

III. ა — 7; ბ — 6; გ — 5; დ — 4; ე — 1; ვ — 3; ზ — 2.

# ერთმანეთს გადახლართული ორი ბედი

სამი თვის წინ ახალ ბინაში გადავედით. მეზობლები გავიცანი, ერთ-ერთს კი ძალიან დავუახლოვდი. მასთან პირველად რომ შევედი, სახელდახელოდ ტკბილეულის სუფრა გამიშალა, — კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში, დაგვლოცეო. მაგიდასთან ისე დავჯექი, პირდაპირ ფანჯრისკენ ვიყურებოდი, საიდანაც თბილისის არაჩვეულებრივი ხედი მოჩანდა. მასპინძლები უაღრესად სასიამოვნო ხალხი იყო და უთუოდ დავრჩებოდი მათთან ერთი საათი მაინც, მაგრამ საშინლად ამტკივდა თავი. მარცხენა მხარე დამიბუჟდა, კისრისა და ყბის არეშიც აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. მეზობლებს ბოდიში მოვუხადე და ბარბაცით გავედი. დიასახლისი გამომყვა, — ცუდად ხომ არ ხარო. მერე მითხრა, ისე გაფითრდი, მეგონა, გონს დაკარგავდიო.

ტკივილმა ერთ საათში გამიარა. კარგა ხანს აღარც შეუხსენებია თავი. მეორედ მეზობელთან ვილაცის მიერ დატოვებული წერილის გადასაცემად შევედი. ვიგრძენი, სხეული დამეძაბა და ჯერ სუსტად, მერე ძლიერად ამტკივდა ისევ მარცხენა მხარეს კისერი და ყბა, შემდეგ კი თავი. ეტყობა, იმდენად გატანჯული სახე მქონდა, მეზობელი სწრაფად დამემშვიდობა.

მესამედ საგანგებოდ შევედი. ის იყო სავარძელში მოვკალათდი, ამჯერად ზურგით ფანჯრისკენ კედელზე, მომხიბვლელი გოგონას გადიდებული ფოტო დავინახე, რაღაცით ჩემს ყმაწვილობის დროინდელ ფოტოსაც კი მივამსგავსე.

— ეს ვინ არის? — ვკითხე, — თითქოს ნაცნობი სახე აქვს...

— სად უნდა გენახა? ბათუმში ცხოვრობდა. ჩემი ძმისშვილია. 17 წლისა გარდაიცვალა. მაგისმა სიკვდილმა ყველა გაგვანადგურა.

— რა დაემართა?

— დიდი სისწრაფით მომავალი მანქანა დაეჯახა. ჯერ ჰაერში ააგდო, მერე კი ასფალტზე დავარდნილს მეორე მანქანამ გადაუარა...

— როდის მოხდა? — ვკითხე და ვიგრძენი, ყელში ბურთივით რაღაც მომაწვა.

— ცხრა წლის წინ, მარტში...

ოთახიდან როგორ გამოვედი, აღარც მახსოვს. შემძრა მოსმენილმა... ცხრა წლის წინანდელი და თანაც მარტის თვის ამბავი მეც კარგად მახსოვდა — ძალიან მძიმედ გადავიტანე ეს თვე — მაშინ მეათე კლასში, მოულოდნელად ეპილეფსიური შეტევა დამემართა. რაკი ეპილეფსიანი არ ვყოფილვარ, სტრესს და გადაღლილობას (მისაღები გამოცდებისთვისაც ვემზადებოდი) დააბრალეს. ამას დეპრესიაც დაერთო... ჰოდა, ვიგრძენი, რაღაც სერიოზული მაკავშირებდა გარდაცვლილთან. აკი მისი განცდილი ფიზიკური ტკივილი მეც განვიცადე! მაგრამ საკვირველი და საოცარი ჯერ კიდევ წინ იყო. აღმოჩნდა, რომ ერთ დღეს ვყოფილვართ დაბადებულები, ერთ წელიწადს, ერთსა და იმავე დროს — შუაღამისას! 5 წლისას მძიმედ უავადმყოფია, ეპილეფსიური გულყრაც ჰქონია. 5 წლისა მე ავარიაში მოვყევი და მძიმე მოტეხილობებით ვიწექი საავადმყოფოში, ძლივს გადავრჩი. მშობლები მეუბნებოდნენ, 1-ელი მაისი იყო, უქმე, სასწრაფომაც დაიგვიანაო. მოგვიანებით მეზობელს ვკითხე, — 1-ელ მაისს ხომ არ გამხდარა ავად თქვენი ძმისშვილი-მეთქი. გაიხსენა — ნამდვილად ასე იყოო...

ბევრი ვეძებე ნათესაური კავშირი გარდაცვლილთან, თუმცა ამაოდ. დღესაც არ ვიცი, რა მაკავშირებდა იმ ადამიანთან.

**ლეილა ჯილაური**
**თბილისი**

## №29 (459) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

თემა №29(459) –
ქართული ფული

**ეროვნული ბანკი აპირებს 200-ლარიანი ბანკნოტის გამოშვებას. ყველაზე მეტად ვისი პორტრეტის გამოსახვას ისურვებდით კუპიურაზე?**
(ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№29(459) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნიკო მუსხელიშვილი | |
| 2 | გალაკტიონ ტაბიძე | |
| 3 | დავით გურამიშვილი | |
| 4 | ვაჟა-ფშაველა | |
| 5 | ნიკო ნიკოლაძე | |
| 6 | დიმიტრი ყიფიანი | |
| 7 | ექვთიმე თაყაიშვილი | |
| 8 | დავით სარაჯიშვილი | |
| 9 | ილია ვეკუა | |

**დამატებითი კითხვა**

როგორ აფასებთ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას – თბილისის მერის პოსტზე ზურაბ ჭიაბერაშვილის გიგი უგულავათი ჩანაცვლებას?

| დადებითად | უარყოფითად | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

__________ ასაკი  __________ ტელეფონი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და «მკითხველის პრემიას»

№29 (459) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 20 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 21 ივლისის 13 საათამდე.

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგში". თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.**

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემა შემოგვთავაზა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა.
გამოკითხვის შედეგები წარედგინება სპეციალურ კომისიას და გათვალისწინებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 25 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 20 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 15 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ინგა ჯაყელი** — „ძველი ვიოლინოს საიდუმლო..." — 104 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ახალგაზრდული ხუმტურები" და ასმანეთიანი ყურის ბიბილო" — 96
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „თეთრხალათიანების შავი ჟურნალი" — 64
4. **იზო რიკაძე** — „საქართველოში დასამარებულია წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი" — 48
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 35

*მკითხველის პრემიის მფლობელები 467-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

*„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.*

## (29) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№29 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 21 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## №28 (458) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის საპრიზო ფონდი 200 ლარს შეადგენდა. თემას — „საუკეთესო შოუ" — 725 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 278-მა ქალმა და 437-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი არაპოლიტიკური, შემეცნებით-გასართობი შოუ მოგწონთ ყველაზე მეტად?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობას ყველაზე მეტად „შაბათის შოუ" მოსწონს. მკითხველთა 52%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური 9 ქულით, მინიმალური ქულა კი 1%-მა დაუწერა. **7,75** საშუალო ქულით „შაბათის შოუ" პირველ ადგილზეა.

II-III ადგილებს ასევე იუმორისტული ტელეშოუები იყოფენ — „ნიკა ქავთარაძის შოუ" 6,90 საშუალო ქულით მეორე ადგილზეა, ხოლო „ღამის შოუ" 6,77 საშუალო ქულით — მესამეზე.

როგორც ვხედავთ, წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა შოუებისა თუ ზოგადად, ტელეგადაცემების რეიტინგებს უცვლელად ლიდერობდა „ვის უნდა 20 000" თავისი უცვლელი წამყვანით. დღეს „ვის უნდა 50 000" მეოთხე ადგილზეა და მაქსიმალური შეფასება მკითხველთა მხოლოდ 10%-ისაგან მიიღო. როგორც ჩანს, მაყურებლის ინტერესი და კეთილგანწყობა უფრო გასართობი შოუებისკენაა მიმართული, ვიდრე შემეცნებითისკენ. „ვის უნდა 20 000-ის" ლიდერობისას კი ქართულ ტელესივრცეში თითქმის არ არსებობდა იუმორისტული გადაცემები. საინტერესოა, შოუწამყვანების რეიტინგში თუ შეინარჩუნებს დუტა ლიდერობას?

„ამტანი" საერთო ქულების რაოდენობით წინ უსწრებს „სუსტ რგოლსაც" და „ათასიდან ერთ შანსსაც", მაგრამ ყველაზე მეტი მინიმალური შეფასება დაიმსახურა — რესპონდენტთა 35%-მა დაუწერა მას 1 ქულა, („სუსტი რგოლი" — 16%, „ათასიდან ერთი შანსი" — 28%).

ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულა კი დაიმსახურა შოუმ — „გაიღიმეთ, ფარული კამერაა" — მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,4%) მიაკუთვნა მას 9 ქულა.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჯეკ-პოტის — 200 ლარის მფლობელი 52 წლის თბილისელი **ნოდარ გოგნელაშვილია**.

ვულოცავთ გამარჯვებას ბატონ ნოდარს და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 20 ივლისს, 17 საათზე.

## დამატებითი კითხვის შედეგები

**კითხვა: აქვს თუ არა ადგილი ხელისუფლების მხრიდან მედიაზე ზეწოლას?**




*დამატებით კითხვას 636-მა მკითხველმა უპასუხა*

## ცნობილთა აზრით:



**გივი ბერიკაშვილი:** — როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ მოსწონს კრიტიკა. ამაზე მეტყველებს ჟურნალისტების დაშინება, ფიზიკური ანგარიშსწორება. აი, ახლახან კახეთში ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი სცემეს. დახურეს ტელეკომპანია „მზის" ერთ-ერთი პოპულარული გადაცემა. ეს ფაქტები კი რიგით მოქალაქეებს გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება მართლაც ცდილობს მედიის „მოთვინიერებას".



**ნიაზ დიასამიძე:** — ჩემი აზრით, არავითარ ზეწოლას ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ აქვს. ზეწოლა და ცენზურა ყველას ახსოვს საბჭოთა წყობილების დროს. განა ეს, რაც დღესდღეობით ხდება, შეიძლება ჩაითვალოს ზეწოლად? ყველა აშუქებს იმას, რაც ხდება საქართველოში. მედიისგან დაფარული თუ დამალული არც ვინმეს პირადი ცხოვრებაა. ამდენად, არა მგონია, თუნდაც ზოგიერთი გადაცემის დახურვა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლად მივიჩნიოთ. ბევრი გადაცემა თუ ჟურნალ-გაზეთია დასახური არაპროფესიონალიზმის გამო. ისე კი მედიას უფრო დიდი გავლენა აქვს ხალხზე, ვიდრე თავად ხელისუფლებას. ამდენად, მედიაზე ზეწოლა შეუძლებლად მიმაჩნია.



**შალვა რამიშვილი:** — დიახ, ხელისუფლება ნამდვილად ახდენს ზეწოლას მედიაზე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ტელეკომპანია „მზისა" და „რუსთავი 2"-ის ეთერში. ჟურნალისტებს აშკარად მართავენ ტელეკომპანიების მესაკუთრეები, რომლებიც ალიანსში არიან ხელისუფლებასთან. მათ ერთმანეთთან აკავშირებთ როგორც საქმიანი, ასევე მეგობრული ურთიერთობა. მოგეხსენებათ, მესაკუთრეებს სარედაქციო კოლეგიასთან შედარებით ყოველთვის უპირატესი მდგომარეობა ექნებათ. რაც შეეხება პრესას, აქ მთავრობის ზეგავლენა გაცილებით მცირეა, თუმცა ერთგვარ შეზღუდვას ისიც განიცდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „იმ დღეს შევარდნაძემ და გორგოძემ ერთმანეთზე გაიწიეს“



**ვახტანგ რაზმაძე, რომელიც 31 წლიწადს მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში და ბევრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმე გამოუძიებია, დღეს ჩვენი რესპონდენტია. როგორ აფასებს წარსულში თავის ქმედებებს და რას ფიქრობს დღევანდელ ვითარებაზე ცნობილი პროკურორი — ამ თემაზე „კვირის პალიტრა“ საინტერესო წერილების ციკლს აგრძელებს...**

## „მე, გურული გლეხის შვილს, პარტიამ ნდობა გამომიცხადა და ვინც მიღალატებს, ყველა უნდა დაისაჯოსო“

*(დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა“ №28 (541)*

ხაბეიშვილთან დაკავშირებული საქმის გამოძიება ასე დაიწყო: საქართველოს სტატისტიკური ორგანოების მონაცემებით, 1981 წელს საქართველოში 850.000 ტონა ყურძენი დამზადდა. ეს იყო ყოვლად წარმოუდგენელი მაჩვენებელი. საქართველოში ზვრებიდან ასეთი რაოდენობის ყურძნის მოსავალს ვერ მიიღებდნენ. ამას, ალბათ, ცენტრალურ კომიტეტშიც მიხვდნენ და დაიწყეს დამნაშავის ძებნა. ბუნებრივია, საკუთარ თავს განაჩენს ვერ გამოუტანდნენ და მიზანში ამოიღეს სიღნაღის ღვინის ქარხანა, რომლის დირექტორი იყო ბაკაშვილი, მეტსახელად „ნუღლა“. დაიწყო გამოძიება. „ნუღლამ“ ხომ იცოდა, რაც ჰქონდა ჩადენილი, ამიტომ გამოძიებას თავი აარიდა და მიიმალა. გამოძიების შედეგად გამოვლინდა საშინელი დარღვევები. დანაშაულებრივ ქსელში ჩაბმული იყო რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს ყველა მუშაკი, ქარხანაში მზადდებოდა ათიათასობით ტონა ფალსიფიცირებული ღვინო შაქრით, ჭარხლით, წყლითა და საღებავებით. ღვინის რაოდენობრივი გამოსავლიანობა რომ გაემართლებინათ, რაც ამ რაოდენობის ღვინის დამზადებას სჭირდებოდა, იმდენივე ყურძნის დამზადებასა და შესყიდვაზე მოსახლეობაზე ფორმდებოდა ყალბი ქვითრები. ასე რომ, მთელი რაიონი იყო ჩართული ამ მაქინაციაში. ამის გამო პასუხისგებაში მისცეს და დაისაჯა მრავალი ათეული ადამიანი. ღირდა თუ არ ყველაფერი ეს იმ ოქროს მედლად, რომლის მისაღებად შევარდნაძის ხელისუფლებამ უამრავი სიყალბე ჩაიდინა. ამაზე შევარდნაძემ უნდა გასცეს პასუხი.

ამ ფაქტების გამოვლენის შემდეგ ცეკას ბიურომ განიხილა სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელობის საკითხი და რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ ბუჩუკური თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ბიუროს სხდომაზე საქართველოს მაშინდელმა პროკურორმა, აწ განსვენებულმა ანზორ ბარაბაძემ მოითხოვა, პროკურატურას გადმოეცით ცეკას მიერ მოკვლეული მასალები, სადაც ჩანს, როგორ და ვისი რეკომენდაციით დაინიშნა ნოდარ ბუჩუკური რაიკომის მდივნადო. თუმცა პროკურორის მოთხოვნა ბიუროს წევრებმა არაფრად ჩააგდეს.

გავიდა დაახლოებით სამი თვე. ეს ის პერიოდია, როცა გარდაიცვალა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ანდროპოვი. ახალ გენერალურ მდივნად აირჩიეს შრომისუუნარო, მეტყველებადაქვეითებული ჩერნენკო. ფაქტობრივად, ქვეყანას მისი თანაშემწე, ხაბეიშვილის უახლოესი მეგობარი პრიბიტკოვი მართავდა.

1984 წლის მარტის შუა რიცხვებში ცეკას განყოფილების გამგემ ნუგზარ საჯაიამ მთხოვა, მივსულიყავი მასთან. მითხრა, შევარდნაძის განკარგულებით პარტკომისიიდან გადმოგეგზავნება სიღნაღის რაიონის მასალები და პირადად უნდა ჩაატარო შემოწმებაო. ამ დროს საჯაიასთან შევარდნაძემ დარეკა, რაღაცაზე ისაუბრეს და საჯაიამ უთხრა, ვახტანგ რაზმაძე ჩემთან არისო. შევარდნაძემ ორივე თავისთან გვიხმო.

შევარდნაძემ საჯაიას ნათქვამი გამიმეორა. მხოლოდ დაამატა, ეცადე შემოწმება ისე ჩაატარო, რომ მასში რესპუბლიკის პროკურორმა მონაწილეობა არ მიიღოსო. ანზორ ბარაბაძეს დიდ პატივს ვცემ. მის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ შენ იცი, რომ ის და ხაბეიშვილი ქუთაისში ერთად მუშაობდნენ და მის ობიექტურობაში რომ ეჭვი არავინ შეიტანოს, სჯობია, არაფერი გააგებინოო.

ასე რომ, დავალება მივიღე... შევარდნაძეს აინტერესებდა, რის გამო გაუწია ხაბეიშვილმა ბუჩუკურს რეკომენდაცია რაიკომის მდივნის პოსტზე. დიდი შრომა არ დამჭირვებია საიმისოდ, რომ გამერკვია, რა როლი ითამაშა ხაბეიშვილმა ბუჩუკურის დანიშვნაში. შევარდნაძემ დამავალა, შემოწმებების შედეგები მხოლოდ მე მომახსენეო. ვუთხარი, საქმის კურსში საჯაიასაც ჩავაყენებ-მეთქი.

**— რატომ ჩათვალეთ საჭიროდ ამის გაკეთება?**



— მინდოდა, შევარდნაძის გარდა კიდევ სცოდნოდა სიმართლე ვინმეს. სცოდნოდა, რა დავალებებს ვიღებდი და რას ვაკეთებდი. საჯაიას მასზე მეტად ვენდობოდი. შევარდნაძის ერთგული კი იყო, მაგრამ მისი პატიოსნების იმედი მქონდა. ედუარდ ამბროსიევიჩს უარი არ უთქვამს, რომ საჯაიაც ყოფილიყო საქმის კურსში... როდესაც ხაბეიშვილის საქმეს გავეცანი, მივხვდი, სადამდეც მიგვიყვანდა და შევარდნაძეს მოვახსენე შედეგები. ვუთხარი, რაც ხაბეიშვილის საქმიანობის შემოწმებას მოჰყვება, ცკ-ის ავტორიტეტს არ წაადგება-მეთქი და იქვე მივანიშნე, რაკი ხაბეიშვილის საქმის შემოწმება დავიწყეთ და ეს საზოგადოების ყურამდეც მივიდა, უხერხულია ის პარტიულ აპარატში დარჩეს. რაკი ის კარგი ორგანიზატორია, იქნებ საქართველოს რკინიგზის სამმართველოს უფროსად გადაგეყვანათ, მისი ხელმძღვანელი ლევან ვარდოსანიძე, როგორც მითხრეს, პენსიაში გადის-მეთქი. როგორც კი გაიგო, რომ შემოწმების შეწყვეტას ვთავაზობდი, აღშფოთდა და მომახალა — შენ რატომ არ უწევ იმას ანგარიშს, რომ მე, გურული გლეხის შვილს, პარტიამ ნდობა გამომიცხადა და ცეკას პირველ მდივნად ამირჩია. მე მაგენი ცეკას მდივნებად დავნიშნე და თუ ვინმე მიღალატებს, ყველა უნდა დაისაჯოს, მოღალატეებს არ დავინდობო.

სიტყვა არ შემიბრუნებია, ისე წამოვედი... მაგრამ ეჭვი ერთმა გარემოებამ აღმიძრა. შევარდნაძე კატეგორიულად ითხოვდა შემოწმების ჩატარებას, თან მითხრა — შემოწმება ჩაატარე, ხალხს გაესაუბრე, მაგრამ დაკითხვის ოქმი არ გააფორმოო. მისი ყველა დავალება კეთილსინდისიერად შევასრულე, გარდა უკანასკნელისა — მოწმეებთან საუბრებს ოქმებში ვაფიქსირებდი.

**— რით ახსნით შევარდნაძის უცნაურ მოთხოვნას?**

— იმით, რომ შევარდნაძეს ხაბეიშვილის მხოლოდ შეშინება უნდოდა, მე კი ბრმა იარაღად მიყენებდა. მე ჩემს პროფესიულ მოვალეობას ვასრულებდი, მაგრამ არ იყო გამორიცხული, „საჭიროების შემთხვევაში“ შევარდნაძეს ეს საქმე ჩემს წინააღმდეგ მოეტრიალებინა. ეს რომ ასე იყო, მოგვიანებით მივხვდი...

როდესაც სიღნაღის რაიკომის მდივნის, ნოდარ ბუჩუკურის საქმის ძიება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, იკითხა — ცენტრალური კომიტეტიდან არავინ მეხმარებაო? როცა შეიტყო, პროკურატურას მოქმედების თავისუფლება აქვსო, გამომძიებელს უამბო ხაბეიშვილთან თავის კავშირებზე, მაგრამ რაკი გამომძიებელმა მისი ნათქვამი სერიოზულად არ ჩათვალა, ბუჩუკურმა შევარდნაძეს მიმართა განცხადებით, რომელშიც ამბობდა, რომ ხაბეიშვილთან დანაშაულებრივი კავშირები ჰქონდა. შევარდნაძეს ეს განცხადება პროკურატურაში არ გადაუგზავნია, საჯაიას მისცა — შეინახეო. ამ განცხადების შინაარსი გავიგე და განცხადებაში მოთხრობილ ფაქტებზე მისი დაკითხვა დავიწყეთ. ბუჩუკურმა აღიარა, როდის და რისთვის აძლევდა ქრთამს ხაბეიშვილს. კერძოდ, მოჰყვა, როგორ გადასცა ხაბეიშვილს 25 ათასი მანეთი.

როდესაც სიღნაღის ღვინის ქარხნის საქმის გამოძიება მიმდინარეობდა, როგორც გითხარით, ქარხნის დირექტორი „ნუღლა“ მიიმალა. მისი მეუღლე დაუკავშირდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს და სთხოვა, მეუღლის საქმის მოგვარებაში დამეხმარეთო. მანაც დახმარება აღუთქვა, თუ განსაზღვრულ საფასურს გადაიხდითო. მაგრამ მან წინასწარ ჩააყენა საქმის კურსში ხელმძღვანელობა, მოსკოვში „ნუღლას“ მეუღლე ჩამოდის ჩემთვის ფულის გადმოსაცემადო. სამინისტროს თანამშრომლებმა ვნუკოვოს აეროპორტშივე დააკავეს „ნუღლას“ მეუღლე. ამოიღეს მილიონ ოთხასი ათასი მანეთი (ეს იმ დროისათვის წარმოუდგენლად დიდი თანხა იყო). ფული მოსკოვში დაიტოვეს(?!) და პატიმარი ჩვენ გადმოგვიგზავნეს გამოძიების ჩასატარებლად. მას 7 წელი მიუსაჯეს.

„ნუღლას“ ცოლი სამი ბიჭის დედა იყო, მაშინ 35-40 წლისა იქნებოდა. ამ ქალის ამბავი შევარდნაძეს რომ მოვუყევი, ცრემლები წამოუვიდა და მითხრა, საქართველო და ქართული ენა ასეთმა ქალებმა გადაარჩინესო.

„ნუღლას“ ცოლი საკანში ტექნიკუმის სამ ყოფილ პედაგოგთან შეიყვანეს. მათ გამოცდის დროს აიღეს ქრთამი და ამიტომ მივეცით პასუხისგებაში. ტექნიკუმის პედაგოგები დანაშაულს აღიარებდნენ და ვიფიქრეთ, „ნუღლას“ ცოლზე იმოქმედებდნენ და ათქმევინებდნენ, მისი ქმარი სად იმალებოდა. ოთხი დღის შემდეგ გამოვიყვანეთ ეს ქალები გარეთ, ვითომ „ნუღლას“ ცოლის დაკითხვა გვინდოდა, მაგრამ საოცარი რამ მოხდა — სამივე ქალმა განაცხადა, დანაშაული არ ჩაგვიდენიაო. ისეთი მტკიცე ქალი იყო „ნუღლას“ ცოლი, პირიქით, ისინი გადაიყვანა თავის ჭკუაზე.

„ნუღლას“ ცოლის დაკავებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საქართველოში. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამ საკითხს ცეკას ბიუროს სხდომაზე განიხილავდნენ და ამას მოჰყვებოდა დიდი საკადრო ცვლილებები. ბუჩუკურს ამ ფაქტმა მოსვენება დაუკარგა. ყოველდღე ელოდა მკაცრ სასჯელს. იმ დღეებში ლაგოდეხიდან სიღნაღში ხაბეიშვილი ჩავიდა. ბუჩუკურმა თავისი შიში გაუზიარა ხაბეიშვილს და სთხოვა, დამეხმარეო. ხაბეიშვილმაც გაუკეთა საქმე — ბუჩუკურის საკითხი არ გამხდარა ბიუროს მსჯელობის საგანი და ამისათვის ხაბეიშვილმა მისგან ოცდახუთი ათასი მანეთი აიღო.

მოვახსენე შევარდნაძეს ნოდარ ბუჩუკურის ჩვენება. შევატყვე, არ ესიამოვნა. მეორე დღეს მითხრა, ვესაუბრე ხაბეიშვილს, მითხრა, სამი წელია სიღნაღში არ ვყოფილვარო. გამიკვირდა, შევარდნაძე მე მაფრთხილებდა, არავის არაფერი უთხრაო და თავად თურმე ხაბეიშვილს აბარებდა ანგარიშს(!). თან ძირს უთხრიდა, თან პირში ეფერებოდა, რადგან მისგან დავალებული იყო. რა თქმა უნდა, ამან გამაღიზიანა. უკვე გასაგები იყო, რა თამაშს ეწეოდა შევარდნაძე, ამიტომ ბრმა იარაღი რომ არ აღმოვჩენილიყავი შევარდნაძის ხელში, გაათმაგებული ენერგიით შევუდექი მტკიცებულებების შეკრებას. რა თქმა უნდა, შევარდნაძეს ეშმაკობაში ვერ ვაჯობებდი, მაგრამ ჩემს მხარეზე სიმართლე იყო.

შევარდნაძეს ვუთხარი, ადვილი შესამოწმებელია ბუჩუკურის მიერ მითითებულ დღეს ნამდვილად იყო თუ არა ხაბეიშვილი სიღნაღში-მეთქი. ორი გამომძიებელი დაუყოვნებლივ გავაგზავნე სიღნაღში. დღის ბოლოს დამირეკეს, დავადგინეთ 13 კაცი, რომლებიც ადასტურებენ ხაბეიშვილის იმ დღეს სიღნაღში ყოფნის ფაქტსო. ესენი იყვნენ რაიკომის თანამშრომლები, მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, მილიციის უფროსი და რაიკავშირის თავმჯდომარე, რომელმაც მონადირის სახლში პურმარილი გააწყო და ემსახურებოდა მათ. დავადგინეთ, რომ ბუჩუკური და ხაბეიშვილი სუფრაზე მარტონი ისხდნენ. როცა შემოწმების შედეგები მოვახსენე შევარდნაძეს, დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს, რამდენიმე სიტყვა ჩაილაპარაკა ხაბეიშვილის მისამართით, მაგრამ ეს ჩემთვის უკვე არაფერს ნიშნავდა, რადგან ჩვენ ისე ღრმად შევტოპეთ ამ საქმეში, უკან დასახევ გზას ვერ ვხედავდი.

1985 წლის ივნისიდან შევარდნაძის დამოკიდებულება ამ საქმისადმი შეიცვალა. ცდილობდა, საქმის წარმოება შეჩერებულიყო. ივნისის თვის ბოლო რიცხვები იყო, შევარდნაძემ მე და შს მინისტრი შოთა გორგოძე მიგვიწვია თავისთან. შემოგვთავაზა, ხომ არ სჯობია ბუჩუკურის საქმიდან გამოიყოს ის მასალები, რომლებიც ხაბეიშვილს ეხება და საქმე მარტო ბუჩუკურზე გაგრძელდესო. უარი განვაცხადე. რატომო, იკითხა. შოთა გორგოძე ჩემს პასუხს არ დაელოდა და უპასუხა: იმიტომ, რომ მექრთამე ცეკას მდივანმა პასუხი უნდა აგოსო. აშკარად ჩანდა, რომ შევარდნაძე მოვლენების ასეთ განვითარებას არ ელოდა. გაოგნებულმა ჰკითხა გორგოძეს, ვინ გითხრა, რომ ხაბეიშვილი მექრთამეაო. ვინ და მისმა შერჩეულმა და დანიშნულმა რაიკომის მდივნებმაო. ამ დროს უკვე სამი (თელავის, ახმეტისა და სიღნაღის) რაიკომის მდივნის ჩვენება გვქონდა, რომ ხაბეიშვილს ქრთამს აძლევდნენ.

იმ დღეს შევარდნაძემ და გორგოძემ ერთმანეთზე გაიწიეს. გაბრაზებულმა გორგოძემ მუშტი დაარტყა მაგიდაზე. შოთასაგან გამიკვირდა ასეთი საქციელი. შევარდნაძეს თვალები წამოუწითლდა ბოღმისაგან.

ჩემთვის შევარდნაძის მდგომარეობა გასაგები იყო, ხაბეიშვილი მისი მარჯვენა ხელი იყო. როცა შევარდნაძემ ამ მასალების შემოწმება დაგვავალა, მას მხოლოდ ხაბეიშვილის სახელის გატეხა და მისი დაშინება სურდა, მაგრამ რატომ, ეს კითხვა არ მასვენებდა. მან ჩვენ ამ მიზნით გამოგვიყენა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა (მოტყუვდა კაცი, რომელიც სხვას ატყუებდა ყოველთვის).

რაკი შევარდნაძის „რჩევა“ არ შევასრულე, მან სხვა ხერხს მიმართა — სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს სთხოვა, ჩარეულიყო ამ საქმეში. მან კი თბილისში გამოგზავნა თავისი მოადგილე გამოძიების დარგში ო. სოროკა. ჩემთან შეხვედრამდე სოროკა შეხვდა შევარდნაძეს და მერე მანაც ზუსტად იგივე შემომთავაზა, რაც შევარდნაძემ. მასაც კატეგორიული უარი ვუთხარი. სოროკამ მითხრა, რადგან არ მემორჩილები, სხვას გადავცემ საქმეს გამოსაძიებლადო. გავუმეორე, მაგ დავალებას არ შევასრულებ და საქმესაც ვერ გადასცემ სხვას გენერალური პროკურორის დაუკითხავად-მეთქი. გენერალურმა პროკურორმა რომ გიბრძანოს, მაშინ რას იზამო. ვუთხარი, თუ იქნება რეკუნკოვის წერილობითი მითითება, დავემორჩილები, სხვა რა გზაა-მეთქი.

მითითება იქნებაო და მეც ველოდებოდი მეორე დღის გათენებას. დაახლოებით დილით 11 საათზე რეკუნკოვმა დამირეკა. მითხრა, ვახტანგ, სოროკამ ყველაფერი მომახსენა და იმოქმედე ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევს. საქმეზე გამოძიება გაგრძელდა და კიდევ არაერთი კანონსაწინააღმდეგო ქმედება და ქრთამის აღების ფაქტები გამოიკვეთა.

1985 წლის ივლისში შეიცვალა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა. შევარდნაძე მოსკოვში გადაიყვანეს, აქ კი პატიაშვილი დაინიშნა. ხაბეიშვილის საქმეში უკვე ყველაფერი ნათელი იყო. გადაწყვეტილება მე უნდა მიმეღო, მაგრამ ეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ხაბეიშვილი ჯერ კიდევ ცეკას მდივნად მუშაობდა.

იმ მიზნით, რომ საქმის ბედი საბოლოოდ გადამეწყვიტა და თავისუფალი მოქმედების საშუალება მქონოდა(?), მოვამზადე ინფორმაცია, სადაც გაანალიზებული იყო საქმეში არსებული მტკიცებულებები და წარვუდგინე ცეკას ბიუროს. ბიურომ განიხილა ჩემი ინფორმაცია და ხაბეიშვილი გაათავისუფლეს ცეკას მდივნის თანამდებობიდან. ბიუროს სხდომაზე ხაბეიშვილის კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ იმდენი რამ ითქვა ჟიული შარტავას, ალექსი ინაურის, პავლე გილაშვილისა და სხვების მიერ, რომ გაკვირვებული დავრჩი. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოყვანილი იყო, პირველი სწორედ ჟიული დაუპირისპირდა.

ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ აწ გარდაცვლილი ხაბეიშვილი პასუხისგებაში მისცა და დააპატიმრა საქართველოს პროკურატურამ ჩემი ხელმძღვანელობით. თუ ამ საქმეში საეჭვოდ მიაჩნია ვინმეს რაიმე, შემხვდეს და მელაპარაკოს. მე არ ვარ ის კაცი, რომ ზოგიერთი ჩემი ყოფილი კოლეგის მსგავსად სოროში შევძვრე და პასუხისმგებლობას გავექცე. მზად ვარ, ყველას ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო და ყველას საკადრისი პასუხი გავცე.

ჭორს ავრცელებს ის, ვინც ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, თითქოს ხაბეიშვილი პატიაშვილის მითითებით იყო მიცემული პასუხისგებაში. როდესაც პატიაშვილი ცეკას პირველი მდივანი გახდა, იმ დროისათვის უკვე უამრავი მტკიცებულება გვქონდა შეკრებილი. გარდა ამისა, მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე არ ვიყავი ის პროკურორი, რომელიც ვიღაცების სიამოვნებისთვის დაარღვევდა კანონს და შეასრულებდა კანონსაწინააღმდეგო ან პირადი ინტერესებიდან გამომდინარე დავალებებს. ხაბეიშვილი პატიაშვილმა კი არა, შევარდნაძემ დაიჭირა. პატიაშვილს არ უძებნია კომპრომატები ხაბეიშვილზე. ამას ვერც გაბედავდა, მაგრამ რომ გითხრათ, ხაბეიშვილის დაჭერა ეწყინაო, ასეც არ ყოფილა.

მიხეილ გორბაჩოვმა შევარდნაძის თხოვნით ამ საქმეზე განაჩენის კანონიერების შემოწმება სხვებთან ერთად საბჭოთა კავშირის სუკის ხელმძღვანელს, კრიუჩკოვსა და ცეკას პარტკომისიის თავმჯდომარეს პუგოსაც დაავალა. ერთი სიტყვით, შევარდნაძე გაშიშვლდა, მან გამწირა და დაიწყო მისთვის დამახასიათებელი ანგარიშსწორება ჩემზე იმის გამო, რომ არ შევასრულე მისი კანონსაწინააღმდეგო მითითება და ხაბეიშვილის საქმე ცალკე არ გამოვყავი.

9 აპრილი გადატანილი გვქონდა, შევარდნაძე ლიძავაში ისვენებდა და მერე თბილისში ჩამოვიდა. დამირეკა გუმბარიძემ, შევარდნაძეს უნდა შეხვედრაო. მივედი. მარტო დაგვტოვა მე და შევარდნაძე. შევარდნაძემ მითხრა, კმაყოფილი ვარ, კარგად იმუშავე ამ საქმეზე, ყველაფერი გააკეთე, მაგრამ მოსკოვში ეჭვობენ, ხაბეიშვილი მთლად დამნაშავე არ არის ამ საქმეში, ეს მასალები არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ მან ეს დანაშაული ჩაიდინა. საკავშირო ორგანოები განაჩენის კანონიერებას გიმოწმებენო. 2-3 საქმე იყო მაშინ საკავშირო მასშტაბისა. ოდესის ოლქის პროკურორი და რამდენიმე კაცი პარტიიდან გარიცხეს. ჩემთვისაც იმავეს გაკეთება უნდოდათ. შევარდნაძეს ვუთხარი, თუ თქვენ ხაბეიშვილის დახმარება გინდათ, საჭიროა მისი სასჯელის შემცირება და ციხიდან გამოშვება, ჩემზე მეტად ვერავინ დაგეხმარებათ. ამის გაკეთება შემიძლია, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ხაბეიშვილი უდანაშაულოა-მეთქი. გამიმეორა, არა, ამბობენ, უდანაშაულოაო. არ მინდა ამის გამო საყვედური გითხრან. გორბაჩოვს ვუთხარი, ეს მე გავაკეთებინე-მეთქი და ახლა შენ გაჩუმდი, ვახტანგ, ჩაწყობილია გორბაჩოვთან ეს საქმეო. მივხვდი, რა ვერაგობაც ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მხარში გენპროკურორი და სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე სმირნოვი დამიდგნენ. თავი მოიკლა ორივემ — განაჩენი სწორიაო. სმირნოვმა ეს საქმე სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე განიხილა და მიაღებინა დადგენილება — განაჩენი სწორიაო. გორბაჩოვმაც ვეღარ თქვა შავზე, თეთრიაო. არადა, კგბ ჩასაფრებული მყავდა, ეგებ რამე ვუპოვოთო.

ხაბეიშვილი სასამართლოსა და პროკურატურის გვერდის ავლით საკავშირო სუკ-მა მოიპარა რუსთავის კოლონიიდან და ოთხი თვის განმავლობაში უკანონოდ მალავდნენ მოსკოვის ციხეებში. ეძებდნენ დარღვევებს, რომ ჩვენთვის ანგარიში გაესწორებინათ, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. თვით ხაბეიშვილსაც ვერ ათქმევინეს ისეთი რამ, რომ განაჩენის გაუქმებისთვის გამოეყენებინათ.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

**იზო რიკაძე**

# „უბრალოდ, დავიქანცე“...

## „მხარს მაინც იმას დავუჭერ, ვინც აქაური და ჩვენიანია“

ტელებიზნესში 15-წლიანი საქმიანობის შემდეგ საზოგადოებრივი ტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელი **ზაზა შენგელია** უკვე მეორედ გადადგა თანამდებობიდან. განცხადების გაკეთებისთანავე შენგელიას გარშემო ჭორების ქარბორბალა დატრიალდა. ზოგმა თქვა, ვარდების რევოლუციის მამამთავრებმა მოიშორესო. I არხზე საკადრო შემცირებებით გამოწვეული თანამშრომლების ხშირი ბუნტის გამო არაპოპულარულ სახედ იქცა და არჩევნებში მაინც წააგებდა, ამიტომაც წასვლა ამჯობინაო. ასე კი ამბობენ, მაგრამ შენგელია სულაც არ ჰგავს ამ სამსახურიდან იძულებით წასულ კაცს (თუმცა, ის ყოველთვის ახერხებდა თავისი განწყობილების დაფარვასაც). სახეზე ღიმილი დასთამაშებს და ამბობს, რომ მშვიდად მიდის ტელევიზიიდან, თუმცა არა სამუდამოდ. რა საქმეს მოჰკიდებს ხელს, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ აქვს. ახლა კი ბრიტანეთიდან ახალგასტუდენტებული მეუღლისა და ტინეიჯერი ქალიშვილის ჩამოსვლას ელოდება და...

— ძალიან მინდა დასვენება, მერე კი ვნახოთ... არჩევნებამდე გადადგომა იმიტომაც გადავწყვიტე, რომ ახალი ხელმძღვანელის არჩევისას უხერხულობა არ შექმნილიყო. არ ეფიქრათ, ახალ დირექტორს ირჩევენ და ძველი ისევ ადგილზეაო. უკვე შემომთავაზეს რამდენიმე ახალი სამსახური, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებიდანაც. მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, არც არჩევნებში ვიყარო კენჭი და რაიმე გადაწყვეტილების მიღებისგანაც თავი შევიკავო.

**— უცნაურია. საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელის პოსტზე სხვა კანდიდატებს შორის თქვენც მოიაზრებოდით. არაერთხელ ითქვა ისიც, რომ დირექტორობისთვის ბრძოლას აპირებდით. რატომ გადაიფიქრეთ? ამბობენ, იმათ, ვისაც ძველი სახეები (ანუ შევარდნაძის დროინდელი) არ მოსწონს, შენგელიას ფარ-ხმალი დააყრევინესო. მართალია?**

— დიდი ხანია გადავწყვიტე, რომ კენჭი აღარ მეყარა. ეს იძულებით არ გამიკეთებია, პირიქით, დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი. 2001 წელს, რეფორმები რომ დავიწყე, ერთადერთი, ვინც მეხმარებოდა, სააკაშვილი იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგაც იმიტომ დავბრუნდი, რომ მან აღმითქვა დახმარება ტელევიზიის მოწყობაში. ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეფორმებმა იმხელა ენერგია წამართვა, იმდენი ცილისწამება და შეურაცხყოფა გადავიტანე, რომ უბრალოდ დავიქანცე. თუმცა, ვფიქრობ, რეფორმა შედეგიანია. ნამდვილად ძნელი იყო ახალი სტრუქტურის შექმნა, ახალი პრინციპების დანერგვა, უამრავი თანამშრომლის შემცირება.

**— ანუ გადაკიდება.**

— დიახ, მაგრამ მთელ საქართველოში ჩვენი ტელევიზია არის ერთადერთი სამსახური, რომელიც 120 ყველაზე გაჭირვებულ ყოფილ თანამშრომელს ხელფასებიდან ყოველთვიურად 3-3%-ს ვუხდით. ვფიქრობ, ასეთი რეფორმები ყველა სფეროში უნდა ჩატარდეს.

**— თქვენ ტელევიზიიდან დათხოვნილთა დიდი ჯგუფი გიჩივით. ამბობენ, რომ ბევრი დაუმსახურებლად გაათავისუფლეთ.**

— რეფორმის დროს 2500 კაცი გავათავისუფლეთ, მაგრამ მათგან ნახევარზე მეტი დახმარებას სულაც არ საჭიროებდა. სხვაგან მუშაობდნენ და „თავშესაფრად“ ტელევიზიის წიგნაკები სჭირდებოდათ. სხვათა შორის, შემცირების შემდეგ რამდენიმე კაცმა (რომლებიც ჩემს რეფორმებსაც ეწინააღმდეგებოდნენ და არც მე მოვწონდი) მადლობა გადამიხადა — თქვენ რომ სამსახურიდან არ გაგეშვით, ჩვენს ადგილს ვერ ვიპოვიდით, ჩვენი შესაძლებლობების რეალიზებას ვერ შევძლებდით და მანდ ჩავრჩებოდითო. ეს ვილაცას აუცილებლად უნდა გაეკეთებინა. საზოგადოებრივი მაუწყებლობა, რომელიც ხალხის ხარჯზე არსებობს, ადვილი შესანახი უნდა იყოს. სამუშაო პირობებიც უნდა ჰქონდეთ თანამშრომლებს. ამის გამო ბევრი კარგი მუშაკი წავიდა ჩვენგან.

**— ყველა ასე არ ფიქრობს. ბევრის აზრით, საზოგადოებრივი ტელევიზია მანამ არ იქნება საზოგადოებრივი, სანამ სახელმწიფოში არ შეიგნებენ, რას ნიშნავს ხალხის მიერ დაფინანსებული ტელევიზია; და ისიც ამბობენ, საზოგადოებრივი ტელევიზია ისეთივე „დამოუკიდებელი“ იქნება, როგორიც სასამართლოო.**

— ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც არსებობს საზოგადოებრივი ტელევიზია, ტელევიზიის საბჭოს, მთავრობასა და მენეჯმენტს შორის ყოველთვის არის პრობლემები. ეს ავტომატური პროცესია. ორივე მხარე ცდილობს, გაზარდოს თავისი უფლებამოსილება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ბალანსი დაცული იქნება, თუკი საბჭო შეასრულებს თავის უფლებამოსილებას. შევარდნაძის დროს საბჭოს რომ ეარსება, მე გადადგომა აღარ მომიწევდა. ვერ მეტყოდნენ, მე შენ ფულს გიხდი. ეს ჩემი არხია და ეთერში ოპოზიცია არ გააჭაჭანოო. უმრავლესობას საბჭოში ჭკუა რომ გადაუბრუნდეს, ერთი აუცილებლად გამოჩნდება, რომელიც ან გადადგება, ან პროტესტს გამოხატავს. მოკლედ, საბჭოს საშუალებით დირექტორი დაცული იქნება პოლიტიკური ზეწოლისაგან.

**— ჩვენს ქვეყანაში თითქოს არაჯანსაღ ტრადიციას ეყრება საფუძველი, ყველა რეფორმატორობს (ან იბრალებს ამას) და გაიძახის: აი, რა კარგი ვარ, ყველაფერს რა კარგად ვაკეთებო. ალბათ, დამეთანხმებით, შეუძლებელია ყველაფერს უშეცდომოდ აკეთებდე, მით უმეტეს, რეფორმირებისას. თქვენ თუ აღიარებთ შეცდომებს?**

— რა თქმა უნდა. შეცდომა იყო თუნდაც ის, რომ მე და ჩემმა გუნდმა სამსახურების შემცირებისას კადრების „გამოხშირვა“ უშუალოდ სამსახურის უფროსებს დავავალეთ. ბევრმა მათგანმა პროფესიონალი მუშაკი დაითხოვა. ეს უფრო ტექნიკურ პერსონალს ეხება, ვიდრე ჟურნალისტთა კორპუსს. ჩვენ სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავით, ყველა პროცესი ზედმიწევნით უნდა გაგვეკონტროლებინა.

**— როგორ ფიქრობთ, მოახდინა თუ არა რეფორმამ ზეგავლენა ყოფილი პირველი არხის რეიტინგზე? მაყურებელთა ერთ ნაწილს მოსწონს დოკუმენტური ფილმები, სერიალები და შემეცნებითი პროგრამები, მაგრამ უკმაყოფილო არიან იმით, რომ ეთერში წარმოდგენილი პროდუქცია ან უცხოურია, ან მოძველებული. საზოგადოებას სურს, რომ მისი ტელევიზია ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს დროს.**

— საზოგადოებრივ მაუწყებლობას აქვს თავისი ნიშა — შემეცნებითი, კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური პროგრამები, რომელიც ვერასოდეს გაუწევს კონკურენციას, ვთქვათ, „დროებას“, „კურიერს“ ან „შაბათის შოუს“ და ა. შ. საზოგადოებრივი მაუწყებლობა აკეთებს იმას, რაც სჭირდება ხალხს. კერძო არხები კი აკეთებენ იმას, რაც უნდა ხალხს. ამიტომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში საზოგადოებრივი ტელევიზია რეიტინგში პირველ ადგილზე არ არის. მაგალითად, „ბი-ბი-სის“ აუკრძალეს რეიტინგებში მონაწილეობა და ისეთი კომერციული პროექტების გაკეთება, რომელიც უფრო კერძო არხების სეგმენტს ეკუთვნის. ჩვენი ყველა გადაცემა ხალხის გამოკითხვებისა და მათი საჭიროებისამებრ მომზადდა. ვფიქრობ, მომავალში უფრო გაიზრდება იმ მაყურებელთა რიცხვი, რომელსაც რაღაცის შემეცნებისა და შესწავლის სურვილი გაუჩნდება და ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად საზოგადოებრივ ტელეარხს მიმართავს.

**— როცა კარგად დაისვენებთ, ისევ ტელევიზიისკენ ხომ არ გაგიწევთ გული? მით უმეტეს, რომ ამბობენ, ტელეკომპანია „მზეში“ მიიწვიეს სამუშაოდ.**

— არა, „მზე“ არაფერ შუაშია. თუმცა, თუ ტელებიზნესზე ვიფიქრებ, ალბათ, უფრო გასართობი ხასიათის, მუსიკალურ ტელევიზიას მივანიჭებ უპირატესობას.

**— ხომ არ დაასრულებთ იმას, რაც თითქმის ორი წლის წინ დაიწყო — მგონი, გასართობი ტელეარხი ეთერში გასასვლელადაც მზად იყო.**

— მაშინ ამას სხვა ხალხი აკეთებდა. ახლა სწორედ კარგი დროა გასართობი ტელეარხის შესაქმნელად. მაგრამ მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

**— თქვენი მეუღლე სესილი გოგიბერიძე კარგა ხანია უმუშევარია. ამდენ ხანს ისვენებს?**

— სულ მალე სესილი ჩვენს ქალიშვილთან ერთად დაბრუნდება დიდი ბრიტანეთიდან. ჩემი შვილი ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სესილიმაც ჩააბარა დიპლომატიურ ფაკულტეტზე, სადაც ერთი წელი ისწავლის და შემდეგ მიეცემა ბრიტანეთში მუშაობის უფლება.

**— საზოგადოებრივი ტელევიზიის შეფობის სავარაუდო კანდიდატურებიდან ვინმეს თუ გულშემატკივრობთ?**

— ვფიქრობ, ყველა ღირსეულია, მაგრამ მხარს მაინც იმას დავუჭერ, ვისთანაც მიმუშავია და ვინც აქაური და ჩვენიანია.

*ეკა ლომიძე*




# ვეტერინართა რჩევა

*როგორ ვკვებოთ ჩვენი ძაღლი ისე, რომ ის ჯანმრთელიც იყოს და ხალისიანიც?*
თქვენს შეკითხვებს უპასუხებს ვეტსამკურნალო "კომპანიონის" ვეტექიმი ბ-ნი გენა სიმონოვი






თქვენ სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ! მშრალი მზა საკვები ძაღლებისათვის დიდი სიფრთხილით მუშავდება სპეციალისტების მიერ და მასში გათვალისწინებულია თქვენი ოთხფეხა მეგობრების ყველა მოთხოვნილება. ის შეიცავს სწორად დაბალანსებულ ნატურალურ კომპონენტებს და მინერალებს, აგრეთვე ვიტამინებს საჭირო რაოდენობითა და პროპორციებით. თქვენი ძაღლისათვის მრავალფეროვანი საკვებიდან გირჩევდით პაშტეტიან პედიგრის ბალიშებს. ის ისეთი გემრიელია და სასარგებლო, რომ ყველაზე განებივრებული ძაღლიც კი სიამოვნებით მიირთმევს. ჩვეულებრივი, შინ დამზადებული საჭმელიდან მზა, მშრალ საკვებზე გადასვლის ყველაზე სწორი გზა ერთის მეორეთი ნელ-ნელა ჩანაცვლებაა. ეს პროცესი 5-10 დღის განმავლობაში გრძელდება. ყოველდღიურად 1/5-ით შეამცირეთ ძველის და გაზარდეთ ახალი საკვების რაოდენობა. ასე ძაღლი უფრო კარგად ეჩვევა ახალ საკვებს. მშრალი საკვები მხოლოდ არგებს თქვენს ძაღლს!

თუ დავითვლით ძაღლისათვის შინ მოსამზადებელი პროდუქტებისა და მშრალი საკვების ყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღმოვაჩენთ, რომ ძაღლის მზა, მშრალი საჭმელით კვება გაცილებით იაფია. ჯერ ერთი, მშრალი საკვები უფრო ნოყიერია და ძაღლს მისი ნაკლები რაოდენობა ჰყოფნის. თანაც, ბაზარზე მზა საკვების მრავალფეროვანი არჩევანი ნამდვილად იძლევა სასურველი ფასის მქონე საკვების შერჩევის საშუალებას. სრულფასოვანი, ბალანსირებული, ხარისხიანი საკვები ყოველთვის არ ნიშნავს ძვირს.

**PEDIGREE®**-ს საკვები მსოფლიოში აღიარებული კომპანია „მარსის“ პროდუქტია. მწარმოებელი კომპანიისათვის უმნიშვნელოვანესია ნედლეულსა და მის ტექნოლოგიურ დამუშავებაზე ზრუნვა. სწორედ ამიტომ, თუ გნებავთ, ძაღლი სწორად და იაფად კვებოთ, მე ამ მარკის მზა პროდუქტებს გირჩევთ. ისინი შემუშავებულია ძაღლების ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით.



| საკვები | დღიური კალორიულობა | საკვების სადღეღამისო ნორმა გრ. | 1 დღის რაციონის ღირებულება ლარებში | 1 თვის რაციონის ღირებულება ლარებში |
|---|---|---|---|---|
| ფაფა, ბოსტნეული, ხორცი + ვიტამინები | 1040 | 410 | 1,58 | 47,4 |
| მშრალი საკვები PEDIGREE® | 1040 | 306 | 0,90 | 27 |

მონაცემები გათვალისწინებულია 20 კგ წონის მქონე ძაღლისათვის. საზომად შეიძლება გამოყენებულ იქნას 250 მილიგრამიანი ჭიქა, რომელიც შეესაბამება **PEDIGREE®**-ს პროდუქტის დაახლოებით 90 გრამს.

**ჯანმრთელი ძაღლის ბედნიერი ცხოვრება!**

# „ქართულ საფეხბურთო სამყაროში არ სურთ ჩემთან ურთიერთობა“

სენსაციური გამოდგა ევროტურნირებზე მაკედონიის ჩემპიონი „რაბოტნიჩკისა“ და ერთ-ერთი ყველაზე „ქართული“ კლუბის — რიგის „სკონტოს“ დაპირისპირება. ლატვიის ჩემპიონმა, რომლის შემადგენლობაშიც ერთბაშად ოთხი ქართველი ფეხბურთელი — დავით ჩალაძე, ლევან კორღალიძე, ზაალ ელიავა და ზურაბ მენთეშაშვილი გამოდიან, 0:6 წააგო და განმეორებითი მატჩი ფორმალობად აქცია. ძნელი სათქმელია, ასეთი რა მოუვიდა ლატვიური ფეხბურთის უძლიერეს კლუბს, რომელიც მსგავსი ასტრონომიული ანგარიშით ევროპული ფეხბურთის გრანდებთანაც არასდროს დამარცხებულა, მაკედონიურ გუნდთან ასე რომ დაბეჩავდა.

ბუნებრივია, 0:6-ზე წაგების შემდეგ, „სკონტოს“ მწვრთნელი თანამდებობაზე ვერ დარჩებოდა და იურის ანდრეევსმა პოსტიდან გადადგომაზე გააკეთა კიდეც განცხადება.

მის სავარაუდო შემცვლელად „სკონტოს“ ვიცე-პრეზიდენტი **რევაზ ძოძუაშვილი** მოიაზრებოდა, თუმცა, როცა რიგაში შევეხმიანეთ, გაგვიმხილა — ალბათ, იმავე თანამდებობაზე დავრჩები, კლუბს კი ინგლისელი სპეციალისტი უხელმძღვანელებსო.

— გუნდის მთავარი მწვრთნელობის კანდიდატი მეც გახლდით, თუმცა „სკონტოს“ პრეზიდენტ ინდრიქსონს კლუბთან გაერთიანებული აკადემიური ცენტრის შექმნა აქვს დაგეგმილი, რომელშიც ახალგაზრდული გუნდებიც იქნება და მეტი ფინანსებიც მობილიზდება. პრეზიდენტის სურვილია, „სკონტოს“ მწვრთნელად ინგლისელი სპეციალისტი დაინიშნოს, რომელიც „როსტოვშიც“ მუშაობდა და ლატვიურ კლუბებშიც, ჩვენ კი ზემოდან ვუხელმძღვანელოთ ყველაფერს. სერიოზული გეგმები გვაქვს და გვინდა, ახალგაზრდული კლუბით ევროპაშიც ვითამაშოთ. ინდრიქსონს ორშაბათს უნდა შევხვდე, მაგრამ ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ, ისევ ვიცე-პრეზიდენტად დავრჩები.



**— „სკონტოს“ „ბარსელონას“ დონის კლუბებთან არ წაუგია 0:6, მაკედონიის ჩემპიონი კი მათთან რა მოსატანია...**

— ძალიან სუსტი მწვრთნელთა საბჭო გვყავდა. გუნდის პრეზიდენტთან არაერთხელ მისაუბრია ამის შესახებ, თუმცა სანამ კატასტროფული ანგარიშით არ დავმარცხდით, ვერ დავაჯერე. მერე კი აღნიშნა დანანებით — ნეტავ რეზოსთვის დამეჯერებინაო, მაგრამ... ანდრეევსი სტარკოვის თანაშემწედ იყო ნამუშევარი და ინდრიქსონს ეგონა, მასავით კვალიფიციური იქნებოდა.

**— ასეთი ანგარიშით წაგება მარტო მწვრთნელის ბრალი არ უნდა იყოს...**

— „სკონტოს“ ცენტრალურ მცველს გული აწუხებდა და თვე-ნახევარი არ უვარჯიშია. ჩემი პროტესტის მიუხედავად, „რაბოტნიჩკისთან“ მაინც ათამაშეს და ხუთი ბურთი უშუალოდ მისი შეცდომის შემდეგ გავიდა. მთელი ცხოვრება მწვრთნელად ვმუშაობ და კარგად მესმის, რა ძნელია გუნდის დატოვება, მაგრამ მეტი გზა არ იყო, ანდრეევსის მუშაობა „სკონტოში“ აღარ შეიძლებოდა.

**— ჩვენი ბიჭების საქმე როგორ არის?**

— ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ის იყო, არც ერთ ქართველ ფეხბურთელზე აუგი რომ არ დასცდენიათ. ჩალაძე ფორმაში ახლა შედის, ამის მიუხედავად, გავრისკეთ, ძირითადში ვათამაშეთ და დათო ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. დამარცხების მიუხედავად, ქართველ ფეხბურთელებს მადლობა გადაუხადეს თავგანწირული თამაშისთვის.

**— ბევრ ჩვენს მკითხველს აინტერესებს, როდის ჩამოვა რეზო ძოძუაშვილი საქართველოში?**

— თავადაც ხედავთ, სადაც არ უნდა წავიდე, ჩემ გვერდით ყოველთვის არის რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი. ჩვენი ქვეყნისთვის თითოეული ჩვენგანი თავს დადებს. თუმცა, ქართულ საფეხბურთო სამყაროში არ სურთ ჩემთან ურთიერთობა...

**— რატომ?**

— თანამედროვე ფეხბურთი საოცარი სისწრაფით ვითარდება. ქართული ფეხბურთის „ელიტის“ წარმომადგენლები, თვითონ რომ ვერ უწყობენ ფეხს თანამედროვე მოთხოვნებს, არც სხვისი მოსმენა სურთ. ფეხბურთის ფედერაციის წინა ხელმძღვანელობა ძალზე შორს იყო ფეხბურთის თანამედროვე მოთხოვნებისგან. ვეუბნებოდით, რომ სწორად არ იქცეოდნენ, მაგრამ ისე გამოდიოდა, თითქოს ჩვენ ვიყავით ფეხბურთის განვითარების ხელის შემშლელი. როცა ფედერაციის პრეზიდენტს ეუბნები, დარჩენილი ხუთი მატჩიდან ხუთივეს მომგები ვარო, ის კი გაიძახის — არა, მაინცდამაინც მე უნდა ვუხელმძღვანელო გუნდსო, რაღაზეა ლაპარაკი? ჩემთვის სამარცხვინოც იყო მათთან ურთიერთობა...

**— ფედერაციის ახალ ხელმძღვანელზე რა აზრის ხართ?**

— ახალ პრეზიდენტზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ნოდარ ახალკაცის შვილია. დანარჩენს მის მიერ გაწეული მუშაობა გვიჩვენებს. ვნახოთ, როგორ დაიწყებს საფეხბურთო პირამიდის საძირკვლის შენებას, იქნებ მან მაინც ჩაყაროს სწორი საფუძველი? ვაცალოთ მუშაობა...

**— ნოდარ ახალკაცმა თანამშრომლობა რომ შემოგთავაზოთ?**

— ქართულ ფეხბურთთან, ქართველებთან სათანამშრომლოდ ყოველთვის მზად ვარ. მეც და ჩემი გაზრდილი ფეხბურთელებიც უპირველეს მიზნად ჩვენი ფეხბურთისთვის ბოლომდე დახარჯვას მივიჩნევთ და თუ როგორც პროფესიონალებს, ისე მიგვიღებენ, ყველასთან გამოვნახავთ საერთო ენას.

# „მხიარული ჩემპიონები“

სპორტული ასპარეზობები სხვა არაფერია, თუ არა მწვავე, დრამატული მომენტები და პირველობისკენ სწრაფვა, მაგრამ ასეთი დაძაბულობის ფონზეც ხშირია ისეთი კურიოზული სიტუაციები, რომლებიც შესაძლოა ნებისმიერ სპორტსმენს (მათ შორის, საქვეყნოდ აღიარებულსაც) შეემთხვეს და წლების შემდეგაც კი ღიმილი მოჰგვაროს. ვფიქრობთ, „კვირის პალიტრის“ მიერ შემოთავაზებული „კურიოზული ფოტოგალერეა“ მხიარულ განწყობაზე დაგაყენებთ.











# ახალი გენმდივანი ცვლილებებს გვპირდება



ფეხბურთის ფედერაციის სათავეში მოსვლიდან ერთი თვის შემდეგ, ნოდარ ახალკაცმა მისთვის პირველი აღმასკომის სხდომას უთავკაცა. სხდომის დღის წესრიგში არსებულ სამივე საკითხზე გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს. აღმასკომზე ახალი სტრუქტურის და საშტატო განრიგი დაამტკიცეს, შემდეგ გენერალური მდივნის კანდიდატურას და ფეხბურთის ფედერაციის X რიგგარეშე ყრილობის მოწვევაზეც შეთანხმდნენ. ყრილობის თარიღად 30 აგვისტო დასახელდა.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც ყველაზე მეტ ინტერესს იწვევდა ყრილობის მონაწილეთა და ჟურნალისტთა შორის, ახალი გენმდივნის დამტკიცება იყო. ახალკაცის გაპრეზიდენტებასთან ერთად, მისი ფავორიტი კანდიდატურების შესახებ ხმებიც უმალ აგორდა. ჩოლარიას „მემკვიდრედ“ რამდენიმე ცნობილი და ფედერაციაში „ჭიპმოჭრილი“ ფუნქციონერი დასახელდა, თუმცა, პარასკევს გამართულმა სხდომამ ახალკაცის „მარჯვენა ხელი“ ოფიციალურად დაამტკიცა — სფფ-ის გენერალურ მდივნად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გრიგოლ ცაავა დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ აქამდე ცაავა „ფუტზალის“ ასოციაციას ხელმძღვანელობდა, ამიერიდან კი, თუ მისივე სიტყვებს ვერწმუნებით, ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ იზრუნებს და ბევრ ცვლილებასაც გვპირდება. ახალ გენმდივანს ცხრა დეპარტამენტი და განყოფილება დაექვემდებარება: საფინანსო, იურიდიული, საბუღალტრო, კომერციული, სამეურნეო, ფეხბურთის განვითარების, სამსაჯო-საინსპექტორო, საკლუბო ლიცენზირების და საერთო.

სფფ-ის პრეზიდენტის განცხადებით, 21 კაცი, რომელიც 26-სუბიექტიანი ფედერაციის აღმასკომში შედის, ძალიან ბევრია: „ჩვენ უფრო მობილური და ოპერატიული ჯგუფი გვჭირდება. ახალი აღმასკომის წევრთა რაოდენობას მომავალი ყრილობა განსაზღვრავს“.

ახალკაცი რეგიონულ ფედერაციებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მათ შეუძლიათ სრული ავტონომიის იმედი ჰქონდეთ და ეს ბავშვთა ტურნირების ჩატარებას და ზონალურ გათამაშებებსაც ეხება. რაც შეეხება სანაკრებო თემას, სფფ-ის პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ფედერაციას გაუჭირდება ჟირესის გასამრჯელოსა და ძველი დავალიანების (რაც კულუარული ინფორმაციით 70 ათას დოლარს შეადგენს) ერთბაშად გადახდა. ნაკრების თავკაცი თბილისს ოთხშაბათს ეწვევა და არსებულ მდგომარეობას ადგილზე გააცნობენ.

ახალკაცმა იმაზეც ილაპარაკა, რომ იმ ხუთ მატჩში, რომელიც ნაკრებს 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ ჯგუფში აქვს დარჩენილი, ჟირესისთვის შედეგის მოთხოვნა უაზრო იქნება. სჯობს, ოფიციალური და ამხანაგური შეხვედრები მომავალი შესარჩევი ციკლისთვის გამოვიყენოთ...

P.S. ბუნებრივია, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, თუმცა, საქართველოს ნაკრები თითოეული შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრებს ისეთ სიტუაციაში ხვდება, თითქოს მომავალი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებლადაც იყენებს, მაგრამ... იმედი დავიტოვოთ, ეს „მაგრამ“ ოდესმე მაინც დასრულდება და ეროვნული გუნდის რომელიმე მწვრთნელი ნაკრების ფინალურ ეტაპზე გაყვანას თუ არა, „მომავალი ციკლისთვის მომზადებას“ მაინც მოახერხებს.

# „იუვემ“ ვიეირა გადაიბირა

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი, თუმცა, რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი უკვე განხორციელდა. ბოლო დღეების ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი „იუვენტუსმა“ გააკეთა, რომელმაც ლონდონის „არსენალის“ ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა გადაიბირა. ტურინელებმა ფეხბურთელთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს, რომლის მიხედვითაც ფრანგი კვირაში 85 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს. ტრანსფერის ფასმა კი 13,7 მილიონი გირვანქა შეადგინა. „ლონდონს ამაყად ვტოვებ. „არსენალში“ 3 წელი გავატარე და ბუნებრივია, კლუბთან განშორება ძალიან გამიჭირდა, თუმცა, ვთვლი, რომ ჩემი კარიერისთვის ეს ტრანსფერი აუცილებელი იყო. „იუვენტუსი“ უდიდესი კლუბია და იქ გადასვლით კმაყოფილი ვარ“. — ეს სიტყვები პატრიკ ვიეირამ კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ წარმოთქვა. თუ თავად მოთამაშე ახალი ნავსაყუდელით კმაყოფილია, იმავეს თქმა ძნელი იქნება „არსენალზე“ — ლონდონური კლუბი ტრანსფერმა დაახლოებით 10 მილიონი გირვანქით აზარალა. საქმე ის არის, რომ შარშან, მადრიდის „რეალი“ ვიეირას შესაძენად 24 მილიონს იხდიდა, „იუვენტუსს“ კი ფეხბურთელი გაცილებით იაფად, 13,7 მილიონად „ჩაუვარდა ხელში“. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველის დაკარგვამ შოკში ჩააგდო „არსენალის“ მოთამაშეები და ქომაგები, თუმცა ლონდონელთა თავკაცი არსენ ვენგერი გულშემატკივრებს დაჰპირდა, რომ პატრიკის სრულფასოვან შემცვლელს აუცილებლად იპოვის. „იუვენტუსში“ კი ვიეირას ისევ ფაბიო კაპელოსთან მოუწევს მუშაობა, მწვრთნელთან, რომელმაც „კანის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი „მილანში“ მიიწვია და მსოფლიო ფეხბურთს ახალი ვარსკვლავი აჩუქა.

# ოთხი წელი ქალად „გადაქცევისთვის“

FRANCE PRESSE-ს ინფორმაციით, ზიმბაბველ სპორტსმენს, რომელიც თავს ქალად ასაღებდა, ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 18 წლის სამუკელისო სიტოლე, რომელიც მძლეოსნობაში არაერთი ტურნირის გამარჯვებულია ქალთა შორის, „ულირსი საქციელის“ გამო დააპატიმრეს. გარდა ამისა, მას ბრალად ედება თავის სხვა ადამიანად გასაღება და კოლეგა-სპორტსმენებისთვის ფსიქოლოგიური ტრავმის მიყენება. ახალგაზრდა კაცი საკუთარმა ბიძამ გათქვა. მან ძმისშვილი „გოგონას“ საიდუმლო გაამხილა, რასაც დაპატიმრება მოჰყვა. სამედიცინო ექსპერტიზამ კი დაადასტურა, რომ სამუკელისო მართლაც ძლიერი სქესის წარმომადგენელია.

სასამართლო პროცესზე, სიტოლემ თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ ძალიან სურდა დიდი წარმატებისთვის მიეღწია სპორტში. მანამდე იგი ამტკიცებდა, რომ ჰერმაფროდიტად დაიბადა, მისმა მშობლებმა კი შამანთან მიიყვანეს, რომელმაც სასწაულმოქმედი ბალახების მეშვეობით „100%-იან ქალად“ აქცია. თუმცა ცოტა ხნის წინ, სიტოლეს მოულოდნელად მამაკაცური „თვისებები“ დაუბრუნდა. ახალგაზრდა კაცი ამას იმით ხსნიდა, რომ მისმა მშობლებმა შამანს ბოლომდე არ გადაუხადეს მკურნალობის საფასური. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, სამუკელისო სიტოლე ქალთა შორის გამართულ სხვადასხვა ტურნირზე მონაწილეობდა მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში. 2004 წლის ივნისში მან პირველი ადგილი მოიპოვა ბოცვანაში გამართულ რეგიონულ ტურნირზე. სულ კი, შარშან ჩატარებულ ასპარეზობებში, სიტოლემ შვიდი ოქროს მედალი დააგროვა.

*გვერდი მოამზადა რატი შელეგიამ*

## ფოტო განწყობისთვის



— როდის გავხდები შენხელა!..

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1.პარიკი; 5. ეპოპეა; 9. სტეკი; 11. სორბონი; 12. დიადემა; 13. აგანი; 14. არიზონა; 17. ემისარი; 18. სუსხი; 20. ცაცია; 21. ლატარია; 24. ან-ტანტა; 28. სტეპი; 31. ემპირია; 32. სატურნი; 33. იანძი; 34. ათონია; 35. ნინიბო.

**შვეულად:** 1. პერსონა; 2. რეგრესი; 3. კოლომბო; 4. თერმა; 6. პედანტი; 7. პოლენტა; 8. ასფალტი; 9. სოია; 10. იოდი; 15. აბსოლუ-ცია; 16. ლოსი; 17. ეპითალამა; 19. აკრა; 21. ლიბერია; 22. ტორპედო; 23. რეპრიზი; 25. ტამტამი; 26. ნეირონი; 27. აგვისტო; 28. საკი; 29. ელენე; 30. ისლი.

21/VII

სავსე მთვარე



**თარაზულად:** 1. გარკვეული ზომის საწერი ქაღალდის ფურცელი; 6. ტუჩი; 7. დიდი თუნგი, იციან მთაში; 8. გერმანელი კომპოზიტორი; 9. რუსი მხედართმთავარი, ნოვგოროდის მთავარი ალექსანდრე... 10. მთვარეული; 14. რბილი ტაბურეტი; 16. ჯარის საუკეთესო, რჩეული ნაწილი; 18. პალმა, რომელსაც აქვს მოკლე ტანი და გიგანტური ფოთლების ვარჯი, იზრდება აფრიკისა და ამერიკის ტროპიკულ ნაწილში; 19. გოეთეს პოემა; 22. აურზაური, სენსაცია; 23. ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება; 24. სახელმწიფო აფრიკაში; 26. ხშირი, წიწვოვანი ტყის ზოლი ევროპის, აზიის და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში; 27. ძალიან თეთრი; 31. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 33. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაჟლეტა რასობრივი და ეროვნული მოტივებით; 34. ნაქსოვი ზედატანი, რომელსაც არა აქვს საყელო და შესაკრავები; 35. ბილიარდის მაგიდის კიდეზე გაკეთებული ჭრილი ბურთის ჩასაგდებად; 36. დაკოდილი მამალი ცხვარი; 37. იემენის დედაქალაქი; 38. ფარიკაობის იარაღი.

**შვეულად:** 1. იგივეა, რაც თამბაქო; 2. ვენესუელის ფულის ერთეული; 3. სახელდახელოდ აშენებული სახლი, ქოხმახი; 4. ნიკარაგუის დედაქალაქი; 5. ძროხის რძისგან დამზადებული მომჟავო სასმელი; 10. ძაღლის ჯიში; 11. შიში ყოველგვარი სიახლისა; 12. ძველი რომის მოქალაქეთა გრძელი თეთრი წამოსასხამი; 13. კორეული ავტომობილი; 15. ექსპერიმენტი; 17. უზარმაზარი გადაშენებული ქვეწარმავალი; 19. უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო პირების საპატიო ტიტული ძვ. ეგვიპტესა და ოსმალეთში; 20. სპორტული ნაგებობა; 21. სახელ- წიფოში შესვლისა და მის ტერიტორიაზე გავლის ნებართვა; 25. დროის მონაკვეთი დილიდან საღამომდე; 2 ძაფის ერთგვარი მტკიცე ქსოვილი; 28. ავტომობილის წინა საქარე მინა; 29. იაპონელი მწერალი, ფანტასტი; 30. რკინიგზის პატარა ვაგონი, რომელიც მოძრაობს შიგაწვის ძრავით ან ხელით; 31. დაზღვევის მოწმობა; 32. მზის სისტემის პლანეტა; 33. სიმებიანი მუსიკალური საკრავი.

შეადგინა ვანო კაჭახიძე




## სტოუნის ნაცვლად დუბლიორი გაშიშვლდება



ცოტა ხნის წინ, ჰოლივუდის სექსსიმბოლომ, შერონ სტოუნმა, განაცხადა, — დღემდე მშვენიერ ფორმაში ვარ და სულაც არ მრცხვენია სხეულის გამოჩენისო. ვარსკვლავი ახლო მომავალში ეროტიკული ფოტოსესიის მოწყობას აპირებს ჟურნალისთვის „PLAYBOI". მაგრამ ისიც დასძინა, რომ „მთავარი ინსტინქტის" მეორე ფილმში სექსუალური სცენების გადასაღებად დუბლიორით ისარგებლებს, ვინაიდან ფილმში ძალიან ბევრი ეროტიკული ეპიზოდია, მათ შორის ლესბოსური. „კასტინგზე უამრავი ლამაზი ქალი მოვიდა, პირადად გავესაუბრე მათ, რადგან თავად მსურდა შემერჩია ღირსეული შემცვლელი", — ამბობს სექსსიმბოლო, რომელიც უკვე 47 წლის არის და, ბუნებრივია, დრო მნიშვნელოვან კვალს დატოვებდა მისი სხეულზე.

## ლივ ტაილერი გააფთრდა



თავის ერთი წლის ვაჟს — მილოს — ჰოლივუდის ვარსკვლავი ლივ ტაილერი თავად ზრდის, ძიძების დაუხმარებლად. ბავშვს თავს დაფოფინებს და წამითაც არავის ანდობს. გარდა ამისა, ძალიან აგრესიული გახდა რეპორტიორების მიმართ. რამდენიმე დღის წინ ის მალაზიაში წავიდა (რა თქმა უნდა, ბავშვთან ერთად), შემთხვევით შეამჩნია, ნაგვის ყუთის უკან მიმალული პაპარაცი როგორ ცდილობდა მის გადაღებას. გააფთრებული ვარსკვლავი ეძგერა რეპორტიორს. ცალ ხელში ბავშვი ეკავა, ცალით მარჯვედ აწიწკნიდა თმას. სასამართლომდე საქმე არ მისულა, მაგრამ ლივს რეპუტაცია საგრძნობლად შეელახა.

## გაიყიდა ბრანდოს პირადი ნივთები



„კრისტის" აუქციონზე 2,4 მილიონ დოლარად გაიყიდა ლეგენდარული მსახიობის, მარლონ ბრანდოს, პირადი ქონება. მსახიობის ქალიშვილმა რებეკამ ჟურნალისტებს უთხრა: „ეს პროცესი ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო, ამ ნივთების უმეტესობა ხომ ჩემი ბავშვობის ნაწილია".

ყველაზე ძვირად, 312.800 დოლარად, გაიყიდა რომან „ნათლიის" მსახიობისეული ეგზემპლარი.

წითელი ტყავის ბუდეში ჩასმულ წიგნში კომენტარები თავად მსახიობის ხელით არის მიწერილი.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".